# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

კვირა, 21 ივლისი 1929 წ. № 30 (214)


## იშვიათი ეკზემპლიარი



გაკულაკებული „კომუნისტი“: — აწ აღარ მეშინია პარტიიდანგამორიცხვის!

# ანკეტა

**მართალია: არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვის ოჯახურ ანუ ინტიმიურ ცხოვრებაში, მაგრამ ფიქრთა გამომჟღავნება თამამად შეიძლება.**

**ტარტაროზის ჯადოსნურმა ძალამ ჩვენ უხილავად გადაგვაქცია. შემოვიარეთ ბევრი ბინები და მოვკრიფეთ „ფიქრთა ანკეტა" ანუ „ინტერვიუ თავისთავთან", რასაც აქვე ვათავსებთ.**

**წმენდა** კარგია. ამისი საწინააღმდეგო კაცს რა უნდა ჰქონდეს? არც მე ვარ წინააღმდეგი, თუ მე არ შემეხება... რისი უნდა მეშინოდეს? არაფრის! ჩემისანა პატიოსანი სხვებიც არ არიან. თითქმის წელიწადი სრულდება რაც ცოლი შევირთე და ჯერ არ გამიშვია. არც ეპიროებ გაყრას. არც ერთი საყვარელი არა მყავს. საყვარელი კი არა, არშიყობაც არ მესერხება. წარმოიდგინეთ, ქალი, ჩემი ცოლის გარდა ჭირივით მეჯავრება. ისე მეჯავრება, რომ მზად ვარ ჩემს დაწესებულებაში რაც ქალებია ყველა დავითხოვო და მათ ადგილზე მამაკაცები მივიღო. ვის გაუგონია ქალი და სამსახური? დედაკაცი სახლში უნდა ევდოს და ქმარს უვლიდეს...

ჰო-და, ასეთი პატიოსანი კაცი ვარ.., არა, მე რისი უნდა მეშინოდეს!?

**სოლომონ ირიბაძე.**

**პარტწმენდა** მე არ მაშინებს, რადგან უკვე შარშან გამომაგდეს პარტიიდან. მე მაშინებს მხოლოდ აპარატის წმენდა. წმენდა კარგია. ეს კარგად ვიცი. მაგალითად: შარშან რომ სალარო გავსწმინდე, ისეთი დროება გავატარე: რომ ექვსი თვით გამსახლში ჯდომა არაფრად ჩამიგდია.

ბიუროკრატია, თანამშრომლებსა და მოქალაქეებს ცუდად ეპყრობაო, —ამას ჩემზე ვერ იტყვიან, რადგან დაწესებულებაში ერთი საათითაც ვერავინ მნახავს, სულ ავტოში ვარ. მართალია: შოფერი არ მემადლიერება, რადგან წარა-მარა ვარბენინებ იქით-აქეთ, მარა მარტო მას ვინ დაუჯერებს?

ერთი სიტყვით, თუ არ გამოაშკარავდა გუშინდელი კომბინაცია, მე არ გამწმენდენ.

**სამუელ ყალთაბანდაშვილი.**

რა ბრალდება უნდა წამომიყენონ პარტწმენდაზე? ვერაფერი!

თუ ივანე იტყვის, რომ ცოლს უდიერად ეპყრობა მე დავინახეო, ეს არ არის მისი საქმე, რადგან სხვის ოჯახურ, ინტიმურ ცხოვრებაში ვერავინ გააფათურებს ხელებს. მე მარტო ხელი შემოვკარი ცოლს, როცა მთვრალი მოვედი და ეჭვის სცენები გამიმართა. ზოგი კი—ცოლს ბარაბანივითი უბაგუნებს და სცემს, არა თუ მესამე ცოლს, თვით საყვარელსაც კი.

ანტიფემინისტიაო, ვერ იტყვიან ჩემზე. ჩემს დაწესებულებაში რომ ლამაზი ქალებია, იმდენი მგონი სულთანის არამხანაშიც არ იქნებოდა.

ქალებს არ აწინაურებსო, ვერც ამას დამწამებენ. ვაწინაურებ კი არა, რეგისტრატორი ქალი ისე მომეწონა, რომ საქმმართველი დავითხოვე და მისი ადგილზე დავნიშნე. ჩემს მოსვლამდე მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მშვენიერი ქალი რეგისტრატორად იყო.

თავი ქუდში მაქვს. რისი მეშინია?

**პავლუშა მუსუსიძე.**

მართალია მეფის ერთგული ჩინოვნიკი ვიყავ, მარა კონტრ-რევოლიუციონერობას ვერავინ დამწამებს, რადგან შარშანწინ განცხადება შევიტანე უჯრედში პარტიაში მიღების შესახებ. მაშასადამე, მე არა ვარ კონტრ-რევოლიუციონერი. მერე რაა, რომ არ მიმიღეს?! ეს რა ჩემი ბრალია!

ყველა კრებებს ვესწრები. ყოველგვარ საზოგადოების წევრი ვარ: რემედასი— ვეხმარები რევოლიუციისათვის მებრძოლ ხალხს; წერ-კუმსი —ვასწავლი უვიცებს. ავიო-ქიმი— ვაძლიერებ წითელ- არმიას, ვარ კავშირის წევრი; (მადლობა ღმერთს, ძლივს მიმიღეს; არ მღებულობდენ). ესას არავის არ შეუბრუნებ. გამგის წინაშე წელმოხრილი, აკანკალებული და მომლიმარე ვდგევარ.

მართალია: საქმეს განგებ ვაჭიანურებ და ვართულებ, რომ ხალხში სახელი გავუტეხო გლევანდელ მუშაობის სისტემას, მაგრამ ამას ისე მოხერხებულად ვშობი, რომ ვერავინ მიგებს. (აბა, ამათი ერთგული ვიქნები! დამღუპეს კაცი, მომრიგებელი მოსამართლე ვიყავ საწყალი ნიკოლოზის დროს).

ჰო, მართლა ყოველ დემონსტრაციაზე დავდივარ, დროშის ახლოს ვდგავარ, რომ ადგილკომმა და უჯრედმა დამინახოს. პილსუდსკისა და ჩინეთის იმპერიალისტებს რომ პროტესტი შევუთვალეთ, მეც ხომ ვიყავ დემონსტრაციაზე!?

არა, მე არ მოვხდები აპარატის წმენდაში.

**დათა გემოროიშვილი.**

საქმე მაგრად მაქვს. თუ ვინდ ვინმემ გაილაშქროს ჩემს წინააღმდეგ ყველსა მოუჭრი სიტყვას. მე რომ ცუდი კაცი ვყოფილიყავ, არც დამაწინაურებდენ. ადგილკომის მდივნობის დროს ადმინისტრაციას ისე დავუმეგობრდი, რომ დაწინაურების კამპანიის დროს გამგემ მე დამაწინაურა. ეხლა განყოფილების გამგე ვარ.

მართალია, მუშები ჩემზე ამბობენ —გაბიუროკრატდაო, მარა მათ დავუმტკიცებ, რომ საქმის ინტერესები მოითხოვენ ხანდახან უხეშად მოპყრობას.

სხვა ბრალდება არ შეიძლება წამომიყენონ? ჰო, წვრილი ცოლ-შვილი მიატოვაო. ეს უსაფუძვლო ბრალდებაა. ჩვენ, კომუნისტები თავისუფალი ქორწინების მომხრე ვართ. ეხლა გამგე ვარ და უწინდელი ცოლი როგორ გამომადგებოდა? „ფერი ფერსა, ამდლი ღმერთსა"-ო რომ იტყვიან, სწორედ ისეა. შეირთოს ჩემი ყოფილი ცოლი ჩვენმა შიკრიკმა ან დარაჯმა, გამზადებული ცოლშვილი ეყოლება; (ორი შვილი ჰყავს ჩემგან ჩემს ცოლს) მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ალიმენტს არ აძლევსო თუ იტყვიან,—რა ვქნა, ეს რაღაც 210 მანეთი მე არ მყოფნის. მივლინებები რომ არ მშველოდეს, ჩემს საყვარელ თინიკოს პიანინოს კი არა, კონტრაბანდ კოვერკოტის პალტოს ვერ ვუყიდდი.

რა კარგი ყოფილა კეთილი ცხოვრება! ღმერთმა დაიფაროს, რომ პარტიიდან გამაგდონ, თორემ ხომ დამეკარგა ეს თანამდებობა! პარტიიდან თუ გინდ გამრიცხონ, ხოლო ამ სამსახურს ნუ წამართმევენ. (უპარტიო ვიქნები და მაშინ ჯამაგირიც მეტი მექნება).

**ხევასტი ცხვირგრძელიძე.**

გამოცდილი პოლიტიკოსი ვარ: ყველა პარტიაში ვყოფილვარ. ოთხი თვეა რაც ძლივს-ღა მიმიღეს პარტიაში. ეხლა ხომ არ გამომაგდებენ? მართალია, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები გავყიდე, მაგრამ მესამე სესხი თუ გამოვა, კიდევ მოვაწერ ხელს.

რა კარგი იქნებოდა, რომ პარტიული გადასახადი არ იყოს და შეიძლებოდეს არ იარო უჯრედის სხდომებზე.

ეხლა თუ ცოლი არ გამოვიცვალე; ვინ იცის, ეგებ მართლა გამწმინდონ; მომხსნან აქედან და მერე სონა არც კი გამომყვება.

**ბიქტორ ნილაბაძე.**

რა ჩემი საქმეა პარტია? რაში მესაჭიროება? მარა თვითონ მე ჩემით არ გავალ პარტიიდან. იგინმა გამომრიცხონ. მადლობა ღმერთსა და მის წყალობას: ალმასკომის თავმჯდომარეობის დროს ისე მოვითბე ხელი, რომ ეხლა ჩემისანა მოსახლე მეორე არ არის ჩვენს სოფელში.

სოფლის მეურნეობა წინ უნდა წავსწიოთო.., მეც ასე ვქენი. ამისათვის ხომ საყვედურს ვერ მეტყვიან?! თუ მეტყვიან და, სთქვან, რა მადარდებს. პარტიიდან გამომრიცხავენ? ეს არაფერია.

**გერასიმე წუმბელაძე.**

[illegible]

# კოჯორი—ტფილისი



კოჯორიდან მოდის
„მერსედესი“ ავტო,
შიგ არავინ არ ზის,
შოფერია მარტო.

აგერ დაეწია—
მოდის ფეხით გიგა,
და შოფერმა იგი
ჩაისვა შიგა.

მიხვდა გიგა—მათ [illegible]
ავტო უყვარს თუ რად!..
და შიგ გაიჭიმა
გიგა მედიდურად.

---

## ივანე როყვა

თქვენ ჯერ არ იცნობთ ივანე როყვას,
იმას ტანში ცქმუტს, ფეხებში—როკავს?
ძველ აზნაურთა გვარი კაცია:
ტანზე ჩერქესკა ახლაც აცვია,
წუღა-მესტები, უძიროებით...
ზამთარში ჩექმაც ეცვა დროებით
და კალოშებით ტოპავდა ტალახს...
ივანე როყვა ამ ტფილის - ქალაქს,
როგორც ხელის გულს, იცნობს, საკუთარს!
ძველ კნეინათა ნელ-ტკბილ ხაბუდარს,
ძველ ჩინოვნიკთა ქვრივებს, მადამებს...
კვირა - უქმეებს მათთან ალამებს
და ღამეებსაც ზოგჯერ ათენებს
ივანე კითხვას ასე აყენებს:
„თუ კაცი ვარგა გვარიშვილობით
ან ჩინოვნიკურ ალმოზრდილობით,
მათთანსაუბარს რაღა სჯობია?
მალე გაიცნობ თუ უცნობია!
ხოლო ნაცნობი შენი თუ კია,
ხოლოლაკია ეს, თუ კუკია,
ვერა, დიდუბე, თუ ნადიროვკა,
ნაძალადევშიც დრო უნდა მოჰკლა,
თუ იქ კი არის კაცი-კაცადი,
გვარით, ზრდილობით გამონაცადი.
ობაა ეს თუ სხვა რამ ლ-ეობა,
ლვინოს და არაყს რომ ხდეცს ლრეობა,
აბა, გიტარა! აბა, ჩანგური!
მზა დარს გაგართობკაცი, ჩაგრული,
და დაგიამოს გული თჳის ბოყვში!..
რაღა ვსთქვა? დარდის მოდიხარ ოხტში!
და შემდეგ დილით თვალ - დაბრეცული,
მასპინძლის ხახლით გამოქეცული,
საკუთარ ბინას მიედინები...
ყურში ჯერ ისევ სჭექენ ლხინები!
თავში ჯერ ისევ ყრუთლავს კახური,
[illegible] ზრუნვით შემოსახული,
დასხმული: ზოგი — კნეინას ხელით,
ზოგიც - რომ „ფრონცის“ ჩამოსასხმელით...
აბა, ხასმელით, აბა, საჭმელით,
ნაირ - ნაირად გამოსათქმელით,
ავსებულია ნაქები ფაშვი!
ივანე როყვა, როგორც რომ ბავშვი,
აცეტებული არის ფეხებში.
ხომ არ გლებულა სადმე გლეხებში
ანდა წვირიან პროლეტარებში?
თვითონ კნეინის შეძვრა კარებში!
თვით მადამ — „ხლუსტის“ ხელს ეამბორა!
მამა ეუთიმეს მან ანა ფორა
ნაკურთხ ბეჭებზე წამოახურა:
შენდობისათვის ეს ამსახურა!
და სამსახურიც, წყარო პურისა,
ანუ ალაგი სამსახურისა
ივანე როყვას აქვს ნარკომ... (ზემში?!)
ეს რომ ვსთქვა ასე, ეჭვს იწვევს ჩემში,
რადგან ზოგადათ მსურსლაპარაკი
და სულ არ მინდა ვინმე ზვარაკი
გახდეს ამჩემი ზოგადი სიტყვის!
რადგან ურთიერთ მიბაძულებით
ნარკომფინიდან მოძლვნილ ფულებით,
გადმოგზავნილით ნარკომპოჩტელით,
ან მოტანილით მოლარის ხელით,
თვეში ხან ერთ, ხან ორ გზობითა,
გამოწერილი ასიგნობითა,
ამ ხელფასს, როგორც სხვები — არიგებს...
ხელს ვინ არ აწერს ან ვინ არ იღებს?
ან ვინ რას დასდევს, ივანე როყვა
ამ ხელწერაში თუ სადმე მოყვა?
[illegible]ცია, ორის ფეხით მოარე,
ძ[illegible]ხ არც კი ატანს თვალებს მოლარე:
შე[illegible] ხელის წერა მისი დიდია,
[illegible]არეს ფეხი ფეხზეჰკიდია:
[illegible] დადის ის ან რა ცეკვით ცეკვავს?–
მხოლოდ გამწკომი აქ ყველგან მქექავს.
სად მიდის როყვა, სად მოდის როყვა?
თუ ამ მიმოსვლას შედეგათ მოყვა
სამუშაო დღის კიდევ გაცდენა,
განმწმენდკომს უყვარს ხელის გაწმენდა
და საყელოში მისი ჩავლება!..
ჯერ მხამდა სხვა რიგ პკუის ხწავლება,
სხვა დარიგება, სხვა ტკბილი რჩევა
და არა უცბათ კაცის წაქცევა...
უცბად ადგილად გამოგიძახა.
კაცი ხარ როყვა და არა გლახა,
რომ დაჯდე სადმე ხიდის ყურეში,
და ხთხოვო გაშვლელით თითო ყურუში!..
მაშ, ეს გაწმენდა რის მაქნისია?
ან კაცისთვის რა ხაკადრისია
გძრულ გაგდება ვითარცა ძეხვის?
შენ გინდა ფასი ყველის თუ ძეხვის
ჩაის თუ შაქრის, პურის კარაქის
აქ კი საჯიჯგნად მთელი ქალაქის
გახადა კაცმა შენი სახელი!..
კაციც რა კაცი? დახაძრახველი
აქ როყვასათვის სწორედ ისაა,
თუ განმწმენდკომი რა გვარისაა:
ჩანთაძე ვილაც, ვილაც კინწაძე...
აი, ვინ დასცეს როყვა მიწაზე!
ჩანთაძემ ხჩანთა იმას პანღური
და კინწაძისგანაც კინწებ-ჩაკრული
იგი მიადენს შვლეპას კარებში!..
როგორ გამოჩნდეს კაცი ქალებში?
ან თუ ჩერქესკას შეაწყდეს ღილი,
რა მიაკეროს? ვით გაჭკრას ქბილი
კნეინის ობას თუ სხვა რამ ტაბლას?
ან მადამ „ხლუსტი“ ხაბადლო კაბას.
ვით-და შეავლოს მუშტრული ლილი?
ეჰ წახდა რაღა, კაცი, კაკალი,
კაც — აზნაური ივანე როყვა,
რომელიც რომ... წმენდაში მოყვა!..

[illegible]

# „ყაჭობა“

— საღამო მშვიდობის, ჩემო ქიქინო. ჯვარი გიწერია, დია, ჩემი თვალისაგან, ჩემი ათივე თითებისაგან. ორი ჩემი წონა გიქეთა ღმერთმა.

— უი, შენს ძვალ და რბილს აფერი ეტკინა მეტი, დია, აგი აფერი ჯვარდასაწერი იყოს ახლა. ღმერთს თუ ჩვენდა პარკის კეთება კი ზდომებოდა, მეორეთ მოსვლას არ მეიყვანდა და ამ აბრეშუმსავით დაბრიალებულ ბუოლას ასე არ გააპარტახებიებდა ქარს, მარა საღადაა, დია, ღმერთი ან ანგელოზი, თვარა ასთე მოგვიძულებდა და არ ჩაგვიყრიდა წყალში ჩვენ ამდენი ხნის ნაშრომს. ისთე, მაიკო, ამ ხნის ქალი ვარ და—ქარმა ხეები მთლათ მოთხარა კი მინახავს, —მარა ბუოლს თუ ასთე გაჩხოტავდა, აგი აღარ მეგონა სწორეთ. რაცხა გადუურჩა ამ გრიგალს, ნამეტარმა გვალვებმა ისთე შეახრუკა ფურცელი, რომ ჭიქს არა, თხასაც აღარ ეჭმევა.

— შენ რაფერ გყავს, ცავ, ყაჭი?

— უი, ცავ გადირიე, ჯვარაი აქანაი და ოქროს საყვირი, მიმავალი კი არა, სალა მყავს სულ.

— დიდუ, დიდუ, რას ყურობს ჩემი ყურები ამ საშინელს.

— იმიზა ვაკვტებოდი ამ ბობოლს, რომე ეგებას, რაცხა ორი პარკი მიკეთდეს და ამაში აღებული ფულით ამ შიშველ ბალნებს დავმოსამ და კომპერატივის წევრიც გავხთებითქვა, მარა ისთე გუუარა ჩემს მტერს მისი ყორიფელი ნაფიქრები და ნაშრომი, რავარც მე ჩამიარა, მერე კიდო მთავრობიდან, რაფერი ხელწყობა გვქონდა წროულს, რაფელ ყორიფელზე წინ წინ გვაძლევდა დახმარებას, თქვენ ოღონდ მეინდომეთ ყაჭის კეთება და ჩვენ ყორიფელზე ხელს მოგიწყობთ და დაგეხმარებითო. მე სასიკვტილემ წინდაწინ გამოვართვი პარკის ფული და რაღაით გადავიხთი აღარ ვიცი.

შენგან გამჟღავნებას არ მოველი და ერთში კი მაკლია გულს ამ ჩვენს გლეხკომის თავმჯდომარესთან. წროულს მთელი თვეობით რომ იარა თბილისში ახტომობილის საყიდლათ და ახლა ჩმოუყვანია რავარცხა, იგიც აფერათ არ ვარგებულა თურმე. ამდენ ფულს თუ კი ხარჯვიდა, ყანების სარწყავი შლანგი რომ მიეტანა, უფრო კი დაუმადლებდით, ყანებს დროზე დავთესავდით და ეგებას გვისათ არ მომკვტარიყავით შიმშილით. ახტომობილი, კაი დაგემართოს, კია, მარა მშიერი კუჭის უარესი ალარაფერი აღარაა.

—მშვიდობით, დია, მშვიდობით. ღმერთმა თუ ამ გაისამდი მშვიდობიანათ მიგვაწევია, ვეცადოთ რამენაირათ ყაჭები ყველამ კოლექტიურათ დევისვათ, დავაზღვიიინოთ და ხომ იცი, მთავრობაც მადლიერი გვეყოლება და ჩვენდაც ხეირი იქნება.

**მარტინა.**

# „დიდი სიმდიდრე“



— (მღერიან): „ორი ქოთანი ვიყიდე
ყურიანი და უყურო“

ᲒᲔᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲔ: ვაჰ, მამაცხონებულო, რა გაღრიალებთ? ზაჰესი ხომ არ შეგიძენიათ? ორი ქოთანი გიყიდიათ, ისიც ერთი ყურმოტეხილი.., სულ რაღაც ხუთი-ექვსი შაურის საქმეა!

# მიშა კოვერკოტით

### ტფილისი

რა კარგი არის ზაფხული, მინდვრად ჯეჯილი ღელავსო,
ჩვენი მიშიკო ამ ზაფხულს კოვერკოტს შეიკერავსო...
—უნდა იშოვოს შარვალი ფერადი კოვერკოტისო, —
ამბობენ მასწავლებლები რკ.-გზის შრომის სკოლისო;
ასედაც მოხდა კიდევაც, მიშამ ბათომში წავიდა,
შვიდი თუმანი დათვალა, ნაკეერჩხლებს ყრიდა თვალიდან
და ჩამოვიდა ტფილისში გაშტერებული კაციო!!
მას ულოცავდა ყველანი. „მიშა კაცი ხარ აწიო“.
გულმხიარულმა შესძახა აჰა ამ „დელი-დელია“,
თქვენ რა გონივართ ბიჭ... მიშა კომკავშირელია:
მიშა მსუბუქი სიცხისგან ... ადის პენსნების სწორებით.
ვინ იცის თავში რა უდევს გული სავსე აქვს ჭორებით.

**საველ გოგია.**

# „ღორი მუხის ქვეშ“

## კრილოვის მიბაძვა

„არიან ისეთი სპეცებიც, რომლე-ბიც ბოროტად იყენებენ მათდამი საბჭოთა ხელისუფლების ნდობასა და კარგად მოპყრობას“.

ს.მ.უ.ს.-ის ტრესტის დირექტორად
დიდლუკმაძე ბიქტორია.
[illegible]რს: ტანზე კოვერკოტი,
[illegible]ე — ნასკი „ვიკტორია“,

ხან ცხვარია უწყინარი,
ხან კი ღრინავს, როგორც მხეცი.
მას ამდენხანს გააგდებდენ,
რომ არ იყოს „კარგი სპეცი“,

ამიტომაც გადიდგულდა,
(იცის კაცმა თვისი ფასი).
მის ჯიბეში მიჩხრიალებს
ჩერვონეცი ბარე ასი.

„პროექტების შედგენაო...
ზედმეტიო..., პრემიაო...
მივლინების... გზის ხარჯიო...
მთელი ტრესტი ჩემიაო“.

თუმც აქეთებს ბიქტორ ამდენს,
მაგრამ მაინც სულ წუწუნებს,—
და მთავრობას პოლიტიკას
უკრიტიკებს და უწუნებს:

„ვერ აფასებს ეს მთავრობა
ჩემისთანა სპეცებსაო.
უცხოეთის ტრესტებიც კი
ჩემისანებს ეძებსაო“.

—:—

ავტოთ დაჰქრის სადაც უნდა,
ქეიფობს და ხარჯავს ფულებს.
მუშა პურზე თუ გადადის,
ის მიირთმევს მოხრაკულებს.

მას არ უყვარს ეს მთავრობა,
მხოლოდ უყვარს მისი ფული,
ამიტომაც არ შესტკივა
საქმეებზე ბიქტორს გული.

ქარხანაში როს ფუჭდება
მანქანები თუ სხვა რამე,
ის მუშების შეკითხვაზე
ასე ამბობს: „მერე რა მე?“.

მუშას უკვირს: „როგორ თუ რა?“
თქვენც ხომ გარჩენს ქარხანაო?!
ამდენ ფულებს რომ ღებულობთ,
ციდან სცვივა ეს განაო?!

ქარხნის საქმე კი არ არის
„ჰარალი და თარალიო“.
წარმოება დაეცემა
და მოუვა ზარალიო.

სპეცმა უთხრა: „ამ ჩემს ფეხებს!
ნეტავ შენ რად უხტებიო?!
ფული იყოს მრავალი და,
სხვაზე მე არ ვსწუხდებიო.

მუშამ უთხრა: უმადურო,
უმაძღარო ფულითაო,
რომ შეგეძლოს ცხოვრებაში
ჩაიხედო გულითაო, —

ნახავდი და გაიგებდი
ეხლა არის სხვა ხანაო...
და შენ ფულებს რომ ღებულობ,
მას იძლევა ქარხანაო.

ჯაშუკი.

# „დატყვევებული“

„პასუხისმგებელ ამხანაგებსა და მუშაკებს ნაცნობ-ნათესავები სახლ-შიაც არ ასვენებენ — სთხოვენ პროტექციას“.





— რა დაემართა ამ ოჯახაქორს, რომ სახლიდან ამდენხანს არ გამოდის... ბიუროკრატი!

ცოლი (ქმარს ოთახში):—ჯერ არ წახვიდე; ისევ რიგში დგანან:

— დავიღუპე კაცა... სხვა რომ არა იყოს რა, ამ წმენდის დროს ბიუროკრატიას დამწამებენ!

# ბადე

ბადე რომ ბადეა, დიდი მარცხის თავი და, თუ გნებავთ, კუდიც,—ეს უექვოა.

თევზი რომ თევზია, უენო და წყლით მუდამ პირ-სავსე, იმანაც მშვენივრად იცის, თუ რა ხიფათის გადამყრელი საგანია ბადე.

აბა, ფრინველი რომელი ერთი არა სცნობს ბადეს, რომელ ერთს არ განუცდია ფრთებსა თუ ბუმბულის სხვა ნაწილზე იმისი სასიყვარულო შემოხვევის მთელი სიმწვავე და საშინელება?!

ამბობენ, თუ ცხელ ქვეყნებში ლომებსა და ვეფხვებსაც კი იჭერენ ბადითაო. მე არ დამიჯერია, მაგრამ ბადის ძალა რომ ვიცი, ეჭვი არ შემდის იმათ ძლევამოსილებაში თვით ლომ-ვეფხვებზედაც კი.

და რაღა ცხოველი არსება გინდათ? აიღეთ თუ გნებავთ, გრძნეული ძალები. მაგალითად: სიყვარული, გინდ „ეშმაკი“.

ვის არ სმენია პოეტის საექსტაზო გამოთქმა:

„სიყვარულის ბადეს ვაფენ,
რომ შიგ სატრფო დავატყვევო-ო?!.

და რამდენ შეყვარებულს განუცდია თავის სათაყვანებელ სხეულზე ასეთი გრძნეული ბადის შემოყრა და შემოხვევა!..

ავიღოთ ახლა გრძნეულობის მეორე უკიდურესობა: ეშმაკი, უხილავი ძალა.

ცრუმორწმუნე ხალხს, ეშმაკისა სიყვარულზე ნაკლებ არ ეშინია. პირიქით, უფრო ადრე სიყვარულთან და საყვარელთან კავშირის დაჭერას რჩეობს იგი, ვიდრე ეშმაკთან, მიუხედავათ იმისა, რომ, ალმართისა და დაღმართის არ იყვეს, პირველი უკანასკნელზე ნაკლებათ საფრთხილო და სახიფათო სრულიადაც არ არის. ეშმაკმაც სწორედ ისე იცის შემოჩენა და ნელი-ნელ თავის შემოპარება, როგორც სიყვარულმა. ხოლო შემდეგ იმავე შემოპარებულ-შემოლეკვებული თავის დაძვრენაც ისევე ეხერხება, როგორც პირველი.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, ბადის ძალას და ძლევას ვერც ეშმაკი უმკლავდება.

მაგალითად, სოფელში თითქმის დღემდე არის ბევრგან თავშემონახული ერთი ცრუმორწმუნოებრივი ჩვეულება: ქალი რომ მოლოგინდება, რამდენიმე დღის განმავლობაში, მგონი— ორმოცი დღისა— მის ზემოდან, ჭერში ბადეს ჩამოჰკიდებენ ხოლმე. ძველი „დედამანიებს“ (დედამიანი უნდა იყვეს ონისიშე) რომ შეეკითხოთ, თუ რის მაქნისია ეს ბადე, ისინი ასე გიპასუხებენ: „მელოგინეს რომ ეშმაკი და უხილავი ძალა ვერ შეეპაროს და ცუდი რაიმე ჭირი და სენი ვერ შეამთხვიოსო“.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ასეთ დროს, როცა ადამიანის სხეულმა, მშობიარობის ილაოს მსგავს ტანჯვათა განცდის გამო, მთელი რევოლიუცია გადაიტანა, მართლაც არის მოსალოდნელი ხშირად სერიოზული ავადება.

და აი, თუ ასეთ დაავადებას, რა თქმა უნდა, შემთხვევით გადაურჩა მშობიარე, ხომ კარგი: ექიმბაში—მეანები ამას უმალ ბადის გრძნეულ გავლენას მიაწერენ და ამით ყალბრწმენას ამ შემთხვევაში ამ ყოვლად რაიმე ძალასა და ძლევას მოკლებულ საგნისადმი ღრმად უნერგავენ უვიც ადამიანებს „მადლიერ“ გულში.

მაგრამ ვსთქვათ, მოხდა წინაღმდეგი და მშობიარე; რაიმე გარეშე თუ შინაგან მიზეზის გამო, დაავადმყოფდა. გამოსავალს ამ შემთხვევაშიაც მონახავენ გაქნილი ექიმბაშები, მუხლებზე ან ლოყებზე ხელებს შემოიკრავენ და მწუხარე გაოცებით შესძახებენ: „ნახმარი ყოფილა ბადეო“-ო. ან კიდევ სადმე შერღვეული, ჩავარდნილი თვალის ძებნას დაიწყებენ ბადეზე და, თუ ასეთი რამ აღმოაჩინეს, შეჰკივლებენ: „უი, დადგეს ჩვენი თვალები, ეშმაკისათვის „კარი“ ღია დაგვიტოვებია“-ო.

აი, ასეთია საზოგადოთ ბადის ძალა და ძლევა და ჩვენს ქედს ვიხრით ამ ურიცხვთვალა საგნის წინაშე. ქედს ვიხრით და ვამბობთ: „თუ ორი თვალის პატრონ ადამიანის ძალა და ძლევა დიდია, მაშ, რა უნდა იყვეს ძალა და ძლევა ბადისა, რომლის თვალთა და ყურთა ანგარიშს არა აქვს დასასრული?!.

მაგრამ ბადეც არის და ბადეც. გარდა კედის ძაფით (განსაკუთრებით მაგარი ძაფი) მოქსოვილი გინდა მავთულით გამობწნილ თუ რკინის კეტებისა და ზოდების ერთიერთმანეთზე გადაჯვარედინებით გამობლანდული ბადეებისა, საიდანაც თავს ვერ აღწევენ თვით ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული ავაზაკები, ლომები, ვეფხვები, სპილოები თუ სხვა რამ საშიში არსებანი, არსებობს კიდევ ბადეები, სრულიად უბრალო ძაფებით მოქსოვილნი და ზოგან ამოკერილნი კიდეც, რომელთა ძალა და ძლევაც ზოგჯერ რკინის თვის უმსხვილეს ზოდებიდან ჩახლართულ ბადესაც არ ჩამოუვარდება ხოლმე; ნამეტნავად—ზაფხულში.

მე მოგახსენებთ ზაფხულობით პერანგის მაგიერად ჩასაცმელ ბადეებისა ანუ ეგრედწოდებულ „კვართთა“ შესახებ.

არ ვიცი, რამდენად მიიღებენ და არტანენ ასეთ მკრეხელობას ჩემის მხრით ღვთის მორწმუნე ადამიანები. მოგეხსენებათ, რომ „კვართი“ ანუ უკერავი პერანგი ოდესმე მარტოდ მარტო იესო ქრისტეს საკუთრებას შეადგენდა და ის იყო „ნახელავი“ თვითონ მარიამ—ღვთისმშობელის სათუთ- მათუთი თითებისა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ქსოვის დარგში ფოლადის წინდის ჩხირების ძალა და გავლენა დამკვიდრდა, „კვართების“ წარმოებამ ფართოდ გაშალა ფრთები და დღეს მას მილიონობით ისვრიან ხოლმე გასასყიდათ სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე.

ამრიგათ, როცა ქვეყნად ერთად ერთი „კვართი“ მოიპოვებოდა და ისიც მარიამ—ღვთისმშობლის „ნახელავი“, მე მესმის, რომ ასეთი „კვართი“ უნდა ჩაეცვა მხოლოდ მწარმოებლის ერთად ერთ ძეს და ისიც ისეთ უმამოს, როგორიც იყო იესო ქრისტე.

მაგრამ დღეს, როცა მილიონობით „კვართი“ გამოდის ბაზარზე გასასყიდათ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს „კვართის“ მონოპოლიას?!

ცხადია,— ღლარავითარი!

აი, ასე საღათ ვმსჯელობ მე და ამ ჩემ საღ მსჯელობას უეჭველად ეთანხმება თბილისში არსებული ყველა კოოპერატიული სავაჭრო, რომელთაც უეჭველად ჰქონდათ „კვართთა“ განაწილების საქმეში ერთგვარი „მონოპოლისებური“ უპირატესობა, რომ ამ უპირატესობით მათ ესარგებლნათ და ერთ მშვენიერ დღეს (ეს დღე გახლდათ ამა 1929 წლის 16 ივლისი, ეს ერთი ყველაზე უფრო ცხელ დღეთაგანი თბილისში მიმდინარე წელს) ყველა სრულ ანაგებოვან მამაკაცთა სარგო „კვართები“ არ აღმოსჩენოდა ხელში კერძო ჩარჩს, ხოლო კოოპერაციას და ისიც რამოდენიმე ათეულში მხოლოდ ერთად ერთ სავაჭროს — „კვართთა“ მხოლოდ ეგრედწოდებული „ნედომერკები“, რომლებიც ცალ ხელზე ანუ ცალ ფეხზე ჩამოსატევად ძლივს-ძლივობით გამოდგებოდენ.

მე რა თქმა უნდა, ყველა პატივცემულ ნოქრებთან ერთად, რომლებიც კი თბილისის ბაზარზე ზევით აღნიშნულ მოვლენის დამკვიდრებას ნებსით თუ უნებლიეთ უწყობდენ ხელს, ვილაშქრებ „კვართის“ მონოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს სრულიად სამართლიანად შევნიშნავ: თუ კი მონოპოლია მაინც არსებობს, რისთვის უნდა სარგებლობდეს იმით არა კოოპერატიული სავაჭრო, არამედ ვილაც ჩარჩის დუქანი?!. და რა კი ამ შემთხვევაში სიტყვა ბადეს შეეხება,—„საზოგადოს კერძომ ურცხვად რათ დაუგოს უნდა ბადე?!“.

ონისიმე!

## „თ ა ნ ა მ გ რ ძ ნ ო ბ ი“
(უცხოეთში)




ცოლი: — ჟან, ამიხსენი: რა უნდათ კომუნისტებს, რომ ასე საშიშ-რათ ახასიათებენ მათ?

ქმარი: — ოოო! საშიშარნი არიან, საშიშარნი... ისინი კერძო საკუ-თრებას არ სცნობენ. მაგ. ისინი ცოლს ქმრის საკუთრებად არ სთვლიან!

— ყოჩაღ.., ვაშა... ეს კარგია!

---

## მაგაში არაა საქმე
(რუსულიდან)

— დედა, დედა, პელანგია, შენ მოგიკვდა ჩემი თავი! რავალი გემ-რიელი ცხოვრება გქონდა და რავა დეილუპე შე უბედურო! ქვეყნის დაქცევას ვიფიქრებდი და თუ შენ, ამბაკოს პარტიიდან გარისტავდენ, ეს კი აღარ მეგონა სწორედ!

— ძნელია, ედუკია, ჩემი მდგო-მარეობა!... იმ დღიდან, რაც ის საწ-ყალი ჩემი ქმარი გამორიცხეს პარ-ტიიდან, თვალზე ცრემლი აღარ შემშრობია! საწყალი ამბაკოც სულ გამოშტერებული დაიარება უბედუ-რი!

— რას ამბობ, ჩემო პელანგია, ხუმრობა საქმე კი არაა აგი! მე მეს-მის შენი გულის ტკივილი, ჩემო კარგო. ძნელია ასტე უცებ პოლი-ტიკური საქმეების ჩამოშორება, მაგრამ...

— მაგაში არაა საქმე, ჩემო კარ-გო. აბა, ახლა შენ წარმოიდგინე, თუ რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი! კაცი განყოფილების გამგეთ ირიც-ხებოდა ქარხანაში და ახლა უცებ მანტიორათ გადაიყვანეს. ამის შემ-დეგ ღირს ლა განა ჩვენი სიცოცხ-ლე!!.

— მერე, რაია აქანა გლახა, ჩემო პელანგია! მანტიორს შეუძლიან, გამგეზე მეტი ჯამაგირი აიღოსო...

— მაგაში არაა საქმე, ჩემო ედუ-კია! აბა, წარმოიდგინე და ყურად-ღება მიაქციე, თუ რავალი დამცი-რებაა.

— არ ვიცი ღმერთმანი, თუ რა დამცირებასა ხედავ შენ აქანა! მან-ტიორის შრომა გაცილებით უფრო სასარგებლოა და ძალიან საჭიროც.

— მაგაში არაა საქმე, ჩემო კარ-გო! შენ ამას დააკვირდი და წარ-მოიდგინე. წინეთ ჩემი ქმარი სა-ლამს ზოგიერთებს თუ მისცემდა, თვარა ყველას კი არ აძლევდა. ეხ-ლა კი ყოველი ვიგინდარა, ყოველი მუშა, როგორც მის თანასწორს ისე მოექცევა და ხელს გაუწოდებს ჩა-მოსართმევად! ხუმრობა საქმეა აგი, ჩემო ედუკია! მერე და როგორ უნ-და გადავიტანოთ ჩვენ ასეთი დამ-ცირება!

გოგია.

---

## ნათლიმამობა
### მიათურა

— მიხაკოს სალამი!

— ოპო, სანდრო, შენ, ჭიათურაში ხარ, კაცო.

— რა ვქნა, ძმაო, ჩამოვედი მეც — ტყიბულში შემცირეს და ხომ იცი ტყიბული და ჭიათურა ძმებია. ჩამო-ვედი და ვმუშაობ. სხვა, შენ როდის ჩამოდი? ხომ არ მოწყობილხარ ჯერ სადმე?

— არა, სამი დღეა ბირჟაში დავდი-ვარ, მარა ჯერ ჩაწერაც ვერ მოვა-ხერხე.

— კაცო, იქნებ ბიქტორა ცხაკაია ნახო სადმე და დაგეხმარება; მოგაწ-ყობს.

— შენ, ძმაო, საოხუნჯოთ მოგიცი-ლია.

— კაცმა თუ რამე გირჩია, შენ ქე გწყენია და მე მეგონა — გასწავლი-დი კაცს, რომელსაც შეუძლია მოგა-წყოს სამუშაოზე.

— მერე და, შენ თუ მასხარათ არ მიგდებ, ბიქტორა ცხაკაიას ვინ კი-თხავს კაცის მიღებას? ამას თვითონ რომ უნდოდეს მიღება, არ მიიღებენ, ჯერ ერთი არსად უმუშავია, კავში-რის წევრი არ არის და, გარდა ამისა, შავი სიისაა და ხმის უფლება ახდი-ლი აქვს.

— ეჰ, ჩემო მიხაკო, ნუ თუ შენ მაგი გიკვირს? პროტექცია, ბიძია, სხვაგან თუ არის, ჭიათურაში შავ ქვის ჰაერი კი არ აწყენს.

— ხო-და, ნოე გოგავას ხომ იცნობ — ის არის აქ ფორვუდზე. ბიქტორა ცხაკაია კი მისი შვილის ნათლიაა. ნათლიამ ნათლი-მამას ნათლიმამობა გაუწია და ბიქტორა ცხაკაია გაუშვა ათის თავად მეჩხერაში, შემდეგ ბიქ-ტორამ ამხანაგობა გაუწია და ძმურათ მოაწყო რამოდენიმე მისი ნაცნობები.

— კი, მარა ვერავინ გაიგო შავ სიელის დაწინაურება? კავშირის წე-ვრები რომ არიან უმუშევრები, ისინი გაეშვათ სამუშაოზე და შავი სიის კაცი მოეხსნათ!

— აქ ბირჟიდან არ თხოულობენ ხალხს. თუ ბიქტორას ვერ ნახავ, მა-შინ დათიკო ერგემლიძესთან მიდი და მიგიღებს; არც ის თხოულობს ბირ-ჟიდან მუშებს.

— დათიკო კომუნისტია და ის რა-ვა იზამს მაგას!

— კაცო, შენ რავა ბოვშივით ლა-პარაკობ. დათიკო ერგემლიძესთან რაც მუშებია, ყველა დათიკოს მიღე-ბულია.

შავი სიის ხალხი უფრო უყვარს და უფრო ლმობიერათ ეპყრობა. ნა-თქვამი აქვს ზოგიერთებისთვის: „მე აგიყვირდები მხოლოდ სხვების შესა-ხედავათ, მარა შენ არ გეწყინოს და მართლა არ გეგნოოს.

ამისთანები ხდება, ბიძია, ქვეყანა-ზე!

მალაროელი ტანკა.

# ფოსტის გამგის ღინები

**ჩოხატაური.**

სანამ კაცს კორესპონდენტის სახელი გაუვარდებოდეს, მანამ სჯობს ცხრა მთას იქით გადეიკარგოს, თორემ ცუდათ წავა მისი საქმე.

ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ ერთხელ გამიწყრა გამჩენი და ერთი პატარა წერილი დავბლაჯნე კედლის გაზეთში ჩვენი ფოსტის შესახებ. ქვეშ დიდი ასოებით მოვაწერე ჩემი სახელი და გვარი, ვიფიქრე: გამგეს ნაკლი ვუჩვენე გაუხარდება და გამოასწორებს. ეხლა ხომ კრიტიკისა და თვიკრიტიკის დროა მეთქი.

მაგრამ მოვტყუვდი.

გევიხედე, გამევიდა მეორე ნუმერი კედ. გაზეთი და რავაც შევხედე, ისარივით მომხვდა თვალებზე: „პასუხად ვაჟბატონს“ ამას და ამას (ჩემი სახელი და გვარი იყო გამოჭიმული).

წევიკითხე, მარა რა წევიკითხე: „**შენ ციგანო და მამაძაღლო, ლაწირაკო, გაიძვერა, შენ გსურს აფორიაქო ჩვენი პატიოსანი დაწესებულება, მარა გიტირებ თვალებს, შენ ინტრიგანო, დაგიწყია რაცხა ჯღაბნა და ხალხს გინდა ჩვენი პატიოსანი სახე უპატიოსნოთ უჩვენო. თუ შეგარჩინო მაგი, ქე ნახავ აგერ!**

**ჩოხ. ფოსტის გამგე ი. ჩხიკვიშვილი.**

დევიზაფრე კაცი. რა უნდა ვქნა ახლა. ისევლე მევიკატუნე თავი კატისკნუტივით და ვიფიქრე: ამას როგორც იქნება მევინელიობ მეთქი. მარა რავა მეგონა თუ ვინმე რამეს იტყოდა ჩემზე.

გევიხედე და დაიწერა „ახალსოფელში“ ვანესა მეგრელიშვილზე და „ეპო“-ს თავ-რეზე. მე დამაბრალეს— იმან დაწერაო. დეიწერა — „ტარტაროზში“ მე დამაბრალეს; დეიწერა „კომუნისტში“ — მე დამაბრალეს, დეიწერა „მუშა-“ში — მე დამაბრალეს, დეიწერა „ახ. კომუნისტში“ — იგიც მე დამაბრალეს.ერთი ღერი რუსული არ ვიცი. მარა რავაც დეიწერა ჩოხატაურზე რუსულ გაზეთში თქვეს: ეტო ამის დაპისალბეული ზნაჩიტ. არ ვიცი რამდენი ბრალია ჩემს კისერზე.

ამას წინედ ფოსტის გამგეს დაუკავებია ხელში გაზეთი და მეძებს კვარიების მეძებრებივით. დამინახა თუ არა, მოვარდა ჩემთან და დამიყვირა. —

— ყმაწვილო, შენ კიდევ არ მოიშალე შენი ჯღაბნა? გიტირებ თვალებს. აბა ვნახოთ, ან შენ ან მეო! — და მაგრად შემომიკურთხა. დევიმუნჯე თავი, ენა რავა უთხარი, ანდა რამე რომ მეთქვა, გამხლეჩდა შუაზე. მერე დანიჩქე რომაა ჩვენი დოხტური, სად ნახავდა კაცი. ანდა რომ მენახა, რავა მომარჩენდა. მომარჩენდა კი არა, დამახრჩობდა. იგიც ქე იყო გუშინილამ „ტარტაროზში“ გამოჭიმული და მე მაბრალებდა... ჰოდა, იმას ვჩიოდი, გევილურსე.რა მექნა არ ვიცოდი, ისევლე დავპრაწე თვალები ჯღამარა კატასავით და ვიხედები იქეთ-აქეთ. ფოსტის გამგემ სხვა ხიფათი არ გადამკიდოს მეთქი. გევიხედე და რა ვნახე:

— ძმაო ვალოდია, ეხლა შენ უნდა მიშველო. იგი ბიჭი სადმე უნდა გადამაკარგვიო, თორემ ცუდათ გადამეკიდა! — ეუბნებოდა ფოსტის გამგე გამომძიებელს.

— ფიქრი ნუ გაქვს, — ამაყათ მიუგო გამომძიებელმა, — შენ მოწმეებათ ჩვენი დარდიმანდი ძმა-ბიჭები დაასახელე, შემდეგ მე მკითხე — პროკურორს მივწერ: ტყუილად მოჭრეს ჩვენს იოსებს თავი—მეთქი: პროკურორი რედაქციას მისწერს: თქვენს გაზეთში მოთავსებული წერილი ჩოხატაურის ფოსტაზე როგორც ჩვენ გამოვარკვიეთ, არ არის მართალიო. მერე შენ, ჩემო იოსებ, დეიჭირე ჩვენი ნარკვევი ხელში, მიაკითხე ჩვენს მიხაკიას სულში და შენი გაზეთში გამწერს ძაღლი მიაკვდება სულში.

— **ხა-ხა-ხა!** — გადაიხარხარა იოსებამ, — **რა ბიჭი ხარ, რა!** — და მაგიდაზე ხელის დაკვრით დაუძახა კლუბის გამგეს: -- ქეთო, ლუდი კიდევ. — და შეუდგენ სადღეგრძელოებით ერთმანეთის ქებასა და დიდებას.

**შაქრუა.**

---

## მო ხოვნილება ცოცხებზე

ინვალიდთა ნადი „გლარჯა“ ბევრს ისეთ „ინვალიდს“ იჟარებს, რომლებიც თავისი მდგომარეობით არ უნდა იყვნენ ნადის წევრებად. მაგ.: ავლაბარში შაუმიანის ბაღში ნადს აქვს ბუდკა, რომელშიაც ვაჭრობს მეფის პოლკოვნიკი ნიკ. პულიაევი, რომელიც სახლში მართლაც პოლკოვნიკურად ცხოვრობს.

**—აჯა—**



„გლარჯა“ ში — სახლში

# ახალი სისწრაფე

ნაქ. კურორტთა სამმართველოს უფროსმა ამხ. მამალაძემ კურორტების დასათვალიერებლად მატარებლით ავტო წაიღო.



მატარებლის სისწრაფეს + ავტოსი = ამხ. მამა ლაძის სისწრაფეს

## „ქვე-აბონენტი“—„ტელას“—„ტელასის არის ოტელ ბი“

ტარტაროზმა დამავალა:
— წადი ტელასში და გაიგე— რაშია საქმე, რომ ხალხი ასე უკმაყოფილოა ტელასის!

შევედი პატიოსან მოქალაქესავით და ყური დავუგდე.

— კაცო, ძმაო, მეგობარო, ამხანაგო, მე რა დამიშავებია, რომ სინათლეს მიჭრით? თუ ის კაცი არ იხდის სინათლისა და გაყვანილობის ფულს, მე რას მერჩით?—ელაპარაკება მოქალაქე განყოფილების გამგეს.

— თქვენ ჩვენ ვერ გიცნობთ. თქვენ ხართ ქვე-აბონენტი, აბონენტი ის არის. ჩვენ სინათლე მას გადავუჭერით და არა თქვენ.— არის მოკლე პასუხი.

— კარგი და, ორი წელიწადია ეს ამბავი გრძელდება. რატომ ამდენხანს არ აიძულეთ აბონენტი, რომ დაეფარა გადასახადი?

— არ იხდის და რა ვქნათ!

— კაცო, ის თუ არ იხდის, მე რას მერჩით? რატომ არ მაძლევთ სინათლეს? მით უმეტეს, რომ ის ჩემს შემდეგ ღებულობს სინათლეს. შეგიძლიათ მას გადაუჭრათ და მე სინათლე მქონდეს!

— მოქალაქევ, თქვენ ვერ გიცნობთ ვინა ხარ. თქვენ ხართ ქვეაბონენტი. ჩვენ თქვენთან არ გვაქვს საქმე.

— როგორ ლაპარაკობთ? რევოლიუციამ საუკუნეების მიერ შემუშავებული წოდება გაათანასწორა და თქვენ ისევ ჰყოფთ კატეგორიებათ მცხოვრებლებს? როგორ? განა ქვე-აბონენტია, თუ რაღაც ოხრობა, მოქალაქე არ არის თუ? ჩვენ ხომ გერები არა ვართ და არც ბუშები?

— რაც უნდა ილაპარაკოთ, მაინც არაფერი გამოვა. თქვენთან ჩვენ საქმე არა გვაქვს. სინათლე ჩვენ გადავუჭერით ჩვენს აბონენტს. მორჩა და გათავდა.

— მაშ ეს ოხრობა ხელშეკრულება რა არის, რომ თქვენთან მაქვს დადებული და გაყვანაში გადავიხადე სამი თუმანი?— და გაბრაზებულმა მოქალაქემ მაგიდაზე დააგდო ხელშეკრულება № 5995.

— ეს არის ელექტრო-გაყვანილობის ხელშეკრულება! — არის მოკლე პასუხი.

— შე ოჯახაშენებულო, სინათლეს თუ არ მომცემთ, რა ოხრობათ მინდა ის მავთულები? სინათლეს „ვოლხოსტროი“ ხომ არ მომცემს?

— არ ვიცი... თქვენ რა გნებავს მოქალაქევ!— მიუბრუნდა მეორეს.

— რაღა რა მნებავს, გადავყევი ამ ელექტრონს. ის არ ჯობდა კვერი ამენთო სახლში და ეს არ გამეყვანა.

— რაშია საქმე? თქვენც ხომ ქვეაბონენტი არა ხართ?

— ქვე ვარ თუ ზე არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ სინათლე გადამიჭრეს. ფული გადახდილი მაქვს.

— ვის სახელზეა მრიცხველი?

— მეზობლის. ფულიც მას მიაქვს.

— ჰოოო, ის ყოფილა აბონენტი. თქვენ კი ქვე-აბონენტი. თქვენთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ სინათლე მას გადავუჭერით და არა თქვენ... თქვენ რა გნებავს?— მიმართა შემდეგს.

— ბატონო, გვაღირსეთ სინათლე. ფული გადახდილია და სინათლეს კიდევ არ გვიერთებენ.

— მიმართეთ იმ ოთახში... თქვენ?

— მრიცხველი არ დაუდგამთ წელიწადზე მეტია და თუ შეიძლება...

— თქვენ რა გნებავს?— ეკითხება კიდევ შემდეგს.

— სინათლე გადაგვიჭრეს

— გადიხადეთ ფული?

— ფული ჩვენ გადახდილი გვაქვს, მხოლოდ ერთს არ გადაუხდია აბონემენტს.

— ჰოოო, ჩვენ ქვე-აბონენტთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ სინათლე აბონენტს გადავუჭერით.

— ასეთია მაგათი ლოღიკა!—ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

—:—

ერთმა მოქალაქემ სალაროში ფული გადაიხადა და მისცეს წიგნაკი, რომელსაც ყდაზე ეწერა „უფასოდ“ და შიგ 32 გვერდზე დაბეჭდილი იყო „ელექტრო-წესები“.

— აბა, ერთი ვნახოთ, თუ მართლაც ასე არარაობას წარმოადგენს ქვე-აბონენტი, როგორც ამას გამგე გვეუბნება?— და რამდენიმე მოქალაქე ერთად შევჯგუფდა.

დაიწყეს კითხვა.

გადაიკითხეს ბოლომდი.

მაგრამ, ოი, საკვირველებავ!

ცღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებაში № 28-ში სიტყვაც კი არ არის „ქვე-აბონენტი“.

— მართლაც-და ალარაფერი ვყოფილვართ! ხელი ჩაიქნიეს და წავიდენ.

— ამდენი სინათლე აქვთ, მთელ ქალაქს ანათებენ და თავის მუშაობაში კი ჭრაქის ოდენა სინათლეც ვერ შეიტანეს.— ჩაილაპარაკა ვიღაცამ... (არა მართლა, არავის ჩაულაპარაკებია, ეს მე ვიფიქრე) და წამოვედი რედაქციაში.

იხინ.

**ერთი - მრავალზთაანი**

სახილე - სალაფო კოლექტივის მე-13-ე მაღაზიის გამგედ ითვლება **ფადაროვი,** რომელიც მუშებს უხეშად ეპყრობა.

**ლოლოსპირელი.**

**ახალდაბა (ბორჯომის რაიონი)**

სახერხი ქარხნის გამგე ბლიაძეს რამდენიმე თანამდებობა უპყრია. მისი მუშაობით მუშები უკმაყოფილო არიან.

**ძველი.**



ფადაროვი (მუშას):—დაჩუმდი, თორემ ისე გადაგჭყლეტ, როგორც მწიფე ნუში!



— ამბობენ: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო"... ეს მართალია, როცა კურდღელი გარბის... ხოლო მე, აი, ორი უკვე მიპყრია, მესამე და მეოთხესაც ადვილად დავიჭერ.

# ბ ა თ ო მ ი ს ა ვ კ ა რ გ ი

გავიდა უკვე საკმაო ხანი,
რომ არ მჭერია კალამი ხელში;
თუმც აქ ბევრსა აქვს ზურგი საფხანი,
ზოგი ხსნას ელის იქ, სამოთხეში.
ქუჩა ფართოა, ბალახით სავსე,
ზოგან ხმაური, ზოგან კი მშვიდი;
აქ ძმა-ბიჭებით ყელამდე სავსე.
ავტო მიფრინავს—ნომერი შვიდი.
წინ პატრონი ზის—შოფერის ადგილს,
გვერდით უსვია მანდილოსანი.
ავტო გიჟსა ჰგავს, გიჟსა ჰგავს ნამდვილს,
მიფრინავს ისე, როგორც ფრთოსანი.
უკან, ავტოში ადგილი რბილი
-დინჯად უჭირავს ორ ლამაზ მურას,
ერთს ჩასცვენია, სჩანს, უკვე კბილი
მეორე კი ჰგავს დაჭერილ ტურას.
ამ ძაღლებს შორის ზოგჯერ ზის ბავშვი,
ვით შერეული აცეცებს თვალებს;
ავტო მიფრინავს, ვით ტყეში შაშვი,
და წინ შემომხვედრს არვის იბრალებს,
მირბის, მიფრინავს ის უგზო უკვლოდ,
მიჩხავის უკან თელილი მისგან;
ის გაიწერა გაზეთშიც, მაგრამ
ასეთი მაინც არ ესმის სხვისგან.
შემდეგი არის ერთი ყმაწვილი;
თანამდებობის თუმც არა დიდის,
მუდამ დაყვება მას გვერდით წყვილი,
სადაც არ უნდა, იქაც კი მიდის.

აბა, სოლომონს ვინ აღარ იცნობს,
ძველი ლოტოსი ეს უსტაბაში,
რადგან დღეს იმას აღარავინ ნდობს,
ამიტომ უკვე გაუქრა ფაშვი.
ძველი გაცვეთილ ჩერქესკოვანი
გარს ახვევია, ვით თაფლს ფუტკარი;
წინად ისინი იყვნენ ხმოსანი,
მაგრამ დღეს კი მათ უარი უთხარით.
ლენინის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში,
დუქანი არის იქ ძველთა-ძველი;
პატრონი არის არა უხეში,
არც სამუშაო რამე აქვს ძნელი.
რძე, ჩაი, ყავა, კვასი და „პივა",
წყალი, ნაყინი, პეროჟნი, ბულკი,
მუდამ ბევრი აქვს, თუ ვინმე მივა,
კარგად მიგიღებს, ძკადრებ თუ კი.
მოხუცი არის და გულკეთილი,
მოსამსახურე ქალებთან მეტად,
წინად ყოფილა გამოცვეთილი,
და დარჩენილა ამ ქვეყნად კენტად.
„ჩამწვარი" არის, რა ეშველება,
მოხუცი ჯანით და არა გულით;
ლამაზებს მაინც თავზე ევლება,
ლამობს იყიდოს ცხოვრება ფულით.
კიდევ ბევრი მყავს მე აქ გმირები,
გამოსაგზავნი საექსკურსიოთ,
უნდა დავტვირთო მათი ვირები,
აღარ მცალიან სადისკუსიოთ.

**ვ. ოზოლი.**

# მუშკოოპის ცხენი

ზესტაფონი



ცხენი: გამგეს რომ ბევრი ნაცნობი ჭყავდეს, განა-ვდელა ჩემი სათრევია!

## ჩვენი ამბავი

**ვანი, (ქუთ. მაზრა)**

ზოგჯერ თქმა სჯობს არ თქმასა,
მაგრამ ჩუმად როგორ ვიყო?
მაშინ ლაჩარს დამიძახებს
მეზობელი ჩვენი ნიკო.
არ იქნა და არ გვეშველა
ვანის გული ტკბილად ძგერდეს,
რომ არ მოხდეს ცუდი რამე,
ჩანგი მწარედ რომ არ ჟღერდეს.
რომ გლეხობის ჩვენს ელოზე
არ მესმოდეს საყვედური;
გალუშამ რომ ფული ყლაპა,
თუმცა ამოცხეს ნიშადური.
რომ არ მოხდეს ცუდათ ცდენა
ყოჟრიანი ხელებისა,
ვსთქვათ, გლეხობის რა ბრალია
საქმე ინჟინერებისა?
სულარს ჭუდი მოაგლიჯეს;
რიონს მიეგრძელებისა,
გავიარე, ვერ ვიპოვე
ცვალი დიდრონ ძელებისა,
ვინ რა თანხა ჩაიყარა,
მადლიანი ხელებითა!
წყალმა ყანა ჩაგვიყლაპა
თავის დაბლობ- ფენებითა.
წყალთა ოლქის ტეხნიკოსი
ფიქრებს ებრძვის ცერებითა.

„ძველი ჩონგი“.

## პატარძეულიდან

**(ზარე-კახეთი)**

ტარტაროზ, უნდა მოგწერო
ამბები პატარძეულის;
ვინ არის უფრო ჭკვიანი,
ან-და ვინ გადარეული.

პირველად გლეხკომს გაგაცნობ
იქ სიკო გახლავს მესტვირე,
სავსე ბოჭკების დამცლელი,
ცარიელების შემტირე.

გლეხკომს განაგებს ვაჭარი,
რადგანაც სიკო მთვრალია,
ხმა წართმეული კი არის,
მაგრამ რა სიკოს ბრალია.

ვაჭრობას „სპეცი“ სჭირდება,
ეს სიკოსათვის ცხადია;
მიტომ შიშხინებს თურმე იქ
გიგუას ხელით მწვადია.

საკუთარ პურსა აცხობენ,
გირჯანქა ხუთი შაური...
მაგრამ, ოჰ... ფასებს არ ვიტყვი
სიჩუმით გვერდსა აუვლი.

კოოპერატივს მივადგეთ
სჯობს შევიხედოთ, ძმია,
უწინ თუ ვასოს ფულები
იქ ბლომად შეუჭამია.

სამაგიეროდ განაგებს
დღეს „დარდიმანდი“ კაცია
მისგან გაყიდულ ფარჩები
უფრო ლამაზებს აცვია.

—:—

სამკითხველოში შეხედვა,
ტარტაროზ, მეტად ძნელია,
მას აძევს დიდი ბოქლომი
და გამგეც საძებნელია.

—:—

მო, ისევ სხვაგან წავიდე
იქ გლეხთა სკოლა ახლოა,
რომლის გამგეა მიქაძე
(ვა, მართლა სავაგლახოა).
კაცი „მეჯლითი“ და „მცოდნე
„სპეცი“ და „მაღალხმიანი“,
თუმცა კი მისგან სკოლამა
იგემა დიდი ზიანი.

ხამანცარი.

## ა გ ა რ ა კ ი

ამ ზაფხულმა სიცხეებიც დაიჭირა რაკი,
ყოველ წუთში ელანდება ჩემს ქალს აგარაკი.
მეუბნება: ვერა მიდის, ლიდა, ჯაჯუ, კატო.
სირცხვილია მთელ ქალაქში მე რომ დავრჩე მარტო.
„დიდკაცების“ ცოლებს ბაძავს, აღარ მაცდის, მიდის;
სახარჯო რომ ვერ უშოვნე, სახლის ავეჯს ჰყიდის.
არ დავეძებ, თვარ შეემთხვა რამე ფათერაკი.
ის მაშინებს, რომ ვაჟებთან უყვარს ლაპარაკი.
მუჭ[?]რით და ბრაზით მითვლის, რომ უგზავნო ფული,
და ი. ოთი დაუმტკიცო ქმრული სიყვარული.
ნუ თუ აგი აღარ იცის, რომ ბავშვებს ძლივს ვარჩენ?
ღმერთო ამგვარ ხათაბალას როდის გადამარჩენ.

ხანი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## აბაშისა რადიო ხადლაც ბნელში აგდია

სოციალისტური რეკონსტრუქცია ჩვენში წარმატებით მიდის წინ; ინდუსტრიალიზაციის ტემპი არა თუ არ ნელდება, ძლიერდება, მტკიცდება და ვითარდება, სისწრაფეს მატულობს. ასე გასინჯეთ, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაც არ ჩამორჩება საერთო ტემპს; აქაც მიღწევა მიღწევას სცვლის. წელს საბჭოთა საერთო მასშტაბით ბუნებაც კი სთმობს და, როგორც გაზეთები თუ ტელეგრაფის სააგენტოები გადმოგვცემენ, მოსავალსაც კარგი პირი უჩანს: იგი საშუალოზე უფრო მეტია მოსალოდნელი. ყველაფერი ეს სასიხარულო გუნებაზე გაყენებს საბჭოთა ერთგულ მოქალაქეს, საკმაოზე მეტ ოპტიმიზმით გამსჭვალვს და მზად ხართ შესძახოთ მტრებს: „ხმა ჩაიკმინდეთ-“

და მტრები მართლაც იკმენდენ ხმას... ჩვენში კი ამ დროს ხმას უმატებენ გაზეთების გამყიდველები და რადიო-მოლაპარაკენი.

მხოლოდ საკითხავია: ყველგან უმატებს ხმას რადიო-მოლაპარაკე? თუ **„აბაშელი ვორექბოში“**-ს დავუჯერებთ, (ხოლო არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ არ დავუჯეროთ) აბაშაშიც მდგარა ოდესმე რადიო. მართალია, ხმა ცოტა ხრინწიანი ჰქონდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ზამთარი იყო და ხალხი ამას წრევანდელ უზომო სიცივეებს აბრალებდა. აბაშელებს იმედი ჰქონდათ, რომ საცაა გამოზაფხულდება, ბულბული, შაშვი და ტოროლა აკრიმანჭულდება და სხვა რომ არა იყოს რა, იმათი მიბაძულობით მაინც ჩვენი რადიოც ხმას გაიწმენდს, გაისუფთავებს და დაგვატკბობსო. ამ ნაღდი იმედით აბაშელი მოქალაქეები ისმენდენ იმ ხმა-ხრინწიან რადიოს მაშინ და ითმენდენ, სულგრძელად იტანდენ. ისინი ასე მსჯელობდენ: „ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაროთ და „ღმერთი“ მრავალსაჩედან დაგვადენს, ხომ გაგიგონიათ: „დალეულს დამპალი სჯობია“-ო.

მაგრამ „დამპალიც“ მალე დაილია და ხრინწიანმა რადიომაც თავი დაგიკრათ. ის კი არა, აბაშის რადიოს ის პირველი თავის დაკვრა ყოფილა სწორედ უკანასკნელიც და საბედისწეროც. მას შემდეგ ის უკვე აქ არავის უნახავს არც ხრინწიანი და არც უხრინწო. ხალხი სჩივის: იყოს ბარემ ის ხრინწიანი, სულ არარაობას ისევ ცხრა უღელი ხარი სჯობია“-ო. კაია თქვენ ნუ მომიკვდებით, ცხრა უღელი ხარიც, რომ საცოდავ აბაშის რადიოსთვის არ დაედგათ კისერზე საუკუნო მონობის უღელი და არ ჩაეკეტათ ბნელ ოთახში, სადაც ის, ალბათ, თავის დახრინწიანებულ ყელს ახლა უკვე ჟანგითა და მტვერით იკურნავს.

აი, სად არის საჭირო მართლაც მკურნალი და კულტურის ფრონტზე ატმოსფერის ჯერ სათანადოთ გამჯანსაღებული მუჯლუგუნი.

## მაგრამ, ვაჰ, თუ ალეკოს ქუთაისიც არ ეყოს!..

ჩვენი მკითხველები, ალბათ, უკვე დაეჩვიენ „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში მარტო იმათ ნახვას. ვის შესახებაც გვწერენ ჩვენ ჩვენი კორესპონდენტები. მაგრამ ამ ერთ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მკითხველი აქ, წინაარმდეგ მოლოდინისა, იხილავს თვითონ კორესპონდენტს ალეკოს. ეს ალეკო, როგორც სჩანს, დიდი კაცი უნდა იყვეს, დიდი პოეტი და, მაშასადამე, დიდი პრეტენზიების პატრონიც. ის ჩვენ გვწერს მთელი ქუთაისის სახელით და გვწერს ერთ მეტის მეტად საფრთხილო საგანზე. წერა, რა თქმა უნდა, ასეთ საგნებზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის კაცს დიდი პასუხისმგებლობაც მოეთხოვება. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად გააჩნია პატივცემულ ალეკოს ეს პასუხისმგებლობა, თუნდაც ფორმალური საბუთების ძალით. რაც შეეხება ნაწერს, აქ კი ვერ სჩანს ასეთი რამე. სჩანს მხოლოდ დიდი პატიოსანი, გულზვიადობა და ამდენივე ეგოისტური ზრახვაც. ასეთ კაცს, ჩვენის აზრით, არ შეუძლია არა თუ მთელი ქუთაისის სახელით ლაპარაკი, არამედ თუნდაც ერთი უბრალო სრულ ჭკუაში მყოფი კაცის სახელითაც კი. თავისი საკუთარი თავის სახელით კი მას, რამდენიც სურს, იმდენი ილაპარაკოს, თუ კი ვინმეს სურვილი ექნება მისი მოსმენისა. რაც შეეხება „ქუთაისის თხოვნა“-ს ტარტაროზში დაბეჭდვას, ეს შეუძლებელი შეიქნა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ეს ამჟამად დაგვებეჭდა, ვაი თუ ავტორმა შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირის სახელით მოგვმართოს და მოგვთხოვოს კიდეც აქ თავისი მომართვის დაბეჭდვა. მოდი და ასეთ დიდ გორას აწოფარებულ კაცს შენ გაუბედე შემდეგ უარი ასეთ პატარა თხოვნაზე.

## ჭირ-ვარამი

### ხონის

სასადილოს მიაკითხე,
რა თქმა უნდა, გამგეს ნახავ;
შეიძლება ნარდს თამაშობს,
ტარტაროზო, ნუ უძრახავ.
რომ შეხვიდე, მოითხოვე
ან ხარჩო და ან სოუზი,
ესადილოდ არ დარჩები,
საღამომდის, თუ მოიცდი.

—:—

ეხლა ფრთხილად მიაკითხე
საქონლისა ფერშალ ვანოს,
ტარტაროზო, —შენი ნახვა
შეიძლება არ ეამოს.
წისქვილიდან სიმინდის ფქვილს
ატანს ზურგით თავის დარაჯს,
შენი ჩანგლის ეშინია
ყოველს გეტყვის არ დამალავს.
ტარტაროზო, შემდეგ მოგწერ
დაწვრილებით იმის ნაკლსა,
მაგრამ, მგონი არ დამჭირდეს:
წაეგება თქვენს ჩანგალსა.

**დ. ხონელი.**

## „შეურაცყოფილი“



— რას ერჩოდი? რად სცემე ამ კაცს?
— შეურაცყოფა მომაყენა: ჯერ დიაკვანი მიწოდა, მერე: მღვდელი, გენერალი და რომ მეცლოა, მგონი, მეფემდე ავიდოდა!

## თ ა ვ ი   ი მ ა რ თ ლ ა



— აღდგომას თავადების ოჯახში გვლიათ ვიზიტზე!
— მათ გარდა სხვას არავის გადაუხდია აღდგომა, და აბა, რა მექნა?
(დევნილი))

და მასწავლებელ ყმაწვილს
ცოლი არ წამოსდგომოდა.
ვინ უშველიდა უბედურს
მასწავლებელსა სანდროსა
რომ ისევ იგი შემთხვევა
აღარ დაეხსნა ამ დროსა.
შეიბნენ ორი ქალები,
ომი გაჩაღდა ძლიერი
ჩხუბობდა ორი მოცილე
ახალგაზრდა და ხნიერი.

პ. ობოლი.

# მ ო თ ქ მ ა

ბედი არ წყალობს ამ სოფელს;
ერთხელაც ვერ ნახა სეირი,
თუმცალა მას არ აკლია
გართობა, თვალის სეირი.
უცოლო მასწავლებელმა,
ერთხელ შეირთო აქ ცოლი,
და გაიჩინა მარტოკამ
თავის ამქარი და ტოლი.
ეს არავის გაჰკვირვებია.
არც იყო გასაკვირველი,—
რადგანაც მასწავლებელმა
შეირთო მასწავლებელი.
ერთი ეძებდა საცოლეს,
მეორე—უქმროდ კვდებოდა;
ერთმანეთს ღმერთმა შეყარა,
მით სხვას რა დააკლდებოდა!
ორივე წყალმა წაიღო,—
ჩვენც რა გვინდოდა მის მეტი;
მოგვეცილდა დიდი ხანია
...ი უმგზავსო ჩარჩები.
ნაცვლად გვეწვია სულ უცხო
კაცი უცნობი, ხონელი;
ახა... აზრდა და ლამაზი
ბ... ...მის გამომგონელი.
მას ...ოჰყვა კიდევ ასული
ლამაზი, ზორბა ტანადა;
მზად იყო ახალგაზრდობა
მათ სტუმრად წასაყვანადა.
გაზშირდა სმა და ქეიფი
რიგრიგობ ყველა გლეხისას,
თვრებოდა მასწავლებლები,
ვერ სძლებდა დადგმას ფეხისას.
ვიდოდნენ წყვილად ორნივე,
...არის არ უშვებდენ გულშია,
მაგრამ უეცრივ გაებნენ
ურთიერთ სიყვარულშია.

გუტო მასაშვილი.

## კარგი მაგალითი
### (სოფ. ქვაჟუდე)

ვაჭრებმა დახურეს
დუქან-მაღაზია,
და ხელდაკრეფილნი
უსაქმურად ზიან.
ნატრულობენ ჩვენთვის
„ხიფათსა და ზიანს“,
მაგრამ ვერვინ შეცვლის
ჩვენ ცხოვრებას მზიანს.
ძველ დროს იგონებენ,
გულამოსკვნით ისევ,
როცა ველარ ძრავდენ
გამრგვალებულ კისერს.
კულაკიც მის გვერდით
ცხარე ცრემლით სტირის;
გულები გაუსკდათ
სოფლის „კოლექტივით“.
აღარ არის მიწის
გაყიდვა და გაცვლა;
ხდება გაერთება,
საკუთრების ნაცვლად.
დაეკარგა ფასი
გუთნებსა და კავებს;
გაუმარჯოს ტრაქტორს.
მუშის ძლიერ მკლავებს.
მღვდლებსაც ჩაუვარდათ
კოვზები ნაცარში:
ძირს მათ უჭირთ სუნთქვა,
და ღმერთებს კი ცაში:
შეიკვრეს „სტაცკი“,
ზოგმა ჩოხა, შუბა;;
ძველი ეკლესია
გადაკეთდა კლუბად.
აღარ უნდათ ლოცვა
ხატი, რჯული, ღმერთი,
მათი ცრემლის ღვარი
ოკეანეს ერთვის.
რა მოხდებოდა ვინ იცის,
რომ ღმერთი არ გასწყრომოდა.

## „დ ა ვ ე ს კ ა“

— ჰო, მართლა, ქოთანი არ დაგავიწყდეს; ერთი კაი სარძეო ქოთანი იყიდე, ძროხამ გამიტება, ერთი კოპზი წამეიღე, ერთი კაი კვირისტავი, თუ გინდა კაი წინდები დაგიქსოვო ზამთრისა. ერთი გობი მიყიდე, გაწვალებული ვარ უგობობით... ფულს ზომით გატან, კაპიკი არ მოაკლო. ეგენი რო იყიდო. მერე კომპერატივში შედი და ერთი 6 მეტრი ნარმა იყიდე მე და შენთვის. ჩითიც იყიდო ეგება, ეფათ თუ იქნა... ხო, გესმის ახლა? სერგიის დუქანთან რო გეიარო, რაცა გპაიჯოს, არ შეჰყვე დუქანში, თვარა ფეთებას გაგიჩენ ორივეს...

— გადარჩი ჰო! შენი ორი კაპიკით ქუთეისი ხვარ გინდა წამევიღო? წონითაა ტარანი. რასაც ოუსტობა შენი ფული, ქე ვიყიდი და რაც არა, მე კი ვერ დავწაბავ ფულს! — უთხრა ცოლს და ივანე გზას გაუდგა ქუთაისისაკენ.

დაბრუნდა ივანე. ნავაჭრი ხურჯუნი გახსნეს პირველად. ცოლს ხელში კარანდაშები მოხვდა.

—ეგ რაია კაცო? ამდენი ყარანდაშები რა წელკავათ გინდოდა? თუ პოეტობა დეიწყე ამ სიბერის დროს სკრაფიის ბიჭივით?..

არა, ე ფერჩატკები რაღათ გინდოდა, კაცო? რა დაგაბარე მე შენ: კვირისტავი მეიტანეთქვა. ქოთანი მეიტანე! შენი ქოჭი მეისპო, ბარელამ!

— რა ამბავია რო ქაქანობ შე სახკარ ამოსაგდებო! რო იძახე: ქუთაისს წადიო. ეგია? შენი საპერანგე ნარმა ვიყიდე და დააყარენ „დავესკები“ კრუჟევო, კარანდაში, ფერჩატკები, (ნუ გეშინია ქე გამოგადგება პამანდორის საკრეფში); აქით ჩითს დაადევენ კიდო და ქი ამიფსო ხურჯინი... ხო, მართლა პუდრი მოგიტანე კიდო.

— მერე, შენ დაგვტი შენ პატრონს, ვერ უთხარი არ მინდა ამდენი „დავესკები“ თქვა?! არა პუდრი რამ წამოგაღებია, კიდო ბარიშნა გგონივარ თუ? ვიფიქრე: ქუთეისში ეფათ იყიდის თქვა და არ დოუღუპავარ ქალი?! წეიღე ახლა ე შენი პუდრა — მუდრები და შეაყარე შენ ყველას.

ბახრო.

## სევერიან ვექილი



როცა დანა-ჩანგალი
მან ჯიბეში ჩაიწყო,—
ხელის ხოცვა ქაღალდზე
წყნარად, დინჯად დაიწყო.

თავს წაადგა მას გამგე,
ოხუნჯი კოხტავა,
უთხრა: „სევე, ჩანგალი
შენს ჯიბეში ვერ ჩავა“.

(მიხლინსკი ბოშბ)

## ქუთაისი

### ცნობა

ტარტაროზო, ცნობას გაწვდი,
ცნობას ბრაზით ავსილს:
რომ გამსახლში სამსახური
„ხელთ უგდია“ ვასილს.
ხმა არა აქვს, გავაშავეთ..,
აგურხანას ფლობდა:
ფულს იგებდა, ერთი სიტყვით:
თავს კეთილად გრძნობდა...
—ხმა წავართვით, წავახდინეთ:
გული დაელარა.
აგურხანას „ნალოგები“
თავზე დაეყარა.
—მაგრამ ხერხი მოიგონა,
ცხვრის ტყავს მოეფარა.
აგურხანა მან ცოლის ძმას
ჩუმად ჩააბარა.
თითონ დარჩა „გაწმენდილი“
ცოდვებისგან (ვითომ),
და თბილ ადგილს დაეძებდა:
„ძმა-კაცებში“ თვითონ.
„ძმა-კაცებმაც“ შეიწყალეს
ადგილი უშოვეს...
(შრომის ბირჟა ათასობით
ითვლის უმუშევრებს).
ასათიანი ვასილი
გამსახლში მოეწყო;
ტარტაროზო, გეხვეწები:
მას ჩანგალი მოსცხო.

მანცო.

## „განდეგილიადა“—„მონასტერი“

სადაც „დიდებულს“ ანაგის ფოსტას
მოსახლეობა ვერ შესწვდენია:
სადც ფოსტის გამგე, მიხეილ „ძველი“
ფეხებით ფოსტის ჭერს მიბჯენია;
სადაც არ ისმის ხევის შხუილი,
„ზარიაულის“ კვნესა-წუხილი;
სად ხმა არ არის ადამიანის
და სტიქიონის ჭექა-ქუხილი,—
იქ ატყორცნილა ფოსტის კანტორა,
მოსახლეობით დამწყრალებული,
მიშას იქ სძინავს, ან არ-სცალია,
საქმეც რომ გქონდეს აჩქარებული.
ტელეფონს ურეკ, არ გაგაგონებს,
თუ კი ხმა გაგცა, თან „შეგიკურთხებს“,
და თუ უთხარი: „რად შვრები ასე“,—
გამოგილანძღავს ზნეობის კუთხეს.
მისი საათი თუმცა მოშლილა,
მაგრამ უჯერის თავისებურად;
დილით არა სჩანს, საღამოს ჰქრება,
ბიუროკრატობს მამისებურად.
კვირა მას უყვარს, რადგან ბაზრობას
ის ჩამოუვლის კახურ სასმისებს;
მითვრება „ძმურად“ და მიიძინებს,
რადგან ცენტრსა სცნობს, თემს კი ასწყისებს.
მიშაო ჩვენო, განყენებულო,
როს გელირსება შენ გაღვიძება,
რომ დაინახო სოფლის წუხილი,
რომ დაეხმარო, არ შეიძლება“?
არ იზამ ამას- მაშინ მოვითხოვ
„ტარტაროზისას“ მძლავრ-ჩქარ-ლაშქრობას:
იქნება გვიან, შენ ხომ გრძნობ ამას,
ბედს დაიწყევლი, გფიცავარ ძმობას.

შენი ძმა „ახუთი“.

## სადგურის ტელეფონი

ვერა რიაბუხა შემოვარდა ოთახში და მიუალერსა თავისს „განშორებულ“ ქმარს სიმღერით:

დივლი დალალი დალალე
დივლი დალალეო
ფუფუნებით დრო ვატარეთ
შენ გენაცვალეო.

— რა იყო, ქალო რა მოგივიდა ასე გიჟივით, რომ შემოვარდი? გუშინწინ სამსახურიდან მოგხსნეს და ეხლა ფუფუნებაში ვატარებთ დროს?

— რაო? დამითხოვეს! ვინ გაბედავდა ჩემს დათხოვნას, აბა მითხარი? განა, არ იციან, რომ ჩემს ჯამაგირს ჯაბუას საკანდიტეროს დახლში აქვს ბინა?

— მაშ მიგიღეს ისევ ჩემთ ვერივით სამსახურში?

ვერა ისევ მღერის.

— სსსს! ვერიჩკა, ჩუმათ იყავი, თორემ ჩვენ ვითომ ცოლ-ქმარი არ ვართ და ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, გაიგებენ და სიმღერა ხანმოკლე იქნება!

დაიწყებენ მითქმა-მოთქმას: უფრო გაჭირვებულებს ითხოვენ სამსახურიდან და არ ამცირებენ, ისეთებს, რომლებიც შესამცირებელი არიან. მე შენ გეტყვი და, მე და შენ კარგი მუშაობა ვიცოდეთ! ლაყბობის მეტს არაფერს ვაკეთებთ სამსახურში... ჰო და ფრთხილად ცოტა; პროფკომიტეტებსაც ნუ ჩავაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, თორემ შემდეგში ვერ გაბედავენ ჩვენს დაცვას.

„ტატი“.

# ცნობათა მიღება



**...ახრეს: სალხინო (სენაკის მაზ.).** ...ქვენი კორესპონდენციიდან ძნელი ...მოსარკვევი შეიქნა, თუ სახელ...ობრ, ვის ერგება სახრე: ალმასკომს ...ისთავის, რომ მან, როგორც თქვენ ...ცნობებით, „გრეხილი ავეჯეულობა“ ...უხსნა თემს; ალმასკომის თავმჯდო...რეს იმისათვის, რომ მან ეს საქმე ...ჯილობრივ ჩარჩებს ჩაუგდო ხელ...ბ, ადგილკომს იმისათვის, რომ ის ...ურადღებას არ აქცევს მუშებისათ...ს დროზე ჯამაგირის დარიგებას თუ ...შრომელთა სხვა ინტერესებს, შრო...ის ინსპექტორს, რომელიც ვერ იცავს ...უშების შრომის პირობებს, თქვენ ...მისათვის, რომ ყოველივე ეს სათანა...ო დაბნეულობით აგვიწერეთ ყოვ...ლად უვარგის ლექსად და არა პრო...ად, თუ ბოლოს ჩვენ იმისათვის, ...ომ თქვენი გრძელი ლექსიდან აქვე ...ვათავსებთ ერთად ერთ ტაეპს და ...ასაც სანიმუშოდ:

გამგეთ არის ორი დათა,
ვანო/ანდრო, პარმენი და ვალიკო,
ასეთ მდგომარეობაში
სჯობს ქარხანა სულ არ იყოს.

თქვენი ლექსის ...ა იყვეს, რაც მა...ალია, მართალია: სჯობს, რომ ...ულაც არ იყოს!“.

**...ომსომოლს: გომი (ქუთ. მაზ.)** ...მ მისამართის შეცვლა აუცილებე... არ ყოფილიყო, ზევით დაწყებულ ...ამ შენიშვნას პირდაპირ განვაგრ...ობდით და ისე გადმოვიდო...ით: თქვე...ბუ არა ...აკლ...ბი „და...ეულობით“, ვიდრე „სახრე“, აგვი...ერო თქვენც გომის დღევანდელ ვი...არებებს. მაგრამ გეკითხებით: თუ ...ერშალი ბენია მილორავა ავად...ოფ გლეხთან ისე არ წავა, რომ ...ნასწორ ტყავი არ გახადოს მათ; ...ე საექიმო პუნქტის თანამშრომელი ...ავითი მუდამ ნარდ-კარტს თამაშობს ...უბენ კობრავას დუქანში, თუ სო...ელი მიკიტნებმა აიკლეს: ქალებს ...ბაში არ უშვებენ და სხ., თუ მასწა...ლებლებიც ყველა ისე წყალ-წაღე...ული ყოფილან გომში, როგორც ...ქვენ იწერებით: ზოგი საზოგადო...ელის სქამს, ზოგი სხვის საათს ით...სებს და სხ. — მაშ, ვინღა დარჩა ...ნდ კაცური კაცი!? მარტო თქვენ?! ...ტყვა „კომსომოლა“ კაი ფარია, მა...რამ ასეთი დიდი როლისთვის მაინც ...ქმარ არ არის.

**...დ. სამიძეს.** ...ქვენი „ვირი და პი...ა“ იგავათ არ ვარგა. მაშასადამე, ...ვ იმათ უნდა ვიხმაროთ, რაც არის. ...იდან გამომდინარე ასე ვანაწილებთ ... დღე, ვირად თქვენთვის დარჩეს ... ხოლო ჩვენ ჯერ-ჯერობით არც გვეპიტნავება ასეთი რამე.

**ნიახურს: ამაღლება (გურია).** თუ პარტიულმა ხალხმა: მინამ, შალვამ და დომენტიმ ამაღლება დღეს დალიეს და ეკლის ჩირგვის ძირში განისვენეს, ეს არაფერი საძრახისი საქმეა იმდენი. სოფელი ამაღლება ყოფილა და ამაღლების დღესასწაულს აქ კიდეც შეფერის სათანადო პატივისცემით შეხვედრა. მართალია, პარტიულ წესდებაში ამის შესახებ დადებითად არაფერი სწერია, მაგრამ უარყოფითად კი, რამდენიც გნებავთ.

მიუხედავად ამისა დომენტის შესახებ თქვენს გამოთქმას ჩვენ მაინც ვერ შევეშვით ისე ადვილად და აქვე ვათავსებთ:

ღვინის სმაში ხომ პირველობს,
გინებაშიც ქებულია,
ყველას ლანძღავს და აგინებს,
მეტად თავ-აშვებულია.

**მასხარას: (ძირულა)** ო, როგორ გიხდებათ ეს ფსევდონიმი, თქვენებურად რომ ვთქვათ — სვედონიმი. სევდის აღმძვრელიც არის ის და თან სასაცილო - საშინაოურლოც. მეორე თქვენი „სევდონიმი“ — ნამდვილიც ვარგა: დასაწერად ადვილია, ხოლო ადგილს გაიჩნია: სად შეიძლება მისი (ე. ი., დაწერილის) სინამდვილეც გასაღება და სად არა. ჩვენთან, მაგალითად, ვერ გავასაღებთ.

**„ჯერესას“ (ქუთაისი)** ფალიანმა თუ სარეწაო კოოპერაცია დააქცია, წესია და მართებულია: ფალია საპირისწამლეა, ის აფეთქდება, ანთებს თოფის წამალს თოფში და ... ... ნასროლი კი ყველაფერს არღვევს და ანგრევს. ეს ბუნებრივია. მხოლოდ არა ბუნებრივია ის, რომ ფაქტიურად კოოპერაცია გოგიტიშვილს დაუქცევია და არა ფალიანს. შეუცვალეთ თქვენს ლექსს სათაური, შეაცვალეთ მისი ფორმა, შინაარსი და ვინ იცის, შემდეგ იმდენად იგავარგოს, რომ „ცნობათა მიღებაში“ მოგეცეთ მაინც უფრო შესაფერი რჩევა-დარიგება.

**მავნეს, „რითნშეხი“.** ვებერთელა ლექსად გვწერთ რიონჰესში დამკვიდრებულ პროტექციის შესახებ. ჩავიკითხეთ ბოლომდე, მაგრამ პროტექციის შესახებ იქ არაფერი სწერია. „მოდი, ნახე სამმართველო... იქვე ნახე სამანქანო... ქალებს უზის გვერდით ვაჟი.... ერიხთავი ჩვენი, მაგრამ განთქმულია ამ საქმეში... დადიანი იზეპირებს: „წამო, წამო, წამო ტყეში!;“ ერთი სიტყვით, ამისთანა სისულელეები არ გვეხერხება თავის დღეში.

**ილ. დავ. გულეიშვილს. (ხონი)** კორესპონდენტის ვინაობის გამომჟღავნება არ შეიძლება. თქვენ იწერებით, რომ ხართ ყოვლად პატიოსანი, მშვიდობიანი და კეთილი კაცი. ამის საწინააღმდეგო ჩვენ რა გვექნება! საწინააღმდეგო ჩვენ რა გვეთქმის. მხოლოდ კორესპონდენტის მიერ აღნიშნული ფაქტის წინააღმდეგ თქვენ რას იტყვით? აი საქმე რაშია!.. ჯერ-ჯერობით კი თქვენგან არსებითად არაფერი მოგვისმენია...

**იდუმალს. (ლანჩხუთი).** რაღაც დიდი იდუმალობით უნდა იყოს მოცული თქვენი იუმორისტული სტატია: „საუბარი მატარებელში“, თორემ რატომ გაგვიძნელდა ჩვენ იქიდან რაიმე აზრის გამოტანა?!. დაგვიჯერეთ, რომ მატარებლის თვლების ხმაურმა შეგვიშალა ამდენად ხელი?!

**მუშკორ-გამვლელს. (ფოთი)** შეიძლება თქვენი სატყეო ტრესტის გამგე ეგნატე მართლაც ხელ-მომთობარი კაცი იყვეს: სახლიც გაეშენებინოს და პურის ფქვილიც ცალობით ეწყოს. ყოველივე ეს შეიძლება, მაგრამ გლეხ ვანოს თუ ფარულად მოჰპარა ხის მასალა წაართვა და დაჯარიმებაც დაუპირა, ამაში ის ცამდის მართალია.

**ზრიმოლ იაკობაშვილს.** სანტერესოა ვიცოდეთ სად არის ეს ამბავი, რომ უბილეთონი მატარებლებში თავს ისე არხეინად გრძნობდენ, და გამომწვევი ტონითაც ლაღობდენ, როგორც ეს თქვენა გაქვთ აწერილი თქვენს ლექსში: „უბილეთონი“?!.

**იურის.** თქვენი ამბები გამორჩეული თემის ცხოვრებიდან ვერ არის მაინც და მაინც გამორჩეული და საჭარგისი: ვერც ფორმით, ვერც შინაარსით და რაც მთავარია, ვერც იდეოლოგიით. მიუხედავად ყოველივე ამისა, ერთი ადგილი მაინც მოგვეწონა, და აქვე ვათავსებთ.

ხასოფლო ბანკმა სიმინდი
გამოუწერა ღარიბებს,
მაგრამ ეს რაღა საქმეა,
როცა „გრამობით“ არიგებს?!.

თუმცა ამ ადგილსაც თავისი შენიშვნა აქვს: „გრამობით“ იმაზე მეტიც შეიძლება დარიგდეს, რისი დარიგებაც ფუთობითაც არის მოსახერხებელი. ცუდი ის იქნებოდა, რომ ბანკს წულაკებზე დაერიგებია ეს სიმინდის „გრამები“.

# ქუთაისის აღმშენებელთა კავშირში



მიშა (უმუშევარს) მიმართეთ იქ აკაკის!
აკაკი: მიმართეთ იქ ცინცაძეს
ცინცაძე:—მიმართეთ იქ საერთო კანცელარიას.
საქმ. მწარ.: —მიმართეთ იქ რეგისტრატორს-
უმუშევარი (მოთმინებიდან გამოსული): — ჯველას სჯობია მუშათა და გლეხთა ინსპექციას მიმართოთ!

(ხლისტი)

# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე
ფასი 10 კაპ.
კვირა, 28 ივლისი 1929 წ. № 31 (215)



მილიონთა მკლავმა დაჰკრა
მძლე ჩაქუჩი ძველ ბორკილებს,
ძლევის დროშა ხელთ უპყრიათ
გულანთებულ შრომის შვილებს

ჩვენ გავჰკივით: ომი ომსა!
ვერვინ შესძლებს, ჩვენ რომ გვძლიოს!
კომინტერნის მებრძოლ დროშით
წითლად მოვფენთ მთელ სოფლიოს!

# ექსკურსია მსოფლიოში

ომის შესახებ იმდენს გაიძახიან, რომ ჩვეი გადავწყვიტეთ საკუთარი თვალით დაგვეთვალიერებია ზოგიერთი ქვეყნები და დავრწმუნებულიყავით, თუ რამდენათ მართალია კომინტერნი, რომელიც ხშირად გაიძახის მოახლოვებულ ომის ახალ საშინელებაზე.

ვის, რომელ მოქალაქეს ეპარება იჭვი მაკდონალდის მშვიდობიან ზრახვებში? ყველამ უწყის, თუ როგორ უყვარს მას ზავი მრეწველობაში, როცა ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ სამრეწველო მგელი სამრეწველო ცხვარს აწოვებს ძუძუს, ანუ კაპიტალისტური ყორანი მტრედის კვერცხების დებას იღებს პროფესიად. თუ ეს მაკდონალდი ასე შესტრფის ზავს მრეწველობაში რაღას იზამს იგი საერთოდ ცხოვრებაში?.

არა ნაკლები გრძნობებით არის გაჟღენთილი ამერიკის ახლად გამოჩეკილებული პრეზიდენტი ჰუვერი, რომელიც „რეჩებსაც" კი ამბობს მუდმივი მშვიდობიანობის შესახებ. რაღა თქმა უნდა მუსოლინ-პილსუდსკ-პუანკარე-შტრეზემანზე,—ისინი ხომ ყველანი მამა აბრამის ბატკნობის პრეტენზიებით გამოდიან და ისიც საქვეყნოთ? ხოლო რაც შეეხება ჩან-კაი-შის, მართალია, მან ამ ბოლო დროს ტლინკები აყარა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი ჯიშის ცხოველს, როგორიც არის ჩანი, უტლინკებოთ ცხოვრება არ შეუძლია.

პირველი ვიზიტი, რასაკვირველია, ეკუთვნოდა ინგლისს.

— რად გინდათ ეს მოჯავშნული დრედნოუტი?— იყო ჩვენი პირველი კითხვა.

— რასაკვირველია, არა საომარ მიზნებისათვის,—სასწრაფოდ გვიპასუხეს მათ,—ეს უბრალო გემია, მაგრამ შეფოლადებულია იმიტომ, რომ შიგ წყალი არ შევიდეს. ამას გარდა, თქვენ იცით, რომ ამერიკას ამაზე უარესი დრედნოუტები არ ყავს...

— ეს ვეება ზარბაზნები რაღა საჭიროა?

— ეს მხოლოდ ტონაჟისთვის, სიმძიმისთვის, თორემ ჩვენ ომი არ გვსურს... ამას გარდა, ალბათ უწყით, რომ ამერიკას, საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებს ამაზე ნაკლები ზარბაზნები არა აქვთ. ამიტომ ზარბაზნები ჩვენც გვაქვს, რომ სხვებთან სირცხვილი არ ვჭამოთ...

— ამოდენა ჰაეროპლანები რაღა საჭიროა?

— ეს მხოლოდ სამიმოსვლო მიზნებისთვის... ამას გარდა, თქვენ იცით რომ სხვა სახელმწიფოებს ამაზე ნაკლები ჰაეროპლანები არ ყავთ, ამიტომ...

— ეს გაზების ქარხნები რაღად გინდათ?

— ეს მხოლოდ თავის შესაქცევად, აქ ჩვენი სპეციალისტები ვარჯიშობენ. ჩვენ თითონ არ ვართ დაინტერესებული ქიმიური ომით, თუმცა თქვენ ალბათ იცით, რომ სხვებსაც მრავლად აქვთ ქიმიური ქარხნები...

— ამ ჯარებს რატომ წვრთნით და ინახავთ?

— ტრადიცია, ბატონო, ტრადიცია... ამას გარდა, თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ სხვა სახელმწიფოებს ამაზე მეტი ჰყავთ რეგულიარული ჯარები...

გადავედით **ამერიკაში.**

დრედნოუტებს ადგილი აღარ მორჩენიათ ზღვაში, ყველა სრუტეები და ნავთსადგურები სავსეა.

— რა ამბავია ამდენი დრედნოუტები?

— ეს მხოლოდ სავაჭრო მიზნებისათვის, გარწმუნებთ, თუმცა... სხვა სახელმწიფოებს...

— ეს წყალქვეშა ნავიბი?

სპორტის გულისათვის ამას გარდა, თქვენ ხომ იცით, რომ სხვა ქვეყნებს...

— ეს თვითმფრინავები?

— ესეც სპორტისათვის, თუმცა თქვენ მოგეხსენებათ, რომ სხვაგან...

გაზებს ამზადებთ?

— ცოტ-ცოტას, ისიც, სპორტის ასაყვავებლათ, თუმცა.. საერთოდ, ჩვენ ომი არ გვიყვარს, ისეც კარგათ ვჭამთ პურს.

— თქვენზე ამბობენ, რომ სამხედრო ბიუჯეტს ადიდებთ!

— ტყუილია, მაგას ინგლისი და საფრანგეთი მოჰგორავდენ! ჩვენ შეიარაღების მომხრე არ ვართ, პირიქით, ყოველთვის გავიძახით, რომ საჭიროა ევროპის და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის განიარაღება.

მილიტარისტული ამერიკა მივატოვეთ და **საფრანგეთის** სიამაყეს, ლორდ-განკოტის სამშობლო პარიზს მივადექით.

საფრანგეთის ომის ღმერთის მოადგილე და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამ ცოდვილ დედამიწაზე— ბებერი პუანკარე ქალაქის ერთ-ერთ რაიონში ვიპოვეთ, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან (პარიზში არის ე. წ. უცნობი ჯარისკაცის საფლავი).

— რა ამბავი იყო, რომ იმდენი ხალხი დაიხოცეთ,—ეუბნებოდა პუანკარე დაღუპულ ჯარისკაცს,—ხომ იცით, დღეს-ხვალ ომს ვიწყებთ და ჯარისკაცები ბევრი გვჭირდება? საყვედური დიდი საყვედური შენ და შენს ამხანაგებს, რომლებმაც მიატოვეთ თქვენი საფრანგეთი და საიქიოს მიაშურეთ...

ჩვენ რომ დაგვინახა, ბებერმა ცრემლები მოიწმინდა ფრაკის კუდით და შემოგვჩივლა, რომ გერმანია იარაღს აჩხარუნებს და ახალი ომისთვის ემზადება.

— ამიტომ,—განაგრძო მან,— ჩვენც, საწყალი ფრანგები იძულებული ვართ რაღაც-რაღაცეები გავაკეთოთ სამხედრო დარგში, თორემ თქვენ იცით, რომ ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ.

— არა, ამბობენ, რომ თქვენ გაფაციცებით ემზადებით ომისთვის.

— აშკარა ცილისწამებაა და ისიც გერმანიისა და რუსეთის მოგონილი! ჩვენ და ომი? არა მუსიე, ამ ბებერ კაცს რაღა მეომება? იცოცხლეთ, ომი კარგი იყოს, მაგრამ მაგის თავი ვისა აქვს?

— მაშ იარაღს რატომ ამზადებთ?

— რატომ? ისე, ინერციით: ჩვენ გვაქვს სამხედრო ქარხნები და ისინი განაგრძობენ მუშაობას. ჩვენი რა ბრალია? ამას გარდა, სხვებიც ხომ ისხამენ იარაღს? მერე კიდევ ამოდენა ქარხნები რომ დავკეტოთ, ხომ გაგვიმრავლდება უმუშევრები?

საფრანგეთიდან იტალიისაკენ გავფრინდით, მაგრამ იძულებული გავხდით უკან გამოვბრუნებულიყავით, რადგანაც ჰაერი მოწამლული იყო ფაშისტური ყაიდის გაზებით, რომელთაც მუსოლინი სალდელათ უშვებდა მუშათა უბნებისაკენ.

ასეთივე მდგომარეობა იყო **პოლონეთში,** სადაც **საფრანგეთის** მიერ ძღვნათ გამოგზავნილ სათამაშოებით (ზარბაზნებით, ტანკებით, მხრჩოლავი გაზებით და სხვ). ირთობდენ თავს რაინდნი უშიშარნი და ქედმაღალნი პილსუდსკელნი.

თვით ისეთი პაწაწკინა სახელმწიფოებიც კი, როგორიც არის **ბელგია, ჩეხო-სლოვაკია, რუმინეთი** და სხვები, საკუთარი თოფ. ზარბაზნების ჩხარუნით სტკბებოდენ და მსოფლიო ჰეგემონობის გეგმებს ადგენდენ.

ჩინეთში თვალი მოვკარით რეთრგვარდიელის გახუნებულ ფარაჯას, რომელშიაც რომელიღაც ღენერალისიმუსი იყო გამოხვეული.. აშკარად გავიგონეთ მისი ხმა, რომელიც ჩან-კაი-შის ემუდარებოდა:

— ო, უდიდესო და უჩანკაიშესო ჩანო, მოული მოწყალება და უბრძანე ბოლშევიკებს დასტოვონ რუსეთის საზღვრები...

ისევ საბჭოთა კავშირის საზღვრები გადმოვვლეთ და ზღვა მიტინგების ტალღებში გავეხვიეთ.

— რა ამბავია? ჩვენებიც ომისათვის ხომ არ ემზადებიან?—შევეხვეხეთ მუშებს.

— არა, ომისათვის და თავდაცვისთვის კარგი ხანია მზად ვართ.

— მაშ ეს მიტინგები რისია?

— ეს ის არის... ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებას მოითხოვენ!— მოისმა პასუხი.

**ალლარ-ალლარსან.**

მაკდონალდი, რომელიც არჩევნების დროს რიხით მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას, აგვიანებს ამ საკითხის მოგვარებას.



თანამედროვე ჰამლეტი
მაკდონალდი: „ცნობა?.. არ ცნობა?.. საკითხავი აი ეს არის!

## სამოელი

ვინ არ იცნობს მას ამ ხანად,
სად არ გინდა, რომ არ იყოს...
სამოელი,
კაცი გყელი
სიტყვით ქვეყნის ამაშენი,
(თუ მის სიტყვას დაუჯერე:
აშენდება მ.მ.—შენი)
სწრაფ გაგაცნობს სამოელი,
თუ შენგან ან შენით სხვისგან
ცოტას მაინც გამოელის.
„დაბალ" ხალხთან არის მგელი,
„დიდ" კაცებთან ლაქუცა და
თუ დასჭირდა
თავსაც მოიკომუნისტებს,
ძმად გიჯიცებს,
რკინისა აქვს მოთმინება
და სიმტკიცე.
პატივი გცა: გაგაცილა,
მრავალჯერაც გაგაცვინა.
თავის საქმე თუ ჩაჩარხა,—
მობრუნდება
თითქოს შენი დატოვება შეშურდება...
მაგრამ როცა მოგცილდება,
ერთ-დროს კიდეც მოგაფურთხებს
შემდეგ სხვასთან გააბამს ქსელს.
დიდ კაცებთან საქმეს იჭერს.
სამსახურს მას ვინ დაუჭერს
მგელთან — ცხვარია,
ცხვართან ცხარეა.
მგელსაც მოუქცევს მხარს:
ძაღლად გამოიყენებს ცხვარს.

პირში რაც უნდა უთხრა,
ყველაფერს აიტანს.
შემდეგ კი ისეთ სამარცხს გაგითხრის.
რომ თვითონ ჩაწვები შიგ)
(უარს ვეღარ იტყვი).
რაც მოსჩანს თვალით,
ორი იმდენი
მიწას ქვეშაა დამალული.
არავის უნახავს ჯერ საქმით დაღალული
თითქოს გატაცებულია
საბჭოთა აღმშენებლობით.
ყველას ესაუბრება „ამხანაგო"-თი
და ძმობით.
ეტრფის ვითომ მუშის ცხოვრებას,
თუმცა იგი ძლიერ ეუცხოება.
სხვისი წარმატება
იმდენად უხარია,
რამდენადაც ეს მისი ბუხარია.
როგორც მოქეიფე,
ყველასათვის მოსაწონია,
მის ყელში მგონი გრამაფონია.
მაგიდაზე მისი ტოლი ნურავინ გგონია:
სადღეგრძელოს
იტყვის ისეთ სასახელოს,
რომ ორი სიტყვით
ააშენებს საქართველოს.
თუ ვერავინ შეამჩნია,
მატყლთან ერთად ტყავსაც აცლის...
მაგრამ ეხლა კი, ჩემო სამოელო,
ნუ გგონია ძველებურად
ვინმე თავზე შემოგევლოს!
ისეთი ვინმე გაგაბამს
შენივე დაგებულ მახეში,
რომ უწინ
ვახ არც კი შეხედავდი სახეში.

ძმუნტი.



# ტარტაროზის კალენდარი

## ივლისი 22 ორშაბათი

**1926 წ. დეკაბრისტების გასამართლება**

დეკაბრისტების აჯანყება მოხდა 1825 წელს. ეს იყო პირველი დიდი შეთქმულება რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და სრულიად გასაკვირი არ არის, რომ, როგორც პირველი ცდა და, მაშასადამე, ბევრ საამისო გამოცდილებას მოკლებული, ეს აჯანყება დამარცხებით გათავდა. ასი წელიწადი კიდევ იბოგინა, ამის შემდეგ, მეფის ბიუროკრატიულმა წყობილებამ. მან გაასამართლა არა მარტო დეკაბრისტები, არამედ ბევრი პატიოსანი მებრძოლი და შეთქმული უპატიოსნებასა და ტირანიაზე დამყარებული მეფის ტახტის წინააღმდეგ, სანამ ძლევა - მოსილმა მუშა - ხალხმა უსასტიკესად არ გაასამართლა თვითონ მეფე და მთელი ის წყობილება, სადაც მტკიცედ იყო ჩამდგარი მეფის ტახტი, რომელიც ძირიანფესვიანად ამოაგდო აქიდან და სრულიად აღგავა პირისაგან ქვეყნისა ამ „სასტიკმა მსაჯულმა".

## ივლისი 23 სამშაბათი

**1920 წ. პოლონეთის წინადადება დროებითი ზავის შესახებ.**

ჯერ წარმოუდგენელია პოლონეთთან ზავი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სანამ იქ „პილსუდსკები" ბატონობენ. ხოლო თუ კი რამეფრად მაინც აოსებობს რაიმე ზავი პოლონეთთან, იგი მაინც ყოველთვის „დროებითია", ვინაიდან, შენ აზრადაც რომ არ მოგდიოდეს ამ ზავის რითიმე შებლალვა, არა გაქვს არავითარი გარანტია, რომ მას არ შეგილახავს მოპირდაპირე, ვინაიდან პილსუდსკები ისე ერთ წუთსაც ვერ გასძლებენ, რომ შენი უსაზღვრო მშვიდობიანობითა და პატიოსანი შრომით დატვირთული ნერვები ან ხმლის ჩხარუნით არ გაგიღიზიანონ, ან კიდევ დეზების გულის გამაწვრილებელი ჟღარუნით.

## ივლისი 24 ოთხშაბათი

**1917 წ. დაიწყო გამოძიება 16-18 ივლისის აჯანყების გამო.**

ეს აჯანყება მოაწყო პეტროგრადის პროლეტარიატმა თაღლითი და მოღალატე დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. მას, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია ლენინის მეთაურობით. აჯანყება დამარცხდა და დროებითი მთავრობაც შეუდგა იმის გამოძიებას, თუ ვინ მეთაურობდა აჯანყებას ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვინ იყო მისთვის ყველაზე უფრო საშიში, რათა ამათი ჩამოშორებით განემტკიცებია და განეხარგძლივებია თავისი ბატონობა. არ ვიცით, მოასრულა თუ არა ამისი „საფუძვლიანად" გამოძიება უბადრუკმა კერენსკის მთავრობამ, ხოლო რომ ეს მთავრობა სავსებით წარეცხა პირისაგან ქვეყნისა ოქტომბერში განმეორებულმა ამავე აჯანყებამ, აი, ამას კი აღარ ეჭიოვება არავითარი გამოძიება.

## ივლისი 25 ხუთშაბათი

**1917 წ. დროებითი მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯის აღდგენა.**

ბოდიშს ვიხდით ხკითხველის წინაშე, რომ ისევ დროებითი მთავრობის შესახებ გვიწევს წერა. მაგრამ ეს კალენდარის ბრალია და არა ჩვენი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ დროებითი მთავრობის ყოველი მოქმედება მართლაც რომ დროებითი და მალე წარმავალი იყო. ასეთი ბედი ეწია სიკვდილით დასჯის გაუქმებასაც, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, და, როგორც აქვე გვაქვს აღნიშნული, იგი ისევ აღდგენილ იქნა დროებითი მთავრობის მიერ. რა თქმა უნდა, როცა აუქმებდენ სიკვდილით დასჯას, ხელმძღვანელობდენ ქრისტეს მცნებით და საერთოდ საღვთო წერილის მორალით: „არა კაც ჰკლა". არვინ იცის, რითი ხელმძღვანელობდენ სიკვდილით დასჯის ისევ აღდგენის დროს. ის კი ცხადია, რომ ეს ზომა მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ დარჩენილა პატივ უცემელი არც საღვთო წერილი, სადაც სწერია: „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარსწყმნდესო".

სწორედ ისე, როგორც წარსწყმნდა ამ შემთხვევაში „მახვილის ხელში ამღები" დროებითი მთავრობა.

## ივლისი 26 პარასკევი

**1927 წ. გაიხსნა ზაჰესი.**

ორად ორი სიტყვა: „გაიხსნა ზაჰესი" საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ნიშნავს მთელი უახლესი ისტორიის უძირო შინაარსს, ესე იგი, უთვალავ თავებს, ფურცლებს და გვერდებს; შინაარსს, რომელიც ყველა მომავალ თაობათა თუ დღევანდელ კეთილშობილ ადამიანთა გულს ავსებს იმედითა და გამარჯვების ურყევი დაჯეოებით. როცა ამას ვამბობთ ჩვენ, აგრეთვე იმასაც ვგულისხმობთ, რომ ყველას არ გახარებია ზაჰესის მოვლინება. არის ანდაზა: „ქურდს რა უნდა და—ბნელი ღამეო". ზაჰესმა კი ერთის დაკვრით მოსპო ბნელი ღამეების ჩვენში ოდესმე არსებობის თვით შესაძლებლობაც-კი.

მაშასადამე, ქურდებსა და ცუდათ მავალ ადამიანებს, რომლებიც მშრომელი კლასის დაჩაგვრასა და დამონებაზე სცდილობენ თავიანთი ბატონობის ტახტის დამყარებას, ზაჰესის შუქი არა მარტო თვალში, პირდაპირ გულშიც ხვდებათ და ხვდებათ არა როგორც ცხოველმყოფელი და დამაამებელი სინათლე, არამედ როგორც მწველი ცეცხლი და მმუსვრელი ელვამეხი.

## ივლისი 27 შაბათი

**1794 წ. რობესპიერის ჩამოგდება.**

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დიდი ტრიბუნი და დიქტატორი, რობესპიერი, სანკიულოტების ლიდერი, პარიზისა და მთელი საფრანგეთის დაბალი წოდების ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, იყო აღფრთოვანებული და მოუსყიდველი რევოლიუციონერი. მარატის ლიოსეული მემკვიდრე და განგრძნობა, თუ შეიძლება ასე ითქვას. რობესპიერის ხანა — ეს უფრო დაბალი ფენების ბატონობის ხანა იყო, რომელიც მალე შესცვალა ცნობილმა დირექტორიამ, ხოლო ამ უკანასკნელმა თანდათან ნაპოლეონ ბონოპარტს დაუთმო და შეუმზადა სამეფო ტახტი. ამ რიგათ, ტახტის დალეწით დაწყებული რევოლიუცია, რომელშიც რობესპიერი ისეთ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, რომ იყო მეფე ლიუდოვიკის სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი ავტორთაგანი, იმავე რობესპიერის სიკვდილმა თანდათან ისევ მეფობის აღდგენამდის მიიყვანა.

## ივლისი 28 კვირა

**1914 წ. დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი.**

თითქმის ოთხი - ხუთი წლის განმავლობაში ამ ომმა შეარყია მთელი ქვეყნის მეურნეობა, დასცა და გაალატაკა ისეთი სახელმწიფოები, როგორიც იყვენ გერმანია და ავსტრია. ეს უკანასკნელი თითქმის სრულიად მოსპო და გაანადგურა. საფიქრალი იყო, რომ ასეთი დიდი და მწარე გაკვეთილი ხალხს ჭკუას ასწავლიდა და ომიანობის ყოველგვარ საბაბსა თუ მიზეზზე ხელს აალებინებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯიუტი იმპერიალიზმისთვის ჭკუის სწავლება არაფერს არ შესძლებია. ის ისეთ კუზიანს ჰგავს, რომელსაც, როგორც ანდაზაშია ნათქვამი, მხოლოდ სამარე გაასწორებს. რაკი საქმე მარტო სამარეზეა დამდგარი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სამარის გაჭრაც დიდათ არ დაიგვიანებს.

**მაზირა**

# ბახმაროს ფოსტა






ალაჰხმა უწყის რა დის მოვა ბახმაროს ფოსტა,
(თუ ავდარია, სომლიაზე იგი ისვენებს.
ნალორჯუმალო, ნიაღვარი დაახრჩობს ცხენებს)
და გამოსულს მოედანზე გვიხდება მოცდა.

ყოველ საღამოს იმართება დიდი მიტინგი.
ხალხი თავს იყრის ფოსტის ახლოს შავზღვის ოდენა.
მაღლობზე ცხენი ჩავლადარმა, ჰა, ამოდენა.
შეიძრა ხალხი... ყველას მიაქვს ფოსტისკენ დინგი.

მისჩერებიან. ჰა, გამოდის ფოსტალიონი.
მიწევ-მოწევა. კვლავ ჩოჩქოლი და ქურთაგლება.
აცხადებს გამგე: „მოქალაქენო, ჰა, დარიგდება“.
და ყოველ გულში სიხარულის ფეთქს ალიონი.

აჰა: წამოდგა „ტრიბუნაზე“ ვით ორატორი.
იძახის გვარებს. „აქ ვარ“! ისმის სხვა და სხვა ხმაზე
და წერილები ვით მტრედები ფრ[illegible]ავეს ცაში.
მისდევს პატრონი... და დაიჭერს ვით წიწილს ქორი.

არის სიცილი და ხარხარი „საკილო“ გვარზე
ეს ფოსტა არის მთელ ბახმაროს თეატრი, კინო
(სხვა გართობა კი — რესტორანი, ადესის ღვინო,
და ტყეში წასვლა ძმა-ბიჭებით ლამპრისთვის კვარზე)

მოხიფული.



# ჯვრის-წერა



— გვირგვინ იკურთხების მონა ღვთისა მარსი მხევალსა ზედა ღვთისა მშვიდობიანობის ანგელოსსა ზედა.

# ხულიგანი

ტრესტის მოლარე ქალი—„ორმოცი წლის ქალწული" თინა დღეობას იხდიდა. მისი მორთული ოთახი სტუმრებით იყო გაჭედილი.

ოთახში ერთი შუა ხნის, ახმახი, ღიპ მოშვებული და სახეზე ჭორფლგადაკრული კაცი შემოვიდა:

— საბინაო სექციის გამგე ჩიყვაძე!

— საბინაო სექციის გამგე ჩიყვაძე!

— საბინაო სექციის გამგე ჩიყვაძე!

მკაფიო და სერიოზულ კილოთი გააცნო ცალკ-ცალკე თავი ყველა დამსწრეებს და სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

— საბინაო სექციის გამგე!..

— მის ხელშია სასახლეები!..

— სახლები!..

— ბინები!..

— ყველა ოთახები.

— ბრძანებს და...

— შეუძლია ჩაასახლოს..

— გამოასახლოს...

— წაგართვას...

— დაგიბრუნოს...

— დაგაქციოს...

— აგაშენოს...

— ეგ არის ბატონ-პატრონი, მაგისაა მთელი ქალაქი.

ამ ფიქრების შემდეგ სამი ქალიშვილი: პელო, ნუნუ და მერი დიასახლისისაკენ გაემართენ და თითქმის ერთ და იმავე დროს შეეკითხენ:

— ცოლიანია?

— ქვრივი ხომ არ არის?

— ცოლი სადა ყავს?

კეთილმა დიასახლისმა ღიმილით უპასუხა.

— რა ქვრივი, რის ცოლი, გენაცვალეთ, აქვეა. პირდაპირ სასიძოთ არის გამზადებული. აბა თქვენ იცით! გადადით იერიშზე თუ შეგიძლიათ.

პელოს და ნუნუს მოწყენილობა დაეტყოთ: პირველს ნაყვავილარი სახე და ელამი თვალები ჰქონდა, რომელთაგან ერთი დილომისაკენ იყო მიშვერილი და მეორე ავლაბრისაკენ იყურებოდა. ნუნუს სახეს არა უშავდა, მაგრამ იმ სისხო „სახაშე" ფეხები ჰქონდა, რომ მისი „ესთეტიური კახპები" ლევარსი ოოხროხაძესაც კი დააფრთხობდა. მხოლოდ ლამაზმა მერიმ იგრძნო რომ მას მეტოქე არავინ ჰყავდა, ბურთი და მოედანი მას ქონდა დარჩენილი. გადაწყვიტა „დიდი კაცის მართლაც იერიშით აღება.

— რათ გაურბით საზოგადოებას? მართალია დიდი კაცი ბრძანდებით, მაგრამ,—თამამად ჩაულაპარაკა მერიმ.

— რა დიდი კაცი, ქალბატონო... დიდი კაცი მხოლოდ ჩემს კაბინეტში ვარ!—უპასუხა ჩიყვაძემ და თან მორცხვად დაუმატა:

— ქალებთან კი განსაკუთრებულ მორცხვობას და თავდაბლობას ვარ ნაჩვევი.

— ხა-ხა-ხა-ხა!—ეშმაკურად ჩაიცინა მერიმ:—თქვენისთანა ყოვლის შემძლე მოქალაქე, რომელსაც შეუძლია ხუთოთახიანი ბინა დაიჭიროს, სრულებითაც არ საჭიროებს ქალებთან მორცხვობას.

— სამწუხაროთ, ქალის გული ბინა არ არის. არ შეიძლება მათზე ორდერის გაცემა, ჩამორთმევა, ან მასში ძალით ჩასახლება... გულცივები ხართ ქალები...

— გულცივები შავთმიანი ქალები არიან....

— თქვენ კი? თქვენ ქერა ბრძანდებით, არა?

— როგორც ხედავთ!..

— მაშ თქვენი გული თბილია?—წარმოსთქვა ჩიყვაძემ და ხარისებურ თვალებზე ღიმილმა გაურბინა.

მერი გაწითლდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მერი მიხვდა რომ ჩიყვაძის გული „ერთი დაკვრით" აიღო და მის თავში ოცნების მთელი ოკეანე გაიშალა: ხუთ ოთახიანი ბინა... ქალაქის ცენტრში... სასტუმრო დარბაზში მერის როიალი. ფართე აივანი.,. აბაზანა... სამზარეულო. სტუმრად მოსულ მეგობრების ხარბი თვალები...

ჩიყვაძე არც ისე მორცხვი აღმოჩნდა და მერის „საქმე" იმ ღამესვე გაიჩარხა.

— ხვალვე მოვიყვან მუშებს შენი პიანინოს სადგურზე წასაღებათ.—უთხრა ჩიყვაძემ მერის გამოთხოვებისას ნაქეიფარმა „საქმრომ" ღილგადახსნილი მეორმოცეთ ჩაკოცნა მერი.

— როგორ, სადგურზე—ხმის კანკალით შეეკითხა გაფითრებული მერი.

— მე სამაზრო ქალაქის საბინაო სექციის გამგეთ ვითვლებოდი, მაგრამ პარტიიდან „გამრიცხეს". სანამ საქმეებს ახალ გამგეს გადავაბარებდე, სოფელში უნდა გავიარო... ოკრიბის მხარეში... ყანებს მივხედავ...

— არამზადა! ხულიგანი!—ისტერიულად დაიყვირა ელდაშემოყრილმა მერიმ და ღამის სივრცეში მიიმალა.

მედუზა.

# ჩვენი დროის ლიუდოვიკ მე-16 ე



ი. ნოზაძე (ლიბანის სანატორიუმის მნე): — ლიბანი, — ეს მე ვარ!

# იაკინთე ქლაკვაძე

— იაკინთე ქლაკვაძე! — დაიძახა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ.

— აქა გახლავარ, ტავარიშჩ კამისია! — წამოიძახა ხმამაღლა იაკინთემ და ბარბაცით წარუდგა კომისიას.

— რა გვარი ხართ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ქლაკვაძე! უპასუხა თავშეკავებით იაკინთემ და ულვაშებზე გადისვა ხელი.

— ცოლი გყავთ, თუ არა?

— იმე! მყავს, აპა, ბერი კი არა ვარ!

— სამოქალაქო წესით შეირთე, თუ საეკლესიოთი.

— ასტეც და ისტეც.

— როგორ თუ ასტეც და ისტეც?!

— „მმაჩშიაც" მოვაწერე ხელი და გვირგვინიც ვიფსკვენი. ქალი არ დამთანხმდა უეკლესიოთ და იმიტომ! — წაილუღლუღა იაკინთემ, ღვინომ სძლია და წატორტმანდა.

— ღვინოს სვამთ, თუ არა?

— იმე! ვსვამ აპა, სად გაგონილა, რომ ქართველმა კაცმა ღვინო არ დალიოს.

— ქელეხში თუ ყოფილხართ?

— იმე, ცოცხალი კაცი ქელეხშიაც წავა, ქორწილშიაც და ნათლობაშიაც!

— ვისთან ქეიფობთ ხშირად?

— ყველასთან. მე, როგორც კომუნისტი, ყველა მიყვარს და არ ვარჩევ არავის.

— ფოდრაჩიკებში თუ ქეიფობთ?

— იმე! ფოდრაჩიკი რაია, ვითამ! კაცი არაა თუ! მე ყველასთან თავდაბალი ვარ, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტია.

— კმარა. თავისუფალი ხართ, მიბრძანდით.

იაკინთემ გამომშვიდობების ნიშნად თავი დაუკრა კომისიას.

სახლში იაკინთე ტრაბახით იკლებდა იქაურობას, თუ როგორ გაიმარჯვა წმენდაში.

ორი კვირის შემდეგ გამორიცხეს პარტიიდან ჩვენი იაკინთე, ჩამოხადეს მოოქრული რევოლვერი და გადააყენეს სამსახურიდან.

ცოლმა თავი მიანება უბედურ იაკინთეს: „მე გარიცხული ქმარი არ მინდაო" და წავიდა.

ასე დარჩა გაბრილადებული ჩვენი იაკინთე ქლაკვაძე.

გოგია.

# „ფუტკარი" და „ბუზი"

### მიბაძვა კრილოვის

დილიდან საღამომდე
ბევრი აქვს საქმე საქმწარმს.
ერთგული მუშაკია,
მას თაღლითობა არ სწამს.
საქმეში თავჩაფლული,
თავს იგი არ სწევს მაღლა
ჩამოდის ოფლი ღვარად,
მაგრამ არ იცის დაღლა.

—:—

საქმეთ-მმართველი მოდის
და საქმწარმს ეუბნება:
„ო, მებრალები, ძმაო,
რომ არ გაქვს მეტი ნება.
მთელი დღე საქმეებში
ჩაგირგავს შენ მაგ თავი.
ენის თქმას ვერა ბედავ,
და ხარ ყველასთან კრავი.
მე მაინც შემომხედე,
თუ როგორ ვხარჯავ დროსა.
გავსუქდი... დავემგზავსე
მწიფე დიდ საზამთროსა.
გავიელი, გამოვიელი,
გადავხედ-გადმოვხედავ.
(ორმოც თუმნამდე თვეში
აი, ამაში ვხვეტავ!).
იქ მემანქანეს ვუჩქმეტ,
აქ თვალს ჩავუქნევ სონას,
და დერეფანში დარაჯს
ვუყვირებ როგორც მონას
დავდივარ სადაც მინდა,
ლხინში ვარ დღე და ღამე
საღამოს დავსეირნობთ
ავტოთი გამგე და მე.
თუ კი გამართეს სადმე
ლხინი და წვეულება,
ჩვენ ვჯდებით სუფრის თავში
ასე გვაქვს ჩვეულება".

—:—

საქმწარმა უთხრა: „მიკვირს
რად ამბობ შენს ამბავსა?!
არაფერს არ აკეთებ
და კიდევ იქებ თავსა?!
ამიტომც იყო, რომ შენ
ყველგან მოგაბეს უესტი.
შემოგივლია: ბანკი,
სინდიკატი და ტრესტი.
შენ ყველას ეჯავრები,
გერეკებიან კარში.
აქაც პანღურსა გკრავდენ.
გამგე არ გედგეს მხარში".

—:—

მიუგო საქმმართველმა:
„თუმცა მაგდებენ ხშირად
მაგრამ შემოსვლა ისევ
მე არ მიჯდება ძვირად.
კარიდან გამაგდებენ,
ფანჯრიდან შევცოცდები
შენ არხეინად იყავ,
არადროს არ მოვცდები".

ზმ

# ანთიმოზის აზრი

— რავა გეკადრება, ანთიმოზ, ასეთი დაჩემება. განა, მე კი ვარ მაგინის მტერი? მაგრამ მტრობა ერთია და სინამდვილის შეფასება მეორე...

— მაშ, როგორ გგონია შენ, დეიწყება, თუ იცი?!.

— უეჭველად! შენც კარგათ იყავი და მეც, სხვა დარდი არაფერი მოგვცემოდეს, მხოლოდ ამ თუთხმეტ დღეში კი უეჭველად გავარდება!

— რა გავარდება, ყარსუმ, რას ამბობ?

— რავა ბავშივით მეკითხები, რა უნდა გავარდეს, თუ იცი?—თოფი, ზარბაზანი, ბომბა, ზურნა და მისი ნაბადი.. არ იცი, რა უნდა გავარდეს ომში?!.

— მაშ, შენის აზრით, ომი დეიწყება?!.

— როგორც მე შენ გხედავ და შენ კიდევ—მე!..

— კი, მაგრამ ასე დაბეჯითებით, რომ ამბობ, უეჭვო საბუთიც ხომ უნდა გქონდეს ხელთ.

— საბუთი მქონდეს ხელთ რავა, ამ ნოტების რიხინ-რიხინმა შენამდის თუ ვერ მოაღწია ჯერ კიდევ, არ ვიცი, თორემ ქვეყანას შიშისა და ფიქრისაგან ლამის ჯაგარი აუყენოს ყალყზე...

— რას ამბობს, ყარსუმ ჩემო. ნოტებს რომ რამე შესძლებოდა, ჩვენი გოსკონსერვატორია სულ ერთავად ბრძოლის ასპარეზი უნდა ყოფილიყო...

— ხუმრობა იქით იყვის და ერთ დროს მაგიც ქე იყო მასთე, ჩემო როსტომ, მაგრამ მე სამასხაროთ კი არ გეუბნები, მე ნამდვილ ნოტებზე მოგახსენებთ, აი, სახელმწიფოებ შორის რომ იციან იმათი გაცვლა-გამოცვლა ხოლმე.

— ეს არაფერი, ჩემო ყარსუმ, ნოტები კი არა, ზოგჯერ ულტიმატუმებიც კი ბათილდება და ყალბდება ამ მიმართულებით... აღარ გახსოვს კერზონის ულტიმატუმი?!

— ეე, შენს პირს შაქარი, ჩემო ანთიმოზ, კერზონი კერზონია და საქმენი მისნი არიან კერძონი, ხოლო ის კი ნუ დაგავიწყდება, თუ ახლა საქმე ვისთან გაქვს...

— ჰო, ვისთან?

— ვისთან და ჩინელ დუბანთან...

— მერე, რა? შენის აზრით, ჩინელი დუბანი კერზონზე უფრო დიდი კაცია თუ?!

— არა, შეიძლება უფრო დიდი კაცი არ იყვეს, მაგრამ ხომ გაგიგონია: „სუსტი მტრის უფრო უნდა გეშინოდის"?!. მე ერთი ანეგდოტისებური ამბავი გამიგონია. არ ვიცი, მართალია თუ ტყუილი: გინდენბურგს შეეკითხენ თურმე საერთაშორისო ომის დროს: ვისთან უფრო ხელსაყრელია ბრძოლა, საფრანგეთის ჯარების მთავარ სარდალთ ფოშთან თუ რუსეთის მეფის არმიის ერთ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ გენერალ სალტიკოვთანო? ამაზე მან იცი, რა უპასუხა თურმე „თქვენი რა გითხრა და მე კი მარშალ ფოშთან ბრძოლა მირჩევნია, იმიტომ, რომ როცა ფოშთან ვიბრძვი, ოპერაციებს ვაწყობ თანახმად სამხედ. ხელოვნების უკანასკნელი სიტყვისა, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ფოშიც ისევე აწყობს ჩემს წინააღმდეგ მოქმედების გეგმებს. სალტიკოვისაგან კი ამის იმედი არ მაქვსო. აქ მეც იძულებული ვარ ისევე ბრმად ვიმოქმედო, როგორც ბრმად და ყოველგვარ ხელოვნებისა, თუ მეცნიერების გარეშე მოქმედობს თვითონ სალტიკოვიო".

ამ ანეგდოტის აზრი ხომ გესმის? ჰო და რაღად გიკვირს, თუ მე დუბანისა უფრო მეშინია, ვიდრე თავის დროზე კერზონის მეშინოდა.

— არწენად იყავი, ჩემო ყარსუმ, დუბანი და მისნი მსგავსნი თუ ქვეყნის ქვეშ რაღაცაებს ძიედ-მოედებიან, ჩვენი კარახანიც არ ახანებს, თუ გეშინია, ესეც ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს იმათ გაიძვერულ მოქმედებებს.

— რამდენ ერთს უნდა ადევნოს თვალი, ჩემო ანთიმოზ, რამდენს!.. იქით დუბანი და ჩან-კაიში, აქეთ—პილსუდსკი და პუანკარე, ეგერ იქით კიდევ—ბაჩეისაკაოა თუ რაღაც მხეცი, რომელსაც ვერაფერი პაკტი ვეღარ აკავებს და კიდევ რამდენი, მე, რა ვიცი!..

— მერე რა? დიდ წვიმებს ბევრი სოკო მოყვებაო, ხომ გაგიგონია?

— არ მესმის.

— რა დიდი გაგება უნდა მაგას. წარსულ იმპერიალისტურ ომში იმდენი სისხლი აღდნეს ქვეყნის ყაჩაღებმა, რომ რომელი დიდი წვიმა შეედრება ამას...

— მერე?

— მერე და ხომ იცი, როგორ დაიწყო ეს ომი?

— ჰო, როგორ?

— როგორ და, არავინ რომ არ ელოდა, ისე, უცბათ, მოულოდნელად გავარდა თოფი.

— ჰო და მაშინ თუ არავინ არაფერს ელოდა და ისე უცბათ კი გამოშვავდა იმხელა ომი, ახლა, ამდენი ამბები რომაა ირგვლივ ატეხილი, ამას მთლად ქვეყნის დაქცევა არ უნდა მოყვეს ახლა?

— მაშ, შენის ფიქრით, საფრთხილო და საფიქრებელი აღარაფერია?!

— არა, მე იმას არ ვამბობ, რომ ყველაფერი თავის რიგზეა, რომ საფრთხილო და საზოუნავი აღარაფერი გვაქვს, რომ გულზე ხელები მშვიდათ უნდა დავიკრიფოთ და ასე ვუყუროთ მათ ხმიან პატიოსნებას—მეთქი. მა-





ოიგბორ ხვდებიან „მშვიდობის მოციქულე ბი" ამხ. ლიტვინოვის სიტყვას განიარაღების შესახებ „სამშვიდობო" კონფერენციებზე.

# საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სადარაჯოზე



ამხ. ლიტვინოვი

მეგობრული შარჟი როტოვის.

რთალია, ნათქვამია: „შემპარავი ძაღლი უარესია მყეფარაზე“-ო, მაგრამ დღევანდელი დღის ამ მყეფარა ძაღლებსაც სათანადოთ ვუთვალთვალებთ, ნუ გეშინია. ტყვილა კი არ გამოგვიწყია წითელი ფრონტის დღისათვის ეს გაუგონარი მზადება მთელ სოფლიოში. იმათ უნდათ შექმნან შავი ფრონტი, თავიანთი შავი ზრახვების განსანაღდებლად, მაგრამ ჩვენ მათ ამ შავს ფრონტს ჩვენს წითელ ფრონტს ვუპირდაპირებთ, ომს ომით ვუპასუხებთ და ვნახავთ თუ ვისი გაიტანს

კაი იმედი მოგცეს ღმერთმა, ჩემო ანთიმოზ, მაგრამ რა ვიცი... ისე ... თუთხმეტ დღეში კი უნდა გამოირკვეს ყველაფერი, ჩემის ფიქრით...

— ერთი კი უდაოა: ეს 15 დღე... როგორც ყოველთ დრო ამიერიდან, იმუშავებს იმათ საზიანოდ, ანისიმე,

## „უწინასწარმეტყველა"



— გაგიხმეს მაგ ენა! ყოველ გამოსვლისას ყვავივით ჩამძახოდი: „ჩისტი... ჩისტი"-ო, — და მართლაც „გამომჩისტეს" პარტიიდან.

# სამტრედია-ხონი

მითქმა - მოთქმამ ᲮᲝᲜᲖᲔ,
შემიწუხა გული!
და ვიმგზავრე ტანჯვით,
წვით, წვევით და კრუნჩვით.
სამტრედიის სადგურს,
რომ განვშორდი ცოტა,
ოხვრა მგზავრებისა
ისარივით მომხვდა.
ეხვეწები: ეტლი
რა ღირს ხონის გზაზე?!—
პასუხის კი ისმის
სხვა კილოზე, ხმაზე.
განზე გადახედვით
ფიქრი სადღაც მიყავდა'
რომელიც არ ესმის
ცასა, არცა მიწას.
ლოდინისა შემდეგ
გეტყვის ზლაზვნით ფასებს,
რომელიც რომ გულში
სევდას დაგიარსებს.
თურმე არ არსებობს
ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲮᲠᲘ!
თუ სურთ ტყავს გაგაძრობს—
მათ წინ თავსა იხრი.
გაჩნდა სულში შფოთვა,
გლოვა —სიმწუხარე
და დავტოვე უცებ
სამტრედიის მხარე.
თითქოს მიჰქრის ეტლი
(უფრო მიბოგინობს),
ამსხვრევს გზაზე ლოდებს —
ხრამებს აღარ ინდობს.
გზა ასეთი ფერის
არ უნახავს თვალებს!
დღით აშინებს მზესა,
და ღამით კი მთვარეს:
ათჯერ შესდგა გეგმა
დაილალა ძალა!

ხარჯი ხარჯებს მიხდევს—
(გული გაიბზარა)
და მაინც გზას გზათა
ჯერაც ველარ ვხედავთ!
(ზოგი უხმობს მამას
და ზოგი კი დედას).

მივაღწიე ᲓᲐᲜᲘᲠᲡ
და ᲥᲣᲢᲘᲠᲘᲡ საზღვარს!
თურმე ეტლი დიდხანს,
აქედან ვერ დაგძრავს.
ჩვეულება—ადათს
აქ გაუდგამს ფესვი!
თუ არ დაჰპატიჟე,
ქვასა თავში გესვრის.
ოდეს გამოძლება
და გაგჯება მუქთად!
საცოდავი ცხენებს,
საცოდავად ურტყამს.
მიყვარს შრომის კერა,
მიყვარს შრომის ბუდე!
ოდეს ვუმზერ მშრომელს
და მშრომელთა გუნდებს.
მიტომც შევიჭერი,
ᲮᲝᲜᲘᲡ ᲫᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ —
რომ გემეგო მისი
საქმეა თუ რაში.
შეკითხვაზე მუშამ
მიპასუხა ასე:
ძმაო, ჩვენ თვალები
ცრემლებით გვაქვს ხავსე.
გვინდა წარმოებას ვემსახუროთ გულით!
მიმოვფინოთ ირგვლივ.
ძმობა—სიყვარული.
მაგრამ ამ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ
(ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲐ გვარად)
მოგვისია ფიქრი
მწკრივათ, გუნდათ, ჯარათ.

არ სწამს მუშის კილო,
და არც ხსენებაცკა
ე, ვინ მოარჯულებს,
ამ უტიფარ კაცსა.
პარტ-ბილეთით [illegible]
ვით ავი-ზნე, ბნელა!
ველოდებით, როდის
მივა მასთან წმენდა!—

დავლონდი და ᲑᲐᲖᲐᲠ...
სევდით ვაკვირდები!
ქუჩა ქუჩას არ ჰგავს —
ძალზე შეწუხდები.
სიბინძურე ირგვლივ
ბაზრის წინ და უკან!
სიმშილითა ვკვდები.
ველარ ვიღებ ლუკმას
რესტორანებს შორით
ჩაუარე როცა,
სიმშვიდემ და ფიქრმა
მე გზა დამილოცა.
გინება და ლანძღვა,
არღანი და დოლი.
(შფოთვა მოდის ჩემ-
ვით წითელი ზოლი)
აღარა სჩანს არსად
ხონის მილიცია!—
(თვალწინ რაცა ხდება
ნუ თუ არ იციან?!)
მასზე მითხრეს ბევრი,
არა სასურველი! —
ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲝ—ᲚᲐᲓᲝ
შენგან შველას ველით

ᲐᲛ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ ᲐᲙᲐᲙᲡ
უნდა ვუთხრა რამე!
რატომ უყვარს ნისლი
და შავ-ბნელი ღამე.
იგი სადაც იყო
ეს ჩვენ კარგად ვიცით
(აღარა გვწამს მისი,
რწმუნება, არც ფიცი)
ისიც ვიცით კარგად
იყო კომკავშირში!
რომელმაც რომ ქალებს
აუტეხა შიში.
ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ ჰპოვა.
ისევ თბილი ბინა!
ᲙᲐᲙᲝᲡ გამწმენდელი
ვინ იქნება, ვინა?!

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲖᲔ ბევრი
ამბობს გულისწყრომას! —
ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ სწორად
წამალს აღარ სწონავს.
ამზადებენ რეცეპტს
თურმე მუდამ გვიან!—
ავადმყოფნი სწუხს და
ცხარე ცრემლებს ღვრიან.

ვნახე უსაქმური
ქალების გროვა!—
(სულმა იგრძნო ოხვრა,
გულმა დიდი გლოვა)
ᲛᲝᲓᲐ არის თურმე
ყველაფერი მათი!
ასეთები არის
ათეული ათი,
დილით—საღამომდე,
ბაზარშია ყველა! —
(ლაზღანდარა ქალებს,
აუტეხოთ ხვილა).

სულიც რომ ამოძვრეს,
ვერ დავტოვებ ლიათ!
საყვედური ხალხის ტეხნიკს —
ᲡᲘᲛᲝᲜ ᲥᲝᲠᲥᲝᲚᲘᲐᲜᲡ.
უყვარს მუშის ტუქსვა,
უყვარს მუშის ცემა!
არ შეერგოს ᲡᲘᲛᲝᲜᲡ,
მუშის პატივცემა.
კიდევ ბევრი რამე
არ მსურს მოვიგონო!
ჯერ-ჯერობით კმარა...
აწ მშვიდობით, ᲮᲝᲜᲝ...

ᲨᲐᲒᲜᲔᲚᲘ ᲑᲖᲘᲙᲐ

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ნახ. ალ. ზასეევის



— მამაჩემო, იმ პოლიციელის როლს შენ უკეთესად შეასრულებ, როგორც ძველი პრისტავი.
— სსსს! შე სულელო! ვინმე გაიგებს და... აპარატის წმენდაში მოვხვდები.

ნახ. ლაშხიასი



— ქალო, ხედავ: გრიგოლს რამოდენა პორტფელი უჭირავს! უთუოდ დიდი თანამდებობა მიუღია და სამსახურში მიდის.
— სამსახურში კი არა, ბაზარში მიდის.

ნახ. დ. ბახტაძის




— ბილეთი ძვირია. აქებენ ხასაცილოა, მარა ისეთი რა უნდა იყოს, რომ თოთხმეტი შაური ღირდეს? თოთხმეტ შაურად „მუშა"-ს და „ტარტაროზს" გამოვიწერ და მთელ თვეს ვიცინებ.

ნახ. გრ. ქარჩავასი.



— თქვენ სილარიბის მოწმობას ვერ მოგცემთ!
ნათამადარი: — რავა!? სილარიბის და სიგლახის მოწმობას ვთხოულობ და იმასაც არ მაძლევთ!?

ნახ. დ. ბახტაძის



— რესტორანიდან რომ გამოდით, ქუჩის რომელს მხარეზე მიდიოდით?
— ორივე მხარეზე!

ნახ. დევნილ...



— მე ასათი ვერაფერი გამიგია! მეუბნებიან: „ნაცვლად იმისა, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა გეწარმოებინა, შენ თვითონ დამთვრალხარ სააღდგომოდ და უწესობა ჩაგიდენია"-ო... ჩხუბის დროს 8 კაცს კი გაუტეხე თავი, და მეტს ვერც სიფხიზლეში შევსძლებდი!

# ჯოჯოხეთის კუთხე

**„აქტივისტებს": სანდროს, სერგოს**
**დიდი ლუკმა უნდა ერგოს.**
**დათიკო, რომ მღერის „ნანას",—**
**ვლადიმერი იძრობს დანას.**

სამაგალითო „აქტივი" ჰყოლია სოფელ ვანს, (გურია).

კლუბის კეთილმოწყობის მიზნით გაიმართა საღამო ბუფეტით. (კლუბი რომ კულტურული დაწესებულებაა, ეს ვანის „აქტივმაც" იცის), მას დიდი შემოსავალი ჰქონდა:

თუმცა ღვინო იყო ძვირი,
მათ გაიღეს დიდი წვლილი.
„შევეწიოთ ჩვენს კლუბსაო,
ყველა გავხდეთ გალეშილი".
—(ყლუსწი).

საღამოს გამოცოცხლების მიზნით „აქტივმა" მოაწყო წარმოდგენა. ვლადიმერის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა „დაკა-დაკა", თავტეხობია რამოდენიმე ცხვირით.

ბოლოს, როცა შემოსული ფული მოიკითხეს. აღმ... რომ

ბუფეტში ანგარიშის დროს
აღარ აღმოჩნდა ფულია.
სანდროს და სერგოს მიერ-ო
ეს ფული გაქაფულია.

...ალა. ხოლო კარგ ხასიათზე ვერ იყვნენ ზოგი თავგატეხილები; მიუხედავად ამისა უკმაყოფილება არც იმათ გამოუთქვამთ.

**ცა—პაპახად, მიწა—წაღად...**
**თავს გრძნობს შაჰხათ, ბატონ-აღად.**

აი, ასე აღრმავებს ვანის „აქტივი" კულტურულ რევოლიუციას. დამსწრე საზოგადოება „ნასიამოვნები"

მართლაც ბაღდადია გიორგი ქციტიშვილისათვის ბაღდადი.

მართალია, ბაღდადში არის ხელისუფლების სხვა ორგანოებიც, მაგრამ შეიარაღებული ძალა (მილიცია) გიორგის ხელშია. ამიტომაც გიორგი თავს ისე გრძნობს, როგორც ჩინელი გენერალი თავის სამფლობელოში.

არც ისე დიდი პრეტენზიების კაცია გიორგი, როგორც მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკი იყო, როცა ამბობდა: „საფრანგეთი—ეს მე ვარ". გიორგი მცირედითაც კმაყოფილდება და ამბობს: „ბაღდადი—ეს მე ვარ". ამბობს და კიდეც ატარებს ცხოვრებაში ამ დევიზს.

— ნუ გეშინია, შვილო, ღმერთის წინაშე იმდენი სამსახური კი მიგიძღვის, რომ შენს თავს დაიფარავს ყოველგვარ განწმენდისაგან!—აიმედებს დიაკვანი მამა შვილს.

მაგრამ გიორგი „ახალი დროის" კაცია და ღმერთი არა სწამს:

— შენი ღმერთი კია, პროტექტორია ჩემი მფარველი!?

— იგიც იყოს და ღმერთიც, შვილო, თორემ ამდენ ცოდვებისაგან დაცვას ერთი კაცი ,ღმერთი იქნება ის თუ პროტექტორი, ვერ შესძლებს.

— არა! მე რა უნდა მქონდეს არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო? არაფერი. ნამდვილი აზნაური ეხლა ვარ—სახაზინო ცხენი... ქეიფი... ჭამა... სმა::: ტანზე კონტრაბანდა... კავშირი საეჭვო პირებთან... ჩქარა, ბიჭო, ცხენი!—და

**შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა.**

**და უტოვებს მიწას..**
**თავისიანს იცავს—**

ამ ბოლო ხანებში უფრო და უფრო აშკარავდება, რომ ყოფ. თავად-აზნაურობა ყველაზე უფრო ეტანება ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც თავისი დანიშნულებით გლეხობასთან არიან დაკავშირებული.

საკითხი იბადება: რატომ ხდება ასე?

— იმიტომ, რომ—ჩვენ უწინაც გლეხები გვარჩენდენ... ჩვენ გვიყვარს ისინი... უმათოთ ჩვენ ცხოვრება ძალზე გაგვიჭირდება... რაკი ამდენხანს ისინი გვემსახურებოდენ, ეხლა ჩვენი რიგია, ჩვენ ვემსახურებით მათ!— ასე მსჯელობენ, ასე ამბობენ თავადები, აზნაურები, რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ჩვენ დაწესებულებებში.

ერთი პაწია მაგალითი:

მიწსახკომში (რატომღაც ამ დაწესებულებაში ბლომად არიან ასეთები!). მსახურობს ბარბაქაძე. (ეს გახლავთ ყოფილი ოფიცერი).

აი ეს პიროვნება ერთ მშვენიერ დღეს როგორც ცენტრის რწმუნებული თავად-აზნაურთა და გლეხობას შორის მიწის შესახებ ატეხილ დავის მოსაგვარებლად.

— ოოო, შენა ხარ კაცო! ქე არ გავკეთდით კაცი!—გაუხარდათ მაჭავარიანებს, ჭელიძეებს და მათ ამქრებს, რომლებსაც გასაჩივრებული ჰქონდათ ცენტრში ადგილობრივ ხელისუფლების „უკანონობა",—მათთვის მიწის ჩამორთმევა.

ჩუმად, შინაურულად, ადგილობრივ ხელისუფლების დაუკითხავად ბარბაქაძემ საქმე გამოიკვლია" და „უკანონოდ" ჩამორთმეული მიწა ისევ ძველ პატრონებს დაუბრუნა.

— ასე სჯობია, შე ნუ მომიკვდე! რა უნდა ამ გლეხებს? მიწა სულერთია ვისიც იქნება... მუშაობით მაინც ისინი იმუშავებენ. აპა, ჩვენ ხომ თოხს არ დავიკავებთ ხელში! ძაღლი რომ კუდით მიგვათრევდეს, მაინც თავად-აზნაურები ვართ.

— ჰაააა!—გაუკვირდათ გლეხებს, როცა ბარბაქაძე დაინახეს.—ეს ის ვაჟბატონი ბრძანდება, რომელმაც შურისძიების ნიადაგზე ყაჩაღობის დროს ტყისმცველ გოგიბერაშვილს ნახევარი წვერ-ულვაში მოპარსა და მავთულით ხეზე მიაბა?.. დიახ, ის ბრძანდება... არ გაგივათ, თქვენო კეთილშობილევ, თქვენი ოინი!

და, მართლაც, შემდეგმა კომისიამ გამოააშკარავა ბარბაქაძის „საქმენი საგმირონი".

საკვირველია, რომ ოქტომბრის მეთორმეტე წელზე ასეთი „გმირები" კიდევ არიან ჩვენს დაწესებულებებში.

ოქტომბრის მეცამეტე წლის თავს ჩვენი დაწესებულებები გაწმენდილი უნდა ჩავაბაროთ ყოველგვარ ჯურის ბარბაქაძეებისაგან.

**ბრაზობს ქალი კატუშა,,**
**არა მოსწონს მას მუშა.**

ქიათურის ფოსტის თანამშრომელი კატუშა გაჩეჩილაძეს ნევრები არ აეშლებოდა, რომ გამგე არ მოეხსნათ და მოხსნილ გამგის ადგილზე არ დაენიშნათ დაწინაურებული მუშა.

აი, ამ ამბავმა ისე იმოქმედა კატუშაზე, რომ ქალს აეშალა ნერვები, დაეკარგა მუშაობის ხალისი... და დღე არ არის—სკანდალი არ აუტეხოს ახალ გამგეს, რომელსაც „ნე პერევარივაეტ", (მისი სიტყვებია.).

ეჰ, ვინ იცის ადამიანს რა და რამდენი დარდი აქვს. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად საჭიროა ამ შემთხვევაში: კატუშას ნერვებს მკურნალობა ესაჭიროება. მან უნდა დაისვენოს... ამას ყურადღება უნდა მიაქციოს კომისიამ (თუ გინდ შტატის გამწმენდავ კომისიამ) და „ანტიპატიურ გამგეს" მოაშოროს ის.

სარეწკოოპკავშირის („გელხის კავში") გამგეობის თავმჯდომარე შ. გეგეჭკორმა გარშემო შემოიკრიბა თავისი ძმა-ბიჭები. ნადს დიდძალი ზარალი მიაყენა. „გაჰაფეს" 466 ფუთი თეთრი ფქვილი...

ცრაზანა.



მტერი ვერ უზამს თავის მტერს,
( კა ნადს გამგემ უქნაო.
ძმა-ბიჭებს შეფიცულებსა
გაჰქონდათ დღე-ღამ ბუქნაო.

# წერილი ტარტაროზს

## ბათუმი

ამბავი გითხრა, ტარტაროზ,
იცოდე ერთობ მწყურია,
ამიტომ გულმოდგინებით
გთხოვ, რომ დამიგდო ყურია.
გამსახლი როცა განტვირთეს, —
ამბავს იქედან ვუდგები.
გარედ გაუშვეს სულყველა
„პაცანები" და ქურდები.
მოხდა ბინების განტვირთვაც,
წაიღეს ბევრი ნივთები,
თუ ვინ წაიღო და როგორ,
ამას უთქმელად მიხვდები.
სისხსამართლის მილიციას
თავს დაესხა ქურდთა რაზმი;
შუა ქალაქში გამაგრდენ
მილიცია „მოჰკლეს" ბრაზით.
მილიციამ იბრძოლა და
კახაბრისკენ დაიხია,
ქურდები კი კვლავ მისდევენ
(აი „ომიც" ამას ქვია)
და ამიტომ ჩამოდი და
წამოიღე თან ჩანგალი,
მიეხმარე მილიციას
დაუყენე ქურდებს თვალი,
თორემ ყველა მცხოვრებლები
ვიმყოფებით განსაცდელში,
ყოველ დღე „გვწმენდს" ეს ქურდები
ამოგვწვადეს სული ყელში.
სამსახურში რომ წავიდი
სახლს დავადი თუმცა ურდული,
მაგრამ მაინც მეშინია...
გწერავ

გრიშა გაჭურდოვი.

---

# გოჭოურის „გმირი"

წინეთ იყო ჩარჩი:
გლეხებს აძრო ტყავი.
ბევრი ჩაიდინა
საქმე ცუდი, ავი.
ხან ჩაიგდო ხელში
ამი აგურხანა,
კაუდიდდა მადა...
ჰუცელს უწყო ფხანა.
მც სახელად (განგებ)
ქარხანაა სხვისი,
მაგრამ რაც შემოდის
სახრავია მისი.
ეხლაც ვერ გადურჩა
ანოს ოინს გლეხი.
ამუშავებს მუქთად
შედგმული აქვს კეხი.
ედიბერიძეები
ხელს უწყობენ ვანოს,
რომ კულაკმა საქმე
„კარგად" წაიყვანოს.
და მდიდრდება ვანო
(კულაკზე მეტი).
გადასახადს ხვდება
სარითა და კეტით.
შავ სიაში იყო,
და იქნება მუდამ...
სახლშიაც ეძახიან
ვანოს სულთამხუთავს.
ტარტაროზო ძმაო,
ბობოხიძე ვანო
ჯოჯოხეთში შენთან
გთხოვთ, რომ წაიყვანო.

გორელი.

# აკროსტიხი (ლეღვან - მარელისი)

მინდა ამბავი გაცნობოთ სოფელსა შინა თქმულია,
ამიტომა გთხოვ, ტარტაროზ, კარგა მომაპყრა ყურია,
რადგან ბევრი არს ჯერ კიდ ევ ბოროტი გულით-სულითა,
ბამოუცნობი მოსაქმე თვის აწ ყო და წარსულითა.
ასე იწყება „ზღაპარი" — თქმული ესე „ქებული":
ლამის დაინგრეს შვიდწლედი ვახანისად წოდებული.
იმა ნანგრევსა ვნახავდეთ ასეთსა ჩვენ წარწერასა:
„ტრფობის ალითა დაგულსა, ეა, ჩემსა ბედის წერასა",
ასე „ამხედრდა" ის ერთხელ (ძაღლს ჰგავდა გაცოფებულსა)
მოწაფეს ეომებოდა, გლეხის შვილს დაჯაბნებულსა:
„ამოგიღეწავ მაგ ცხვირ-პირს, აგაფცქვნი ორთავ ყურსაო,
ჭკუას მოგიყვან, მუტრუკო, თუ არ მასესხებ ფულსაო.
ამალამ ქეიფს ვაპირებ, ვპატიჟობ ჩემს მიჯნურსაო.
ვახშმად მოვიწვევ მე მხოლოდ თავადს და აზნაურსაო";
აქ კი ჩურჩულით მოუხმობს ის თავის საყვარელსაო:
„როცა გაკვეთილს მორჩები, ჩამეირბინე ჩემსაო",
იკრასკება და „ბარიშნობს" თან ტოლუმბაშობს ისაო,
არშიყი არის „რეკორდნი", შვილია დალაქისაო.
ნამდვილი ენა-ტარტალა... მთავრობის „ქებით" აგვავსო.
იმედი არის, ტარტაროზ, შენ მას ამოსდებ ლაგამსო. ЭЦՌ.

# „კოოპერაციის" დღე (ჭიათურა)

კოოპერაციის დღის აღსანიშნავათ ადგილობრივ მუშკოოპის მთავარი საწყობი, რომლის ცალი გვერდი თხელი ყავრის ფიცრებით ყოფილა აჭედილი, საერთაშორისო კოოპერაციის დღის პირველ ღამეს გარღვეულ იქმნა ქურდების მიერ.

როგორც დილით გამოირკვა, ქურდები პატიოსანი ყოფილან: მათ ხელიც კი არ უხლიათ ისეთ პირველ მოთხოვნილების საგნებზე, როგორიცაა: ნავთი, მარილი, ტარანი და სხ. წაუღიათ მსუბუქი და ძვირფასი საქონელი. იატაკზე იპოვეს შამპანიურის ცარიელი ბოთლები. როგორც თვით მუშკოოპის გამგემ სთქვა, ქურდებს შამპანიურით უდღესასწაულებიათ კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

შაკო.

## ღორი წავა და თხა მოვა აბაშის საბალახოსა



— რისთვის გაწიდევნა, თუ იცი, ღორები?
— ეხლა ძროხებისა და თხების მიერ ბაზრის დაპყრობის პერიოდი დაიწყო.

## ახალი კომბინაცია

დისპანსერო; სიცხე დადგა,
და გამხადე ბედნიერი.
წერილს ვატან. შენთან მოვა
ქალი ტურფა, მშვენიერი.
მე გავსინჯე და დავრწმუნდი,
რომ სალი აქვს: ხორცი, ფერი,
მარცხნით გული, მხოლოთ შიგნი
უნდა ჰქონდეს განიერი.
აბასთუმანს წასვლა უნდა,
შენ დაუსვი გულის ძგერა.
დიაგნოზი შენს ხელთ არის:
მეც, იქ მინდა მაგის მზერა.
დიდი ხანი როდი არის.
რაც კავშირში ჩაეწერა?
მიკროსკოპით კარგათ ნახე.
არ აგიტყდეს გულის ძგერა.
მაგას უფრო მოუხდება
აბასთუმნის დიდი მთები.
მუშას აქაც არა უშავს,
ეხლა გრილა თუ არ ვცდები-
შენც გაგაცნობ—იქ ვიქნებით.
ჩვენ სამივე აბასთუმანს.
ეს წერილი შენ იგულე,
და გერჩიოს ათას-თუმანს.

**ვასო როინიშვილი.**

---

## ჩვენი აშბები

### გორდის თემი (ქუთ. მაზრა)

ტარტაროზო, თუმცა გორდზე
ბევრი რამე დაიწერა,
მაგრამ ბევრმა ეს სიმართლე
სრულებით არ დაიჯერა.
გორდის თემში ძველ „მუშაკებს“
გაუცივდათ თბილი კერა,
აღარ ისმის „უხუ“ „ლახუშ“
ღვინის სმის დროს „რერო-რერა“.
თავმჯდომარეთ ბრძანდებოდა
მუნ გრიგოლი გმირთა გმირი,
გათამამებული იყო,
აწეული ჰქონდა ცხვირი.
იარაღში იხდა დევი,
კაცი მეტად გასაკვირი,
აღმასკომში გაჰკიოდა,
ეით ბუკი და ან საყვირი.
ვინ ჩამოთვლის თუ რამდენჯერ
გლეხებს სცემა მაუზერით;
იმის რისხვას გორდის თემში
ვერვინ ვერსად გავუძვერით.
ხან ვაჩნაძე მიგვითელა,
პარტიული გლეხი, წყნარი,
ხან კირთაძეს მაუზერით
აუტეხა შიშის ქარი.
ჭანტურიაიც გვიცემა,
ის წმინდა წყლის პროლეტარი;
(არ მინახავს მხეცი დღემდე
მე გრიგოლის შესადარი).
გალეშილი დღე და ღამე
ის ტყვიაზე სწავლდა ტყვიას,
აღმასკომში, აქაც-იქაც,
იძახოდა „ტიავ-ტიას“.
ხიდზე ერთხელ კეთილაძეს
დაახალა ერთი, ორი.
გრიშა გაშრა შიშისაგან,
სახტად დარჩა პროვიზორი.
გეხუმრეთ, შემდეგ ღიმით
„ბედნიერ-ჰყო“ კეთილაძე.
ვერ გაბედა გრიშას ეთქვა:
შეაშინა გმირმა რაზე?
8 მარტს, როცა მოეწონა
ქალთაგანი დელეგატი,
ძალით ღვინო შეასვა და
არ დაინდო დღე 8 მარტი.
ძალადობა დაუპირა,
ხელებს მისცა თვითნებობა,
„სიყვარულით“ დაითრო და
მოესურვა ყმაწვილს ტრფობა.
ქალმა თავი დააღწია
გამოექცა მხეც უგლავას,
თავმჯდომარე გადირია,
ამონასეთქს ჰგავდა ლავას.
ხმაგავარდა თემში, რომ იქ,
სადაც არის ქალთა კრება,—
ცოლს, შვილს აღარ გავუშვებთო,
აღარ წავალთ არ იქნება.
ვინ ჩამოსთვლის თუ სად რა ჰქნა.
ჩაიდინა ვაჟკაცობა.
(მუწუკია ის პარტიის,
მას კაცური არ აქვს გრძნობა).
და ბოლო დროს მან სხვაგვარი
დაიჩემა დევ-გმირობა,
თემში კედლის გაზეთსა და
კორესპონდენტს უწყო გმობა.
დაიბარა ერთ დუქანში,
აუტეხა მთვრალმა სროლა;
აბუთიძე ცახცახებდა,
შიშით დადნა ჩვენი კოლა.
ტარტაროზო! თავმჯდომარეს
უმშვენებდა გვერდს მდივანი,
მათ მიზნები ერთი ჰქონდათ,
ერთი ჰქონდათ გასაქანი.
დათვრებოდა და რევოლვერს
ხშირად სწვავდა ცეცხლის ალში.
იმას სრულად არ ფიქრობდა
რა ელოდა მომავალში.
ათასობით მან ჩერვონცებს
უსინდისოთ. ყლაპი უქნა,
ეხერხება სიმღერები,
თამაშობა: ლეკურ-ბუქნა.
ეხლა ვნახოთ მათი ყარდაშ,
ხე ტყის გამგე იუსტინე.
(შენებურად დღეს გამსახლში
იფარფაშე და უსტვინე).
მადა ჰქონდა ჰაბუკს ჭამის,
ჭამის ჰქონდა კარგი მადა,
მანაც ბლომად გადასანსლა
ჩასუქებულ კურატს ჰგავდა.
აღნიშნულმა სამმა გმირმა
ფულის ფლანგვას მიჰყვეს ხელი;
ერთმანეთის სიყვარულში
გული ჰქონდათ მეტად ცხელი.
სრა-სახლები წამოსჭიმეს,
დაამშვენებს გორდის მდელო
და ეგონათ გაიტანეს
მათ უმწიკვლოდ ეგრე ლელო.
მაგრამ შერჩათ დიდხანს ეგრე
თემის ყვლეფა იმათ განა?
(ჩალით არის წახურული
არ გეგონოსთ ეს ქვეყანა).
ეს ცოდვები ცენტრში ერთმა
საიდუმლოდ განაცხადა,
მყის გაიგეს ყოველივე,
ჩამოეხა ბნელეთს ფარდა.
ამას წინეთ გორდის თემში
ჩამოვიდა პროკურორი
და ცოდვების ასაწონად
წამოიღო თან სასწორი,
გორდის თემში ძველ „მუშაკებს“
გაუცივდათ თბილი კერა,
დღეს გამსახლში ბრძანდებიან
ვაშა ბიჭო! რეროვ-რერა!

**შიხლინსკი ბომბ.**

# ცნობათა მიღება

**ოინბაზს**: „დღეს სიმღერის ხოშზე ვარ“-ო, და ასე მღერით:

**ვაი ტიკო ტიკო, ჯან ტიკო, ტიკო,**
**ვაი, ჩემო ჰიქებო, სადა ხართ ეხლა?**

ჰიქები სად არიან, ეს არ ვიცით; ხოლო თქვენი წერილი რომ ჩვენს გოდორშია (და ისიც სულ ფსკერზე, რადგან მასალების განხილვის დროს პირველად თქვენი წერილი შეგვხდა), ამას, წარმოიდგინეთ, თქვენც კი მიხვდებით.

ეს თუ სიმღერაა (სიმღერის ხოშზე ვარ და უნდა ვიმღერო“-ო), მაშინ მამლის ყივილი ბულბულის გალობა ყოფილა.

თუ ვინიცობაა კიდევ გამოგვიგზავნოთ სატარტაროზო მასალა (ხოლო ასეთი კი არა), იცოდეთ, წერილი უნდა დასწეროთ ქაღალდის ცალ გვერდზე მელნით და გარკვეული ხელით, რაც სავალდებულოა არა მარტო თქვენთვის,—ყველა თანამშრომელისათვისაც.

**მ. გოგიშვილს**: შე კაი კაცო, თუ კი: „ეხლა ზიხართ თქვენს გემოზე მოსვენებულად და მყუდროდ“,—რაღა ამისანა წერილისათვის იწუხებდით თავს?

**ქართველლის** (მუხიანი). თქვენ გვწერთ:

**„ფარცხანაყანეველებს უნდათ მუხიანიდან სადგური ფარცხანაყანევის ბაქანზე გადიტანონ“-ო. ამის გამო: დაფაცურდენე მუხიანელები და დაარსეს: ფოსტა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, ბანკი, რადიო, ბაზრობა და სხვა.**

ეს კარგი საქმეა. აქ რა არის საძრახისი? პირიქით! ნეტავ სხვებიც მიბაძავდნენ ამ მაგალითს.

**„იშტიპიტინის“.** (ზემო-კრიხი, რაჭა). იმიტომ გიპასუხებთ, რომ—არ შეცდეთ და ეს წერილი არ გააგრძელოთ. ნუ თუ თქვენს კოოპერატივში არც მარილია, რომ ამ წერილისათვის ასი გრამი მაინც გეშოვათ?

**პატარას** (ლანჩხუთი). სადგურზე სწერთ რომ:

**საქონელი: ბატი, იხვი**
**მუდამ არის აქა.**
**ნეტა რას შვრება ეს ხალხი,**
**რომ დაუღიათ ხახა?**

ალბად ბატისა და იხვის გადასაყლაპავად დაუღიათ ხახა, (თუ კი, რასაკვირველია, შემწვარი იქნება ბატი და იხვი).

რა გაეწყობა! განა ცოტა ბატები დადიან სადგურში. (დადიან კი არა,—კიდეც მსახურობენ; მსახურობენ კი არა,—ტარტაროზკორობასაც იჩემებენ).

**ულუნწის** (ს. ვანი, გურია). როგორც თქვენი ფსევდონიმიდან სჩანს, ღვინო არც თქვენ გყვარებიათ სხვებზე ნაკლებ, მაგრამ მაინც ისილეთ „ჯოჯოხეთის კუთხე“.

**ნაპერწკალს** (ხონი, ძაფსადები ქარხანა). ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხანმოკლეა სიმღერა:

**შენ გამგე ხარ, მე ფაბკომი,**
**რას დაგვაკლებს სხვისი მტრობა.**
**და ჩვენ მუდამ ვიარსებებთ,**
**თუ გვექნება კარგი ძმობა.**

ფითრახოს (სამტრედია). მიმართეთ მილიციას თუ:

**ფოცხვერია დიმიტრისა**
**ცოლი არის მარიაო,**
**და ამ ქალმა მეზობლები**
**დომხალივით არიაო.**

**გორგოს** (ყულევი). თქვენი ბრალდება ალმასკომის თავმჯდომარის მიმართ აშკარად პირადი მოსაზრებითაა დაწერილი.

სკოლის მოწაფემაც კი იცის შოთას ს. ტყვები:

**ლეკვი ლომისა სწორია,**
**ძუ იყოს თუნდაც ხვადია.**

**№ 100** (სოფ. მაღლაკი, ფოთი). „არკა საქმე უქნიათ წითელი სასადილოს გამგეებს, რომლებიც ვერ გა მოუვიდათ თუ რომელია მათში უფროსი“.

**გაჰკრეს, გამოჰკრეს ერთმანეთს**
**დაუღილავეს ცხვირია.**
**„ალექსანდრემა მოგვკლაო“**
**ვასილ, თედორე ყვირიან.**

უკვე გაუსამართლებიათ ერთმანეთი, და ტარტაროზი რაღა საჭიროა.

ხოლო რაც შეეხება მაქსიმესა და კოლიას ამბავს, გეტყვით შემდეგ მაგალითს, რომელიც ჩვენს სოფელში მოხდა:

წყალში კვარტები დაინახა ერთმა სოფლელმა მოიპარა. როცა პატრონი წამოესწრო, თავი ასე იმართლა: **კი არ მომიპარავს, კვარტები წყალში დაიხრჩოდა და დახრჩობას გადავარჩინეო.**

მაქსიმესა და ამ სოფლელს შორის რაღაც ნათესაობა უნდა იყოს. კარგად წავა თქვენი კოლექტივის საქმე.

**ლაშოს.** ჰა, ვბეჭდავთ:

**გამეღვიძა დილით,**
**უკვე იყო გვიან.**
**დამავიწყდა— თურმე**
**სახელად რა მქვია.**
**წამოვხტი და სწრაფად**
**შეუდექი წერას.**
**თვითონ არა ვიცი**
**ვსწერ ქაღალდზე მე რას.**

ჩვენც ვერაფერი გავიგეთ და გადავაგდეთ უფსკერო გოდორში, სადაც გვყავს ისეთი სპეცები, რომლებიც გაიგებენ იმას, რაც თქვენ გინდოდათ.

**ნენაშვილს.** თქვენ გვწერთ: „მამაჩემი სოფლის პირობაზე პოეტი იყო და იცოდა ლექსების შეთხზვა. მაგ., მისი ლექსია:

**დახნულ ყანას რომ ვტირებდი**
**შე აბდალი „ნეუეელი“.**
**ყველაფრისთვის რომ გაგვეძლო,**
**ფარალათს ვერ გავუძელით.**

მართალია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი **სჯობდეს მამასა**“, მაგრამ თქვენ ვერ ამართლებთ ამას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სტუდენტი ხართ, ხოლო მამა თქვენი სოფლელი უსწავლელი კაცი იყო.

აბა წავიკითხოთ თქვენი ლექსიც:

**მინდორში წამოვგორდი და**
**მაღლა ვიცქირი ცაშია.**
**დედა მიძახის „კუხნიდან“:**
**მო, შვილო, ჭამე ქაშია.**

ყოველ შემთხვევაში ასეთ ლექსის წერას, მართლაც-და ქაშის ჭამა სჯობს.

შემდეგი ოთხი სტრიქონი ხომ ყველაზე შეუდარებელია:

**გავიკრიჭე გუშინ თავი,**
**დავიტოვე წინ ქოჩორი.**
**ბარიშნებსა ბანი ვუთხარ,**
**ვყროყინობდი ვით ჩოჩორი.**

აი, ეს კი სრული სიმართლეა.

**„ძამია - კოდალას“** (ოზურგეთი) გვწერთ:

**რაც იქნება, იქნეს,**
**დაგვიბეჭდე აგი,**
**თუ გინდ იყოს, ძმაო,**
**ეს წერილი ბრაკი.**

შევასრულეთ, მხოლოდ აწ კიდევ არ გამოგვიგზავნო ასეთი ლექსი.

# უკანასკნელი დარტყმა



გასუქდა სისხლით ქვეწარმავალი
და ხოცვა-ჟლეტა სწადია ისევ,
ვერ გაძღა მსხვერპლით მხეცი მტარვალი,
გველის წიწილებს სისინით ვვისევს.
მაგრამ გაკაჟდა დღეს ჩვენი ნება,
ძალა ამხედრებს მშრომელთა რისხვას;
პროლეტარების მსოფლიო მკლავი
სისხლის მწოველებს თავს გაუსრისავს!

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

ტარტაროზი
წელიწადი მეექვსე
ფასი 10 კაპ.
კვირა, 4 აგვისტო, 1929 წ. 32. (216)




— არ გაბედოთ ომის დაწყება, თორემ თქვენს იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადავაქცევთ.

# მაკდონალდის წერილი კოლეგებს

მეგობრებო!

ჩვენი მეორე ინტერნაციონალი თანდათან იღებს ხელში ძალაუფლებას.

ინგლისში ჩემი გამარჯვება და გერმანიაში მიულერის მთავრობა—ეს დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია. ამას კიდევ მივუმატოთ ჩვენი ბიჭების შესვლა ზოგიერთ სახელმწიფოების კოალიციონურ მთავრობაში.

ასე, რომ ჩვენი საქმე ღვთის წყალობით წინ მიდის.

მაგრამ, მეგობრებო, ჩვენ ამ გამარჯვებამ ისე არ უნდა დაგვაბრმავოს, რომ დაგვავიწყოს მდგომარეობის მდგომარეობა.

გახსოვდეთ, რომ ჩვენ უფრო რთულ და მძიმე პირობებში გვიხდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ვიდრე სხვა რომელიმე კონსერვატიულ-მემარჯვენე - ფაშისტურ პარტიებს, რომლებიდანაც ჩვენ, მართალია შინაარსით მაინცდამაინც არ განსხვავდებით, მაგრამ გარეგნულად, ზერელედ ჩვენსა და მათ შორის მაინცდამაინც არის მცირე განსხვავება.

ჰო-და, იმას ვამბობდი: ჩვენ მეტი სიფრთხილე გვმართებს, მეტი გამჭრიახობა და მოქნილი დიპლომატობა.

ამას წინად სადილზე ერთი მეგობარი ქართველი ემიგრანტი მესტუმრა და ლაპარაკში, სხვათა შორის, ასეთი ქართული თქმულება სთქვა: „მწვადი ისე უნდა შესწვა, რომ არც მწვადი დასწვა და არც შამფური“-ო.

მართალი გითხრათ, ჩინებული თქმულია!

აი, ეს არის ჩვენი პოლიტიკის ლეიბ-მოტივი და კრედო.

მეგობრებო, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, ასე ვსთქვათ, გვიხდება ორმაგი სამსახური, გვყავს ორი ბატონი: ერთი—მუშათა კლასი და მეორე, რაც მთავარია, — ბურჟუაზია.

თქვენ მეტყვით:—არავითარი ორმაგი სამსახური, არავითარი ორი ბატონი. ჩვენ ვემსახურებით ბურჟუაზიას და არა მუშათა კლასს!

ეს მართალია, მეგობრებო, მაგრამ ეს სიმართლე ოფიციალურად არ არის გამოსააშკარავებელი.

ჩვენ ათი ათასი ნიღაბი უნდა ავიფაროთ, ჩვენ მოოქრული სიტყვები უნდა გამოვიგონოთ და შევთხზათ, ჩვენ ოქროპირი უნდა გავხდეთ, რომ მშრომელი მასები მოვხიბლოთ სირინოზის ხმით და ავუბნიოთ, დავავიწყოთ რევოლიუციის გზა-კვალი, რომელსაც ისინი (მშრომელი მასები) მიჰყავს სოციალიზმის ნავთსადგურში.

ჰო-და, სწორედ ამიტომ ვამბობდი, რომ ძნელია საზოგადო მოღვაწეობა და მით უფრო მაშინ, როცა ორი ბატონის მსახური ვართ.

ჩვენ მარტო ჩვენი „კაი ბიჭობის“ იმედი არ უნდა გვქონდეს, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენებს სწამთ.

იცოდეთ, რომ არც ერთი არ დაგვინდობს. ისე უცბად მოგვკრავენ პანღურს, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ.

უმადურია ხალხი. მუშათა კლასი იმით არის უმადური, რომ ის არ კმაყოფილდება, რომ ჩვენ, მისი ბელადები, პრემიერები და მინისტრები გავხდით. ხოლო, რაც შეეხება ბურჟუაზიას, ისიც უმადურია, მაგრამ არა იმდენად. ყოველ შემთხვევაში ის ჩვენ გვაფასებს და ისე გვანდობს თავისს საქმეებს, როგორც საკუთარ თავს. (აბა, ისე ვინ მოგვაშავებდა მთავრობის პორტფელებს!).

დიდია ჩვენი ამაგი მათ წინაშე. თუ არა ჩვენ, ეხლა მათი ბურდღიც არ იქნებოდა. არ გახსოვთ 17-18 წლებში რევოლიუციის როგორი გრიგალი ამოვარდა?

ჰო-და, ჩვენ გადავარჩინეთ ბურჟუაზია, თორემ ეხლა, მგონი, მთელი ქვეყანა საბჭოთა იქნებოდა.

დღეს მსოფლიო ომის ხუთმეტი წლის თავზე ომის საფრთხე ისევ თავს დაგვტრიალებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ?

ჩემის აზრით ისე, როგორც მოვიქეცით ხუთმეტი წლის წინედ.

ეს ხელს არ გვიშლის, რომ იქა-აქ სხვათაშორისად ჩვენაც ვსთქვათ ერთი ორი სიტყვა მშვიდობიანობაზე.

მუშათა კლასი ჩვენ გვიკიჟინებს, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობებიც განაგრძობენ შეიარაღებას და კრეისერების აგებასო.

მეგობრებო, განაგრძეთ ეს საქმე, მაგრამ თავის გამართლებაც გვჭირია.

მოსახლეობას ჩვენ უნდა შევაგნებინოთ ძველი რომაული თქმულება: „თუ გინდა მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვის“.

აი, ეს არის ჩიხიდან გამოსავალი.

ჩვენ ასე უნდა ვსთქვათ:—მართალია, ჩვენ ვემზადებით ომისათვის, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მშვიდობიანობა გვინდა.

ჰო-და, როცა ომი დაიწყება, ჩვენ მზად ვიქნებით. ხალხს ვეტყვით:—რაკი ომი დაიწყო, თუ არ ვიომებთ, ქვეყნად მშვიდობიანობა აღარ ჩამოვარდება-თქო. აი, ამ დრედნოუტ-კრეისერებით უნდა შეგიყვანოთ თქვენ სოციალიზმის სასუფეველსა შინა სამშვიდობო ნავთსადგურში-თქო.

აი, ასე, მეგობრებო, გისურვებთ ხანგრძლივ ჯდომას მთავრობის სავარძელში და სამინისტროს პორტფელის შენარჩუნებას.

დასასრულ, მინდა ეს ჩემი მეგობრული ღია ბარათი დავასრულო ისევ მწვადით და შამფურით: „მწვადი ისე უნდა შევსწვათ, რომ არც მწვადი დავსწვათ და არც შამფური“ (მე მგონია, თქვენ მიხვდებით, რომ მწვადად აქ იგულისხმება მშრომელი მასა, ხოლო შამფურად — ბურჟუაზია).

გვინდა მშვიდობიანობა?! მაშასადამე ავაგოთ კრეისერები,

**თქვენი მაკდონალდი.**

რედ. შენიშვნა: დედანი ამ წერილისა ინახება მეორე ინტერნაციონალში. ასლი ჩვენს მიერ გადმოღებულია ორიგინალის დაცვით.

**ჭინჭარი.**

## მატარებელში



— ამ „იქით მიდი! იქით მიდი“-ში ფეხითაც ჩავიდოდი სოფელში!

# მელას სიუტიფრე

(აზრი ძველი, მხოლოთ ზოგი საქმ ახალი)

ერთხელ მელამ, მელამ ერთხელ
შორით ლომი რომ იხილა,
ლამის სული გაეყარა,
ბალანი სულ დაიქილა...

მობრუნდა და ისევ უკან
გადმოეშვა მაღლა სერით,
და ასე ცხას ლომის შიშით
ლევდა უკან-უკან ცქერით...

სორომდის რომ მიაღწია,
შეძვრა შიგ და შეისვენა,
გათამამდა მხოლოთ მაშინ,
ამოიბა ურცხვად ენა:

„ლომი იყო ის თუ ჩრდილი?
მომეჩვენა, ალბათ, მეო!
მოდი, ამის გასაგებათ
ისევ სერზე გადავდგეო!".

წაცუნცულდა, ისევ წინ და
კვლავ მოექცა წვერზე იმ სერს:
მუნაგ ტუჩებს აცმაცურებს
და უტიფრად სძაგავს კისერს...

გადიხედა კვლავ ბარში და,
ლომს რომ მოჰკრა მელამ თვალი
ისევ უკან აიძუა,
თვით ქარზედაც გახდა მალი...

ისევ სოროს მიაშურა,
მოიბრუნა ძლივას გული
და, ვით უწინ, ატყდა ეხლაც
უფრო გათამამებული:

„ლომი იყო, მაგრამ მერე?
რაი მერე, თუა ლომი?
ბიჭია და მას ეჭნება
ჩემზე მეტი შესაძრომი!..

აბა, სარბენ-საცუნცულო
ლომს სადა აქვს ჩემზე მეტი?
ერთ საქათმეს ასჯერ მოვყნოს,
თუნდაც მირტყან თავში კეტი!

და ასეთი საქათმე კი
მილიონი ვიცი სოფლად,
თითო ქათმის ქურდობა თუმც
მწუხავს ათჯერ პირის ოფლად!

აბა, იხვის საზუდარი,
ბატისა თუ ინდაურის,
სათვალავი ვინ დალიოს
აქაურ თუ იქაურის?!.

ერთი სიტყვით, გაშლილია
ჩემი სარებ-სარბიელი...
ამ მხრივ ხვედრი ჩემი არის
ლომის შესახარბიელი!

და არ ვიცი, რისთვის უნდა
მეშინოდეს ვილაც ლომის?
მე შენ გითხრა, გზა არ მქონდეს
ამ ხვრელიდან გამოძრომის?!".

ესა სთქვა და სოროს პირთან
გაჩნდა უცბათ იგი მელა:
კუდი ნამგლად აშოიდო,
ენა წინ ხმლად წაიგძელა,

და ისევ იმ სერის აღმართს
აეკიდა, როგორც ქვაბთ
და გადადგა კვლავ ლომისკენ
სერით კისერ-წანაძაბი...

მაგრამ მარტო შორით მზერა
მან რომ ეხლა არ იკმარა,
ჩაეკიდა სერს დაღმა და
ლომს სულ ახლოს მიეპარა...

ახლოს, მაგრამ როგორი ახლოს?
ორი-სამი კილომეტრით
ლომისაგან დაშორებით
იდგა მაინც, თუ არ მეტით.

რომ უეცრად შეკუნტრუშდა
და მოუსვა ისევ აღმართს...
სერს რომ თავზე გადმოაშვა,
ძლივს აქ იგრძნო თავი ლაღათ...

და სოროშდის, როგორც იყო,
მოიტანა მრთელად ბეწვი,
თუმცა გზაში გულის ხეთქას
ძლივს დააკლდა ერთი ბეწვი!

სოროში რომ მოკალათდა
და შეუდგა აზრთა კრებას,
მელა ისევ გაუტიფრდა,
მიჰყვა ისევ თავის ქებას




— ჩემ სახლში დადექ თ... მშვენიერია...
— კი, მაგრამ მე დაზღვეული არა ვარ... რომ გავბედო და დავდგე, რამდენს მომცემთ?

---

ლომი როა, რაა მერე?
მის წინ, განა, ვერ წავრსდგები?
ის თუ ნადირთ მეფე არის,
მეც მეფედ ვერ გამოვდგები?

მე შენ გეტყვი, მაკლდეს რიმე
ან და კუდის სიღვანღვალე,
სიბრძნით ლამის შუბლი გასქდეს,
არც კი მინდა თვალთ სათვალე!..

აბა, ბეწვი ჩემს მანტიას
რადად უნდა ვინმე სხვისა?
ქურქი მოსავს ჩემს ტანს, ჰარა
სწორედ მეფის საკადრისი!

და მაშ, რისთვის მეშინოდეს
მე ამ ლომის, რისთვის? რათა?
განა მასზე ნაკლები ვარ,
რომ შემყაროს რამე ხათა?

ჰა, მოასხლტა სერს წვეროზე!..
ჰა, ეს წვეროც გადალახა!
— „გამარჯობა, ბატონ ლომსო!"
შორიდანვე ვადასძახა...

გადასძახა და ნაბოლიც
ათიოდე წარსდგა წინა,
მაგრამ ექოს ვერ გაუძლო:
გამოძახის შეეშინა!

და ლაჯში კუდ-ამოდებით
კვლავ მოუსვა უკან რბენით,
სერი ისევ გადმოლახა
და მოაწყდა სოროს ქშენით;

შეძვრა შიგ და გული ნელ-ნელ
მოიბრუნა, დაიმშვიდა,
თუმცა ლომის ისევ ნახვას
წუთში მაინც არ იშლიდა!

და მეოთხედ თუ მეხუთედ
რომ დამშვიდდა მელა ხვრელში,
ლომისაკენ გზა მიჰმართა,
შიშის ქარით საფეთქელში!..

შეჰყვა აღმართს და ის სერი
მოწყვეტით რომ გადირბინა,
ლომისკენ გზა მიჰმართა,
გაეჭგიმა რუცხვად წინა...

მაგრამ ამ დროს..: ოი, ღმერთო!:!
ოი, მიქელ-გაბრიელო!
მოხდა რაღაც, თუმც მელისთვის
არც ისე სახარბიელო!

დაიცხინკვა ამ დროს ლომსა
მხოლოთ ცხვირის დაცემებით,—
მაგრამ მელას კი ეგონა,
ვილწვი ამას დარემეხით,

რომ ცა რისხვით ჩამოიქცა
ანუ მიწას ეძრა გული!..
ერთი მოსხლეტ ძირს ჩაეცა,
ოთხივ ფეხით ჩაცუცქული,

და რომ მოარა, ესე იგი,
გული ოდნავ რომ მიიბრუნდა,
მელა უკვე იქ არ იყო:
სერზე მყის გადმოცუნცულდა...

და სოროში ყოველი, შემძლე
თვით ხვრელში რომ შერგო ცხვირი,
გული იქ-და მოიბრუნა,
გული, შიშით განავმირი!..

და როდესაც სულ მობრუნდა,
გულმაც მშვიდათ უწყო ცემა,
ლომის ნახვა, ახლო მისვლა
მელამ ისევ დაირემა...

დაირემა და ის სერი
გადათვალა ლომის მხარეს...
მიდის ახლო და, რომ ხედავს
ლომს, მშვიდათ ძირს მწოლიარეს,

სთქვა თვის გულში: „ჩემს ამინდებს,
ეხედავ, ახლა უდგას დარი!".
ისკუპა და ლომის ტანზე
გადაეშვა, ვით ისარი...

გადაეშვა მაგრამ ამ დროს
შეიშმუშნა ლომი ცოტა:
ოდნავ თავი წამოსწია,
მაგრამ მელას წელიც მოსწყვტა!..

მოსხლტა მყის იმ ადგილიდანაც,
გადმოსთვლა ისევ სერი,
და კვლავ იქით არ უქნია
არც ცხვირი და არც კისერი!..

ონისიმე

## „კონჩენო დელო“

უჯრედ. მდივანი: ამხანაგო დირექტორო, უნდა გაცნობოთ, რომ საჭიროა ზოგიერთები წმენდის დაწყებამდე გავსწმინდოთ, თორემ როცა გამჩისტავი კომისია მოვა, ყველაზე უწინ მე მეცემა ყანყრატოში: — რატომ ყურადღება არ მიაქციეო.

**დირექტორი:** — არ მოგიკვდეს, ისიდერო, ჩემი თავი, შენ წკიპურტიც არ წაგეკაროს. ვინც ჩემი მიღებულია, ისე დავიცავ, რომ შენც გაგიკვირდება. შენც ცოტა „ვაზდერჟენიე“ ქენი და „კონჩენო დელო“.

**უჯრ. მდივანი:** — ტავარიშჩ დირექტორ, დირექტივის თანახმად მე ყველაფერი უნდა ვთქვა და წმენდაში მონაწილეობა უნდა მივიღო.

**დირექტორი:** — შენ შენი დირექტივა გაატარე. თქვი: ეს კაცი მოსახსნელია-თქვა. მე რომ მათ დაცვას შევუდგები, შენ თავი შეიკავე და „კონჩენო დელო“. არა, მაინც ვინ გყავს, გენაცვალე მხედველობაში?

**მდივანი:** — მაგ. ის, ყოფილი მღვდელი, თქვენი ქვისლი, შიკრიკი რომ მიიღეთ და ახლა რომ „ვიდვიჟენიას“ აძლევთ. მაგას 7 რეგისტრაცია ჰქონია მილიციაში. ბუღალტერი თქვენი მოგვარეა და ესეც რომ არ იყოს, სამი კოოპერატივი გოუცლია. გუშინ წინ რომ მოანგარიშე ქალი მივიღე, ყველა ლაპარაკობს — თქვენი ცოლის დაი ყოფილა.

**დირექტორი:** — ამ აპარატის წმენდაში სწორედ ესენი უნდა მოვაყოლოთ, ვინც მაგეებს ლაპარკობს, რომ ჩემი ცოლის დაა, მე მაგათზე უწინ ვიცნობდი, მაგრამ არსად არ მიყვირია. ანდა რჩენა არ უნდა თუ? აქ იმიტომ დავაყენე, რომ თავი ირჩინოსდა „კონჩენო დელო“. სხვა ხომ არავინ არის, ტავარიშჩ ისიდორე, „სანედარაზუმენიო“?

**მდივანი:** — არც თქვენზე ამბობენ, ტოვარიშჩ დირექტორ, კარგ რამეებს. ასე ამბობენ, რომ ნიკოლოზისა და მენშევიკების დროს ბევრი კომუნისტები ყავს ნაწვალებიო.

**დირექტორი:** — ჰოოოო, თუ ესეც იციან, „კონჩენო დელო“.

ძნელ ოღლი

## იცნობდეთ!



— ეს არის სენაკის სადგურის უფროსი კოპეშავაძე?

— დიახ, 70 წლის მუშა პენსიონერს რომ შავი დღე დააყენა.

## „მელა და ყურძენი“

### კრილოვისებური

„დამშეულსა“ შავრაზმელსა
სურს შეძრომა პარტიაში.
მასაც უნდა გამოიჩრას
კვლავ პორტფელი ილლიაში.

ყველგან ძვრება... კომუჯრედში
შეაქვს დიდი განცხადება—
კომუნიზმი მხოლოდ მისი
დახმარებით დამყარდება.

სურს შესწიროს სოციალიზმს
უნარი და თვისი ნიჭი.
(სხვა არავინ არ იქნება
იმისანა კარგი ბიჭი!)

თავს შესწირავს მუშათა კლასს,
შრომას ის არ დაიზარებს,
და მსოფლიოს სამრეკლოზე
ამბოხების დარეკს ზარებს...

მაგრამ გულში სხვას ფიქრობდა:
„დამნიშნავენ დირექტორად,
და მექნება დღეს უფულოს
ჩერვონცები მაშინ გორად.

გავიხსენებ ძველ ცხოვრებას..
სულ ქეიფი და სულ ლხინი...
პარტიული რომ ვიქნები,
რას დამაკლებს მუშგლეხინი!“.

ჰო-და ასე... კომუჯრედში
განცხადება შეიტანა...
შეიტანა და ყოველდღე
განცხადებას სდევდა თანა.

ევედრება: ნაცნობს, უცნობს,
სუყველას სთხოვს პროტექციას,
და უკითხავს ლენინიზმზე
(თითქოს იცის) გრძელ ლექციას.

გააგზავნეს ტრესტის გამგედ
აგერ ერთი პარტიული.
ხედავს ამას და ჩიტივით
უფრთხიალებს შავი გული.

ფიქრობს: „როცა მიმიღებენ,
ნიან მეც ხომ ასე?..
(შემეწიე მეუფეო
და მამაო ათანასე!)“

ნდომის ნერწყვი პირს მოადგა,
როცა ავტო დაინახა.
მაგრამ ნერწყვის ყლაპვისაგან,
მთლად გაუშრა საწყალს ხახა.

—:—

განიხილეს განცხადება...
დააწერესე ცივი უარი:
„პარტიაში მას რა უნდა!?
სწეროს სახლში მემუარი!“..

ჩამოუშვა ძირს ყურები,
დაუგრძელდა უფრო ცხვირი
და სახლისკენ წაძუნძულდა
ვით წყნეთელი მიხოს ვირი.

„რომ არ შეველ, კარგი ვქენი,
გეფიცები შვილებსაო.
ძველი დრო რომ დაბრუნდეს,
ჩამამტვრევდენ კბილებსაო“.

ზმუკი.

# არ მოსწონთ!




— ეს არაფერია, რომ ჩვენსავით იარაღს არ აჟღარუნებენ. განა, ქარხნებისა და ფაბრიკების აგება არ ნიშნავს ძლიერებასა და შეიარაღებას?!

# სანიტ-კვირეული

ვიცი, ამხანაგო ტარტაროზო: ჩატარებულ სანიტარულ წმენდის კვირეულს რომ არ ვეხებოდე, ეს ჩემი წერილი თქვენს ჟურნალს ვერ იხილავდა, იმიტომ, რომ აქ ფეხის-ადგილებზე მოგვიხდება ლაპარაკი, თქვენ კი ასეთი არ გიყვართ.

ათასჯერ გემუდარე, გეხვეწე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დამიბეჭდე ნავთლუღის ფეხისადგილის შესახებ. პაწია კარიკატურა დამიხატე და ამით გაათავე მთელი ჩემი ისტორია.

დავანებოთ ეხლა თავი მასხარაობას და საქმეზე ვილაპარაკოთ.

მოგახსენებთ კონკრეტიულად, რომ სანკვირეს არ ეშველა, ავყროლდებოდით რკინის გზებზე. საპირფარეშოები მამაცხონებულ ადმინისტრაციას შტატების შემცირების დროს სრულებით დაავიწყდათ. ხალხი რომ დაითხოვეს, შერმედ გაახსნედათ, მაგრამ გვიან-ღა იყო. საპირფარეშოებს ვინ დაეძებდა, რომ სადგურის შენობებიც არ დარჩენილიყო დაუსუფთავებელი.

პატარა სადგურებზე სრულებით გააუქმეს საპირფარეშოები. ნავთლუღში სრულებით აღარ არის. გურჯაანში დასვლირი მოედანი რომ დაეფარათ, მეორე შენობა შემოაშენეს, სად. იანეთის საპირფარეშო სოფლის ბოლოზე გადაიტანეს. სამტრედიაში ერთი თვალი დატოვეს („ქალებისათვის“ გაუშუქებელია), ბათომში „კაცებისათვის“-აში შესვლა აკრძალულია.

1300 ვაგონი ნაგავი იქნა გატანილი ტფილის-ბათომს შორის მდებარე სადგურებიდან სანკვირეულის განმავლობაში.

დაჯარიმებულია 500 მებუფეტე, მადლობა გამოეცხადა საგარეჯოს მეისრე შაქროს და სად. რიონის უფროსის ღორებს, რომლებიც სადგურში იცავენ სისუფთავეს.

**სინდიოფალა.**

## „მიღწევა“



— ყოჩაღ სამტრედია, რა ვარგი ბუზების საჭერი გქონებია!

# ჩვენი ამბები

## ამაღლება (გურია)

ენამ როგორ არა სთქვას, ყურმა რათ არ გაიგონოს,
რაც კეთდება თუ გაკეთდა თემში ახლა სულ ამ ბოლოს.
აქ გზებით სულ დაამშვენეა დაბლობი თუ მაღლა მთები,
ბაზრის ქუჩებს, სასაფლაოს, აღარ ელტვის ღორი, თხები.
ეკლესიის ნანგრევებზე წამოეჭიმავთ ჩქარა სკოლას
ეზო მისი მორთულობით ედემს შგავს და ვარდის კონას.
ან კი როგორ არ ვახსენოთ ჩვენ მოძრავი სამკითხველო?
ხან ალმახკომს აეტუზა ის, ხან „აბრატნო“ გააქვს ლელო.
სექციები შეჯიბრშია: გზებზე ბჭობს და აშრობს ჭაობს,
მაგრამ ყველას, ყველას [illegible] კულტსექცია სჯობს და თაობს!
ამ ბოლო დროს სკოლის გამგემ, სკოლა მორთო, სულ მოქარგა,
თუმცა თემის ბიუჯეტში, მას თანხები დაეკარგა.
ამბობენ, რომ ბენიაბენ წამოჭიმა ცათა-ბჭენი,
ფიქრობს თუ სად დააბანდოს თანხები მან დანარჩენი.
პარტ-წმენდის წინ პარტ-ბილეთებს, —გულში ბევრი აქ იხუტებს,
შედეგათ კი ვფიქრობ ზოგი ვერ მიიღებს მთელ-მთელ ხუთებს.

**"უჩინ-მაჩინი".**

## „მკლავაძე“
### (კორბოული)

აქ არის ვინმე ტერენტი
მაჭარაშვილი გვარადა;
მისთანა მუშტ-მოკრივესა
ვერ ნახავ მთა და ბარადა.
კამპანიებში მას უყვარს
ჩხუბი და აყალ-მაყალი;
ვით პადუანის მამალი.
დაბრიალებს თვალებსა.

ჩვენს თემში ბევრი არიან
მისაგან განალახია,
ბევრს ძალზე სცემა და ბევრსაც
სამოსი შემოახია.
ბევრი აქვს იმას სხვა ცოდვაც
ეხლა ხან, ჩადენილია,
იმას ვერ იხსნის წმენდისგან
ვერც მარკოზ, ვერცა ილია.

**ქუჩუ-ყარიმან.**

# ღია წერილი

## ბიძია ანდროს

გამარჯობა შენი ძია ანდრო,
სხვა როგორ ხარ ქეიფში? ხომ კარგად? კარგად იქნები აბა რა. ქე ხარ ჩამჯდარი სუფსის საკრედიტო ამხანაგობაში და რა გიჭირს.

მე, ძია, გუშინ ჩამოვედი ქალაქიდან. ნამეტარი გამიხარდებოდა შენი საქმეანობა, მე რომ მსუბუქი კავალერისტი არ ვიყო შენთვისაც კარგი იქნებოდა, მაგრამ რაღაი შენს შესახებ, ძია ბევრი უარყოფითი ცნობები მომცეს (როგორც მსუბუქ კავალერისტს) და ის თუ ყველა მართალია (თუ გინდ ხუთი პროცენტით), მაშინ მსუბუქათ კი არა, მძიმედ მოგხთება ზურგზე. (ბიძიე კი ხარ ჩემი, მარა რა ვქნა!).

ერთი ბრალდება, ნუ გეწყინება შენ და, შემდეგია: ხალხს დასცინის, მეტადრე ქალებსო.

ენა წააჭრა უნდა იმას, ვინც შენისთანა პატიოსან კაცს ამფერს მოუგონებს.

კიდევ მითხრეს: საპარკე ფარდულზე მისი შვილი გასიე დანიშნა ჩამჯამაგირი რას გეყოფა,
წერათო ნამეტანი მიწყინა, რეიზა ლალავ კაცს. საქმეთ იგიც ეყოფა ყოველ ღამე მატარებელზე ფანარით რომ დადის.

**შენი ბიძიე: შანცა.**

## სურათის გადაღება



წალვერში

# „ბიძია ულვაშებით“

### (წერილი სურამიდან)

შაბათს საღამოს ცხრის ნახევარზე ხაშურში „ჩაგვიტანა“ მატარებელმა. ნახევარი საათით ცდა მომიხდა, სანამ სურამის „კოხტა“ (ასე ეძახიან სურამის მატარებელს) დაიძრებოდა.

— სულ რაღაც ორ ვერს ნახევარია სურამამდე და ეს მატარებელი რატომ მიდის ასე ნელა?— ვკითხე კონდუქტორს.

— აბა, ჩქარა რომ წავიდეს, დაკივლებას ვერც კი მოასწრებს ისე შევარდება სადგურში. ამავე დროს, ამხანაგო, ბილეთის შემოწმებას ვერ ასწრობს რევიზორი.

სადგური გაჭედილია ხალხით. ...ით, რომ ითქვათ ქალებით

—:—

მოვადექი ჩემს ოთახს. თან აქეთ-იქეთ ვიხედები. დავკიმე მხედველობა, ვათვალთვალებ—ოთახიდან ხომ არავინ აპირებს გამოძრომას. ეს ერთი მხრივ სისულელეა, მაგრამ იქვიანს ყველაფერი მოეჩვენება.

არაჩვეულებრივ მხიარულად შემხვდა ცოლი. ბავშვებს რაღაც ვესხვაფერე. ცივად და თან მორცხვად შემხვდენ.

— რას ნიშნავს ბავში, როგორ მალე დაივიწყეს მამა!— გამოიყვანა უხერხულობიდან ცოლმა ბავშები. ჩამოურიგე კანფეტები. ბავშებმა ენა აიბეს. ერთმა სახეზე ხელი მოძისვა და მითხრა:

— მამა, ბიძიას როგორი დიდი ულვაშები აქვს, შენ კი სულ არ გაქვს.

სიტყვა „ბიძია“ ნემსივით მომხვდა, გულის ფიქრებში ჩავარდი. ვინ არის ეს „ბიძია“?

— რომელ „ბიძია“-ზე ლაპარაკობ?

— აი დედასთან რომ დადის...

— მოდი, რძე დალიე, სისულელეს ნუ ლაპარაკობ!— დაუშალა ცოლმა ლაპარაკი ბავშებს.

— მერე რა კარგი ბიძიაა, ჩვენ კანფეტებს გვძლევს.

— ოჰო, ეს უკლარ არის კარგი ამბავი!— გავიფიქრე, მაგრამ... იმ ღამეს ენა არ დამიძრავს.

—:—

გათენდა. ქალებმა ჩვეულებრივად სურსათზე ჩამოაგდეს ლაპარაკი.

— შაქარი სურამში აღარ არის.

— ნუ გეშინია, ქალო; მე კოოპერატივში ნაცნობი მყავს, წუხელ დამპირდა ერთ ფუთამდე მოგცემო და გასესხებ; ტფილისში გადამიხადე.

—:—

— საბავშო ბაღი კარგა გვაქვს, აშენა ღმერთმა მაგათი ოჯახი.

— როგორ?

— როგორ და აგარაკზე მოვხვდი. ბავშებს გამომაყოლეს— კმაყოფილებით ჩაერია ჩვენს ლაპარაკში მასწავლებელი ქალი.

— მე კი გადმომცეს, რომ თქვენ ბავშებს ცუდათ ეპყრობით; მათ აკლია კომუნისტურად აღზრდა, სცემთ თურმე და სხვა.

— ჰმ! განა იმისათვის წამოვყე ბავშებს, რომ სისხლი გავიშრო, სიმართლე გითხრათ, მე დასასვენებლად წამოველი თორემ ბავშების დარდი ვის აქვს!

ბავშები მუხლამდი ნაგავში იყვნენ ჩაფლული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სურამი უსუფთაობით გახთქმულია.

—:—

კვირა საღამოა. კოოპერატივის გამგე რაღაც დაბღვერილი დადიოდა ...ჯონიკიძის ქუჩაზე. კედლის გაზეთ „სურამის ხმას“ ცალი თვალით და შურით შეხედა.

— ეს ყმაწვილი ჩავაგდეთ კედლის გაზეთში, რისთვისაც გვიბრძანა გაზეთი ჩამოგვეხია, მაგრამ ვერ მივართვით. ახლა კი მტრულად მიყურებს!— „იხუმრა“ იქაურმა მუშკორმა.

ცოლი წინეთ თუ მეჩვეოდრებოდა დარჩენაზე, ახლა სულ სხვა ტონით დაიწყო ლაპარაკი.

— ამელამ ადრე წადი თორემ, ...ღამე ყაჩაღები დადიან, გზაში არ შეგხვდენ, თორემ მოგკლავენ და მაშინ ხომ დავიღუპე: ფულს ვინ გამომიგზავნის—მირჩია ცოლმა.

გამოვემშვიდობე ყველას. ცოლმა ცხვირსახოცის ქნევით გამაცილა.

„ბიძიას ულვაშები“ ტფილისშიაც არ მასვენებს.

**ივანიკა.**

# სანიტ-კვირეული

ვიცი, ამხანაგო ტარტაროზო: ჩატარებულ სანიტარულ წმენდის კვირეულს რომ არ ვეხებოდე, ეს ჩემი წერილი თქვენს ჟურნალს ვერ იხილავდა, იმიტომ, რომ აქ ფეხის-ადგილებზე მოგვიხდება ლაპარაკი, თქვენ კი ასეთი არ გიყვართ.

ათასჯერ გემუდარე, გეხვეწე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დამიბეჭდე ნავთლუღის ფეხისადგილის შესახებ. პაწია კარიკატურა დამიხატე და ამით გაათავე მთელი ჩემი ისტორია.

დავანებოთ ეხლა თავი მასხარაობას და საქმეზე ვილაპარაკოთ.

მოგახსენებთ კონკრეტიულად, რომ სანკვირეს არ ეშველა, ავყროლდებოდით რკინის გზებზე. საპირფარეშოები მამაცხონებულ ადმინისტრაციას შტატების შემცირების დროს სრულებით დაავიწყდათ. ხალხი რომ დაითხოვეს, მერმედ გაახსენდათ, მაგრამ გვიან-ღა იყო. საპირფარეშოებს ვინ დაეძებდა, რომ სადგურის შენობებიც არ დარჩენილიყო დაუსუფთავებელი.

პატარა სადგურებზე სრულებით გააუქმეს საპირფარეშოები. ნავთლუღში სრულებით აღარ არის. გურჯაანში დასვლირი მოედანი რომ დაეფარათ, მეორე შენობა შემოაშენეს, სად. იანეთის საპირფარეშო სოფლის ბოლოზე გადაიტანეს. სამტრედიაში ერთი თვალი დატოვეს („ქალებისათვის“ გაუშუქებელია), ბათომში „კაცებისათვის“-აში შესვლა აკრძალულია.

1300 ვაგონი ნაგავი იქნა გატანილი ტფილის-ბათომს შორის მდებარე სადგურებიდან სანკვირეულის განმავლობაში.

დაჯარიმებულია 500 მებუფეტე, მადლობა გამოეცხადა საგარეჯოს მეისრე შაქროს და სად. რიონის უფროსის ღორებს, რომლებიც სადგურში იცავენ სისუფთავეს.

**სინდიოფალა.**

## „მიღწევა“



— ყოჩაღ სამტრედია, რა ვირგი ბუზების საჭერი გქონებია!

# ჩვენი ამბები

### ამაღლება (გურია)

ენამ როგორ არა სთქვას, ყურმა რათ არ გაიგონოს,
რაც კეთდება თუ გაკეთდა თემში ახლა სულ ამ ბოლოს.
აქ გზებით სულ დაამშვენეა დაბლობი თუ მაღლა მთები,
ბაზრის ქუჩებს, სასაფლაოს, აღარ ელტვის ღორი, თხები.
ეკლესიის ნანგრევებზე წამოეჭიმავთ ჩქარა სკოლას
ეზო მისი მორთულობით ედემს მგავს და ვარდის კონას.
ან კი როგორ არ ვახსენოთ ჩვენ მოძრავი სამკითხველო?
ხან ალმახკომს აეტუზა ის, ხან „აბრატნო“ გააქვს ლელო.
სექციები შეჯიბრშია: გზებზე ბჭობს და აშრობს ჭაობს,
მაგრამ ყველას, ყველას [illegible] კულტსექცია სჯობს და თაობს.
ამ ბოლო დროს სკოლის გამგემ, სკოლა მორთო, სულ მოქარგა,
თუმცა თემის ბიუჯეტში, მას თანხები დაეკარგა.
ამბობენ, რომ ბენიაბენ წამოჭიმა ცათა-ბჭენი,
ფიქრობს თუ სად დააბანდოს თანხები მან დანარჩენი.
პარტ-წმენდის წინ პარტ-ბილეთებს, —გულში ბევრი აქ იხუტებს,
შედეგათ კი ვფიქრობ ზოგი ვერ მიიღებს მთელ-მთელ ხუთებს.

**“უჩინ-მაჩინი“.**

### „მკლავაძე“
### (კორბოული)

აქ არის ვინმე ტერენტი
მაჭარაშვილი გვარადა;
მისთანა მუშტ-მოკრივესა
ვერ ნახავ მთა და ბარადა.
კამპანიებში მას უყვარს
ჩხუბი და აყალ-მაყალი;
ვით პადუანის მამალი.
დააბრიალებს თვალებსა,

ჩვენს თემში ბევრი არიან
მისაგან განალახია,
ბევრს ძალზე სცემა და ბევრსაც
სამოსი შემოახია.
ბევრი აქვს იმას სხვა ცოდვაც
ეხლა ხან, ჩადენილია,
იმას ვერ იხსნის წმენდისგან
ვერც მარკოზ, ვერცა ილია.

**ქუჩუ-ყარიმან,**

# ღია წერილი

### ბიძია ანდროს

გამარჯობა შენი ძია ანდრო,
სხვა როგორ ხარ ქეიფში? ხომ კარგად? კარგად იქნები აბა რა. ქე ხარ ჩამჯდარი სუფსის საკრედიტო ამხანაგობაში და რა გიჭირს.

მე, ძია, გუშინ ჩამოვედი ქალაქიდან. ნამეტარი გამიხარდებოდა შენი საქმეანობა, მე რომ მსუბუქი კავალერისტი არ ვიყო შენთვისაც კარგი იქნებოდა, მაგრამ რაღაი შენს შესახებ, ძია ბევრი უარყოფითი ცნობები მომცეს (როგორც მსუბუქ კავალერისტს) და ის თუ ყველა მართალია (თუ გინდ ხუთი პროცენტით), მაშინ მსუბუქათ კი არა, მძიმედ მოგხვდება ზურგზე. (ბიძიე კი ხარ ჩემი, მარა რა ვქნა!).

ერთი ბრალდება, ნუ გეწყინება შენ და, შემდეგია: ხალხს დასცინის, მეტადრე ქალებსო.

ენა წააჭრა უნდა იმას, ვინც შენისთანა პატიოსან კაცს ამფერს მოუგონებს.

კიდევ მითხრეს: საპარკე ფარდულზე მისი შვილი გასიე დანიშნა ჩამჯამაგირი რას გეყოფა, წერა-ო. ნამეტანი მეწყინა, რეიზა ლალავ კაცს. საქმეთ იგიც ეყოფა ყოველ ღამე მატარებელზე ფანარით რომ დადის.

**შენი ბიძიე: შანცა.**

# სურათის გადაღება



წალვერში

# „ბიძია ულვაშებით“

## (წერილი სურამიდან)

შაბათს საღამოს ცხრის ნახევარზე ხაშურში „ჩაგვიტანა“ მატარებელმა. ნახევარი საათით ცდა მომიხდა, სანამ სურამის „კოხტა“ (ასე ეძახიან სურამის მატარებელს) დაიძრებოდა.

— სულ რაღაც ორ ვერს ნახევარია სურამამდე და ეს მატარებელი რატომ მიდის ასე ნელა?— ვკითხე კონდუქტორს.

— აბა, ჩქარა რომ წავიდეს, დაკივლებას ვერც კი მოასწრებს ისე შევარდება სადგურში. ამავე დროს, ამხანაგო, ბილეთის შემოწმებას ვერ ასწრობს რევიზორი.

სადგური გაჭედილია ხალხით. ჟ.ით, რომ ითქვათ ქალებით

—:—

მოვადექი ჩემს ოთახს. თან აქეთიქეთ ვიხედები. დავქიმე ძხუდეელობა, ვათვალთვალებ—ოთახიდან ხომ არავინ აპირებს გამოძრომას. ეს ერთი მხრივ სისულელეა, მაგრამ იქვიანს ყველაფერი მოეტოვება.

არაჩვეულებრივ მხიარულად შემხვდა ცოლი. ბავშვებს რაღაც ვესხვაფერე. ცივად და თან მორცხვად შემხვდენ.

— რას ნიშნავს ბავში, როგორ მალე დაივიწყეს მამა!— გამოიყვანა უხერხულობიდან ცოლმა ბავშები. ჩამოურიგე კანფეტები. ბავშებმა ენა აიბეს. ერთმა სახეზე ხელი მოძისვა და მითხრა:

— მამა, ბიძიას როგორი დიდი ულვაშები აქვს, შენ კი სულ არ გაქვს.

სიტყვა „ბიძია“ ნემსივით მომხვდა, გულში ფიქრებში ჩავარდი. ვინ არის ეს „ბიძია“?

— რომელ „ბიძია“-ზე ლაპარაკობ?

— აი დედასთან რომ დადის...

— მოდი, რძე დალიე, სისულელეს ნუ ლაპარაკობ!— დაუშალა ცოლმა ლაპარაკი ბავშებს.

— მერე რა კარგი ბიძიაა, ჩვენ ყანფეტებს გვძლევს.

— ოჰო, ეს ველარ არის კარგი ამბავი!— გავიფიქრე, მაგრამ... იმ ღამეს ენა არ დამიძრავს.

—:—

გათენდა. ქალებმა ჩვეულებრივად სურსათზე ჩამოაგდეს ლაპარაკი.

— შაქარი სურამში აღარ არის.

— ნუ გეშინია, ქალო; მე კოოპერატივში ნაცნობი მყავს, წუხელ დამპირდა ერთ ფუთამდე მოგცემო და გასესხებ; ტფილისში გადამიხადეო.

—:—

— საბავშო ბაღი კარგა გვაქვს, ააშენა ღმერთმა მაგათი ოჯახი.

— როგორ?

— როგორ და აგარაკზე მოვხვდი. ბავშებს გამომაყოლეს— კმაყოფილებით ჩაერია ჩვენს ლაპარაკში მასწავლებელი ქალი.

— მე კი გადმომცეს, რომ თქვენ ბავშებს ცუდათ ეპყრობით; მათ აკლია კომუნისტურად აღზრდა, სცემთ თურმე და სხვა.

— ჰმ! განა იმისათვის წამოვყე ბავშებს, რომ სისხლი გავიშრო, სიმართლე გითხრათ, მე დასასვენებლად წამოველი თორემ ბავშების დარდი ვის აქვს!

ბავშები მუხლამდი ნაგავში იყვნენ ჩაფლული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სურამი უსუფთაობით გახთქმულია.

—:—

კვირა საღამოა. კოოპერატივის გამგე რაღაც დაბღვერილი დადიოდა ოთოჯონიკიძის ქუჩაზე. კედლის გაზეთ „სურამის ხმას“ ცალი თვალით და შურით შეხედა.

— ეს ყმაწვილი ჩავაგდეთ კედლის გაზეთში, რისთვისაც გვიბრძაეს გაზეთი ჩამოგვეხია, მაგრამ ვერ მივართვით. ახლა კი მტრულად მიყურებს!— „იხუმრა“ იქაურმა მუმკორმა.

ცოლი წინეთ თუ მევედრებოდა დარჩენაზე, ახლა სულ სხვა ტონით დაიწყო ლაპარაკი.

— ამელამ ადრე წადი თორემ, აქ ლამე ყაჩაღები დადიან, გზაში არ შეგხვდენ, თორემ მოგკლავენ და მაშინ ხომ დავიღუპე: ფულს ვინ გამომიგზავნის—მირჩია ცოლმა.

გამოვემშვიდობე ყველას. ცოლმა ცხვირსახოცის ქნევით გამაცილა.

„ბიძიას ულვაშები“ ტფილისშიაც არ მასვენებს.

იფანიკა.

# „გასტროლი“

სამკითხველოს კარებთან ვეებერთელა აფიშას წავაწყდი:

> დღეს, კვირას, 7 ივლისს, რკ. გზის კლუბში, ტფილისზე გავლით, საკავშირო მასშტაბით **ცნობილი, გამოჩენილი,**
>
> **ლირიკ-პრაქტიკოსი,**
>
> მრავალრიცხოვან და ღრმამნიშვნელოვან ლექსების, პოემების, ოდების, იდილიების, დრამების, ტრაღედიების, ტრაღიკომედიების, ვოდევილების, ფარსების და სხვა პოეტურ ნაწარმოებთა ავტორი, ლიტსკოლის „ექსპრომტდამლექს“-ის დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთად-ერთი მისი ღირსეული წარმომადგენელი, შესანიშნავი მეტაფორისტი, მეტანომისტი, ალეგორისტი, გამახმაურებელი რომანის ქალებისადმი შეკითხვები-პასუხები.
> **„სიყვარული გალახვაში“**-ს შემომქმედი
>
> **მიშელ ჲდარიალელი**
>
> გამართავს მხოლოდ და მხოლოდ, ერთად ერთ ლიტსალამოს
>
> **გრანდიოზული პროგრამით:**
>
> 1. სიტყვა: პოეზიის დანიშნულება და მისი სოციალ - ისტორიული კავშირი ახალგაზრდობის სქესობრივ აღზრდის სფეროში.
> 22. პოეტის შემოქმედების კონკრეტდემონსტრაცია.
> 3. ექსპრონტები პირველ რიგში მჯდომ ქალაქებისადმი შეკითხვა-პასუხები.

როცა სალაროსთან ბილეთის ასაღებად მივედი, წეწვა-გლეჯა იყო გამართული. აქვე ამბობდნენ, რომ პირველი რიგის ბილეთები დაბის „მნათობებმა“ შეიძინეს „პირდაპირ“ დარიალელიდანო.

ტაშის ქუხილმა და ღრიანცელმა დააჩქარა ფარდის აწევა. სცენაზე გამოვიდა ოდნავ გაქლექილი პორტფელით, გრუზა თმიანი ახალგაზრდა. პორტფელი კათედრაზე დადო, გალსტუკი გაისწორა, ქათქათა ცხვირსახოცი შუბლზე გადაისვა, ჩაახველა, წყალი მოწრუპა, მაგიდას ორივე ხელით მაგრად ჩაჭიდა და დაიწყო:

— უუგულითადესო მეგობრებო და ამხანაგებო. მე სულის სიღრმემდე მახარებს ის გარემოება, რომ თქვენ მონოლიტური მშრომელი მასა, დაკოჟრებული ხელებით, მაზოლიანი ძარღვებით, შეკრებილხართ იმისათვის, რომ მოისმინოთ პოეზიის ღვთიური სიტყვა.

ეს ერთის მხრივ აიხსნება ქართველი ერის მიდრეკილებით პოეზიისადმი და მეორეს მხრივ საკუთარი მხედველობითი ორგანოთი გაეცნოთ პოეტს და მოქალაქეს მთელი მსოფლიოსას, რომელიც ეხლა თავდახრილი დგას თქვენს წინაშე და მოელის სრულ ასპროცენტიან თანაგრძნობას.

— „ექსპრომტდამლექს“-ი ეს არის ახალი მიმართულება მსოფლიო ლიტერატურაში, რომელმაც ფესვები ნოყიერ ქართულ მიწაში გაიდგა. გამოვდივარ რა აქედან, მეგობრებო, თქვენ, განურჩევლად რჯულისა, სქესისა, წლოვანებისა და საცხოვრებელ ადგილმდებარეობისა, შეგიძლიანთ შესძახოთ მსოფლიოში ყველა კულტურულ ერებს: შენ, ეი, ინგლისელო, რას ამაყობ რომ ამაყობ ბაირონით? შენ, გერმანელო — გიოტეთი? იტალიელო — ბოკაჩიოთი; პოლონეთო — პილსუდსკით, უკაცრავად — სენკევიჩით. ჩვენ ქართველებმა გავზარდეთ უგენიალესი, უტალანტესი, უნიჭიერესი, უუ... უუ.. უ.. მიშელ დარიალელი, რომელმაც შექმნა უკვდავი ნაწარმოებები! — ორატორმა თავი დახარა ტაშისათვის, მაგრამ ამაოდ.. აქა-იქ გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი.

— „ექსპრომტდამლექს“-ი გამსჭვალულია ტიტანიური ენტუზიაზმით. მასში ვერ ნახავთ იმ სკოლასტიურ და მეტაფიზიკურ სიმპტომებს, რომელიც ასე ეგზომ ახასიათებს—ურბანიზმ-ექსპრესიონიზმ-იმპრესიონიზმ-ფუტურიზმ-პროლემაფ-ლეფიზმ-იმაჟინიზმ-კუბიზმ-ყანწიზმს.

დარბაზში ატყდა ზრიალი, გრიალი, ღრიალი, ხრიალი, ორატორი ძალდატანებული ღიმილით ნალხს ხელებით ამშვიდებდა. არაფერმა არ გასჭრა, უცბად დარიალელმა პორტფელს ხელი დაავლო, გავიდა და იმ წამსვე შემობრუნდა. თავი დახარა და განაცხადა, რომ იწყება „შემოქმედების კონკრეტდემონსტრაცია“

და დაიწყო:

**მე მაქვს პორტრეტი, გადაღებული არა კოზაკთან;**
**მე მაქვს პორტრეტი, პოეზიის ციური ცეცხლის,**
**სიყმაწვილეში ბიძას უჯექ ეტლის კოზლასთან;**
**საქმე ის არის, რომ შეჭამო დამპალი კრეცხი.**
**ყველამ მიცანით: ვარ პოეტი ვნების, იჩქითის,**
**ვერ შემედრება: საბერძნეთის ანტიკოსები...**
**ვისაც კი უნდა: ყველამ მიჩქმიტეთ.**

დარბაზში ღრიანცელი ატყდა. უკანანი წინ წამოიწიენ... აბრახუნდენ... უცბად დარიალელი ადგილიდან მოსხლტა.

ხალხი გაედევნა...

გამოსვლისას მოვკარი თვალი, როგორ შეახტა დარიალელი ნავთის ცისტერნებს.

**კატი ბუ.**



**გაემგზავრა აგარაკზე**



ისელი.

# ახალი „იავ-ნანა“

იავ-ნანა, ვარდო ნანა,
  იავ-ნანინაო.
დაიძინე უდარდელად
  შენ პაწაწინაო.
შრომის ბირჟაში ჩაგწერე
  შენ წინდაწინაო.
შენს გაზრდამდე გაგზავნიან
  ვინც არს შენს წინაო.
მაშ იძინე ტკბილ იმედით,
  რამ მოგაწყინაო.
ახალ სახლებს აშენებენ
  გვექნება ბინაო.



იავ-ნანა, ვარდო ნანა
  ვარდათ იშალეო.
გაიზარდე, მომესწარი
  დედაშენს მალეო.
გახდი სპეცი, ანდა-გამგე
  შენ გენაცვალეო.
ჯამაგირ არ გეყოფა,
  სხვა რამ მოთალეო.
მემანქანე შეიყვარე
  მზითი დათვალეო.
ქორწილის დროს დედაშენსა
  შემომითვალეო.



იავ-ნანა, ვარდო ნანა
  დედა ახარეო.
უფროსებთან დინჯი [illegible],
  სხვებთან კი ცხარეო.
ფეხით არსად წახვიდოდე
  ავტოს მჯდომა[illegible];
გადათელე: მინდორ-[illegible],
  მიდამო-არეო.
მივლენებით მოია[illegible]
  სხვადასხვა მხარ[illegible].

იავ-ნანა, ვარდო ნანა,
  ღმერთი გწყალობდესო.
ანგელოზი მაღლა [illegible]
  შენთვის გალობდესო
შემცირება-გაწმენდის [illegible]
  სხვა გფარველობდესო.
მწმენკომს თავი შეაწყალე,
  რომ ის გბრალობდესო.
ვერ გაგიგონ ცუდი საქმე
  ყველა გმადლობდესო.

იავ-ნანა, ვარდო ნანა
  იავ-ნანინაო.
შრომის ბირჟაში ჩაგწერე
  შენ წინდაწინაო.
გაიზარდე მომესწარი
  დედაშენს მალეო.
გახდი სპეცი, ანდა გამგე,
  შენ გენაცვალეო.

# ტელეფონ-ამბები

## ქედა

— ალმასკომია? ზექერია ხარ? ჰო, სალამ ალეიქუმ, ზექერია! კაცო, რავა ხარ? რა ამბავია? წაიკითხე ქედაზე დღევანდელ „ტარტაროზში“? რაო? ეხლაც თამაშობენ კარტსა და ნარდს? მემედალა ცინცაძე აგინებს ავტორსო? არაფერია. ეს ვერ უქნია კარგი. კომუნისტი კაცი, პასუხისმგებელი პიროვნება და კორესპონდენტის გინება. აა. გადაკრული იყო? ფხიზელი. ეს ვერ ჩაუდენია კარგი საქმე.

კი, მაგრამ გამომძიებელი გოგიტიძე არაფელ ზომებს არ ღებულობს კორესპონდენტის მგინებელთა წინააღმდეგ? სად არის წასული? მეჩეთშია? რა უნდა, კაცო, მეჩეთში? ლოცულობს? გაგონილა კომუნისტი კაცის, ისიც გამომძიებლის ლოცვა! რამაზანსაც ინახავდა?

რაო? ვენტ - პუნქტის გამგე გოგუაძე ჩარჩ-ვაჭარ - მიკიტნებს მფარველობსო? როგორ, კაცო? კონტრაბანდა საქონელს ვეტპუნქტში ინახავს? ეს ვერ არის კარგი ამბავი. პასა საქმე ვერ გაუკეთებია და კონდრაბანდისტებს ეხმარება!

ერთი მითხარი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ჟვალიანმა რომ მიწა იყიდა, იმის რა ჰქენით? ქე აქვს ისევ? შვილი ჩაასახლა შიგ? კი, მაგრამ მიწის ყიდვა - გაყიდვა აკრძალული რომ არის?

სკოლის გამგე ბ. მეგრელაძემ მოწაფე გალახაო? როგორ, კაცო? პანდური ამოჰკრა?

აა. ალო. საქალაქთაშორისო. ქედა. ზექერია. თუ ძმა ხარ ბათომში ჩამოდი, ბევრი სალაპარაკო მაქვს კიდევ, თორემ ამ ქალმა ამომჭამა თავში ტვინი. **შაქირ.**

## ჭიათურა

ბარიშნა! ბარიშნა! შემაერთე, დედა ნუ მოგიკვდება, ოლიფანტე ჭანჭალეიშვილს.

ოჰ, ოლიფანტეს ვახლავარ, ოლიფანტეა! ზრასტი! რავა ხარ გულბოყვში? ბიჭო, შე სუქინსინო, შე ცუგანო, შე მაიმუნო, შენა, საღა ხარ აქამდის, რომე ერთი არ გამეპარე ჩვენსკენ!? ჰა, რაიო? ოლიფანტე არ ხარ შენა?! ვინ ხარ აპა, არ იტყვი?! ვინაო? მილიცია?!! მე ვინ ვარ?.. მე... მე... იგი... რა ქვიან... ჰო, იგი ვარ: ; რა გვარი ვარ?.. გვა... გვა...რი.:. ჩემო ბატონო, ვის ვაგინებდი? ჰო, არა, ბატონო, რავა გეკადრებათ, მე ოლიფანტე მეგონა ჩვენი, თვარა თქვენ რავა გკადრებ ამისთანა სიტყვებს. კი, ბატონო, კი მინავათი ვარ...

ბარიშნა? ბარიშნა? შე ქალო, მე ოლიფანტე ჭანჭალეიშვილი გითხარი და შენ მილიციას შემაერთე? ბოშო, ეს მილიცია რომ მაგინებიე ტყვილა, რეიზა მერე, ჩემო დაია, რეიზა! მაინც არ ვიყავ ბლაღონადეჟნი და ახლა თელათ გამიფუჭე პოვედენია! კაი, კაი, დედა ნუ მოგიკვდება, მომეცი ოლიფანტე.

ზრასტი, ოლიფანტე! არ ხარ ოლიფანტე! არ ხარ ოლიფანტე?! აპა, ვინ ხარ, ბატონო, ვინ? ჟენადელი? არა, ბატონო, არა, ჟენადელი რათ მინდა! მე ოლიფანტე ჭანჭალეიშვილს მინდა დაველაპარაკო. ატბოი დოურტყი, ბატონო, ატბოი.

ბარიშნა, მომაშორე ამ ჟენადელს და მომეცი ჩვენი ოლიფანტე, იწამე ღმერთი!

ოლიფანტე? ოლიფანტე! ჰა?! ოლიფანტე არა ხარ?! აპა, ვინ ეშმაკები ხარ, არ იტყვი!! ალმასკომი ხარ?! მინავათ ბატონო, მინავათ!

ბარიშნა, ბარიშნა? ე, ქალო, ნუ დამალანძღვიე. ეს პატიოსანი ხალხი, გადამაფსკვენ ოლიფანტეს! კი, ბატონო, კი!

ჰა? ვინ ხარ? დიოგენი? სიდან, ბოშო? კლუბიდან? ე, ბიჭო, დიოგენ, იწამე ღმერთი, ოლიფანტე ჭანჭალეიშვილს მინდა დაველაპარიკო და ვერაფერი გავაგებიე ცენტრალის. ჩეირბინე, თუ კაცი ხარ ტელეფონის სადგურში, მაქანა მაინც ახლოსაა და შემახვეწნე ბარიშნას, რომ შემაერთოს ჭანჭალეიშვილს, კიი?! აპა, თუ ძმა ხარ, თუ! დედა, რაღმა შარს არ გადამკიდა ამ ცენტრალიმ!

ჰა დავრეკო? კი, ბატონო, კი!..

ვინ ხარ ტელეფონში? ოლიფანტე! მადლობა ღმერთს! სხვა, ბიჭო, რავა ხარ ხასიათში? ჰა? რაო? რაო? ჰა? ხმა ამეიღე, შე კაცო, რას ბლიყინებ! რაიო, კლუბის პარიკმახერეპი რა შობიანო? ორივე ამხანაგები დამკას თამაშობენ და მუშტარი ოჩერეზში დგანო!! ხო, აწი? როცხა თამაშს მოვრჩებით მერე გაგპარცამთო?“ იმე, მათი ნება არაა, რას იზამ! ვინაა აგი რომ გვიშლის ლაპარაკს? ე, კაცო, მაცა, იწამე ღმერთი... ბარიშნა, ბარიშნა? ვაი, ჯანაბაში წადი შენ და მამაჩემ სილიბისტროსთან! აგია საქმე? აგია ტილიფონი! თფუ!.. თავსლაფი დავასხი ამისთანა ლაპარაკს! რავა შუაზე შემაწყვეტია იმ სახლკარ მოსაფშუკავმა ვინცხა იყო! **გოგია.**



სენაკის დაწესებულების ბიუროკრატებს მოევლინა ვექილი ჯანჯღავა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა მავნე ელემენტებს იცავს სასამართლოში. რისპირელი

— ამბობენ: კარგი ვექილიაო!

— კარგი რომ იყვეს, რაღ გინდა? მუშისა და გლეხისათვის უსარგებლოა... ის მხოლოდ შრომის დეზერტირებს იცავს.

## საჩხერე

წკრრ.. წკრრ.. სადგური.. სადგური.. სადგურია. შემაერთეთ მარანს, საიდან. მარნის თემის ეპოს კანტორა? ლექსო თუა მაქანე მოვიდეს ტელეფონთან. არ სცალია? ვაი დედასა! უწინ ჩემ ხმას რომ გეიგონებდა, ჩიტი ვერ მოასწრებდა მოფრენას და ეხლა „ვიდვიჟენია“ რომ გოუკეთეთ, ამიტომ არ კადრულობს კაცს. ა? ლექსო ხარ? სად იყავი ბიძია, ამდენ ხანს? ქე შემომელანძღე კაცი და რაღაი. რა ამბავია ბიჭო, მაქეთ? როგორ არის საზოგადოებრივი მუშაობის საქმე? კოოპერატივმა გაგიჩინა სინსილა? კოლია ბახტაძე თავისიანებს ატანს ფართალს? მერე გამგეობა რას შვება? ა? იმისთანა ოხერია იგიც? რას ამბობს კოლია და პარმენ მიქაძე? კუდა-ბზიკა მუშკორებს რაც აცვია, იგეც უნდა გავხადოთ, თორემ ფართალს რავა მივცემთო.

ფოსტაში რა ამბავია? საგაზეთო წერილების მობილიზაციაა გამოცხადებული? მერე და ბიჭო შენ დეგეფსო თვალები, ალმასკომი არაა მაქანე? კია, მარა არ სცალია? რას აკეთებს, ბიჭო? თავმჯდომარე ცეკვის პრიზებს არიგებს? დეიღუპე საცხა!

ნარდის სათამაშო იყო მაქანე გახსნილი და რავაა იმისი საქმე? არ მესმის! ააა? თავანზე თამაშობენ ახლა? კვერცხებში და პაპიროსებშია თამაში?

სამკითხველოში რა ამბავია? ა? ღვინის კრიზისია, თვარა ქეიფობა იქნება გამართული! ჰუ, თვაშენა ღმერთმა, თქვენთან ყოფილა ნამდვილი კულტ-რევოლიუცია. გეჩქარება? კარგი, ნახვამდის. პორთფელი არ დაგრჩეს, ბიძია, მაქანე! **ბრაგუნა.**

# ექ' ტაში (ამბროლაური, რაჭა)

ამას წინედ ადგილობრივ კლუბში ჩვენდებოდა კინო სურათი „წითელა..." როცა ეკრანზე უჩვენებდნენ მეგრელებს და თათრების ბრძოლას, ადგილობრივ მასწავლებლებმა, რომლებიც მთვრალები იყვნენ, ახტეხეს რევოლვერებიდან სროლა.

ალი.



მივსცხოთ ბიჭებო!

## „კონსერვი"

გორის საკონსერვო ქარხანა, თუ არ ვცდები, მგონი მაშინ ამუშავდა, როცა ჩვენს აფთიაქებში „ოლიუმ რიცინი" (საფაღარათო) არ იშოვებოდა.

მას შემდეგ ის თავისი მოწოდების სიმაღლეზე სდგას.

მისი მსხვერპლი გავხდებოდი, რომ „სასწრაფო დახმარება" არ მოსულიყო ჩემს წასაყვანად.

ავტომობილი მიჰქროდა.

სამეანო ინსტიტუტთან გაჩერდა. გავნცვიფრდი და ინსტიქტიურად მუცელზე ხელი მოვისვი—ორსულად ხომ არა ვარ-თქო (დახეთ, როგორი სიცხე მქონებია გოგრაში; გამავიწყდა რომ ვაჟი ვიყავ. შემდეგ ჩემს თავს გაუბრაზდი:— დღეს ქალებიც არ ორსულდებიან, თორემ კაცების ორსულობა ხომ ისტორიასაც არ ახსოვს). თურმე მე არ გამიგია ისე, ჩემთან ავტოში შემოუყვანიათ ორსული ქალი, რომელიც მიიღო დანიშნულმა სავადმყოფომ.

იქედან ავტო ორთაჭალისკენ გაექანა. ციხეს მივუახლოვდით. გულმა საცეხველბჯით ბაგი-ბუგი დაიწყო; შიშისგან დავრეტიანდი. რატომ მაპატიმრებენ, როდესაც ჩემს სიცოცხლეში ცუდი არაფერი ჩამიდენია-თქო. უსაფუძვლო შეიქნა ჩემი შიში, გამოიყვანეს ბინიდან ავადმყოფი და ჩემთან მოათავსეს.

მოუსვით ავლაბრისკენ.

ის ყოფილ „არამიანცის" საავადმყოფოში დასტოვეს და ჩვენ გავქანდით ნაძალადევისაკენ.

მთელი ქალაქი შემომატარეს. 8 საათზე. შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით თურმე ავადმყოფებს მოუყრიან თავს ქალაქის ყოველ კუთხიდან და შემდეგ ჩამოარიგებენ დანიშნულებისამებრ საავადმყოფოებში.

ყოველდღე ხდება მომვლელი ქალების ჩხუბი და აყალ-მაყალი იმის გამო, რომ (ახ)რა ქალს ერთი იატაკის საწმენდი ჩოთქი და ჩვარი აქვთ. ამიტომ ისინი რიგში დგებიან და ვაი მას, ვინც ურიგოდ მოინდომებს ამ ინსტრუმენტების ხელში აღებას—ერთ ღერ თმას არ შეარჩენენ თავზე.

ცვანტი.

## გ'ხმ:რო

ტარტაროზ, რად არ ნახულობ
ამ ამწვანებულ მხარესა?
ირგვლივ ნაძვნარში ჩაფლულს,
ამშვენებს არე-მარესა.
შენ თუ გაშინებს მგზავრობა,
არ დაგიჯდება ძვირია.
ჩალვადარს მისცემ რვა მანეთს
ცხენი ჰყავდეს თუ ვირია.
რომ შეუდგები პირველ გორას
(მას უწოდებენ „საბაყოს"),
იქ ჩალვადარ ჩერდება,
საუზმით უნდა დაგბაყოს.
დაასვენებ შემდეგ ადგილს
ეწოდება „წიფლის წყარო".
აქ ჩერდება ჩალვადარი,
ღვინო რომ სვას როგორც წყარო.
„თხემლარაზეც" შეისვენებს,
„სოძლიაზე მოგთხოვს სადილს
იმართება სადღეგრძელო,
ასრულებენ გულის წადილს.
აქ სადილში გამოგძვრება
შენ მანეთი მაინც ათი.
(ეჰ, რას იზამ? ასეთი აქვთ
ჩალვადარებს აქ ადათი!).
პურ-წიგნაკში ორის ნაცვლად
უწერია ყველას ათი.
(ვინც აქ სურსათს ანაწილებს,
ვერ გავიგე საქმე მათი).

წიწმატი.

# ტექნიკოსი პეტროვი, წოლა უყვარს მეტრობით!

წოლისა და ძილის მეტრობით ანუ საზოგადოთ სიგრძის ზომით ზომვა ჯერ გაუგონარი ამბავია. თუმცა იციან ლაპარაკი: „ერთი მტკაველი ძილი ადგია თავზე“-ო, მაგრამ ასეთი მტკაველით გაზომილი ძილი ჯერ არავის უნახავს.

მით უფრო ძნელია მეტრობით წოლის გაზომვა, თუ ამავე დროს ძილთან კი არა, მამალ ღვიძილთან და სიფხიზლესთან გვაქვს საქმე.

წოლა და აქტიური სიფხიზლე, — ეს ალბათ ტექნიკისა და ტექნიკოსების საქმეა.

ყოველ შემთხვევაში ასე მსჯელობს ჩვენი მცხეთელი კორესპონდენტი (პავსი). ის გვაუწყებს ჩვენ, ადგილობრივ აზნევთშენის სამუშაოთა ვითარებას. მისი გადმოცემით ადგილობრივ სამუშაოთა ხელმძღვანელად იმ თავიდანვე ითვლებოდა ტექნიკოსი პეტროვი.

ივნისში ტექნიკოსი პეტროვი დაავადმყოფდა (ფეხი დაუშავდა). ცხადია, ასეთი ტექნიკოსი უნდა გადაწერილიყო დამზღვევ სალაროზე თავის დროზე და სამუშაოთა ხელმძღვანელობა ჯანსაღი ტექნიკოსისთვის უნდა დაეთმო. ასეთი ტექნიკოსები კი მას უხვად გააჩნდა თავის განკარგულებაში.

მაგრამ დახეთ პეტროვის სულგრძელობას! ის განაგრძობს სამუშაოთა ხელმძღვანელობას ავადმყოფი და, როცა ეს ტექნიკურად შეუძლებელი ხდება, მუშები სვამენ მას ტაჩკაში და ასე მიაგორ - მოაგორებენ სამუშაო ადგილებზე, როგორც ოდესმე ეგვიპტის ფარაონები დაჰყავდათ ხოლმე.

რა თქმა უნდა ტექნიკოსი, რომელიც თავის-თავს არაზოგავს, ავათმყოფობასაც არ უყურებს, ისე ერთგულად განაგრძობს თავის მოვალეობათა შესრულებას, უეჭველია, შრომის გმირის წოდების ღირსია.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი აღმშენებლობა იგივე ბრძოლაა კაპიტალისტურ სამყაროს გარემოცულობის წინააღმდეგ. ეს, თუ გნებავთ იგივე სამოქალაქო ომია, იგივე კლასობრივი ბრძოლა და ვაშა იმ მეთაურს, იმ სარდალს, რომელიც, მიუხედევად ომში დაჭრილ-დასახიჩრებისა, მაინც მხნედ განაგრძობს მისდამი რწმუნებულ მებრძოლ ლრაზმის (ამ შემთხვევაში მშრომელი რაზმის) ხელმძღვანელობას!.

მხოლოდ საკითხავია: ომში რომ ყოფილიყო პეტროვი და დაჭრილიყო, განაგრძობდა თუ არა ბრძოლის ველზე ყოფნას და რაზმის ხელმძღვანელობას?

არ განაგრძობდა. პეტროვი ამ შემთხვევაში დარჩა შრომის ფრონტის ერთგული იმდენად, რომ ის, დაშავებული, ტაჩკითაც კი განაგრძობდა სამუშაოებზე სვლას და ავადმყოფის სარეცელს არ ნებდებოდა, დამზღვევ სალაროზე არ ეწერებოდა, ეს თურმე იმიტომ ხდებოდა, რომ დამზღვევი სალარო მას ხელფასს იმ რაოდენობით არ მისცემდა, რასაც ფაქტიურად ასეთი გაწამაწიით ღებულობდა.

როგორც სჩანს აქ სტრატეგიას ან ომიანობის სხვა ტექნიკას კი არ აქვს ანგარიში გაწეული, არამედ უბრალოდ ხელფასის მიღების ტექნიკას.

ტექნიკოსისათვის სულ ერთია, რომელი ტექნიკითაც კი მოიტეხნიკებს მეტ ხელფასს.

ჩვენთვისაც სულ ერთია: ტექნიკოსი პეტროვი დღე, იწვეს მეტრობით ,სანამ სხვებს ადგია თავს „მტკაველი ძილი“ და ზოგი უმსგავსოება დროზე ვერ შეუნიშნავს.

მაგრამ...

**გამგეთ დარჩა ლოპუტინი,**
**მან გაართვა მუშებს ღდინი.**

მაგრამ ფაქტიურად კი საქმემ ცოტა სხვა გვარი მიმართულება მიიღო.

მოგეხსენებათ, რომ „ტაჩკა“, როგორც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა, დიდათ გამოყენებულ იქნა ტექნიკოს პეტროვის მიერ.

მაგრამ, როგორც სჩანს, ყველაფრის გაკეთება არც „ტაჩკას“ შესძლებია.

ახლო-მახლო სამუშაოებზე კიდევ შესაძლებელი იყო მისი მიგორებ-მოგერება. ხოლო როცა მანძილი დაგრძელდა, მაინც საჭირო დარჩა ახალი ტექნიკოსი, პეტროვის ფაქტიურად შემცვლელი.

მოგეხსენებათ, ისიც,, რომ სამება საზოგადოთ მოურიგებელი რამ არის ერთსა და იმავე სამუშაოზე.

ამიტომ იყო, რომ საღვთო წერილის სამებას საღვთო „ფუნქციები“ განაწილებული ჰქონდათ: მამა ღმერთი შობდა ძე-ღმერთს, ხოლო სული წმინდას აშობინებდა მას. სამაგიეროთ, ძე-ღმერთი არც არავის არ შობდა და არც არავის აშობინებდა, ისე ჰყავდა აყვანილი უამრავი საყვარლები, ნელ - საცხებელოვანი ქალწულების სახით.

აქ კი ტექნიკოს პეტროვის მიერ დაობლებულ საქმეს ერთად ელირებოდენ და თავებს ატეხდენ სამნი ტექნიკნი: გორდონი, მიხაილოვი და ლოპუტინი.

როგორც ეტყობა, ბოლოს ჭალარა თმამ აჯობა, თუმცა ამან მუშების შუბლი მძიმე და მწარე სევდით დაღარა, რადგან იგი აღმოჩნდა უდიერი, მუშებს შორის შუღლისა და ინტრიგის მთესველი იმდენათ, რომ საქმე ერთმანეთ შორისა დარევითა და ცემა-ტყეპითაც კი დათავდა.

ამასთან მას ჭირივით ეჯავრება თურმე მისთვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრე ხალხი და ყოველ საშვალებას ხმარობს ასეთებისათვის მდგომარეობის ხელოვნურად გასაძნელებლად.

როგორც ტექნიკოსს, მას ამისი „ტექნიკურად“ მოგვარება სრულიად ადვილად შეუძლია თურმე. სჩანს, აზნეფტის სამუშაოები ამ მიმართულებით დიდსა და ნოყიერს ნიადაგს წარმოადგენენ.

მხოლოთ საინტერესოა მიხაილოვის ხვედრი. საერთო ძალით ტექნიკოს — გორდონის თავიდან მოშორების შემდეგ, ფაქტიურ ხელმძღვანელობის შესახებ დავა უკვე გაგრძელდა მასსა და ლოპუტინს შორის.

მოგეხსენებათ, რომ ყოველს დავას ერთი და ერთი მხრისათვის მოჰყვება სიძნელე და ჯავრი. ჯავრის გადაფერვა კი მხოლოთ იქ არის შესაძლებელი, სადაც ბლომად აწყვია ბოჭკები, გუდები და კვარტები. რუს კაცს ჯერ კიდევ პუშკინის მშვენიერი ლექსით აქვს დაწინდული ეს ამბავი:

„ვიპიომ ს გორია, გდე-ჟე კრუჟკა? სერდცუ ბუდეტ ვესელეი!“

ალბათ, ამ ლექსის სიტყვები ურეკავდენ ყურში მიხაილოვს, როცა ის დავისაგან დაავადებული მახლობელ სარდაფისაკენ მიფონავდა.

მართალია, სარდაფი ახლო იყო, მაგრამ ერთხელ იქ ჩასულ მიხაილოვის ამოყვანა, შემდეგ უკვე კვირაობით აღარ ხერხდებოდა. იკარგებოდა კაცი რაღა, ბოჭკებსა და კვარტებ შორის.

არ ვიცით, თუ ახლა სად იმყოფება ტექნიკი მიხაილოვი, ყოველ შემთხვევაში ეს ტექნიკური საკითხია.

მაგრამ ეს ტექნიკური საკითხიც ხომ ტექნიკოსის მიერ მოტექნიკებული საკითხია, ისე როგორც თავის დროზე ხელფასის საკითხი მოატექნიკა ტექნიკოსმა — პეტროვმა.

**ჭაზირა.**

# ს ა ბ უ დ ა რ ი



ბაცილები: — წავიდეთ დეზერტირის ბაზარში: იქ სანიტკომისია არ დადის!

# ჩ უ რ უ ქ ს უ

— სელამ ალეი ქუმ ისმეილ!
— ალეი ქუმ სელამ!
— ქეიფ ხასლიდურ ყარდაშ!
— ეი დურ ჩემო ასლან, მაგრამ ზოგიერთების საქმე ცუდათ არის ძიავ!
— ჰოვ! რაცხა წმენდა იყოვო, შენ ხომ არაფერი გავნეს?!
— მე ჰოვ! გადავრჩი, მაგრამ სულეიმან მენაბდე გაცოცხეს.
— როგორც გავს მწმენდავები მაგარი ბიჭები ყოფილან. სულეიმანს მაგრად ქონდა ფესვები გადგმული და საკვირველია რაფერ მეერიენ მაგას.
— მაგრად იყო, მაგრამ ვერ იქცეოდა კარგად... თუ ქაბა არ გეცვა, ალმასკომში არ შეგიშვებდა; შეგიშვებდა და ყურადღებას არ მოგაქცევდა; სულ ქალებს უშვებდა. სულ იმათ ეფუსფუსებოდა. კულაკი კაცი გლეხების საქმეს რავა გააკეთებდა, ძიავ!
— მაგის გაცოცხა, ჰოვ, ძალიან სასიამოვნოა. ჩემო ისმეილ, სუდის თავმჯდომარესთან კაიკაციშვილთან და გამომძიებელ ბარამიძესთან ცოტა საქმე მაქვს და ხომ არ იცი სად იქნებიან?!
— მაგენი ჰოვ, ზარნაძის დუქანში ყლუნწავდეს და ეხლაც იქინე იქნებიან... აგი ძროხა რატომ გიჭირავს ხელთ? ხომ არ უჭირს რამე!
— ამ შეჩვენებულს ბაწარი გაეწყვიტა გუშინ და ვოზოში ლობიეთ გამძღარიყო. მას შემდეგ მუცელზეა გაბერილი: მინდოდა ჩვენ ხექიმისთვის მეჩვენებია, იქნებ რაიმე საშუალება იცის მეთქი, მაგრამ ეს ჩვენი ძროხის ხექიმი თვითონ გამხდარა საექიმოთ, ისე გაბერილა ღვინით; მაგიც ზარნაძის დუქანში გაბრუებულა.
— მშვიდობით, ასლან, ცოტა საქმე მაქვს ბანკში თუ მეავანაძემ (ძველი ხარ შენ)! უარით არ გამომისტუმრა.
— ისმეილ, სოფელში ხმები ამოიჭრა — ამ ჩვენი ეპოს გამგე რომაა გეგიძე, იმის სკამისათვის თითქოს ჩხუბი და ერთი ალიაქოთი მომხდარიყოს... მართალია?!
— ერთმანეთს თავს უთართქალებენ, მაგრამ გეგიძე მაინც მაგრადაა.
— გლეხკომის თავმჯდომარეზედაც დადის რაღაც ხმები და ხომ არ იცი რაშია საქმე?!
— გაზეთიდან უთაქეს და „ცოტა“ უგუნებოდ გახდა.
— ჰეივახ! ჰეივახ! ჩემო ასლან! ულურულა, ძიავ, ულურულა.

**იანო.**

---

## პორტფელი

პორთფელო, ჩემო პორთფელო
რისთვის გამაბი მახეში,
ხალხის ქონება გავფლანგე,
ყველა მაფურთხეს სახეში.
გახსოვს, პორთფელო, ვიყავ
მე როგორი განცხრომაშია;
იხრათ გავფლანგე ფული
ლიდიჩკას ხუმრობაშია.
მე შენი საშუალებით
ბევრი ვატყუე ქალები
ახლა ციხეში ჩაგვყარეს
და დაგვიყენეს თვალები.
ვაიმე, შენ ჩემო პორთფელ
ნაკერო ხრომის ტყავისა,
არავის არ დავაბრალებ,
მტერი ხარ ჩემი თავისა.
სანამ ვიყავი, სულ ვჭამე,
იხრათ ვისუქე მუცელი.
ყალბ საბუთებს რომ ვადგენდი,
ბევრი ვაფუჭე ფურცელი.

**შ. გოდერძიშვ.**

# ს ი ღ ნ ა ღ შ ი



— ვა, ამით როგორ ჩქარა მიხვალ სამოთხეში!
— ჩქარა კი არა... ნუკრიანიდან ჩემმა კამეჩებმა ამოათრიეს.

## ამაღლება

**ნანა**

ვის მოსწრია, ვის უნახავს
თემი ამისთანა...
სძინავს ყველას, სძინავს დრამწრეს...
ნანა, ნანა, ნანა!
მიჰქრის დრო და გადის წელი,
ელავს ცის კამარა,
და აქ ერთი წარმოდგენაც
არ დადგმულა, არა.
ძველ „არტისტებს“ სასიკვდილოდ
ჩაეძინათ მგონი,
ვერ აღვიძებს სევერიან
და ვერც სარდიონი.
სხვა თემები წინ ისწრაფვის,
კულტურული შრომით.
(ამ სტრიქონებს ვსწერ მე ახლა
ტარტაროზულ წყრომით.)
ამაღლება ძირს ეცემა
ასე მიდის ხანა..
სძინავს ყველას, ძინავს დრამწრეს
ნანა, ნანი-ნანა!

## რადიოს გასვენება

რადიო ჩემო ძამია!..
ვაიმე, ჩემო რადიო,
უდროოდ გარდაიცვალე,
ჩამოდგა გლოვის წამია.
კარგა ხანია, რაც შენგან
მუსიკა ჩვენ არ გვსმენია;
კულტ-კომისიამ შეგყარა,
უკურნებელი სენია.
შენს დაავიწყდა შეფობა,
შენთვის არ ზრუნავს არავინ.
გადაწყდა: უნდა აგიგონ
სამგლოვიარო კარავი.
რადიო ჩემო ძამია..
ვაიმე ჩემო რადიო;
დაემშვა გლოვის სალამი,
ჩაგიქრა განთიადიო.
მიგასვენებენ... მოსთქვამენ
(ხუმრობა ხომ არ გონია!)
კულტ-კომისია ღრიალებს,
ქვითინებს ალმასკომია.
სად არის შენი ძველი ხმა
და ლამეების ცქრიალი:
წაღმა ვით უნდა ვიფიქრო
შენი უკუღმა ტრიალი!
ვაიმე, ჩემო რადიო,
მშვიდობით, ჩემო ძამია,
მშვიდობით აწ და მარადის.

**იანო.**

## კონტუათი

კონტუათს ბაღი გაშენდა
ლამაზი, სიმინდიანი;
ყვავილმა ველარ იხარა,
დარგვა შეიქნა გვიანი.
სასეირნო ბილიკებსა
ირგვლივ უვლის დიდი თხრილი,
უსათუოდ ცხვირს გაიტეხ
თუ არა ხარ მეტად ფრთხილი.
წყალტუბოში წასასვლელად
არ შეწუხდეთ მომავალში;
აბაზანის მისაღებად
ვანები გვაქვს შიგ ჩვენს ბაღში.
აგრონომსაც ვაშა ეთქმის
ჰკვა ქონია მეტად სადი;
მთლად აბანოთ რომ აქცია
უბედური ჩვენი ბაღი.
საცოდავი კლუბიც ვნახოთ,
მოვიხსენოთ მისი სული,
ოთხ წელიწადს რომ შენდება,
აღარ უჩანს დასასრული.
შენ, უიღბლო ჩვენო კლუბო,
სად წავიდა შენი ფული,
საღამო რომ შარშან იყო
იმისაგან შემოსული?
რევიზიაც აღარსად სჩანს,
დაავიწყდი ყველას კლუბო,
(თურმე ბედი არ გწყალობდა);
გაგიმზადეს უკვე კუბო.
ბაღის თავში გავიხედოთ
ვინახულოთ სამკითხველო;
რკინის თავი უნდა გქონდეს
შიგ შემსვლელო,—წამკითხველო.
ბიკტორს ღვინო რომ უყვარდეს
ეს კი რა ჩვენი ბრალია,
საზოგადო ფული ნახა,
და ყოველდღე ის მთვრალია.
კლუბის ფულსა სამსხვერპლოზე
მოემატა მგონიც ისიც,
და ორივეს უკვე ძმურად
გადუხადეს პარაკლისი.

**თასმაფა.**

# ცნობათა მიღება

**ფოთი. საველ გოგიას.** თქვენა გგონიათ, მარტო ვაპარქინიდან მოდიან ის კოლოები, შეყვარებულებს რომა ჰკბენენ?!. ამ იშვიათ არსებებს შეიძლება კაპარჭინაც უხვად იძლეოდეს, მაგრამ მარტო მაზედ საყვედური ჩვენ მაინც ცოცხალ უსამართლობათ გვეჩვენება. კაპარჭინა ამ შემთხვევაში უბრალო მსხვერპლი შეიქნება და, როგორც ასეთი, თანაგრძნობის ღირსიც.

რაც შეეხება კლუბს, თუ ის მარტო მოსაწყენია და არა საწყენი და საზიანო, ეგ კიდევ არაფერი. ზოგ კლუბზე ბევრად მეტი რამე გაგვიგონია.

მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა თქვენი ასეთი რჩევა-დარიგება კლუბის მისამართით:

**თავი ნუ მოგაქვს ევროპის კლუბად,**
**მუშას რად უნდა შენი ვალისი,**
**მოაწყვე რამე გასართობები,**
**რამაც მოჰფინოს ყველას ხალისი.**

ადვილი სათქმელია, რომ ასევე ადვილი შესაძლებელი იყვეს, ჩვენ არ ვიცით, მართლაც მოაქვს ფოთის კლუბს თავი ევროპის კლუბათ თუ არა. ყოველ შემთხვევაში ევროპის კლუბობა ფოთის კლუბს, რა თქმა უნდა, არ დაშვენდება. მაგრამ ვერც თუ ევროპას დაამშვენებს ისეთი კლუბი, როგორიც, თქვენის აღწერილობით, ფოთს ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ „ვალსი" ევროპაში დიდი ხალხის გამომწვევიც არისო.

**რაჭა, ნიკორწმინდა. „ესმ შინ"-ს.** თქვენი კორესპონდენცია ასე იწყება:

**ვინ არ იცის, ტარტაროზჯას,**
**ლადო ჯმუხაძე, ცნობილი,**
**ყოველი ცუდი საქმისთვის**
**დაბადებული—შობილი.**

ჩვენ ამაზე ტუჩების წმაწვნით მოგახსენებთ, რომ ლადო ჯმუხაძეს, მიუხედავად მისი სიჯმუხისა, მაინც არ ვიცნობთ.

თუ ამასთანავე ის ლოთი, ლაზღანდარა, არშიყი და უსაქმური კაციც არის, ცხადია, არც კომკავშირში ედგომება და არც საბჭოს წევრად.

ტკი გამოუძახებიათ კიდეც ქარხნიდან, როცა იქაც განუზრახავს თავისი ლოთი-ფოთობის განაგრძობა!...

აი, ყველაფერი ის, რის ამოღებაც კი შევიძელით თქვენი ლექსიდან. თვითონ ლექსს კი, სამწუხაროდ, ვერ ვათავსებთ.

თქვენა გგონიათ სარედაქციო გოდორში!? არა, ჟურნალში.

**ჩიბათი, ოზურგეთის მაზრა. სევდიან პროლეტარს.** თქვენს ლექსს თუ მივხედავთ, სევდიანი კი არა, საკმაოდ მხიარულიც ბრძანებულხართ და შესაძლოა კიდევ მეტიც. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ სხვებმა საჯონ, ჩვენ კი მოვიყვანთ მაგალითს თქვენივე ნაწერიდან::

**იქ გლეხკომში შევიაროთ**
**ხასადილოს კარებშია,**
**ვინახულოთ დომენტია,**
**შევაფურთხოთ თვალებშია".**

სევდიანი კაცი ასე ვერ მოიქცევა სევდა-ნახულობის ნიადაგზე მას ცოტა უფრომ ეტი მორიდების გამოცდილებაც ექნება მიღებული, ლექსის წერის „ნიჭსა" და „უნართან" ერთად.

**ოზურგეთი. ვ. ადგილობრივს.** „დანის სახელმწიფოში ყველაფერი რიგზე არ არისო", იციან თქმა.

მაშ, რა გასაკვირი უნდა იყვეს, რომ ოზურგეთში და ისიც ერთ ქუჩაზე, თბილისის ქუჩაზე ყველაფერი რიგზე არ იყვეს. მართალია, ბურთის თამაში კაი საქმეა, ხოლო მემთვრალეობა—ცუდი, მაგრამ მარტო ამ გარემოებით ზომვა არ შეიძლება ცხოვრებაში ყველაფრის; სხვათა შორის არც თბილისის ქუჩაზე მოძრაობის. თუ ბურთის მოთამაშეებმა ეტლით მომავალ მთვრალებს ქვები დაუშინეს, ისინი სასჯელის ღირსი ყოფილან. იქითხონ დაშავებულმა მთვრალებმა, რომელნიც სიმთვრალის გამო, ალბად, ვერ დასწევიან დამნაშავეებს.

კაი ფიზკულტურა სცოდნიათ თბილისის ქუჩაზე. პატიოსანი ქალაქის სახელს მაინც არ ახდენდეს ეს ქუჩა.

**დ. ხეთა (სამეგრელო). „ალიო"-ს.** წავიკითხეთ თქვენი კუპლეტები: „გაკულაკებული კომუნისტისა". უნდა მოგახსენოთ, რომ უფროს სიამოვნებას ჩვენ ვერ მოგვიტანდით.

როგორ გგონიათ, რით: თქვენი კუპლეტების ფორმით ან შინაარსით? ოდნავადაც არა. მხოლოდ მათი სიმოკლით. ჩვენ და საბედნიეროთ და თქვენდა სანაქებროთ, ბევრი დრო არ დაგვიკარგავს მათ წაკითხვაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ „დაკარგული" ყველაფერი სანანელსამწუხაროა. მათ შორის, რაღა თქმა უნდა, თქვენი ლექსიც.

**სამტრედია. „ამბორა-ზაურ"-ს** თქვენი „გაწმენდილის სიმღერა" რომ წავიკითხეთ და ფსევდონიმს დავხედეთ, უნებლიეთ წამოვიძახეთ:: არა, რა რიგ უხდება ამ ლექსს ფსევდონიმის ეს მეორე ნახევარი-თქვა!

და მართლაც ლექსი კი არა, ნამდვილი აურ-ზაურია თქვენი „გაწმენდილის სიმღერა".

**ს. გომი, ქუთაისის მაზრა. ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანს.** დიახ, ჩვენ იმ თავიდანვე ვიცოდით, რომ ა. თევზაძეზე ჩვენს ჟურნალში წამოყენებული ბრალდებანი დადასტურდებოდა. ჩვენ რევოლვერის ისტორიაც ვიცოდით, რომ თევზაძემ ისინი საეჭვო ელემენტებს მიჰყიდა, ეს ჩვენთვის იმ თავითვე უეჭვო იყო. საეჭვო და სადარდელი ახლა მხოლოდ ის-ღა გვაქვს: თვითონ ეს „საეჭვო ელემენტები" ამჟამად სადმე რომელიმე ჩვენს საბჭოთა თუ სამეურნეო დაწესებულებაში ხომ არ არიან „უსწოროთ" და უდარდელად მოკალათებულნი?!

და თუ არიან, ჩვენი დარდიც აი, სწორედ ამითი ორკეცდება!...

**კარდანახი, ანაგის სუზუქ ქავალერიას.** საოცარი საქმეა: ფსევდონიმი ასეთი მსუბუქი" გაქვთ, ხოლო ლექსი კი ისეთი მძიმე საკითხავი აღმოჩნდა, რომ ტარტაროზმაც ვერ შესძლო მისი მონელება, აიღო და გადაუძახა სარედაქციო გოდორში.

**საყულია (ქუთ. მაზრა), ქართველ-ოღლს.** მივიღეთ თქვენი იუმორისტული ნაწარმოები: „ნიქაბაძის ცინკულიარი და ლომიძის კომისია". რა თქმა უნდა, იუმორისტული თვით ტექსტში აარფერია, მაგრამ ტექსტს რომ მინაწერი მოსდევს, იქ კი აღმოვაჩინეთ შემდეგი სასაცილო ფრაზა: „მასალა დაბეჭდეთ „ტარტაროზის" უახლოეს ნომერში, ხოლო ჰონორარი დაბეჭდვის შემდეგ მომაწოდეთო".

რა თქმა უნდა, „მოწოდებას" თავი არ ასტკივდებოდა, „დაბეჭდვას", რომ არ ეღალატნა მისთვის.

**სადმე, „სიგ-რი"-ს.** თქვენს „მიწერ-მოწერა"-ს ჩვენ უკვე აღარ ვბეჭდავთ, რადგან, სულ ერთია, იგი მაინც მიწევ-მოწევით გათავებულა.

**ზესტაფონში. „ბი-ლი"-ს.** ტიტველი ქალი რომ ზესტაფონის ექიმის კაბინეტში დავაწვინოთ, ხოლო ამაზე მამაკაცებს ღია კარებიდან ვაყურებინოთ, ამით კარიკატურულ მდგომარეობაში ხომ თვითონ ჩვენ ჩავარდებით!

# ღ ვ ი ძ ლ ი ძ მ ე ბ ი



კაპიტალისტი (სოციალ-დემოკრატებს): აბა, ყმაწვილებო, თქვენებურად ყოჩაღად და ხელმარდად მომაწოდეთ ყუმბარები.

კვირა, 18 აგვისტო, 1929 წ. 33 (217) წლიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი



„ტარტაროზზე" გაჯავრებული ბიუროკრატი გამგე, (რომელიც მოთავსებული იყო პირველ გვერდზე „ტარტაროზი"ს № 27-ში.



ათ საათზე როს მობრძანდა
გამგე დილით სამსახურში, —
დერეფანში საქმმართველის
ხმა მოესმა რაღაც ყურში.

(თანამშრომლებს უჩვენებდა
„ტარტაროზში“ რაღაც სურათს,
მაგრამ გამგემ რა იცოდა —
დასცინოდენ ასე თუ რას?!).

შემობრძანდა კაბინეტში...
გადაშალა მან გაზეთი...
(მუშაობას ჯერ არ იწყებს,
ჩვეულება აქვს ასეთი.

გადაშალა, და აქ ოი,
ამხანაგზე ნახატია.
ქვეშ წარწერა: ჩვენი გამგე
ჩვენი ღმერთი და ხატია.

თანამშრომლებს ეშინიათ...
ყველას დასცა თავსა ზარი.
კაბინეტში გაიყვანა
დასარეკად ათი ზარი.

ვაი იმას, ვინც ჩვენს გამგეს
შეუბრუნებს ენას, სიტყვას;
საყვედურებს და გინებას.
თავს დააყრის, როგორც სეტყვას.

თავისს სურათს ყველგან ჰკიდებს.
მიაჩნია თავი ხატათ.
წარმოებას აეკიდა
ზედმეც ბარგად და შავ ხათათ.

სახლში მიდის გამგე ადრე,
და დილით კი— გვიან მოდის.
ასეთ გამგეს მუშგლეხინი
მოგვაშორებს, ნეტავ, როდის?!“

— ხა-ხა-ხა-ხა! — გაიცინა...
მეორეჯერ წაიკითხა,
და შემოსულ საქმეთმმართველს
მოუხმო და ასე ჰკითხა:

— დღეს „მუშა“-ში წაიკითხე,
რა სწერია მელქისეზე?
აჰა, ნახე!.., როგორ დადის
ამის შემდეგ იგი ზეზე?!

ბიუროკრატ - შიანურა
არ მინახავს მე ამ გვარი!
შეხედავდი, — გარეგნულად
კაცი იყო იგი ცხვარი.

ერთი ბეწვით მას როს ვგავდე,
მოვიკლავდი მგონი თავსა.
ფუ! რასა ჰგავს?! რა ყოფილა?!
არ დავუკრავ აწ მას თავსა!

საქმმართველმა წინ დაუდო
გადაშლილი „ტატაროზი“
და ზრდილობით უთხრა გამგეს:
— მოგიხდებათ ეს ჩაროზი *)—

გამგე ნახატს დააკვირდა,
(დაეხატა იგი „ნადარ“-ს).
შეუწუხდა გული, თითქოს
ვიღაც აყრის ცეცხლს და ღადარს.

იცნო გამგემ თავისთავი;
აწეული ჰქონდა ცხვირი;
მუშა - მოსამსახურეებს
თავზარს სცემდა ანაყვირი.

ქვეშ წარწერა უფრო ცუდი,
ვიდრე იყო მელქისაზე...
მან ადგომა დააპირა,—
ვერ წამოდგა იგი ზეზე.

საქმმართველმა თავისთვის სთქვა:
— რატომ იცი ფაფხურით?!
„საცინელი—სხვას სცინოდა“
თქმულებაა ხალხური.

*) დესერტი.

ზმუკი.

# წმენდაზე

## (სინამდვილედან)

ჯერ კიდევ დამჯდარი არ იყო, რომ ხალამპრე გამოიძახეს.

— აქ გახლავარ! — და წარსდგა კომისიის წინაშე.

— მე, რასაკვირველია, დავიბადე 1898 წელში, და, რასაკვირველია, ღარიბი ოჯახის შვილი ვიყავი. ამიტომ, რასაკვირველია, თავიდანვე მიყვარდა ოქტომბრის რევოლიუცია, და, რასაკვირველია...

— რა მონაწილეობას ღებულობდით რევოლიუციაში? — შეეკითხა კომისიის თავმჯდომარე, როცა შეატყო, რომ ხალამპრე ლობე-ყორეს ედებოდა.

— მაშინ მე ვსწავლობდი რუსეთში. სტუდენტი ვიყავი და ამიტომ, რასაკვირველია, არ მიმიღია მონაწილეობა.

—რატომ? პირიქით, სტუდენტობა ყოველთვის რევოლიუციას ემსახურებოდა. თქვენს თვალწინ რამდენიმე რევოლიუციამ გაიარა და თქვენ არც ერთში მონაწილეობა არ მიგიღიათ?

— მაშინ პოლიტიკურად მოუმზადებელი ვიყავ. ვერ ვარჩევდი — რომელი პარტია სჯობდა. ამიტომ მაშინ განზე ვიდექი.

— თქვენ ანკეტაში გიწერიათ, თითქოს თქვენს ბინაზე საიდუმლო კრებები ხდებოდა მეფის დროს. მაშასადამე, თუ ეს მართალია, არც ისე მოუმზადებელი ყოფილხართ, რომ ვერ გარკვეულიყავით პოლიტიკურ პარტიებში. მაგალითად, თქვენ არ იცოდით — რა განსხვავება იყო მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის?

— ეს მე მივხვდი ოცდა ერთ წელში, როცა მენშევიკები დამარცხდენ და ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს.

— კარგი. თუ გინდ მაგრე იყოს. თუ თქვენ ამას ოცდაერთ წელში მიხვდით, რატომ მაშინ არ ჩაეწერეთ ...აში და რატომ შარშან ი... რეთ?

— ხომ მოგეხსენებათ, ოჯახური მდგომარეობა. ხან მაციებდა, ხან ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო; ორჯერ მუცელი წაიხდინა და ავად გახდა.

— ეხლა უჯრედში რა პარტიულ დავალებებს ასრულებთ?

— ჯერჯერობით არაფერს, გარდა იმისა, რომ საწევრო გადასახადს თავის დროზე ვიხდი; სისტემატიურად ვესწრები პარტიულსა და ყოველგვარ კრებებს. არც ერთ მხარეზე, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ არ ვიხრები.

— მოგვეცით პარტიული ბილეთი!

ხალამპრემ ჩააბარა პარტბილეთი და ისე შეხედა ბილეთს, თითქოს ეუბნებოდა:

—მშვიდობით სამუდამოდ! აწ შენ აღარ დაბრუნდები ჩემთან!

ტფილისელი.

# პირიქით



ჰენდერსონი: — დაბრძანდით ბატონო რწმუნებულო, თქვენს შეხვედრად მე წინასწარი სამზადისი უკვე მოვახდინე. აი ამ საანგარიშო ჩოთქზე თამამად შეიძლება ვიანგარიშოთ მეფის დროინდელი ვალები!

დოვგალევსკი: — დიახ, ბატონო მინისტრო, ეს ჩოთქი იმ ზარალის ასანაზღაურებელ თანხების საანგარიშოდაც გამოდგება, თქვენმა აგენტებმა რომ მოგვაყენეს სამოქალაქო ომის დროს.

---

## „ჩვენი დროის გმირები"

ა.-კავკასიის რკინის გზ. დაცვის 1-ლი რაიონის უფროსი ხერხეულიძე ზის თავის კაბინეტში.

— ნება მომეცით მოგახსენოთ ამხ. უფროსო.

— რა გინდათ?

— ვიღაცა მოხუცებული ქალია, თქვენი ნახვა სურს.

— შემოუშვით. (კარები იღება და ალექსანდრე ხერხეულიძეს წარუდგა მოხუცებული ქალი).

— შვილო, სანდრო, რატომ მოგვიძულე? აღარც დედა გინდა, აღარც ოჯახი, აღარც გვარის კაცები?

— ვინა ხართ თქვენ? „ შეუბღვირა ხერხეულიძემ.

— დედა შენი, შვილო!.. მამა შენის, ხარატიშვილის ცოლი. შენი მშობელი დედა!

— მოქალაქევ! გაიგოთ უნდა, რომ მე ხარატიშვილი არა ვარ. მე გახლავართ ხერხეულიძე. მე თქვენ ვერ გიცნობთ.

— უი! დამიდგეს თვალები! ამისთვის გატარებდი, შვილო, მუცლით?

— მოქალაქევ, კიდევ გეუბნები, რომ მე ვარ ხერხეულიძე. ყოფილი თავადი. ხარატიშვილები გლეხებია. 1917 წლიდან ხერხეულიძის გვარი მივიღე და თქვენთან, გლეხებ ხარატიშვილებთან, საერთო არაფერი მაქვს. გთხოვთ დაგვტოვოთ.

— შვილო, ნამდვილი ხერხეულიძეები მალავენ თავის გვარს და შენ რა ეშმაკათ ჩაბღაუჭებიხარ მას?

ხერხეულიძე გულმოსული რეკავს ზარს და შემოსულ დარაჯს აძლევს ბრძანებას:

— გაიყვანეთ.

ისტერიული ტირილით გულამოსკვნილი დედა წყევლა - კრულვით გადის კარებში.

ხაშურში რბილი რონოდის ფანჯარიდან ვიღაცამ ცხვირი გადმოჰყო, გადმოიწია და მსროლელს გადმოძახა:

— ვინა ვარ მე?

— არ ვიცი, ბატონო, ვინა ხართ?

— არ იცი? მე შენ გაცნობებ ვინცა ვარ! და მსროლელი თხუთმეტი დღით იგზავნება საკანში.

— რისთვის? ვისთვის? რა დამიშავებია?.. რატომ მაპატიმრებთ? — კითხულობს განცვიფრებული მსროლელი.

მას უცხადებენ, რომ ის დააპატიმრა 1-ლი რაიონის დაცვის უფროსმა.

— თქვენ გაუგზავნეთ ჩემს შესახებ რედაქციას კორესპონდენცია? — ეკითხება ხერხეულიძე მუშკორს.

— დიახ, მე! — მოქალაქეობრივი გამბედაობით უპასუხებს მუშკორი.

ნერვებ აშლილი „გმირი" უყვირის თანაშემწეს: — დაიჭირეთ ამ წუთში!

კორესპონდენტს აპატიმრებენ.

იღება საკნის კარები და სატუსაღოში შემოყავთ „დაცვის" უფროსი ალექსანდრე ხერხეულიძე.

— ამხანაგო კობახიძე, თქვენ გათავისუფლებული ხართ — უცხადებენ მუშკორს.

კობახიძე აგმოდის საკანის კარები იკეტება. გუშაგათ უდგას „ახლად მიღებული" მსროლელი, რომელმაც თავი შეჰყო კარებში და ეკითხება ყოფილ თავიით უფროსს:

— ვინა ვარ მე?

— რა ვიცი, ვინა ხარ?!

— მე ის მსროლელი ვარ, რომელიც უდანაშაულოთ თუთხმეტი დღით გაგზავნე საპატიმროში.

ტოქსინი.

## მოზაიკური სურათი

### (ახალი სენაკი)

მთები, ჰაობი, ველები, ჰალები.
მოკლე კაბიანი ბავში და ქალები.
ხვანჭკარა, კახური, ლიმონათი, სიტრო.
გაზეთის კონტრაგენტი ესებუა მიტრო.
მიკიტანი სოკრატა, დიდ-ღიპიანი.
მარანი სირიას, შამპანიანი.
შიგ ღვინო ღვთიური, ბლომად წყლიანი.
თითო ბორჯომი ოთხ აბაზიანი.
თხილი, ნიგოზი, კიტრი ძმრიანი.
თოლორდას დუქანი, შაირიანი;
შიგ ძევს ვაშლები დამპალიანი.
შაქარიც: გირვანქა მანეთიანი.
„ეპო"-ს კანტორა, გალავნიანი.
გამგედ არს მეტად „თავაზიანი" —
ლავრენტი ჯავახია დიდ ღიპიანი.
კოოპერატივი, ბოქლომიანი,
შიგ მარტო ნავთი შაურიანი,
გამგეთ კი ვარლამი „ენა-წყლიანი".
სადგურიც მკვირცხლი, სულ ხალხიანი.
ბუფეტი მუდამ ეამს ნაგავიანი,
ბარნაბა თოხაძეც „თავაზიანი".

[illegible]




სახელი „მწერალი" წარმოსდგება ზმნისაგან, — „წერა" და არა „წერა"-საგან, რაც ბედს ნიშნავს. ამიტომაც წერა არ არის ყველასი „წერა", ანუ ბედი, ხვედრი.

ამრიგად, გამოდის, რომ მწერალი არის ის, ვინც სწერს, არც მეტი, არც ნაკლები.

მაგრამ მწერლად მაინც არ იწოდება კაცი, რომელმაც შემთხვევით რაიმე დასწერა. მაგალითად: ოქმი, ორდერი, ანგარიში ან თუნდაც ორიოდე ლექსი გინდ კრიტიკული წერილი, რომელიც ყოველგვარ პასუხისაგან დაცულია, მათ შორის — პასუხისმგებლობიდანაც კი.

არა, მწერალი სწერს და სწერს, ყოველდღე, ყოველ თვე, წლიდან წლობით. არ არის და არა მისი კალმის შესვენება, შეკოდება.

იწყება ეს ყოველთვის ასე:

— აი, გთხოვთ განიხილოთ... არ შეიძლება ამათი მოთავსება თქვენს გაზეთში ან ჟურნალში?!. ეს მე დავსწერე....

— არა, ვერ წავა. : იცით: : ასეთი ჩვენ არ გამოგვადგება:... ჩვენთვის უმჯობესია უფრო ისეთი..:

— ინებეთ, მე ისეთიცა მაქვს...

— არც ეს არის სულ ისეთი...

— აჰა, მე სულ ისეთიცა მაქვს... მხოლოდ... მგონი, რომ სახლში დამრჩენია.. მოგიტანთ. ::

— რა გაჩქარებთ?.. მოესწრებით... ყოველ შემთხვევაში მოიტანეთ.::

ის გარბის და თქვენ კი რაღაც განსაკუთრებულის გრძნობით გაჰყურებთ მას.... გაჰყურებთ.. : გაჰყურებთ: : გაჰყურებთ: :

— ააახ!.. ალმოგხდებათ თქვენდა უნებურად.... შემდეგ ის მოიტანს „სულ ისეთს"..

— მე კიდევ მომეპოვება::

— არა, ჩვენთვის ამჟამად, ესეც სავსებით საკმაოა... ვნახოთ..: შემოიხედეთ ასე, ერთი კვირის შემდეგ:::

— ნახვამდის!

— ნახვამდის!..

---

— ამხანაგო! იქ სტამბა მოითხოვს რაიმე მასალას, კორპუსით ასაწყობს....

— აი, დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა!... კორპუსით... ასეთი კი თითქმის არაფერი აღარ მომეპოვება... მაგრამ:::: დაიცადეთ, დაიცადეთ... „დავსცხეთ ჩვენ ვრანგელს"... „ვუტირეთ დედა"::: „ჩვენი წითელი არწივები"... „გადავუძახეთ ზღვაში"... „მაშ, ვაუმარჯოს"::: და სხვ... აი, ამხანაგო, რაღაც სულ ისეთია... მგონი, გამოდგება... კორპუსი.. დიახ, კორპუსით.... უთხარით: აწყონ!::

და წავიდა.

ხოლო, რაკი ერთხელ წავიდა, შემდეგ გაუმკლავდით უკვე ბოლომდის...

— ამხანაგო! მე კიდევ გაახელით, ღიდებულია! დასტოვეთ...

ყოველ შემთხვევაში, ამ დღიდან. უნდა დაიხსოვნოთ, რომ კიდევ ერთი ახალი მწერალი უკვე გაჩნდა, რომელსაც ეუბნებიან:

— არა უშავს, დამწერლდებით! ციდან არავის არაფერი ჩამოჰყოლია...

შემდგომ ამისა, ერთი ან ორი თვის გასულს თქვენ უკვე ხედავთ, რომ ერთ-ერთ პატარა ტანის, მაგრამ ყველა დიდ ტანზე უფრო მყვირალა ჟურნალში ის გამეტებით „სცემს ჩოგანს":

„ახალსა და ძველ თაობას შორის".. ახალს ძველისაგან უბრძოლველად ჯერ არაფერი აულია"... ერთი სიტყვით, ძველი ყოველივე ძველია" და „მყაყე", ხოლო ახალი „ყველაფერი" კარგი, თუნდაც იყვეს მკვახე.

და ასე ის გასწივს ფორმაზე... გამოსწივს შინაარსზე... ეს არ ვარგა:::: ის კარგია...

როგორცა ხედავთ, აი, ასე „კეთდებიან" მწერლები.

ამის შემდეგ, ამ გარეგნულ ზრდასთან ერთად იზრდება მწერალის ესა თუ ის მსოფლმხედველობა, ესა თუ ის იდეოლოგია, ესა თუ ის პლატფორმა.

თუმცა პლატფორმა არა ესა თუ ის, არამედ უმთავრესად ერთია, საბჭოთა და არა თუ უმთავრესად, არამედ გადაჭრით და ერთად-ერთი.

მსოფლმხედველობაც უმთავრესად ერთად-ერთი, რევოლიუციონური, თუმცა არც კი იცის, თუ რა ხილია ეს რევოლიუცია.

თუ ყოველივე ამას მივუმატებთ კიდევ: ცარიელ კუჭს, უსაზღვრო მადას, ცხელ სისხლს, თუმცა წითელი ბურთულების საჭირო რაოდენობას მოკლებულსაც იმავე დროს, თქვენთვის ნათელი იქნება მწერლის, ასე ვსთქვათ, შინაგანი არსი.

გარეგნულად კი მას ყოველთვის აცვია შარვალი: ხან ძალიან მრთელი და კარგი, ხან კი ძალიან ბევრი ნაჩვრეტ-ნაგლეჯებიანი (დამოკიდებულია ტალანტზე); ატარებს გრძელ თმებს, თუმცა, თმასა და ჭკუას შორის დამოკიდებულების გამომხატველ ანდაზის შესწავლის შემდეგ, შესაძლოა თმები მოკლედაც შეიკრიჭოს ან სრულიად გადაიპარსოს, რაც მდგომარეობას, რა თქმა უნდა, არ სცვლის.

სტრიქონების სიგრძის მიხედვით თავიანთ ნაწერებში მწერლები განიყოფება: პროზაიკებათ, პოეტებათ და ფუტურისტებათ.

პროზაიკებათ იწოდებიან ის მწერლები. რომელთაც აქვთ სტრიქონები უფრო გრძელია, უფრო განიერი და უფრო იაფიც.

პოეტები—ეს ისინი არიან, რომელთაც იციან წერა მოკლე სტრიქონებით, ხოლო ამ სტრიქონებს ბოლოში უმატებენ რითმას; ასონანსს, ან ალიტერაციას,

თუ ასეთი რამე არ აქვს, მაშინ ლექსი თეთრია და მგავს ქინაქინიან აბებს, რომლებიც ციებას კი არ სპობენ, არამედ, პირიქით, იწვევენ.

ფუტურისტი წარმოსდგება არა ქართულ ფუტუროსაგან, როგორც ეს მათ საზოგადოთ ბუნებრივად ძალიან უდგება. არამედ ლათინურ „ფუტურუს"-აგან, რაც ნიშნავს მომავალს, რომელიც ჯერ კიდევ დიდი მანძილით არის დაშორებული ნამდვილ მწერლობას. ისინი ემსგავსებიან ბავშებს, რომლებიც იგრიხებიან, იმანჭებიან, თავს ირთობენ, იგინებიან და საერთოდ — სწავლობენ. ისე კი ისინი სიმპატიური ხალხია.

როგორც თითონ დაგრეხილები და უკალაპოტო, უფორმო და ,რაც მრავარია, უშინაარსოა მათი სტრიქონებიც. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ისინი ჯერ ხომ არა სწერენ, არამედ მხოლოდ იჩხრიკებიან, ეჩვევიან წერას.

თავიანთ გაუგებრობის მიხედვით, მწერლები იყოფა: სიმბოლისტებად, იმაჟენისტებად, ნეოკლასიკებად, რეალისტებად და საერთოდ ბევრ „იკებად" ან „ისტებად".

სიმბოლისტები—ეს ისეთი პოეტებია, რომლებიც სწერენ „სიმბოლო სარწმუნოების" ფორმით. შემდეგ ისინი თანდათან გადადიან ნეოკლასიკებად, ნეოკლასიკებიდან —პროლეტარულ მწერლებად და ბოლოს იქცევიან ფუტურისტებად, თუ არ მოასწრეს ამ უკანასკნელებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადება და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა (ვინ ნაკლებს დასწერს ლექსს!).

ნეოკლასიკები—ეს ისინი არიან, ვინც ნამდვილ კლასიკებს თან ჰბაძავენ და თანაც ვირის ტლინკებს აყრიან, რა თქმა უნდა, შავი უმადურობის გამოსაჩენად.

იმაჟენისტები—მაშინისტები არ ვის ეგონოს, ეს არის, თუ გნებავთ, იგივე, რაც: „იმან შენი სთქვა, მე შენსას ვიტყვი, ხოლო შენ—იმისას და ასე დაუსრულებლივ...

რეალისტები—როგორც თვითონ სიტყვიდან სჩანს, ეს ისეთებია, რომელთაც დაასრულეს რეალური სასწავლებელი, უმაღლესში ვერ შევიდენ, კონკურსის გამო, და დარჩენ სამუდამოთ რეალისტებათ.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ჯიში მწერლებისა, იუმორისტები. ისინი სწერენ იმისათვის, რათა მკითხველები ატირონ. ყოვლად უბედური ხალხია. კბილიც რომ სტკიოდესთ, მაინც რაიმე „სასაცილო" უნდა დასწერონ.

სხვებს შეუძლიათ სწერონ ტრრრაგედია. კკკომედია, დდდრამა, ნნნოველა თუ ათასი ბელა, ხოლო იუმორისტმა კი უნდა სწერონ მხოლოდ „სამხიარულო".

მთავარი მწერალში—ნიჭია, ტალანტი.

ტალანტის მიხედვით, მწერლები იყოფა.. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, რადგან მწერალი უტალანტოთ წარმოუდგენელია. მხოლოდ ძნელი გასაგებია, თუ სად იმყოფება ეს ტალანტი. შეხედავ, კაცია ჩვეულებრივი: ორი ფეხი ქათამსავით, ორი ხელი, ორი თვალი და ასე გასინჯეთ ორი ყურიც კი... დაჯდება, დაიწყებს წერას და უცბათ—ტალანტი, უსაზღვრო ნიჭი!..

მაგრამ უმთავრესი მწერალისათვის მაინც ჰონორარია. ზოგიერთი ფსიხოლოგი ჰონორარს სთვლის სიმწერლო შემოქმედების უმთავრეს სტიმულად.

ქედს ვიხრი მათი აზრის წინაშე არა, როგორც თეორეტიკოსი, არამედ, როგორც პრაქტიკოსი მწერალურ შემოქმედებაში.

ჰონორარი რომ არ ყოფილიყო, ბევრი მწერალი აღარც კი იქნებოდა დღეს ქვეყანაზე.

ერთი სიტყვით, რაც არის, ჰონორარი არის. დანარჩენი კი ყველაფერი, ასე ვსთქვათ, გიტარაზე მოძახილია ანუ ჩონგურზე—მაღალი ბანი.

თავისუფალი თარგმანი უკრაინულიდან.



ტელეფონმა მმართველის კაბინეტში დაიწკრიალა.

— ვინ არის? — შეეკითხა მმართველი, რომელიც იმ დღეს რაღაცა კარგ ხასიათზე ვერ იყო.

— ვლაპარაკობთ განყოფილებიდან. ერთი ჩვენი მუშა დაზიანდა და გადმოგცემთ ცნობისათვის. — ლაპარაკობდა ტელეფონის მილში უფროსი მუშა.

— ძალიან კეთილი, ძალიან კეთილი, მივიღებ ზომებს! — თითქოს სიხარულით უპასუხა მმართველმა და ტელეფონის მილი ჩამოკიდა.

— სწორედ კარგ დროს მოხდა ეს ამბავი!—სთქვა მან თავისთავისთვის, —მუშები ცუდი თვალით მიცქერდენ. აქ კიდევ წმენდაც იყო მოახლოვებული. თუ მოვიგე მათი გული, მოვიგებ ეხლა! — სთქვა მან და ტელეფონით ავტოს გამოუძახა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ის ქალაქში დაჰქროდა ავტოთი და მეკუბოების სახელოსნოებს ათვალიერებდა.

— ამომირჩიეთ, მოქალაქევ, ერთი კარგი კუბო! — უთხრა მან მეკუბოვეს და კუბოებს დაუწყო თვალიერება.

— თქვენთვის გინდათ? — შეეკითხა გულუბრყვილო მოხელე.

— ლაპარაკიც არ იცით! მე, ხომ მხედავ, მმართველი ვარ. არ გეგონოს ისეთი ვინმე ვიყო, რომელიც მუშებს პატივს არა სცემს. ჩემს დაწესებულებაში დაზიანდა ერთი მუშა და იმისთვის მინდა, ამირჩიე ერთი კუბო, რაც შეიძლება კარგი.

— დიდად სასიამოვნოა. — უთხრა მეკუბოვემ — მაგრამ როგორი იყოს: მომცრო თუ დიდი?

—იყოს დიდი!

მეკუბოვემ ერთი დიდი კუბო ამოარჩია და გადმოდგა.

— გამოსწერეთ ანგარიში, გადატანისაც ჩიგ ჩაუწერეთ. მართლა რა ღირს?

— თორმეტი თუმანი, გადატანის ვი ათი მანეთი. სულ ცამეტი თუმანი!

მმართველმა ფული მიუთვალა და ანგარიში ჩაიბარა.

— რომ უფრო ნათელი გახდეს ჩემი კეთილი სურვილები მუშებისადმი, მოდი კუბოზე წარწერას გავაკეთებინებ. მუშები რომ შეხედავენ, იტყვიან: კარგი მმართველი გვყოლია“-ო. ჩემი მადლიერი გახდებიან. გაიფიქრა მმართველმა და რამდენიმეთ წუთის შემდეგ მხატვარი მოიყვანა წარწერის გამოსახატავად.

— როგორ დავაწერო — შეეკითხა მხატვარი მმართველს.

მმართველი დაფიქრდა.

— დასწერე: „ძვირფასო“. — აქ გამგე დაფიქრდა. მუშის სახელი მან არ იცოდა. — „ძვირფას მუშას გულდათუთქულ მმართველისაგან“ —

— ვისია ეს?—შეეკითხა მოსამსახურე კუბოს მიმტანს.

— მანქანათა ტრესტის მუშა დამარცხდა და იმისათვის გამოგზავნა მმართველმა! — უთხრა მიმტანმა. მოსამსახურემ გამგეს აცნობა. გამგემ ფერშლებს დაკითხა და გამოირკვა, რომ მანქანათა ტრესტის მუშა იქ არავინაც არ მომკვდარა.

— დაატოვებინეთ კუბო და სხვა ვინმე უპატრონო მკვდარი ჩააწვენეთ შიგ! — სთქვა გამგემ ხუმრობის კილოთი.

— საუბედუროდ ამ კვირაში არავინ მომკვდარა! — უპასუხა მოხუცმა მსახურმა.

— მაშ სად წაიღეთ ის მუშა, რომელიც მანქანათა ტრესტიდან მოიტანეს?. — კვირობდა კუბოს მომტანი.

— ის უკვე წავიდა დაწესებულებაში; მას ხელი ჰქონდა დაზიანებული და შეხვევის შემდეგ ისევ უკანვე დაბრუნდა! — უპასუხა მსახურმა ქალმა.

კმაყოფილი მმართველი მხიარულად ესაუბრებოდა ერთ პასუხისმგებელ, ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგს, როცა შიკრიკი შემოვიდა მოახსენა:

— ამხანაგო მმართველო, კუბო მოიტანეს და კითხულობენ სად წაიღონ.

— რაო? მე მათ არ ვუთხარი, რომ კუბო საავადმყოფოში წაიღეთ მეთქი! უთხარი — ეხლავე წაიღონ საავადმყოფოში! — გასცა ბრძანება.

— ამბობენ, რომ საავადმყოფოში ვიქონდა, მაგრამ იქ არავინ მკვდარი არაა — და უკანვე გამოგვატანესო!

გამგე წამოხტა.

— როგორ თუ არ არის! მაშ რა […]ენს მუშას, რომელიც გუშინ ავტომ გაქყლიტაო, რომ დამიძახეს.

— გუშინ ავტოს არავინ გაუჭყლეტია, მხოლოდ ერთი მუშა დააზიანა. წაიყვანეს, ხელი შეუხვიეს და გამოუშვეს! — დინჯად მოახსენა შიკრიკმა.

გამგე გაცეცხლდა. მან აღარ იცოდა რა ექნა. გამოვარდა გარედ და ბრძანება გასცა წაეღოთ გამომყიდველთან კუბო, თითონ კი ავტოთი გასწია.

— მიიღეთ, ამხანაგო, თქვენი კუბო უკანვე!—უთხრა მან მეკუბოვეს.

— რატომ? — გაიკვირვა მეკუბოვემ.

— იმიტომ, რომ საჭირო არაა!

— არაფერიც არ მესმის, — უპასუხა მოხელემ. — კუბო ხომ წაღები არაა, უკან რომ დამიბრუნოთ! მე მგონია მიცვალებულისათვის წაიღეთ და თუ არ ჩაეტია, ამოგირჩევთ უფრო მოზრდილს.

— საჭირო არაა, გესმის? მიცვალებული ცოცხალია! ვინ ოხერი ჩავაწვინოთ შიგ!

— რა ჩემი ბრალია! მიცვალებული თუ არ გყავდათ, რათ მიგქონდათ

მმართველი იმ ზომამდე გაბრაზდა, რომ უნდოდა მივარდნილიყო და მიებეგვა მეკუბოვე, მარამ წმენდა გაახსენდა და თავი შეიკავა.

კუბო უკანვე გამოაბრუნეს და მანქანათა ტრესტის საწყობში დადგეს.

ამის შემდეგ მმართველი სულ სიკვდილზე ფიქრობს: ვაი თუ ის კუბო მართლა ჩემთვის დამირჩეს შეძენილიო!

პ. ოგოლი.

---

## ბ ა ღ დ ა დ ი

ტარტაროზ, ჩამო ბაღდადში,
გითხრა ამბავი, საბმო:
აქ რომ სკანდალი არ მოხდეს,
არ გადის დღე, არც საღამო.
ალმასკომი რომ გასტეხეს,
ფული სამასი წაიღეს.
ქურდის კვალს აღარ მისდევენ,
ვერც ვერაფერი გაიგეს.
შიგ ვაჭარი გვყავს ყოფილი
და ოცდა ოთხის ბანდიტი.
რატომ არ გინდა მას კბილი
რომ გაუსინჯო, ამითი?.
აქ მოვიდა სამფინგანის
ფინაგენტი ადამია.
ლოთობს, ჩხუბობს, გლეხებსა
სცემს,
ძნელი გადასატანია.
რესტორანში ცხენით შედის,
გლეხებს ცემით ერეკება.
შენც კი იცი, ტარტაროზო,
მას ამისთვის რა ეგება.

ხლისტი.

# პასუხად ჩანებს

ღენერლის მადის დიაპაზონი
მოეხსენება საერთოდ ყველას:
მას არ ეყოფა ჭიქა მაწონი
(რკინის გზის ხაზებს ყლაპავს მთელ-მთელად).

დიდი ჩინეთის „დიდ“ დიქტატორებს
მადა ხომ არ აქვთ პატარა ზომის?
მათი სურვილი და მათი ვნება
ჩვეულებრივზე მეტად იწონის.

ჩინეთის მშრომელ ხალხის ვარამზე
ღენერლებს უდგას მომაღლოთ ტახტი
და მათი ნდობა ისე დიდია,
რომ საზღვრებიდან საზღვრებზე დახტის.

მუკდენის ახლად ნამცხვარ ღენერლებს
სხვაზე ნაკლები ხომ არ აქვთ მადა;
იკბინებიან, სანამ არ გავა
მათი ბოგინის ხანი და ვადა.

მუკდენს ზურგსა და გულსაც უმაგრებს
ჩან-კაი-შების „წმინდა“ კრებული;
ყველას კი სწყალობს ხელი ინგლისის,
შორი ზღვიდან მოწოდებული,

იქავე არის ამერიკელი
ოქროს საკმაოდ დიდი მარაგით,
და ღენერალი შრომას თუ გასწევს,
ცუდათ არ წავა მისი ამაგი.

ჩან-კაი-შების დიქტატორობა
ცხადია, მშრომელთ არ გვრის სიამეს
და მათი წასვლის მომლოდინენი
ითვლიან წუთებს, ითვლიან წამებს.

საერთოდ ჩანებს არ უყვართ გარჯა,
მათი საქმე ხომ არ არის შრომა:
უკეთესია მშრომელთა ხარჯზე:
უქმად ცხოვრება, ქეიფი, ძლომა,

ამიტომ ჩანებს დიდ თანაგრძნობას
მშრომელი ხალხი აღარ უცხადებს,
და დრო რომ მოვა, ღენერალ-ხროვას
ხალხი მუშტებით შეუცვლის ქადებს,

მადა-ახსნილსა ღენერალს დახეთ:
ჩვენს რკინის გზასაც გადაეწი და,
მით უფრო, რომ ამ თავხედ საქციელს
ინგლისის ლორდი არ ჩათვლის ცოდვად.

ჩინეთზე დებულ ჩვენი გზებისა
მუკდენი არის თურმე მსურველი,
მადა ილვიძებს, მადა იზრდება,
რა არის აქა გასაკვირველი!?

ღენერლებს აქაც ზურგსა უმაგრებს
თეთრგვარდიელთა თეთრი ლაშქარი,
მათ ხომ ათი თუ ცამეტ წლის წინათ
გამოეკეტა საბჭოთა კარი!

დრო მიდის, თეთრებს თმაც გაუთეთრდა,
ჭკუაც ხომ იცით მცირდება ბოლოს,
და დევნილების გამხმარი კუჭი
საუკეთესო კერძათ თვლის ბოლოკს.

ჩვენი რკინის გზის ხელში ჩაგდებით
ჩინელ ღენერლებს ეხსნება გზები
და როგორც ძველად, ისევე ახლაც
ერთია მათი სურვილ-მიზნები.

საბჭოთა ქვეყნის მათ არ სურთ ყოფნა
და მეზობლობა ჩვენი კეთილი,
ვერ შეიგუეს, ვერ დაისწავლეს
ალბად მონარქის მათ გაკვეთილი.

მსოფლიოს მშრომელთ დიდათ არ მოსწონს
ჩინელთა ქცევა, საქმე ველური
საბჭოთა ქვეყნის გადაკიდება
ვფიქრობ, რომ დარჩეს რენტაბელური.

სხვანაირია, გარწმუნებ ჩანო,
საბჭოთა მუშის მაგარი მუშტი:
რკინის გზას მაინც ვერ მოინელებ
რაც უნდ მაგარი გქონდეს მაგ მუშტი.

**ტერსიტი.**



— ღორები უსვრიან? ასეთი უსუფთაობა გაგონილა სადგურში?!
— პირიქით: ეს ღორები იცავენ ჩვენს სადგურებში სისუფთავეს.




ჩემბერლენი და მისი ჩრდილი

# „სახელმწიფო აპარატის წმენდის კანდიდატები“



**ᲐᲘ**, ეს სპეცი (უკაცრავად, „სპეცი“ ბრჭყალებში), რომელიც თავს ქუდში გრძნობს მიუხედავად იმისა, რომ თავზე ქუდი არ ხურავს. ყველას აქვს უფლება — რაც უნდა ის იფიქროს. ესეც ფიქრობს, რომ მას კარზე მომდგარი წმენდა ვერაფერს დააკლებს.

— სპეცი ვარ. ვის რა უნდა ჩემთან! არა ჰყავთ თავისი ხალხი, რომ მე შემცვალონ. ხარჯაღრიცხვას მეტს ვადგენ, მაგრამ სჯერათ. ამაში დანაშაულებას ვერ დამწამებენ, სამუშაოს დამთავრებას არ ვაჩქარებ, მაგრამ ამისი გასამართლებელი საბუთები მაქვს: მასალა ვერ მომაწოდეს თავის დროზე. დალოცოს ღმერთმა ტრესტი, რომ დაკვეთის შესრულება დაგვიგვიანა. (იქაც მყავს ჩემი კაცი; ერთი გადალაპარაკება და, საქმე გაჩარხულია).

ყოველ შემთხვევაში, ეხლა ვერ მომხსნიან, რადგან შუა სამუშაოზე ვარ. მერე, როცა წმენდა გაივლის, ყველაფერი მიფუჩეჩდება.



**ᲐᲛᲐᲡ** არ უნდა დიდი დაკვირვება. ყველა ადვილად მიხვდება რომ ეს გახლავთ ყოფილი მღვდელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტაქტიკა და სახარება სხვადასხვა მეცნიერებაა, ამ ყოფ. მოძღვარმა კარგად შეისწავლა ტაქტიკა და... და გაიკრიჭა.

გაიკრიჭა ისე, რომ — თუ ვინიცობაა მდგომარეობა შეიცვალა ეკლესიის სასარგებლოდ, ერთი კვირის განმავლობაში დღეს ლამაზად გაკრეჭილი თმა-წვერი ისევ შეიბურდნება და დაემსგავსება ჭეშმარიტ მოძღვარს.

მოეწყო საბჭოთა დაწესებულებაში. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად ეკამათება თავის თავს:

— ღმერთი არის და კიდეც მწყალობს, თორემ მე ვინ გამაკარებდა სამსახურს საბჭოთა დაწესებულებაში? ჭეშმარიტად ღვთის წყალობით არის ეგ! რაკი ღმერთი ჩემი მფარველია, მე არ მეშინია წმენდის, რომლისაგან ღმერთი დამიფარავს. მისი ძლიერების ჭირიმე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



**ᲐᲠᲐᲕᲘᲡ** ეგონოს, თითქოს ეს კაცი სამსახურში მიიჩქარის პორტფელითა და პლაშჩით. მას სამსახურში არასოდეს არ ეჩქარება. როცა მიიჩქარის, ეს იმას ნიშნავს, რომ მივლინებაში მიდის.

ამბობენ: განგებ უშვებენ მივლინებაში, თორემ დაწესებულებაში, რომ დაჯდეს მეტ ზიანს მოუტანს წარმოებას თავისი „მუშაობით“, ვიდრე მივლინებაში სიარულით.

თვითონ მას კი უხარია: — ფულიც ბლომად მოდის და თანაც ვერც ერთი თანამშრომელი ვერ მიცნობს კარგად რომ გამწმენდ კომისიას ჩემზე რაიმე უთხრას. ვერ მიცნობენ იმიტომ, რომ სტუმარი ვარ ჩვენს დაწესებულებაში. გამწმენდ კომისიაშიც კი არ გამოვცხადდები, თითქო, მივლინებაში ვარ საქმეების გამო!



— **ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ**, საქმე არაფერი მაქვს, მაგრამ გამგე რომ მეარშიყება, ესეც კმარა იმისათვის, რომ სამსახურიდან არ დამითხოვონ. წახდა დროება, თორემ თავადიშვილის ქალი ამ რემიგტონზე უნდა ვიხდენდე ამ ბროლის თითებს? რემიგტონის მაგიერ, როიალს უნდა უკრავდეს ჩემი მანიკიურიანი თითები.



**ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘᲗ!** ეს გახლავთ ყოფილი თავადი, ე. ი. იგივე შავრაზმელი.

თავის სოფლიდან გლეხებმა გამოდევნეს. ერთხანს ქალაქშიაც „მორცხვობდა“ და მანინდამაინც გარედ ვერ გამოდიოდა, მაგრამ თავისებურად გაჩარხა საქმე. რამდენიმე „დიდი კაცი“ იშოვა და თბილ ადგილზე მოკალათდა საბჭოთა დაწესებულებაში.

ხშირად იტყვის ხოლმე სადღეგრძელოში თავისი პროტექტორის მისამართით:

— მე და ჩემმა ღმერთმა, შოთა რუსთაველს სწორედ ჩემზე უთქვამს:

„...მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...“



**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ** იმისა, რომ ამისი გამხდარი სახე, თითქოს მჭერმეტყველურად ლაღადებს, რომ ეს კაცი მუყაითი, დაუზარებელი და ერთგული მუშაკია, მას მაინც „მიაბრძანებენ“.

აბა ნახეთ მისი შკაფი. შიგ აღმოჩნდება იანვარში შემოტანილი განცხადებები, რომლებიც ჯერ კიდევ მსვლელობაში არ მიუცია.

გუშინ ამასთან ერთი სოფლელი მოვიდა და უბრალო ცნობის მისაცემად, დილიდან საღამომდე აცდევინა. ბოლოს უარით გაისტუმრა და დაიბარა „ერთი კვირის შემდეგ მოდიო“.

ალბად იმ სოფლელს ერთი კვირის შემდეგ ამის მაგიერ სხვა მისცემს ცნობას, რადგან ეს აქედან „განწმენდილი“ იქნება.



**ᲔᲡ** ვაჟბატონი ცდილობს ლმობიერი და „ადამიანური“ სახის გამომეტყველება მიიღოს, მაგრამ არ გამოუდის...



— **ᲧᲕᲔᲚᲐᲡ** ეარშიყება და ...



და მუდამ კულუმბურიეთ[illegible]ზის. მის კაბინეტის კარებზე მდგომ დარაჯს გულის სიგანიერე და ბანკი გაუჩნდა. საწყალს ციებ-ცხელებიანსავით აკანკალებს ამისი შიშით.

გასაქანი არა აქვს კაცს, თორემ ეს რომ იტალიაში იყოს, მუსოლინი მასთან შედარებით მიქარვა იქნებოდა. (თუმცაღა მიქარვა ეხლაც არის მუსოლინი) მიუხედავად იმისა, რომ მთელი დაწესებულების ბატონ-პატრონია და ეს მაინც არ კმაყოფილდება ამით. (პატარა მუსოლინია თავს გრძნობს შიგ, როგორც რომის პაპა ვატიკანში თავის დაწესებულებაში).

არ ეშინია გაწმენდის. ისე ჰგონია, გამწმენდ კომისიასაც დააშინებს თავისს თანამშრომლებსავით.



**ვისაც** ეს გინახავთ დაწესებულებაში, ასე გეგონებათ— ეს არის რაც არის. ერთ წუთსაც არ მოისვენებს. დარბის იქით-აქეთ. ხან ამას ეჩრება, ხან იმას. მას ასე ჰგონია — თითქოს ქვეყნის საქმეს აკეთებს. თუმცაღა ხშირად გაიფიქრებს: — ასე რომ არ ვქნა საქმე არაფერი მაქვს და ჩემს ადგილს გაასუქმებენო. საქმეს არ ვაკეთებ; ჯამაგირს კი ვღებულობ. საჭიროა „შეხედულების შექმნა", ე. ი. თითქოს ბევრი საქმეები მაქვს.

ყველაზე მეტს მე ვლაპარაკობ კრებებზე. ხშირად კრების თავმჯდომარედაც მირჩევენ. „აქტიური მუშაკი" ვარ. არ გამწმენდენ.



**ამას** სრული იმედი აქვს, რომ წმენდაში არ მოჰყვება. ყური რომ დაუგდოთ როცა ოთახში ბოლთას სცემს, გაიგონებთ:

— არა, არ მოვხვდები წმენდაში — ელაპარაკება თავისთავს. — ყველასთან თავდაბალი ვარ. ყველას ფეხქვეშ ვეგები. ყველას ვაქებ. ისეთი პატიოსანი ვარ, რომ თუ გინდ თავზე „იმასმიქნან", ყრინტსაც არ დავიძრავ. ტყუილია გამგეზე რომ ამბობენ: ყუდიანიაო. მუდამ კუდში ვუძვრები და მე არაფერი შემიჩნევია! ჩემი ერთადერთი დანაშაულობა ის არის, რომ გამგის ცოლი შემხვდა და ვერ ვიცანი. სალამი არ მიმიცია. მაგრამ მე მგონია ამას კომისია მაპატიებს.

რომ ამდენხანს სიმშვიდით მოვკვდებოდი? ამიტომ მიყვარს კომუნისტები, რომ გაჭირვებულ ხალხისათვის დახმარების გაწევა იციან! — აქებს თავისს მფარველს, რომელიც ამ დღეებში გამოვარდება პარტიიდან.



**წმენდის** მოლოდინის შიშისაგან ეს ყოფილი პოლიციელი და დღევანდელი სამნეო ნაწილის გამგე სახეზე გამხდარა. რაღაც ეშმაკი იდუმალად ჩასჩურჩულებს და აშინებს:

— გათავდა შენი საქმე! გამოგივიდა წირვა. ყველაფერი გაგებული აქვთ და წამოგიკაკლავენ წმენდაზე. სამსახურიდან დათხოვნას ვინ გაკმარებს. ციხეში გაჯრევინებენ თავს!

მაგრამ თავისთავს იმედს აძლევს, (სხვა არავინ ჰყავს იმედის მიმცემი):

— რა იციან მე იმ ქალაქში რა ჩამიდენია! ტუსაღი მუშა, რომ მოვკალი, ღამე იყო, არავის დაუნახავს. თანაც მიზეზი თითქოს ის იყო, რომ გაქცევა დააპირა. ქრთამის აღებას ვერ დამიმტკიცებენ, რადგან მე უშუალოდ არ ვღებულობდი. (თანაშემწე მინაწილებდა). გაუგიცვა, რომ ჩავაქრე. ამის შესახებ ვის რა ეცოდინება?! საწყობებს რომ ვხრავ, ეს არ იციან. წიგნებში ყველაფერი თავის რიგზე მაქვს.



**ღიაბ**, ეს ყოფ. ვაჭარი დღეს კოოპერატივში მსახურობს. ეს არ არის კოოპერაციის წინააღმდეგი, რადგან მისგან კარგი სარგებლობა აქვს. უყვარს კამათი და პოლიტიკური „ლექციების" კითხვა. ამბობს და „ამტკიცებს".

— ლენინი არ იყო ჩვენი (ვაჭრების) მოწინააღმდეგე. პირიქით, სოციალიზმის გასამარჯვებლად მას საჭიროდ მიაჩნდა ვაჭრებთან დაახლოება და მჭიდრო კავშირი. მაგ. ლენინი ამბობდა: **„თვითეულმა კომუნისტმა ვაჭრობა უნდა ისწავლოსო"**. მაშასადამე, ლენინი არ ყოფილა ვაჭრების მტერი. ვაჭრობა რომ ცუდი ყოფილიყო, განა ლენინი დაავალებდა კომუნისტებს ესწავლათ ვაჭრობა?

ასე ლაპარაკობს ხალხში. ისე კი კოოპერატივს ძირს უთხრის და ნატრობს — ისეთი დრო დადგეს, რომ ამ კოოპერატივის შენობაში მან გამოსჭიმოს თავისი მაღაზია.

[illegible] აკეთებენ. ადგილკომის მდივნის მეშინოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მასთანაც ვიკადრე არშიყობა და ეხლა კარგად მიცქერის. გუშინ კავშირის ფულით ნაყინზეც კი დამპატიჟა. საწყალი! რომ დამინახავს, ყველის ვაჭარივით იცინის. „ია ეუ ვედ გორდოსტ ნაშეო უჩრეჟდენია". თანაც ისეთი პროტექტორი მყავს, რომ მგონი გამწმენდ კომისიასაც კი შეეშინოს მისი.



**აი** ეს ვაჟბატონი „დამსახურებული" (ასე უწოდებს თავისთავს) და სტაჟიანი მფლანგველი ვერ არის კარგ ხასიათზე. ვერ არის იმიტომ, რომ მოახლოვდა „განკითხვის დღე", ანუ წმენდა.

მართალია, მას იმედი აქვს:

— აქ თუ დამითხოვენ, იქ მოვეწყობი, — როგორც ეს დღემდე გასძლიოდა, მაგრამ იმედი, იმედია და სინამდვილე კი სხვა.

**არ გათეთრდება ყორანი**
**რაც უნდა ხეხო ქვიშითა.**
**გამფლანგველს ვერ გავასწორებთ**
**გამასხლში ჯდომის შიშითა**

ამიტომ საჭიროა იზოლიაცია უყოთ სალაროს მფლანგველებისაგან, ვინაიდან მათ მფლანგველებს ასე აწოვებს „სასტიკი იზოლიაცია".



**ეს** დიდი კაცია, ჭკვიანი და ნიჭიერი, ჩვენში მას არ აძლევენ გასაქანს, თორემ... მას რომ იცნობდენ ჩემბერლენები და ჩან-კაი-შები, გაიწერდენ, წაიყვანდენ. ისეთი ქორებისა და ინტრიგების შექმნა შეუძლია, რომ მასთან აჩრდილია ხიკსი.

ამბობენ: — ერთხელ სხვებთან რომ არა ჰქონდა საინტრიგო რამ, — ვერ მოისვენა და ავად გახდაო. შემდეგ თურმე ლოგინში თავისთავს მოუწყონა ინტრიგა, და მეორე დღესვე მორჩაო.

იმასაც ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით მისი ინტრიგობით წარმოებას 10.000 მანეთი ზარალი აქვს და ცდილობს ეს ციფრი ორჯერ მაინც გაადიდოსო.

ნურას უკაცრავად, მაგრამ არ დასცალდება.

**ჭინჭარი.**



# საიმედო ადგილას




ცაგერის აგრო-პუნქტის მიერ სარწყავად გაყვანილი წყალი მოედო ნათესებს და ჭაობად აქცია. პუნქტის გამგე კი ამ ამბავს ყურადღებასაც არ აქცევს.

რახი.

პუნქტის გამგე:—წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს...

# წერილი სატრფოსადმი

გამარჯვება შენი, ნიფადორ!

რავა ხარ, გენაცვალე ყრონტში? ვაი, სულო... ერთი შენთან ლაპარაკით გამაძღო და მერე ანასუნი ჩემ საქმეს! მაინც და ასტე გაჩუმება რავა შეიძლება, ბოშო! ნეუქელი ერთი წერილი ვერ მომწერე აქამდე! მე შენ გითხრა წერა არ იცი და ვერ ჩააკვარკვალიტებ ასოებ! ვაი, შენს პოჩერკს დაენაცვლოს ჩემი თავი! რეიზა მკლავ, გენაცვალე, რეიზა გამათავე კაცი! მაინც და ამისთანა დაწვა შეიძლება შე ქალო?! რომ დამდე ტაფაზე და მხრაკავ უქონოთ, რეიზა არ გებრალება შენი სავესტია! ბოლოს ხომ მაინც ჩემი შეიქნები, არ უნდა ამას გოგიეს ლაპორტი. თუ კი დამადნობ ახლავე და დამხრაკავ, მერე რაღა ეშმაკად გინდებვარ, გამხმარი და სიქა გამოლეული! თუ მანდა მაინც გინდა ჩემი სიკვდილი, რაღა უქონოთ მხრაკავ, შექალო, პატარა ქონი მაინც დაადევი და სობლად მომკალი ქე მაინც აღარ დავეძებ!

ვაი, შენი სახის კარტიჩკას დაენაცვლოს ჩემი სოცოცხლე! ახლა ქე მაინც რაღა უდგია წინ ჩვენი გვირგვინის ფსკვნას, რომ საიმედო სიტყვას არ მელაპარაკები!

იძახოდი: „კომუნისტი არა ხარო და უბრალო, პრასტოი მოქალაქეს არ გავყობიო“... შე ქალო, ახლა მაინც რაღა დოუდგება წინ ჩემს პარტიულობას! მე შენ გითხრა და ვაკანციები არაა ახლა პარტიაში! დედა, რა დღე დააყენა კომუნისტებს ამ ჩისტკის კომისიამ! რავა პანტასავით დაბერტყა აგი ხალხი! დედა რამხელა ზაველუშჩები დაცვივდა ლომის კეკალივით! დედა, რამდენი მაუზერები დაოხრდა ტყვილა! რამდენი შევროს პორტფელი გახუნდა! ახლა მაქვს დროი, ჩემო ნიფადორა, ახლა უნდა დავტრიალდე ქრისტეს ჯორივით! მე გეტყვი შენ და არაა ოხრათ ვაკანციები! პერვოი სორტის ხორველა რომ დაშაროდათ კამუნისტებს, მაშინაც არ იქნებოდა ამდენა ვაკანციები რაც ახლაა!

ვაი, ვენაცვალე იმ ჩისტკის კომისიის ჩლენებს იმ მარჯვენაში. დედა, რამდენის გულჯავრი ამომყარეს! იცოცხლე ახლა ჩვენი ისაკაა პიპპილაძე დეიორება გაბრ ულადებული! ახია, მაზე ყორისფელი! სმოლონკ მის საქმეს! საწყალი ჩემი რძლის დია შვილის ბიკოლის შეტრიჩესკზე ხუთი თვე რომ მარ... და წულა... ... გამ... ... რავა, მიდღეჰჩი მ...ოდა ოუ! ვაი, მის პატრონს უბედურს, წევიდეს ახლა და ჩეჩოს მატყლი!

იცოცხლე, ჩემო მიფადორა იმ ისაკიას ჯინაზე, მე უშველებელი ზაიავლენია მივარტყი უჯრედში, რომ პარტიაში მიმიღონ. „არდგილი არააო“, ამას ვერ მეტყვიან, მიტომ რომე ახლა ბოვშმაც ქე იცის, რომ ათასობით გადაცვივდენ გაჩისტული კომუნისტები ნაგვის გოდორში, რაღაი ვაკანცია კია, ისტე რისა მეშინია! მე შენ გითხრა ბიჭათ-ბიჭს დამიწუნებენ და არ მიმიღებენ! გულბოყვში მოყვანილი ძალიანი ვარ! ცეკვა კაი ვიცი და სიმღერა! ტოლუმბაშობაზე წავა საქმე და ორას კაცს ისტეუტოლიბაშებ და მივაძინებ შტოლზე, რომ უკან არ მევიხედავ! თუ გოუწყრა ღმერთი და ჩხუბი ქნა ვინმემ კამპანიაში, იცოცხლოს სევასტიამ მე იმას მივამტვრიო ღრანჭებ, ერთი თუთხმეტი კაცი რომ არ გოუგზავნო სკორი პომოჩს, მაშინ მოკვდეს სევასტი.

ჰოდა, ასტეა საქმე, ჩემო ნიფადორა. გინდოდა მანდა მაინც კამუნისტი ვყოფილიყავი და -ა, ბატონო, გეიხარე ახლა. ზაიავლენია მიცემული მაქვს, დასაბრაკი არაფერი მაქვს და ზნაჩიტ პოლნიპრავნი პარტიულათ უნდა მიგულო, ჩემო ნიფადორა.

აპა, ჩემო სულის ხოხობო, შენ დაგენაცვლოს ჩემი სიცოცხლე აგი ჩემი ამბავი დაწვრილებით, სულ ტოჩტოჩ დოუკაკლე ჩემს სასიდედროს და გოუხარდება ჩემი კაი. შენც ქე მიაფურთხე, ჭირიმე, ეშმაკს და გადაწყვიტე ჩემი გამოყოლა. ეილე, ჩააპოჩერკე გემოზე ერთი გრძელი წერილი, დღლიზე ორშაურიანი მარკა და ჩოუშვი ფოსტის ყუთში, მეც მანამდე შევიკერავ გემოზე გამოკვარახჭინებულ წულამესტს, თინთიკის ჩოხა-ახალუხს, დევიკიდებ აქეთ-იქით მაუზერცკის ლივერს, მოვხიკავ ამ დაცვივნილ შევროს პორთფელებს, დევიკიდებ წინ და უკან, ზევით-ქვევით და გესტუმრები სოფელში, ჩემო ...ნო, და ვიფსკვნათ გვირგვინი.

გოგია.

# წმენდის შემდეგ



— რას ეძებ, კაცო, მაგ ნაგვის ყუთში?
— სულცხონებულ ჩემს პროტექტორს.

# ჩემი დღიური

სიცხემ დამღალა და დამაოსლო,
გარინდებული ვწევარ საწოლზე,—
აღარ ეღირსა „იმასაც“ მოსვლა...
ფიქრები ჩემი გაფრინდა ცოლზე.
აგარაკზეა წასული იგი,
ვფიქრობ, ნავარდობს ხუჭუჭა ტყეში;
გულს უთამაშებს ტრფობის ტარიგი.
ბაკუა იხუტებს მსუქანი ლეში.
ვინ იცის ჩემზე სულაც არ ფიქრობს,
არც ახსოვს თვისი მშიერი ქმარი,—
სიცხე მაშფოთებს, სიცხე სულს მიქრობს
და სიგამხდრისაგან მძვრება ქამარი...
გაბრაზებული წამოვხტი ზეზე,
ჩავიცვი ფეხზე, ჩავიცვი ტანზე,—
და გამოვვარდი შემხუთავ მზეზე,
გასეირნება მომინდა განზე...
კვირა დღე არი. ვსთქვი—წავალ ბაღში,
„არტოს“ მაგიერ რომ გახსნეს ეხლა.
და როგორც იყო მიველი ახში, —
მილიციელთან მომიხდა შეხლა.
— არ შეიძლება! — „რატომ?..“ ვკითხულობ
(შესვლა მინდოდა იმ დღით ძალიან),
— გეუბნებიან, რაღას დიდგულობ,
დღეს თქვენთვის ბაღსა არა სცალიან!..
ავტო-ავტოზედ მოაწყდა უცებ,
— გზა!.. აბა ჩქარა ჩამოეცალე!..
მეც ტუჩი-ტუჩზე ძლივს მივატკეცე,
თავ-ჩაღუნული მოვცილდი მალე...
და მივაშურე ისევ ჩემს კინოს
მინდოდა ნახვა „თეთრი მხედარის“.
(გულმა ცოტათი რომ მოილხინოს!)
ვთქვი გუნებაში: — ნუ თუ ეგ არის?!
ისევ სიხლის ღვრა, ისევ წამება,
ისევ გრიალი თოფ-ზარბაზნების!..
ნეტავი როდის დაიამება
და მოსცილდება ეკრანს ცრემლები?!
....კვლავ სევდიანი დავბრუნდი სახლში,
უკეთ რომ გითხრათ —ბნელა სარდაფში.
ასე სიმწარის ვაი-ვაგლახში
ძილმა მომკლა ფიქრები თავში.

**მ. დიანელი.**

# ახალი სიმღერა

ცერგიბელმა გამოსცადა მკლავი,
და ტყვიებით „ჩამოაგდო“ ზავი:
ბნელეთისკენ გააქანა ნავი,
მას გაუხმეს თავისი ლაყე თავი.
გაზეთებმა მაცნო ეს ამბავი.
მან ფაშისტებს მიუყარა თავი.
მუშის ზურგზე უნდა სჭამოს ფლავი
შენ გაგიხმეს, ცერგიბელო, თავი.
ვის უნახავს მგელმა შობა კრავი.
არც მე ვიცი—როდის ძღება სვავი.
ღორმა ნახა ნეხვში სალაფავი,
ვის, ატყუებს მათი ლაყე თავი?
მგლებმა ნახეს ძვალი მოსახრავი.
და არმია მოაგროვეს შავი.
ჯერ ბევრი აქვთ წყალი სანაყავი.
ასე შვრება ბუზი მომაკვდავი.
ღლე გელეკა; სულმობრძავი კნავი.
დაგავიწყდა წინათ რაც იყავი,
დალრეჯილი მუშას რათ უბღავი?
შენ გაგიხმეს, ცარიელი, თავი.
გვატყუებდით ვითომ გინდათ ზავი.
ლიტვინოვმა გვითხრა ეს ამბავი.
აღარ, დაგრჩათ მეტი სალაყბავი.
ჩვენ კი ვიცით როდის ძღება სვავი.
არას გზით არ გათეთრდება ყვავი.
მგლებმა ცხვრების გადაიცვა ტყავი.
ცერგიბელო, რა ყორაღათ ბღავი.
დიდ, გუდაში შენი სხვილი თავი.
თქვენი მცნება არი მომაკვდავი,
და იმისათვის ჩვენ გავწირეთ თავი
ჩვენ გვწყურია მშვიდობა და ზავი
ცერგიბელო, შენ გაგიხმეს თავი.

**მუშა ვასო როინიშვილი.**

# სუფსა



**ფილიპეს** (სასადილოს გამგე):—ხად მოგაქვს ამდენი კერძი? „პოვარს“ შეცდენია და მეტი მოუცია. ჯერ ხედავ შიგ სამი ნაჭერი ხორცია! (ჩანგლით იღებს ერთ ნაჭერ ხორცს).

# ჯოჯოხეთის კუთხე

**ამ მეპურეს ვინ არ იცნობს,
ამ საცხობში პურს რომ აცხობს,
შიგ თოკს, თაგვს თუ ხოჭოს აწყობს!..**

გვეშინია: უანასკნელი სტრიქონი ამ სათაურისა ისე არ წაიკითხონ, რომ გამოდიოდეს, ვითომც მეპურე პურში ხაჭოს აწყობდეს.

ეს რომ მართლაც ასე იყვეს, რაღა უჭირდა მაშინ სამტრედიის ეპოს. მაშინ ხომ ყველა მისი პურის საცხობის მადლიერი იქნებოდა. ახლა კი, ეს ასე არ არის. თუ ჩვენს კორესპონდენტს, „მამზერალს" დავუჯერებთ.

ეპოს პურის საცხობი
პურს ამზადებს ზორბადა.
არ აკლია მას თაგვი,
თოკიც, ხოჭოც ბლომადა...

აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არის მკვდარ თაგვზე და არა ცოცხალზე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ცოცხლებზე, რადგან ეპოს საცხობს, ალბათ, ცოცხალი თაგვები ერთობ ბლომად მოეპოვება. ასეთ დასკვნას ვაკეთებთ ჩვენ ბქიდან ამ საცხობის შესახებ და ვაკეთებთ სრულიად სამართლიანად, ვინაიდან, ეს რომ ასე არ იყვეს, მაშინ არც მკვდარ თაგვების არსებობა გამომცხვარ პურში იქნებოდა ამდენად პოპულიარული.

იმედია, ამ ჩვენს გაუცებას გაიზიარებენ სამტრედიელი ამხანაგებიც!

**გამგეობას რად უკლოს
აქ კოწიამ სადურგლოს—**

იმავე სამტრედიასა და იმავე კორესპონდენტის პირით შეეხება ეს ამბავი.

რუსული ანდაზა არის: „ბეზ ხაზიაინა ტოვარ პლაჩეტ"-ო. ქართულად ეს ანდაზა ასე იქნება: „უპატრონობის გამო საქონელი სტირისო". აქ იგულისხმება გასასყიდი საქონელი და არა შინაური, თუმცა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც შინაურ საქონელს და არც გასასყიდ ნივთს ცრემლი არ გააჩნია, რომ იტიროს. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე. შეიძლება ზოგ იმათგანს ცრემლი მართლაც გააჩნდეს, მაგრამ მე თუ ასეთს უარვყოფ, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენად საქმე შეეხება ტირილის რთულს პროცესს. თორემ ცრემლი, მოგეცათ ლხენა, მართლაც ბევრ საქონელს გააჩნდეს!..

აი, ასეთ „უცრემლო საქონლად" უნდა ჩაითვალოს სამტრედიის სადურგლო, სადაც თუ კორესპონდენტის საგულისხმო სიტყვებს მივხედავთ, საქმე უცრემლოდ მაინც არ ეწყობა.

აი, რას ამბობს ამის შესახებ იგივე კორესპონდენტი „მამზერალი":

ხადურგლოსკენ შევიაროთ
ხულ ერთ წუთით, ცოტა ხნით
დავინახავთ არევას,
ყვირილ-წივილ-კივილით:
ერთი დედას აგინებს,
მეორე სცემს მოწაფეს,
მესამე ლანძღვა-კიცხვით
ესვრის მასალის ნაჭრებს!..

მასალას გააჩნია, ზოგის ნაჭერი ცრემლს კი არა, სისხლსაც სულ ადვილად განთხევინებს ცხვირიდან. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მსროლელისაგანაც, ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაინც საერთოდ სადურგლოსთვის აუცილებელ მასალის ნაჭრები ცრემლის ღვრისა და ტირილის გამოწვევის საუკეთესო გარანტიაა.

აი, ამ ცნობათა სისწორეში კი ჩვენ ადვილად დავეთანხმებით კორესპონდენტს, თუ ცოტას ქვევითაც მოვუსმენთ:

მისი გამგე, კოწია,
გულ გრილად ეკიდება,
რადგან ცუდი დღე ადგას,
წმენდამ გაასამართლა.

ესე იგი, სავსებით სამართლიანად გადაუყენებიათ როგორც პარტიიდან, ისე თანამდებობიდანაც.

პარტიიდან კიდევ ჰო, მაგრამ სადურგლოს გამგეობიდან კი კიდეც გადაუყენებიათ და ვერც გადაუყენებიათ, აი, საბუთიც:

გამოსცვალეს კი, მაგრამ
სხვა რომ არ სჩანს აღარად,
გამგედ ისევ კოწია
რჩება სადურგლოს მარად!..

ასე მარად გადაყენებული და მარად ისევ არსებული, თავის თავად ცხადია, რა სიერთგულითაც იქნება აღსავსე, ამ ღვთისანაბარა სადურგლოსადმი!

**გიგიტიშვილი გვყავს რადგან გამგეთ ნადის,
მიტომ ნადის საქმეც მიდის წახდენამდის!..**

ქუთაისში არსებობდა სარეწაო კოოპერაცია, სამი ნადისაგან შემდგარი. როგორც ჩვენი კორესპონდენტი „ჯერესა" გვაცნობს საქმის ვითარებას, ეს ნადები ცალცალკე გვარიანად მუშაობდენ და საქმეც კარგათ მიჰყავდათ.

მაგრამ აი, სარეწკოოპის ცხოვრებაში მოხდა „გარდატეხა". მართალია, ძალა ერთობაშია"-ო, იტყოდენ ხოლმე, მაგრამ ძალასაც ხომ შესაფერი წინამძღოლი და გამგე-ხელი სჭირია.

დროზე უნდა მოხმარება,
მხმარებელიც — გონიერი"-ო,

ტყვილა კი არ უთქვამს მგოსანს. მაშასადამე, საქმე სწორედ ამ „მხმარებელში ყოფილა, ესე იგი, ამ შემთხვევაში — გაერთიანებული სარეწკოოპის გამგე-ხელმძღვანელში.

ქუთაისის გაერთიანებულ „ნადებ" გამგეთ დაუნიშნეს გიგიტიშვილი. გიგიტიშვილიც გაერთიანებულ სარეწკოოპს ხელს ისე ადებს, რომ ყველგან წვენს ადენს. კორესპონდენტ „ჯერესას" ცნობით, ოთხმოცი მუშა-მონაწილე მან ორმოცზე დაიყვანა, რამაც სარეწკოოპის ძალა და შეძლება ძალიან დასცა. გამოდის, რომ „ძალა კია ერთობაში", მაგრამ „ერთობას" გააჩნია. „ერთობა" კი მენშევიკური გაზეთიც იყო ერთ დროს: იგი მუშებზე ზრუნვით, მართალია, კი ერთობოდა თითონ, მაგრამ ეს ძვირად უჯდებოდათ თითონ მუშებს. ამიტომ ასეთი „ერთობა", ცხოვრებამ უარჰყო.

რა მოუვიდა გიგიტიშვილის „ერთობას"?, თითქმის იგივე.

მაგრამ ამაზე თავის სიტყვას იტყვის, ეგრედ წოდებული — სალიკვიდაციო კომისია.

აი, სანამდის შეუძლია თურმე მიყვანა ზოგი „ერთობის" ზოგ გიგიტიშვილისთანა ხელმძღვანელებს.

როგორც ხედავთ, მან „ერთობა" იმ ხელთოფად აქცია, რომელიც მუშათა ერთობის წინააღმდეგ არის მიმართული.




ცოდვილი და განწირული

# ნოშრევანის ჩივილი

გომი (ქუთ. მაზრა)

რას ვიჭიქრებდი ბეჩავი, —
ვინმეს შეეძლო მხილება,
და მივიღებდი „ვიგოვორს“,
საყვედურს ან გაფრთხილებას.
გლეხს ხშირად მოსულს საქმისთვის
თუ უხდებოდა ლოდინი, —
განა იმისთვის გამწერეს,
დამაწყებიეს ნოდინი?
თუ, რომ ამ წმენდას გადავრჩი,—
მაგრამ, ეჰ! რა რიგ ძნელია, —
ჩემს მამხილებელ გლეხკორებს,
დღე დავუყენო ბნელია,
თუმც ძმა ბიჭები ბევრი მყავს;
ვალოდი, ალე, ილია,
მათ ბევრჯერ ახსოვს ჩემგანა,
ქეიფი პურმარილია, —
მაგრამ მაინც მაქვს მე ბედკრულს,
იმედი გატეხილია,
რადგანაც ცუდად მრავალჯერ
ვიყავი გაწერილია.

შურდული.

# ბუაძე ფრთხილათ!

(ჭიათურა)

მთავარ სახელოსნოში ბუაძე რომ მსახურობს, —
(ტარტაროზი ამგვარ ხალხს მალე მოინახულებს),
თვისი სახლიკაცები მან აქ მოაკალათა, —
მაგრამ სადღაც მუშკორი გაჩნდა ხაშაბალათა...

—:—

და აქ კედლის გაზეთში გამოსქმეს დომენტი,
აღარ ესიამოვნა მას ამგვარი მომენტი,
დამწერისა გინებით შეარყია მთა-ბარი:
ილრიალა: ახ! ნეტავ წელზედ მერტყეს ნაგანი!“

—:—

ჩემის ხელით დავხვრეტდი მე იმ არამზადასა.
(ამგვარი მოქმედება ავნებს „ქამის“ მადასა).
ფრთხილათ! ფრთხილად! დომენტი თორემ მწვავე კრიტიკა
მოგხვდება, ვერ დაგიხსნის „გაძრომის პოლიტიკა“.

—:—

მუშკორს, რომ შეურაცყოფ, შენ როგორა გონია?!
ჩვენი პრესა, მუშკორი, ტყვილი მონაგონია?!
ჰო—და, ასე ფრთხილათა გირჩევ, ჩემო დომენტი,
თორემ უფრო უარესი თავს დაგატყება მომენტი.

შაკო.

# ახალდაბის ფოსტაში

ბითაძე გვყავს ფოსტაში
გამგეთ, „დიქტატორათა“,
მის ოინებს, ტარტაროზ,
მოგახსენებ სწორათა:
ამას წინედ გაჰყიდა
ძველის-ძველი მარკაო,
ფული ჩაიჩხრიალა,—
ჩანგლის წვერი დაჰკაო.
აქვე ფოსტალიონი,
პროტექციით დანიშნეს,
ფოსტაში ვერ იხილავთ:
დასდევს სოფლად ბარიშნებს.
წერილები, გაზეთი
მას ფეხებზე ჰკიდია,
დაყიალობს ქალებში,
დღე არის თუ ბინდია:
ვანო არის სახელად
გვარად-ნათელაშვილი,
სკოლიდანა დაფერთხილს
სწყალობს მამიდაშვილი.

ტარკოჩი.

# დავითას ამბავი

(სურათი ბუღალტრის ცხოვრებიდან)

„რაც მოგივა დავითაო
ყველა შენი თავითაო“.

იყო მოლარე დავით,
დავით სალაროს ვლიდა,
ფულს სალაროდან იგი
ნელნელ ჯიბეში თვლიდა.
„ზღვა კობზით დაშრებაო“
ნათქვამია ძველათ,
დავითამაც იმ სალაროს
ფული გაართვა ნელა.
მაგრამ გამოჩნდა აგერ
ეს მუშგლეხინი „ავი“,
„ადგილზე“ მიაბრძანეს
მოლარე სიყმე შავი.

—:—

„ასი ურტყი დავითასა
მაინც იზამს თავისასა“.

გავიდა ის დრო, ხანი,
სამმართველოდან იგი
ბუღალტრად მოეწყობა:
ბუღალტერს ვინ არ იცნობს,
[illegible] ერთი ფულის.
ჩოთქზე უმეტეს უყვარს
ფულებზე გაკვრა კბილის
და ვინ არ იცის: „კვიცი
გვარზე რომ გადახტება“.
დავითმაც „თავისი ქნა“...
ფულები გაუტკბება.
მაშ, რას იზამდა, აბა.
დავითმაც ოხრად ყლაპა.
საქმე რომ გაფუჭდება,
ეს მუშგლეხინიც ჩნდება
და ბუღალტერი დავით
ისევ „იქ“ დაბრუნდება.

ბახსო.

# მსგავსი ქუთაისი



— დედაშვილობას, პროკორიდაა ქე მაქვს „პრუპუსკი" და გამიშვი
— დედი, ეს ციხე კი არა, ქუთაისის აკადემიური თეატრია.

# ლეღვან მარელი ი

ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სოფელი მიყვარს საქმელად,
შეიდწლედის გამგედ დამნიშნეს,
ტკბილია გამოსათქმელად.
**ათ ფუთ ლობიოთ ვიყიდე**
**„სიმწიფის" ატესტატია,**
ზეპირად ვიცი მე **„ჭამის"**
**ზაკონები და სტატია.**
ცხვრის დუმათ მიჩანს სოფელი
ვთალო და ვჭამო ახია,
გლეხებზე გაბატონება
გულის სიღრმეში მარხია.
**შალვა მაღრაძე მოგიკვდესთ**
გლეხკომს თვარ გაკრა კბილია,
კოოპერატივში გაძრომა,
ოი, რა რიგად ტკბილია.
ურჩ მასწავლებლებს დავცოცხავ,
გურგზე ავადენ ბოლსაო;
ვენაცვალები ნუნუას
ყანწებს, ქიქებს და ბოთლსაო.
რა გაეგებათ **„რჭიანებს"**,
ჭირიმე კულაკისაო,
ქრთამს რა დაუშლის, ბიჭებო,
უნდა გავტენო ქისაო.
ჯგუფიდან - ჯგუფში გადვიყვან
ვინაც მომიტანს დედლებსა,
თუ ხოშმა მომცა, იცოდეთ
ბევრსაც დაუზელ გვერდებსა.
**ხან ყურას დამიძახებენ,**
ხან გაიძვერა მელასო, —
მაგრამ **რა** უშლის არ ვიცი
გლეხკაცის ფეხქვეშ თელვასო.
გამწორებელი არვინ მყავს, —
**წამხილოს ბნელი საქმენი,**
ვინ ოხერია, გაბედოს
**უორდანიას დროს რაც ვქენი.**
დღეს მაუზერი მკიდია,
**ქამარ**-ღუღიანი — თასმითა,
გოგოებს დავენაცვლები
**გავაზე — ხელის დასმითა.**
**დევდარიანო!** — გახედე
**მოწაფეს მოაქვს ძღვენია,**
**ხურჯინი კარგად გასინჯე,**
**თავი ხვარ შეურცხვენია.**
ინდაურს, ბატს და ქათამსა
გავკრათ - გამოვკრათ კბილია,
და შემდეგ **ჯგუფში გადავსვათ**
ვინც არის ვალმოხდილია.
**დევდარიანი გლეხკომში**
ვაიცი-გამოდი ქაფია;
არც კი შეგიტყონ. ძმია,
თავს არ დამასხა ლაფია.
კოოპერატივის მოგება,
იცოდე ორთავ ჩვენია,
სანამ სოფელი „ყრუ არის"
საქმელად ჩვენ დაგვრჩენია.
**ვახანში მიშა გავგზავნე,**
მალე დავნიშნავ გამგეთა.
მაუზერს პირში ჩაუდებ
თუ ვინმემ რამე გაბედა...
ენისხისთვიდან მედეას
სუსრულებ რაც რომ ეწადა,
მ შემდეგ ჯგუფში დავნიშნავ
„ფრანგულის" მასწავლებლადა.
აწიე დევდარიანო
ეს სადღეგრძელო ჩემია,
**კურტუმოს პირში რომ ივლებ,**
ჯერ ღვინოც არ გიგემია.
ტოროლას თოფი ვესროლე,
კურდღელმა სული დალია, —
წადი დაზვერე სოფელში,
სადაც ლამაზი ქალია.
გაკვეთილის რიცხვს გაგიზრდი,
გინდა ასწავლე, გინდ არა;
ისევ ქეიფის ხოში მაქვს
**უნდა დაუკრა გიტარა.**

**შალიკელა ყურა,**

# შორაპანი

ავდექი დილის ოთხ საათზე და წავედი სად. შორაპანში (
შევაღე სადგურის კარები. მაგრამ უკანვე გამოვარდი, ვიღაც კაცი ყვიროდა ისე, რომ კინაღამ ყურის ბარაბანი გამისკდა. თურმე ვარლამი იყო.

გავსწიე კლუბისაკენ. შევედი ბილიარდის ოთახში და ვნახე — კოლია ჩიტიშვილს ბილიარდზე ეძინა. (თურმე ამხანაგი ვერ ეშოვნა და მოლოდინში ჩასძინებოდა).

ამ დროს შემოვიდა ვიღაც შავ ულვაშიანი ახალგაზრდა. მის შემოსვლაზე სამსონამ, რომელიც ბილიარდის ხელმძღვანელის თანაშემწეს თანაშემწეთ დაეტოვებინა, დაუწყო ღვიძება კოლიას: — ბიჭო, კოლა, ვალერია მოვიდა, ადე და ითამაშე!

კოლაც თვალდახუჭული წამოვარდა და ბუტბუტებდა: — დუპლეტ უგოლ, დუპლეტ სერედინე.

ბოლოს გამოფხიზლდა და დაიწყო თამაში.

აქედან წავედი თემის სამკითხველოში, სადაც წარსულ კვირის გაზეთები ეყარა. შეკითხვაზე, ჯვიპასუხეს: „გაზეთს პოლიტგანი გვიწერს. ჯერ ჩავა ზესტაფონში; ზესტაფონი გადმოსცემს შორაპნის ფოსტას და იქიდან კი ჩვენ მივიღებთ დღეს წორებზე. სულ ერთია ის ამბები იქვე დაგვხვდება".

წამოვედი სახლისკენ. გზაზე შემხვდა ნიკ. გაჩეჩილაძე, რომელსაც დიდი პორტფელი ეკიდა ზურგზე და მკლავვგაყრილი ვიღაც კაცი მოყავდა. ვიფიქრე რა სამსახური მიიღო საპორტფელოთ-ქო, — მაგრამ, თურმე პორტფელი მიწის მზომელის იყო, რომელიც მას მოყავდა (მისი მიწები აუზომია, მერე კი ჩაუჭინჭილებიათ).

მივედი სახლში.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ გამოვბრუნდი. ჩავიარე სასულე ორკესტრის ბინასთან და შევჩერდი. ლაპარაკს მოვკარი ყური: „კაცო, რატომ აღარავინ კვდება! იქნებ წაგვიყვანდნენ, ფულსაც ავიღებდით და კიდეც ჩავაჭინჭილებდით" — ბაასობდენ მუსიკენი.

წარმოდგენა იწყებოდა.

ვიყიდე ათშაურიანი ბილეთი და დავჯექი წინ. მაგრამ როდესაც დაიწყო, უკან გამოვიქეცი, რადგან მოკარნახის სიტყვები მაგრად მხვდებოდა ყურში. კარებთანაც მკაფიოდ მესმოდა. წახდა გული და მეორე ზალაში გავედი.

აქ ნარდის თამაში იყო გაცხარებული, ნარდის გვერდით ეწყო ჩვიდმეტი კოლოფი „საბჭოთა პაპიროსი". თურმე ნარდის მოთამაშეებს მოუყრიათ თავი და თამაშობენ პაპიროსზე. ეს კი აღარ მომეწონა — მუშათა კლუბში თუ ასეთი რამ იქნებოდა, — და წამოვედი სახლში დასაძინებლად.

**ხიშაკ არი.**

# ცნობათა მიღება

აქ. ძველ ყარუუმს. მართალი ხართ, ვეთანხმებით თქვენს „ალსარებაში" გამოთქმულს ჭეშმარიტებას. „პარტიას ბევრმა უღირსმა შეაფარა თავი და წმენდამდი მას არხეინადაც გრძნობდა"-ო, მაგრამ, განა, ეს საკმაოა იმისათვის, რომ იუმორისტულ ლექსის ღირსება ასწიოს? კონკრეტულად რომ რამეს ამბობდეს, კიდევ ჰო: მოვისარგებლებდით მაინც.

ს. ამაღლება, გურია. ა. ყაჭაიშვილს. კაცმა რომ თავისი სახელი, თუნდაც იაშა, იად შეამოკლოს, ეს რა სასუმარო ან თუნდაც უბრალო დასაცინი ამბავია, თუ აქ სადმე ძაღლის თავი არ იყვეს დამარხული?!

იქნება თქვენ შემომწყრეთ: „ეს სხვის (პირადათ თქვენს) გულში ხელის ფათურიაო". წარმოიდგინეთ, ძაღლის თავი ისეთი რამეა, რომ ადამიანს ზოგ ეთიკას მართლაც დაგავიწყებს და ზოგ საზღვარსაც გადაგალახვინებს.

ქ. ხონში. შურდულის კვალს. ყველაფერი გაგვიგონია, მაგრამ ადამიანის ორი მამის სახელი კი არა. ერთად ერთი უნდა იყვეთ თქვენ, როგორც ამას იწერებით თქვენს მისამართში. დაგიჯეროთ, რომ მართლაც ორი მამის შვილი ხართ? მერე და აქნამდის, როგორ არ აიშალ დაიშალენ შენისთანა კარგი შვილისათვის და როგორ დაუთმო ერთმა მეორეს შენი თავი? ალბათ, ჩვენი შეწუხება თუ უნდოდათ. არა, შე კაი კაცო, ნინა რომ ბალში დასეირნობდეს, თუნდაც იქ საქმროს იძენდეს და შინაც მიჰყავდეს, ამით ქვეყნიერებას რა დააკლდება ან რა შეეძინება?

კერძო მოვაჭრეებს თუ ტარანი უწყვია, რომელიც ყარს, მართალია თქვენი გულისწყრომა სანიტკომისიის მიმართ.

ვაჭრებს ჰიკოშეებს
არ აკლდება ფართალი.
ტარტაროზო, მოგწერე
ყოველივე მართალი-ო, გვწერთ ბოლოს.

არა, ერთი რამე დაგაკლდათ: საიდან იძენენ ის კერძო ვაჭრები ფართალს, რათ არა გვწერთ მართალს?!

ცაგერი. დათო ლეჩხუმელს. ამას დიდი გაჭიანურებული „მესტვირულებიც" არ უნდოდა, მოგეწერათ მოკლედ:

ჩავისერნოთ ფოსტაში,
გამგეა კოპალიანი.
ფოსტაში ბევრი უწყვია
„პასილკა" ერთი თვიანი,
მოხელე ბევრი გვინახავს,
არსად ასეთი გვიანი!
ეს გაფრთხილებაც ეყოფა,
რომ აიცდინოს ზიანი!"

ჩვენის ფიქრით, ეს სრულიად საკმარისია საქმის ვითარებისათვის. დანარჩენი ეძიეთ სარედაქციო გოდორში.

ს. ობჩა. „წითელ ნემსს". ნემსი საკერავი იარაღია და არა იმისი მოხელე, რომ ჩვენ ჭკუა გვასწავლოს. მოგვატყუოს. თუ ჭუმბურიძე ლოთია და მანდ ვირევთ სუყველაფერს, რა აზრით გვირჩევთ, რომ ის ჩვენ ტფილისში გამოვიწეროთ!!! ნუ თუ ერთი „აბანო" მისთვის იქვე არ მოიძებნება, სადმე თქვენს დასამხარზე?!

ქ. ხონი. მუშას. თქვენის ცნობით, თუთის სანერგის გამგე, პ. რუხაძე კულაკის შვილს ამუშავებს, ხოლო ღარიბს კი სამუშაოდან ერეკება; წითელ სასადილოში რაუდენი გალსტუკიანებს აქცევს ყურადღებას, ხოლო მუშას არა; ძაფ-სალები ქარხნის გამგე მუშებს უდიერად ეპყრობა, ხოლო, დამქაშის წყალობით, ეს მას რჩება ტყუილიავით. ვერ არის კარგი საქმეები. ბიუროკრატები. კი არ ყოფილან ესენი, არამე დმამალი მავნებლები. ხოლო ამ საქმეს კიუ ფრთ ავნებდა, რომ თქვენი ლექსიც მოგვეთავსებინა.

ქ. ქუთაისში. თ. მოკავლისშვილს. როვა, ბოშო, თქვენი „ჩემის მიშას" კერძო ბარათია თუ იუმორისტული ნაწარმოები? მართალია, არც ერთად ვარგა და არც მეორედ, მაგრამ ჩვენ, მესამე პირი, რაღა შუაში ვიყავით. მმაჩში. რომ ხეოს აწერდით და ამის შემდეგაც რომ თავებს ირთობდით, მაშინ არაფერი შეგიკითხავთ ჩვენთვის და ახლა, აღარ ვიცით, თუ რისთვის და გვაწუხებთ.

საჩხარე. გუტო მასაშვილს. ეს თქვენი „ჩისტკა" მართლაც რომ „მასაშვილის" მიერ უნდა იყვეს დაწერილი, რადგან ნამეტანი ზოგადათ არის დაწერილი, აქე ვსთქვათ მასიურად, რაიცა მასიურადვე არის უკვე ცნობილი. ჩვენ გვეინტერესება უფრო კონკრეტიული მომენტები ადგიელბიდან ჩისტკის ამა თუ იმ შემთხვევის შესახებ.

ს. გომი. ქუთ. მაზრა, „მორუსტველს". თქვენი ფსევდონიმი უნდა იყვეს აღებული „ვეფხვის ტყაოსნიდან".

„მე რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამადარი და სხ.".
და აი, იწყებთ ს. გომის შესახებ ასე:
ლექსი მინდა მე დავწერო
ტარტაროზში გასაგზავნად
რომ ამ ლექსის წაკითხვის დროს
ყველამ გაიგოს სწორათ"-ო.
სწორედ ვინ ვერ გაიგებს თქვენს ფსევდონიმს?!

სადაც არ უნდა იყვეს, სათარხანს. წავიკითხეთ თქვენი „ბოდვა", რომელიც ასე იწყება:

„ცხელა, ცხელა, ცხელა,
მიდულს ტვინი"-ო.

რა გვეთქმის? მოხდება ხოლმე ხშირად.

---

## მიუხვდა




უოფ. გამგე: — გამარჯობა ივანე- რამდენი ხანია არ მინახვიხარ. როგორ ხარ, კაცო?

ივანე (თავისთვის):—ეტყობა წმენდაში მოჰყოლია, თორემ რა შვილი მომცემდა სალამს?!

(ნახატი)

# შიშს დიდი თვალები აქვს



— მეც ვიბანავებდი, მაგრამ ვაი თუ ისინი მსუბუქი კავალერისტებია!

ტარტაროზი
კვირა, 1 სექტემბერი. 1929 წ. № 36 (220)
წელიწადი მეექვსე
ფასი 10 კაპ.

# ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე



მოდის ხალისით ახალგაზრდობა,
მოდის ახალი აღმშენებლობა,
მის წინ ცახცახით მიწას იხეთქენ:
ძველი დრო, წესი და ძველი ყოფა.

# როგორ აუხსნეს დათიას ინდუსტრიალიზაცია

— თუ ღმერთი გრწამს, ამიხსენი ერთი: რა არის ეს ინდუსტრიალიზაცია?!

— რით ვერ გაიგე? „ინდუსი“ — ეს ინდოეთის მცხოვრებელია, „ტრიალი“, აბა ქე იცი, რაც არის.

— არაფერი მესმის.

— რამდენი გაგონება უნდა? სულ ხრის ორი სიტყვა მორჩა და გათავდა.

— მერე და მარტო ამის გაგებას უნდა ეს ხუთწლიანი გეგმაო, ეს ტემპიო, ეს რაციონალიზაცია, სტაბილიზაცია, თუ რამდენი რაზაცია?!

— ჰმ! შენ ჯერ პოლიტიკურ ანაბანაზე, როგორც ვხედავ, სრულიად მწყრალად ბრძანებულხარ. ვატყობ, რომ სულ თავიდან მომიწევს დაწყება.

— დაიწყე, სულ ერთია, სწავლა მაინც უფასოა უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში და რა გენაღვლება.

— მაშ, კარგი, ყური მიგდე. ხომ იცი ჩვენი ხელმძღვანელი პარტიის ლოზუნგი, რომელიც ჩვენ დიდმა ბელადმა გვიანდერძა?

— ლოზუნგი ერთობ ბევრი გამიგონია.

— მე ერთზე მოგახსენებ: „დავეწიოთ და გავასწროთ“.

— ამას რა დიდი ცოდნა უნდა: ვისაც დავეწევი, იმას კიდევაც გავასწრებ!..

— არა, შენი მუხლების ამბავი, რომ ვიცი, შენ ამას ადვილად შესძლებ, მაგრამ აქ მარტო გაქცევაზე კი არ არის საქმე.

— მაშ, აბა?!

— აბა და, ამ შემთხვევაში, მთელი ქვეყნის, საბჭოთა უზარმაზარი რესპუბლიკის, დედამიწის ერთი მეექვსედის სახალხო მეურნეობა უნდა წასწიო წინ იმდენათ, რომ ის ყველაფრით გაუსწორდეს ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის მეურნეობას.

— მაგალითად?

— მაგალითად, ინგლისის, გერმანიის, გინდ ამერიკის...

— არ გაწყინოს ფაფამ, პირი არ დაგწვას, სული შეუბერე.

— დიახ, სულს ვუბერავთ და არც ისე სუსტად, ზოგს რომ ჰგონია. ჯერ ჩვენი პატარა საქართველო იიღე. გასაბჭოების შემდეგ, აბა, რაები აეგო და აამუშავდა, კარგათ დააკვირდი.

— არა, რაც მართალია, მართალია, აგებასა და გამგეობაზე ეს კომუნისტები მართლაც რომ მუდამ მზათ არიან!..

— მარტო, აი, ზაჰესი, რომ ცეცხლსა და სინათლეს აჩენს, რამდენი სულის ბერვა დასჭირდებოდა. მაგალითად, ასეთი ცეცხლის დანთებას პაპიშენის დროს?!

— მართლაც რომ გასაკვირია!.. ერთხელ პაპაჩემს ზე კაკალ ახალწელიწადს სრულიად მოულოდნელად ჩაუქრა ცეცხლი კერაში. მოგეხსენება, თუ ახალწელს ცეცხლის ჩაქრობას როგორ „იბრძნიდა“ ძველი კაცი. გამოელვიძა თუ არა, ეცა თავის მაჭახელას და გაუჭუილა ღამის სიბნელეში. ქოხში რომ შემობრუნდა, კერას ჩიუჩიუჩხურა, მარა ეაი შენს მტერს მისთანა: ერთი ცალი ნაკვერჩხალიც აღარ დახვდა შიგ — არიქა ბიჭო დათიაო, დამჭყივლა მძინარეს და რეზინის ბურთივით წამომაგდო ზედ. გაჰკრა ტალკვესს, აბედი რაღაც უვარგისი აღმოჩნდა; დიდხანს ჩხაკუნა, სანამ ცეცხლს გააჩენდა. შემდეგ ანთებული აბედი ჩასდო კერაში, მიაყარა ბურბუშელა, სიმინდის ტაროს ხმელი გულები, ფიჩხი, შეშა და რა ვიცი, კიდევ რა. — აბა, დაუბერეო — და თვითონ შეუდგა ისევ მაჭახელას ტენას. ი დასანგრევ კერას ვუბერე, ვუბერე, ვუბერე, თვალი და პირი ნაცრით ამომევსო, ცხვირი და მკერდი — კვამლით. მაგრამ ცეცხლის ანთებას კი არაფერი ეშველა, სანამ პაპაჩემმა ერთი წიხლი არ ჩასცხო კერაზე მოყრილ შეშას, ხოლო სხვენიდან მჭვარტლიანი ბულულის ბღუჯა არ ჩამოჰგლიჯა და ცეცხლს არ შეუკეთა.

— მერე აინთო ცეცხლი?!

— აინთო, მაგრამ მე კი გამგუდა და...

— მერე დიდი სიძლიერის იყო ის ცეცხლი? ზაჰესის დონი სინათლე ჰქონდა?!

— რას ამბობ? კამეჩებს ძლივს ვარჩევდი ათი ფეხის ნაბიჯზე, ხოლო ხაჭები კი ფეხებ შუა მებლანდებოდა...

— ჰოო, მაშ კარგი სულის ბერვა გეცოდნია, თუ არა?!

— პაპაის ცხონებამ, კარგი!.. მაგრამ ეს „ინდუსი“, მაინც რა შუაშია, ეს კი ვერ გამიგია.

— ჰმ! შენ, როგორც ვატყობ, სულ მაგალითებით უნდა გელაპარაკო. ახლა ერთი მითხარი: ინგლისი გაგიგონია?! რამდენი ზაჰესისთანა ნაგებობა, ქარხნები და ფაბრიკები იქნება იქ, თუ იცი?!

— გამიგონია: „უთვალავი არისო“..

— აბა, გემებს, ორთქლმავლებს, ავტოებს და სხვას ვინ მოსთვლის, ჰო, და, როგორ ფიქრობ, ახლა, ისეთი პატარა ქვეყანა (30 მილიონი მცხოვრები) ისე ადვილად მოიმარაგებდა ყოველივე იმას, რომ „ინდუსები“ ძალა და შეძლებაც თავისთავის არ მოესარგებლებინა და მოეხმარა. ხომ იცი „ინდუსები“ თითქმის სამას მილიონამდე ხალხია.

— ესეც გამიგონია, მაგრამ რა შუაშია აქ იმათი „ტრიალიზაცია“?!

— ჰმ! რა დიდი გაგება ამას უნდა? მართალია. ცოტას აძლევს, მაგრამ „ინდუსებსაც, ხომ ხელფასი უნდა, როცა ამ უკანასკნელს ამუშავებს ინგლისელი კაპიტალისტი?!

— მესმის: უნდა!

— ჰო და საიდან უნდა გააჩინოს ინგლისელმა კაპიტალისტმა ეს ხელფასი, თუ მუშების მიერ ნაწარმოები „ფაბრიკატები“ სადმე არ გაჰყიდა, მაგალითად, ჩვენში, რუსეთში, საქართველოში?! კონტრაბანდა მაინც ხომ გაგიგონია?!

— როგორ არა!

— ჰო და აი, წარმოიდგინე ახლა, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყანა დავუხშეთ ინგლისს, როგორც ბაზარი, როგორც თავიანთ საქონლის გასასაღებელი ადგილი, რადგან ჩვენ თვითონ შევქმნით ასეთ საქონელს ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში: რა მოუვა, თუ იცი, მას ამ შემთხვევაში?!

— რა მოუვა და ისტერიკა!..

— სწორედ რომ ისტერიკა: მუშებისათვის მისაცემ ხელფასზე დაუკლდება და დაემართება სწორედ ის, რაც ფულარია კოტრიკაძეს მოუვიდა.

— გაკოტრდება?!

— დიახ, რომ გაკოტრდება!..

— ააა, ახლა კი გავიგე თუ რისთვის ითხოვდა მაკდონალდი და მისი მინისტრი ჰენდერსონი ამხ. დოვგალევსკისაგან ძველ ვალებს! გამიგონია: „დიდი ვაჭარი რომ გაკოტრდებაო, მიადგება, ძველ თამასუქებს დაუწყებს ქექასო“.

— საქმე რომ მარტო თამასუქების „ქექით“ გათავდებოდეს, კარაგი, შენ ნუ მომიკვდე, მაგრამ სირთულეც სწორედ ამას იქით მიდის.

— სანამდის?

— სანამდის და ინდოეთამდის. სწორედ ის „ინდუსები“, ახლა რომ ინგლისის კაპიტალისტებისათვის მუშაობენ, ხელფასს რომ ვერ მიიღებენ თავიანთ ბატონებისაგან, ადგებიან და შეტრიალდებიან, ესე იგი, ხომ მიხვდი: პირს იბრუნებენ!..

— ჰოო, მივხვდი, მივხვდი, რაც ყოფილა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია!

წამოიძახა დათიამ, ჩიბუხი პირში გაისწორა, ერთი რიხიანად გააბოლა, წამოიგდო ზურგში თექა და გაუდგა თავის გზას.

**ონისიმე.**

# მე ობრული შარჟი

საქართველოს ა.ლ.კ. კავშირის მე-3 კონფერენციამ, მტრის ვერაგი გამოსვლების საპასუხოდ, გადასწყვიტა ააგოს ტანკი, „საქართველოს კომკავშირელი"-ს სახელწოდებით.



აღნიშნულ ტანკის საპატიო მეომრად კონფე[illegible]იამ აირჩია ამხ. მ. კახიანი.

# ვინ იცავს მშვიდობიანობას




კაპიტალისტი: — ეჰ, მომბეზრდა ამდენი სიწყნარე! მოდი ერთი ეს ყუმბარა ავაფეთქო!..
წითელ-არმიელი: — საჭიროა თავდაცვისათვის სამხედრო ცოდნა: მოდი ერთი ამ ტიკინაზე ძალა ვცადო!..

# ხაშურის ამბები

„ტარტაროზ“-ო წერილსა გწერ,
მსურს მოვმართო ჩემი სტვირი,
და გაცნობო მით ხაშურის
ავ-კარგი და გასაჭირი.

* * *

ჯერ აგიწერ მილიციას,
დიდებულს და სასახელოს,
მე არ ვფიქრობ: მან „გმირობით“
თავის თავი ასახელოს.
შეუპოვრად „ძაღლებს“ დასდევს,
ვითომც იყოს დიდი ბრძოლა.
ყურს გაგიჭედს იმათი მხრით
ყიჟინა და თოფის სროლა.
როცა ჰკლავენ უხვად ძაღლებს,
რად არ მიაქვთ ქალაქს გარედ?
მძორმა სული შეგვიხუთა,
და მიტომ ვართ მგლოვიარედ!..

* * *

შემდეგ „ეპო“-ს მივაკითხავ,
სავსე გულით ანათრთოლი,
ფართალს შიგნით მუნ შეიძენ,
„დიდი“ კაცის თუ ხარ ცოლი.
და მუშებს კი, დაქანცულებს,
გაუამრთავთ მის წინ „რიგი“,
მიკვირს: ნოქრებს რად არ ძალუძთ
დაიჭირონ თადარიგი?!
გაიხსენონ მათ „ივლისი“,
რიცხვით, მგონი, ოცდა ერთი,
ნაცნობს ათ „მეტრს“ რომ აძლევდენ,
გლეხს რჩებოდა მხოლოდ ერთი.
ნუ თუ მარტო აქ ფართალი
ნაცნობს — კულაკს უნდა ერგოს?
ვეჭვობ, გამგე ა-ლ-ექ-სანდრე
შენს ჩანგალს არ წამოეგოს!..

* * *

ეხლა მე მსურს აგიწერო
რკინის გზისა დიდი კლუბი,
მის „შენობას“ რომ ვუცქერი,
თვალთ ცრემლი მაქვს დანაგუბი.
„ხუთი“ წელი აშენებენ,
მაგრამ მაინც არ „დათავდა“,
ფული მისთვის შეგროვილი,
რა ხანია რომ გათავდა.
კლუბისათვის, ვიცი „ზრუნავს“
ყველა დაწესებულება,
თუ საქმეს არ გავაკეთებთ,
რას გვიშველის „დებულება“?!
კლუბის ირგვლივ უკვე გაჩნდა
უგეგმობა და „ხაოსი“
მგონი, როდის დათავდება
თვით ვერ გვეტყვის „ტეხნიკოსი“.

* * *

სახანძრო რაზმს მოვიგონებ,
რადგან გულში დამისახავს,
ცეცხლი, მათი ჩაქრობილი,
მე ხაშურში არ მინახავს.
მათთვის სიტყვა — დარიგება.
აქ არას დროს არ თავდება,
მაშინ მოვლენ შემთხვევის დროს,
როს „ხანძარი“ გათავდება.
ლ-ა-ც-აბიძე არ გეწყინოს,
სიტყვა გკადრო შენაკაზმი:
„ძმაო“ ცეცხლმა თუ კი დამწვა,
შემდეგ რად მსურს შენი „რაზმი“!

* * *

მსურს გაგაცნო, „ტარტაროზ“-ო,
ს-ა-ხ-უ-ა-ძ-ე ჩვენი გ-ო-გ-ი,
მაზედ ტყვილს არ მოგახსენებ,
რადგან არ ვარ „დემაგოგი“.
ბიჭად ბიჭი ვაჟკაცია,
აქ ხაშურში ვინ არ იცნობს,
„მექრთამეს“ და „ბიუროკრატს“,
აბა, ვინ არ გამოიცნობს.
უცაბედათ თუ მოსტყუვდი
და თუ შეხვდი გოგის ხამად,
ის არას დროს არ დაგინდობს,
ღვინოს მოგთხოვს წამსვე ქრთამად.
სამსახურით „მეარტელე“,
თანაც გმირად წოდებული,
„ტარტაროზ“-ო, შენ ჩაგვიქრე,
ცეცხლი, მისგან მოდებული!..

* * *

ალმასკომში შევიარე,
ვნახე პ-ე-ტ-რ-ე—თავმჯდომარე,
გაზეთში რომ „გაეჭიმათ“,
მიტომ დამხვდა მგლოვიარედ.
„გამწერს“ ვერვინ ვერ დასძრახავს,
პეტრე იყო ამის ღირსი,
თუ შეიგნებს, რაც დასთესა,
უნდა სწვავდეს სინიდისი.

* * *

„ტყავ-ტრესტშიაც“ შევიარე,
ვნახე გამგე ლალაშვილი,
ისე დამხვდა ვითომც მის წინ
„სუფრა“ იყოს გადაშლილი!..
გამიკვირდა, რადგან ძლიერ
მას სიმთვრალე ეტყობოდა,
მასთან მისულ მთხოვნელებს კი
ის უხეშად ეპყრობოდა.
სად საქმე და სად სიმთვრალე,
სამსახურში ვის უნახავს,
ნუ თუ კიდევ ამისათვის
მას „პარტ-წმენდა“ არ დასძრახავს.

* * *

ეხლა „ზაკტპო“-ს აგიწერავ,
„ტარტაროზ“-ო, სადგურისას,
რა ვქნა, ძმაო, ვეღარ გეტყვი
მე შექებას „დიდათ“ მისას.
გამგეს აღარ შევეხები,
გამოაწყო საქმე კარგად,
დღეს „ბუფეტში“, მრწამს, ლოთობა
აღარ აწევს მუშებს ბარგად!
სხვებს კი გაკვრით, რომ შევეხო,
ჩემს თავს ვაძლევ ამის ნებას,
მაგიდასთან თუ დაჯექი,
არვინ გაქცევს ყურადღებას.
თუმცა დიდათ გაგაკვირვებს
„ოფიციანტ“ „ქალთა“ კრება,
სადილს „ზაკაზს“ დღეს თუ მისცემ
ვფიცავ, ხვალე მოგესწრება!

* * *

აწ მშვიდობით, „ტარტაროზ“-ო
აქ შევსწყვიტოთ ლაპარაკი,
თუმც ბოლოს მსურს აგიწერო
მე სურამის აგარაკი.
ვინ არ გინდათ ქალთა შორის
აქ არ იყოს ჩამოსული,
ქმრები მათი საქციელით,
მრწამს, არიან გულმოსული.
ზოგს პავლე ყავს გულის სწორად,
ზოგს ვალიკო ან თუ საბა,
„პიონერთა“ მოკლე შარვალს
მოგაგონებს მათი კ-ა-ბ-ა“...

* * *

„ტარტაროზ“-ო, აქ თუ მოხვალ,
რისხვით ყველას გაასწორებ,
გეფიცები ამ ჩემს კალამს.
თანაგრძნობას ხალხში პოვებ!..

**ნექტარი.**

# საქმეზე სხვადასხვა შეხედულება



— აკი თქვენ ამბობდით: მე და გამგე ერთსა და იმა. ვე დროს ვაპირებთ დასვენებასო.
— დიახ, ასეც არის: როცა გამგე შვებულებაშია, მეც სწორედ მაშინ ვისვენებ სამსახურში.

## „ლომი“ და „თაგვი“

### (კრილოვისებური)

— ბატონო, დიდო მთავარო,
სათხოვარი მაქვს მე თქვენთან,
თქვენს წინ მოხრილი ვდგავარო.
თქვენც იცით: მე ვარ ღარიბი,
დავეხეტები ობლადო.
ცუდი ამბები მივიღე,
წასვლას ვაპირებ სოფლადო.
სამგზავრო ფული არა მაქვს.
ვიყიდო ჩემთვის ბილეთი;
სასესხად შემოვიარე
მეზობლობა და მილეთი.
მაგრამ თქვენც მოგეხსენებათ;
მე ვიცნობ ჩემებრს „პატარებს“
ჩემი ნაცნობი ჩემსავით
ჯიბეს ცარიელს ატარებს.
ჰოდა ველარსად ვიშოვე,
ცდა გამიცრუვდა ყოველი.
უკანასკნელად, ბატონო,
თქვენთან სათხოვნად მოველი, —
შიკრიკმა უთხრა გამგესა:
გთხოვთ მომცეთ ცოტა ავანსი
მანეთი რვა-ცხრა-ათია,
რომ ვნახო ავათმყოფები,
ვახარო გული მათია“.
გამგემ აბლვერით ახედა
და გაისწორა სათვალე:
დასცინა: „ჯიბე დაიჭი,
არ შეგცდეს, სწორად დათვალე!
რაო! ავანსი?... ხა-ხა-ხა-ხა-
წავიდა ავანსობია!
ჩემთან ამნაირ საქმეებს,
ჯვარი აქვს დანასობია.
კაპიკსაც არვის არ მივსცემ,
სხვებსავით მე არ მჩვევია.
ჩემთვის ავანსი წამელოს,
ჯერ მე ეს არ შემთხვევია“.
კვლავ შეევედრა: „რა გიშავთ,
პირში რომ გამომადგეთო?!
ვინ იცის ერთხელ ოდესმე
ეგებ მეც გამოგადგეთო!“
გამგემ ბრაზისგან თვალებში
აანთო ნაპერწკლებია
და შეუტია: „მუტრუკო,
ჭკუა გოგრაში გკლებია.
გადი, გამშორდი ეხლავე
გეყოს ეგ თავის გდებაო.
შენებრ უძლური.., ხა-ხა-ხა-ხა..
მე რაში დამჭირდებაო“.
არ გაუვლია დიდხანს, რომ
წმენდა მოადგა კარებსა.
ზედ რევიზიაც ესტუმრა,
აღებს სალაროს კარებსა.
ნახეს: სალაროს აკლია
ბარე ათასი სამია.
(„ავანსის“ სახით, ეგ ფული
ჩვენს გამგეს შეუჭამია).
დიდხანს ხვდა ჯდომა ციხეში,
ათასზე თითო წელია.
რომ გამოვიდა გარეთა,
ვერ ჰქონდა მაგრად წელია.
მიადგა ერთდ ღეს კანტორას
და უფროსს სხთოვდა ადგილსა:
„არ დავიზარებ არაფერს
საქმეს ძნელსა და ადვილსა“.
და, ოი საკვირველებავ!
იცნო: ყოფილი შიკრიკი.
(ცოდნა მიიღო მუშფაკში,
ზამგედ დანიშნეს იქ იგი).
იცნო და.. უცბად გიჟივით
შემოტრიალდა უკანა...
და კანტორიდან გასულმა
ქუჩიდან ჩიხში უგანა.

ზმუკი.

## წკიპურტები

### მაღალი დონე

— ჩვენში კულტგანათლება უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი.
— როგორ?
— როგორ და იგი ყველასათვის მიუწვდომელია აქ.

### დეზერტირკაზე

— კაცო, ხედავ ეს პორთფელები რავა ჩალის ფასათ იყიდება?...
— ჯერ სად არის? სოვ-აპარატის წმენდის შემდეგ, წყვილი ხუთი შაური გახდება!...

## რადიო-დეპეშები

### (ჭიათურა)

### აღმოჩენა მეცნიერული

ამხ. ს. ცინცაძის მიერ დიდი ხნის კვლევა - ძიების შემდეგ, მუშკოოპის მიერ გამომცხვარ პურში აღმოჩენილ იქნა არაჩვეულებრივი ცხოველი, რომელიც, ადგილობრივ მეცნიერების გამოკვლევით, არსებობდა ერთი საუკუნით ადრე „ქრისტეს“ დაბადებამდე.

### წმენდისათვის

პარტწმენდის საკანტროლო კომისიის ჩამოსვლის გამო, ადგილობრივი სანიტ-განყოფილება შეუდგა ქუჩების წმენდას. მუშათა კლუბში, სადაც ხდება უჯრიდების ზოგიერთ ...ის შემოწმება, განზრახულია მოეწყოს საგრილებელი „ვინტილიატორი“.

# ვინ ვის უწევს შეფობას



— ეგ რას ეწევით ასე გულდაგულ?!.
— აგერ ჩვენს შეფს ავტომობილი ჩაურჩა ტალახში და სოფლამდის მიყვანას ვშველით. მხოლოდ ეს კიდევ არაფერი: საღამოს, როცა უკან, ქალაქისაკენ გამობრუნდება, ისევ უნდა ვუშველოთ აქ გატარება!..

# წერილი ბახმაროდან

გამარჯობა, ძმაო ალისტრახო!

რავაც იქნა, ავედი ბახმაროში... რაღა დროის ბახმაროში ასვლა იყო, მარა შენც ქე მოგეხსენება ღარიბი კაცის ამბავი; ვიფიქრე, ახლა ვიცხბა კი იქნება წასული და ოთახში უფასოდ დავრჩები-მეთქი; მარა, არ შეჭამოს ჭირმა, ჩემი ფიქრები არ გამართლებულიყოს. ჯერე ბახმაროში ამოსვლამდე, მე რომ დღეი დამადგა, იმას ვერ ასწერს კაცის ენა. რაცხა ორი კაპეიკი მქონდა, ჩალანდარმა გზაში გამოუყვანა წირვა და აწი რა ვიცი, რა მომივა! რომ იცოდე, რა უსინდისო ხალხია ეს ჩალანდრები, პირდაპირ გულზე გასკდები კაცი! ჩოხატაურში 10 მანეთს არ მუუცვალა ფეხი და; რავარც იქნა, ამომიყვანა მჟავე წყალზე; იქინე შიმშილით გამგელებული შევედი რესტორანში, დავჯექი სასადილოთ თვარა, ჩემი ჩალანდარიც მომიჯდა გვერდში და დამიწყო მჟავე წყლის ქება... ქე მივხვდი მაშინათვე, თუ რამ უუშალა ლაპარაკის სალერღელი ჩემს ჩალანდარს, მარა რაღას ვიზამდი; დევემორჩილე ბედს და ბარე ათ მანეთამდე გამიშპა ხელიდან. მართალი რომ გითხრა, ჩალანდარზე უსინდისო გამოდგა მისი ცხენი, რომელიც სულ ნაპირ - ნაპირ მიიწევდა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე ჩემი ნაცვლხლარი ფულით ხაყიდ თივას ახრამუნებდა (გასკდა მისი მუცელი), გზაში მაინც გვიმბრებს მეიჭამდა და ათასჯერ ხრამში კინაღამ გადამაკოტრიალა!

ჩხოკოურას რომ გადავშორდი, დოუშვა და დოუშვა წვიმა... ინდოურის წიწილასავით ამოლუმპული ჩავედი ბახმაროში. მათხოვარივით მივადექი ვიღაცას სახლს.

—მობრძანდი, შენი ჭირიმე... მობრძანდი.. ისეთი შაქარივით ტკბილი ხმით შემომესმა ხაზეიკა ქალისაგან, რომე... პირდაპირ დავდნი კაცი.. დავბინავდი ერთ ლოგინზე; მარა.. სანამ ათი მანეთი არ გუუგზანე სახლის პატრონს, მანამდე მოსვენება არ მომცეს მისმა მოციქულებმა.

მეორე დღეს ავდექი და, რაცხა კოოპერატიეს საკანტროაო, იმაში შევედი... ჩავდექი ერთი ვერსის სიგრძე რძის დასალევ ოჩერედში... თიფლისში მოვხუცდი კაცი და დეზერტირის ბაზარში არ მინახავს ისეთი არეულობა და აურ-ზაური, რაფერიც აქანეა... სული შეგეხუთება კაცს. აუარებელი ხალხია მოზღვავებული; მოსამსახურეები მუშტრებს ვერ უთავდებიენ. ორ საათს ერთ სტაქან რძეს უნდა უყურყუტო.. ნომრები ქე უნდა აგეშალოს და ამფერი ბახმარობა, თუ ძმა ხარ, რაღა მოსახთენი იქნება?!.

ნეუქელი, კოოპერატივის ხალხს არ შეუძლიათ, რომ ეს უჩრეჟდენიე გააფართოვონ და თანამშრომლები დუუმატონ?! მარა, რავარც ეტყობა მაგენს, დიდი მოგება აინტერესებთ, და წესრიგი ფეხებზე კიდიათ.

მარტო კასირშის საქმე მაკვირებს... მთელ ი თექ ვსტი საათის განმავლობაში ჩაფლული აქვს საწყალს თავი კასაში; დიდი ჯაფა ადგია, მარა მაინც ძაან მოხდენია ამ ბახმაროში ყოფნა... ამომავალ მზესავით აქვს ლოყები აბრაწული! ბიჭო! რომ იცოდე, რა ახჲინტრიცებული გოგოებია ბახმაროში, მაქ რავა დაგიყენდება სული... რას არ გიხერხებენ, რას არ მოგიწყობენ... მაგი შეჩვენებულები იმდენს ეცდებიან, რომ შეგაცდენენ... გაგცანცლავენ და მერე დააფჩინე პირი და უყურე, ნახვებს!... თუ გინდა, ძმაო, აქანე ქალებმა დაგესიონ, მსახიობი უნდა იყო... ძურბინდებით დაგიწყებენ ჭვრეტას... მტრედებივით მოგატკარცალდებიან, მარა მე მაგას ყოლიფერს მოკლებული ვარ და ქე დავდივარ ხახა გამშრალი!

შენც მოგეხსენება, ალბათ, რომ აქაც პურის წიგნაკებია საჭირო... მე იგი არ გამაჩდა და მილიციაში შევედი მის შესაძენად... მილიციიდან საკურორტო სამმართველოში გამგზავნეს... საკურორტო სამმართველოდან კოოპერატივის გამგეობაში. გამგეობა მოედანზე დამხვთა მოთავსებული და მის წინ აუარებელი ხალხი იყო მუშტებ მოღერილი.

— გვიან ჩამოსულებზე წიგნაკებს არ ვიძლევით... რათ გინდათ პური... სადილი სასადილოში სჭამეთ... თუ, სასადილოში არ გნებავთ, კოპერატიეს მტერი ყოფილხართ... სახლში გამოაცხვე ჭადი და ჭამე... წიგნაკები არ მოგეცემათ...

ისმოდა განრისხებული ევტიხი კაცაძის ხმა.

აი, ხათაბელა, თუ გინდა, ეს არის... რანაირად უნდა გამოვაცხო ჭადი.. მჭადის გამოცხობა კი არა, ჩაის ადუღებიზა მე და ცოლმა ასჯერ კინაღამ დავკალით ერთმანეთი... მოდი ახლა და ბახმაროში ახურე ქეცი. ბედი რომ არ გექნება კაცს, თვარა რაღა მაინდამაინც ჩემს ამოსვლაზე გამოუშვა კაცაძემ ასეთი საშინელი დეკრეტი?!.. მეტად დაღონებულმა მოედანზე დავიწყე სეირნობა (აუშენდა კაცაძეს ოჯახი, კაი სასეირნო ხასიათზე მე ვიყავი!), და ჩემს ირგვლივ საოცარი ხმები დადიოდა ზოგიერთ აქაურ მოხელეების თავგასულობაზე:

— ბეჩა, აგი ჩვენი კამენდატი რომაა, ცხენის მალვანი გაჭიანება ცოლენია წორეთ... მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ცხენის შეყვანაც „აკრძალულია", მან ისე გაატრიხინა, რომ ყაჭიეშვილის ბავში კინაღამ გალევსა ჭიანჭველასავით...

— მაგას თავი დაანებე და აგი დირექტორიი, თუ რაცხაა, მაგი, რომ გადმოჯდება კულუმბურივით სახაზინო სახლის წინ და დილიდან საღამომდი იქინეა... ამიზია მაგი აქანე გამოგზანილი? ჩვენი თეოფილეს

# შ ო რ ს!.. შ ო რ ს!!!



— აი, საბჭოთა აპარატის წმენდისათვის საგანგებოდ დამზადებული ეტლი!.

შემდეგ, ხელიდან წასულია ბახმაროს საქმე... მარტო კედლის გაზეთის გამოშვება უშველის აგარაკს?! მეტიც არაა ჩემი მტერი.

— მისი ძმა, ვასო, კი მოაწყო „ობსერატიის" გამგედ და...

—ვასო, ვასო, მარა მისი სიძე ნიკოლოზი რომ გააკვება კანცელარიაში?!.

— სიძე სიძეა, მარა ცოლის ძმა, მიხაკო, რომ ჩააყენა კოპერატში!

— მაგენი მაგენია, მარა მისიანები რაცხა ისე იწუნებენ ყოლიფერს, ისე დადიან, რომე ძველი გუბერნატორის ნათესავებს გვაგონებს.

— დირექტორის ოინები ბლომათაა, მარა... აი სასადილოები რომაა ტყის მცველის, ძაღლებით ავსებული და ოცჯერ კანჭე კინაღამ გამომიჭამეს... რავა... აფერია მაგი?!..

— აგი ნაძვები რომ იჩეხება და არავინ ყურადღებას არ აქცევს, ტყის მცველი რა მოხელე ლახჩანიკია?

— დალახვროს ღმერთმა მაგენის ხახსენებელი; შენი ქეთუშე რავაა, ბეჩა?..

— ქია ახლა მოხედული... აქიმებმა აპერაცია გუუკეთის...

ძაან კი მაკვირებს ამ აქიმების საქმე... საჭიროა თუ არა, მაინც უნდა გააკეთებინონ ანალიზი... გყავს თუ არა, მაინც დიდი ჭიები გყავს მუცელში და რვა მანეთიანი „აპერაცია" უნდა გაგიკეთონ აუცილებლად.. მაჭანე უფრო ქაფის ამბები უნდა იყოს, ვინემ მკურნალობის.

— მშვიდობით, ჩემო ეგვიტი... ძაან აყროლებული კია ამ სალამოს აი ძოედანი!..

— მშვიდობით, ჩემო ასინო...

— მშვიდობით დროზე გავშორდეთ ამ ქოთს!..

... და ორი ქალი გამოემშვიდობა ერთმანეთს... თუ ამ ქალების ნალაპარაკევი მართალია, მაშინ მართლა ტყავის გასაძრობია აქაური უფროსები. ბახმარო, ჩემო ალისტრახო, ძაან კაი აგარაკია... ჯერე ესიკელეს გოგოს რომ უყურებ, განცვიფრებული ვარ კაცი. სოფელში ტარანას გავდა და აქანე ამოსვლა ისე მოხდენია... ისე... ისე... რომე ახლა ოთხ ფუთს ერთ მისხალს არ დააცილებს. ასეთ აგარაკს, მე მგონია, მეტი მოვლა და პატრონობა უნდა... კინოს ქე აჩვენებენ ხშირად, მარა... ერთი ნაბიჯით წინ წახვიდე და ორით უკან დეიხიო, შენც ქე იცი, სათ ჩახვალ. მართლა იმ ტრესტის გამგის ცოლის ახალი დუშკების შესახებ მინდოდა რამე მომეწერა, მარა იქნებ გაგიგოს და სამსახურიდან დაათხოვიებს ქმარს შენს თავს...

ეხლა მშვიდობით... იყავი კეტავით!

შენი დიომიდე ხათაბელიძე.

ეს წერილი ფოსტის წინ ვიპოვე, და, რადგანაც პატრონი ვერ ვნახე, გავგზავნე „ტარტაროზის" რედაქციაში.

იანო.

## ძღვნად ქუთაისის ძაფსაღებ ქარხანას

ერთხელ მხოლოდ, ისიც ცხადათ,
ძაფ-საღებში ვნახე კრება.
ვარლამი ხალხს ეუბნება:
არ მოხვიდეთ, არ იქნება.
მართალია, კვირა არის,
შაბათობა ჩატარდება
და მთელი შემოსავალი
პიონერებს მოხმარდება...
გასუფთავდა ყველაფერი,
აღარ დარჩა ერთი გოჯა,
ისე დადის ბესარიონ,
როგორც ოსმალეთის ხოჯა...
დადის ის და დასეირნობს,
თვალყურს უგდებს დინჯათ სტანოკს.
თუ გაფუჭდა, მუნჯად არის
იქნებ კვირას გაიაროს.
იმუშავებს შვიდ რვა საათს,
ნელა-ნელა, თავისუფლად,
საღამოზე ლადოს ეტყვის:
„ნაპისალა ოთხი სუტკად".
ფაბკომშიაც შევიაროთ,
სიტყვა უთხრათ აუგია:
მუშების მოთხოვნილება
რატომ მას ვერ გაუგია"...
სამანქანო დარგის მუშებს
პირსახოცათ რომ აქვთ ჩვრები,
ვისი გამონაცვალია,
ტარტაროზო, შენ მიხვდები.
მეგობარო ტარტაროზო,
ეს იკმარე ჯერჯერობით.
შემდეგში კიდევ დავსწეროთ
ნელ-ნელა და რიგრიგობით.

წიფნარელი.

## რძალ-დედამთილი

რძალ დედამთილი შეიბნენ,
მთელ სახლს გაჰქონდა ზანზარი:
„გაუშვი ქოჩორს ხელიო!".
ქუჩას ესმოდა თავზარი.
რძალი ხარ! განა, არ იცი,
მონა ხარ ქმარის და ჩემი?
ხატის წინ მიიღე ფიცი,
რაც ჩვენ გიბრძანოთ, ჰქენიო;
გაიგე!. მარხვას ვინახავ,
მირჩიე საზრდო სხვადასხვა,
მე წარსულს აწი ვერ ვნახავ:
მოვკვდები, მღვდლით არ დამმარხავ.

მე მოვაგონო ყოველ დღე,
რომაა დიდი მარხვაო?..
ოთხშაბათს ქრისტე აწვალეს,
პარასკევს დამარხაო.
რატომ არ იცი, მას შემდეგ,
მარხვები ბევრი დაწესდა?...
ილოცე ხატი და ღმერთი,
სანამ შენ ცოდვა გაგწეწდეს..
— ვაიმე დედა!.. შესძახა:
— ხატს გასჩენია ხანძარი.
იწვის ფარდები, არ გშველის,
ლოცვა, კურთხევა ტაძარის!..
რძალ დედამთილი შეიბნეს,
მთელ სახლს გაჰქონდა ზანზარი,
„გაუშვი ქოჩორს ხელიო!"...
ქუჩას ესმოდა თავზარი.

დეხიკო.

## „მხიარული წარწერები“




— აი, წარწერა, რომელიც სავსებით შეეფერება უკვე განხორციელებულ სოციალიზმს!..
— მოითხოვნით ჰო, მაგრამ შენ, აბა ერთი უფულოდ დალევაცა სცადე!..

## როგორ მღერის გაკუ-რიანის მატარებელი

(წერილი პირველი)

„ორი ქოთანი ვიყიდე—
უყურო და ყურიანი:“
ყველა ოხერი აქ მომყავს
უფულო და ფულიანი.
სარდინკივით იჭედება
ეს რონოდები ღიანი;
ვინ არ გინდა აქ არ იყოს
ბევრია ქმარი რქიანი.
როს მიჭირდება მაშინ ვარ,
აღმართზე გაფიცვიანი;
მაშინ თვით მე ვარ საზიდი
კონდუქტორთ მკლავის ზიანი.
მათი სათრევი ვარ ხოლმე
ავდარია თუ მზიანი;
ბევრი უბილეთო დამყავს
მიტომ ვარ მიზეზიანი.
სილამაზით განთქმულია
ეს მხარე, ხეობიანი;
და, „ცხრაწყარო“, მზის ამოსვლით,
წარმტაცი, დღეობიანი.
„სახკინმრეწვიც“ მიტომ აქ დღეს,
გულუხვია და სვიანი;
იღებს ყველას, სადაც რაა
„ტიტველი“ და ნაძვიანი.
აქ მყოფი მოაგარაკე—
არ გეგონოთ „ილბლიანი“
მათზე გადადიან მალაყს—
ყველა ჩარჩი, ცინგლიანი,
და ანტი სანიტარია:—
ყველგან ნეხვი, ნაგვიანი;
„ტარტაროზით“ შეხურება,
ვგონებ, არ არის გვიანი!..

**ტარზან.**

## დარდიმანდ კულაკიძე

კულაკ ნიკოს შვილი, ჯინჯიხაძე სერგო,
მორბის გულგაშლილი... („ატესტატი“ ერგოს),
და ახარა მამას: „დავლევჱე ცხრაწლედი“!
ჰა, დახედე ამას, სუსტი არ მაქვს ერთი.
ძალიან დამეხმარა ჩემი ნათლი გამგე,
გამოცდაზე როცა გამიძახა განგებ,
და ახლა ხელთა მაქვს სიმწიფის მოწმობა,
მხოლოდ მინდა ახლა თემსაბჭოსგან ცნობა,
— რომ მე ღარიბ გლეხის შვილი ვარ ნამდვილი,
ჩვენთვის ამის შოვნა ხომ კია ადვილი.
— რომ სთქვას კაცმა, ბიჭო, არც ეგ არის ძნელი,
რადგან კოლე პროკლეს ძმაბიჭია ძველი.
— ამა დღესვე აგი უნდა მოაგვარო,
თავმჯდომარესთან კი ამ დილითვე წახვალ,
რადგან სეფე იცნობს, სეფე ეპიფანეს.
ეპიფანე ნიკოს, ნიკო თავმჯდომარეს.
— თავმჯდომარემ იმას, — გამახსენდა მართლა:
გადალმა კვირაში ბოვში მოუნათლა:
— ჰო და გაჩარხულა უკვე ჩემი საქმე!
ხვალვე წავალ ქალაქს, რას დაუდგე აქ მე?!
— ღარიბის ქაღალდი ძლივს გამოვიტანე,
იმის ძალებად თეკლე წავიყვანე.
(თავმჯდომარის კვიდრი დედობილი არი)
რაო ექნა, თვარა კილამ გვითხრა უარი.
მოაწერა ხელი და თან გაიზმორა,
ხმა მაღლა წარმოსთქვა ჩემდა გასაგონად:
„წოწმობას ვერ მივცემ აწი ამის მეტსო,
მაგ სოციალურად მავნე ელემენტსო!
—ეს მეტრიკა, ნუსხაც სამხედრო ბეგარის
რაც თავიდა თავია, შვილო, სულ ეგ არის!
— სამში დაიბადე, აქ კი სწერენ — რვაში,
—ეს გადავასწორე მე თითონ სკოლაში.
— ო მალადეც, შვილო! ჭკუით გავხარ მამას,
ფულებს ნუ გაფლანგავ, მოუკელი ჭამას.
ქალაქში, ხომ იცი, ცხოვრება ძვირია
ნათლიასთან იყავ, ბინად, სმა-ჭამაზე,
შვილო, გავალება მე დიდი მაქვს მაზე.
ნათლი დედა მიგყვეს „ეგზამენის“ ალაგს,
გავლენიანია, იცნობს ის მთელ ქალაქს
ან და ნათლიმამა, მასაც ყველა წყალობს,
თუ კი მოგიხერხოს, რად უნდა იწვალო?
ბიჭო, თუ იმანაც ვერაფერი გახდეს,
(რა ვიცი, პარტიიდან იქნებ გამოაგდეს!)
მაშინ ნახავ ლუკას, ისიდორეს ბიძას,
მოყვარეა, შვილო, ჩვენ ალმასკომს ვფიცავ.
უთხარ მეზობელი ვარ ანთიმოზისთქო,
ქე რომ გიორგობას ჩვენსა მოდითქო,
ის კი არა ძაანაც ქე გეეხარდება,
მილიციონია, ის კაცი და ქე დეგეხმარება!
ჩახვალ თუ არა, წერილი, ჰო, გამომიგზავნე,
აპა, ძაღ შვილო! მშვიდობით იმგზავრე!..

**დონ-კიხოტი.**

# „ტელასის" კუნჭულა




— ნეტავი, რა დაწესებულებაა ეს, ასე ლეგად რომ
გამოიყურება, თითქოს ერთავად ბნელს მოეცვასო?!.
— ეს გახლავთ ტელას!
იგი აწვდის სინათლეს ყველას.
დავიჯეროთ, რომ ის თვით მოექცა ბნელას,
და მოითხოვს მუშგლეხინის შველას?!.

## სხვის საქმეში ჩარევა--ანუ საქმის არევა

სწორედ დიდი მეცნიერი უნდა ვიყო, რომ ვინმე მიჯერებდეს. ხანდახან ისეთ რამეს მოვიგონებ, რომ ჩემი ცოლიც გაკვირვებულია. ამ ბოლო დროს კი ძალიან იშვიათი რამეების გამოგონება დავიწყე. რომ მთავრობა ყურადღებით ეპყრობოდეს გამომგონებლებს, ჩემდენ ჯილდოს ვერც ერთი კავშირის თავმჯდომარე ვერ მიიღებდა, ავანსის სახით. გაჭირვება მოაგონებიებს კაცს ყველაფერს და, ალბათდ, იმას უნდა მივაწეროთ ესეც. რაც ეს თვითკრიტიკა და „ჩისტკა" მოიგონეს, მას შემდეგ მაინც ძალიან აშირიეს ყველაფერი. ბათომი, ეს ჩემი სამფლობელო, რომელიც მუდამ მყუდრო ტბას მოგაგონებდა კაცს, სადაც შუა ქუჩაში მიმავალს თავისუფლად შეგეძლო გაზეთის კითხვა, სადაც ყველაფერი რიგზე და წესზე მქონდა, სულ ამიფორიაქეს. ბიჭო და ვის რა უფლება ქონდა ჩარეოდა სხვის საქმეში? კაცს ებარა დაწესებულება, იყო მისი ბატონ-პატრონი, ადგენდა ხარჯთაღრიცხვას, ამტკიცებდა, ხარჯავდა და ქე იყო თავისთვინ. ხომ გამოსვლებს არ აწყობდა მენშევიკებივით? ქონდა ფულები და ხარჯავდა, ვის არ ქონდა ამით ხეირი? კოოპერატივს, კერძო ვაჭარს, მეღვინეს, მეეტლეს და, წარმოიდგინეთ თქვენ, ქუჩის ქალებიც კი სარგებლობდენ. ვათვალიერებდი მე ამას და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო, არავინ გამოსვლაზე არ ფიქრობდა და არავინ სხვის საქმეში არ ერეოდა. ხანდახან იყო, მართალია, გამოსვლების მსგავსი „შეტაკებები", მაგრამ მილიციის უბანს არასოდეს არ გასცილებია ეს ამბავი. მაგრამ კომუნისტები მოგასვენებენ კაცს? სულ უნდათ რევოლიუცია იყოს, სულ უნდათ გადმოაგდონ ტახტიდან ვინმე. მიდღემდი ვერ დავაჯერე ეს ქრისტეს მიერ გარიცხული ხალხი, რომ ყველა მიკოლოზი არაა მეთქი. კაცი დაგისომს ტახტზე, მილიცია ხელში, ხარჯთ - აღრიცხვა, ჩაგიბარებია ქონება, მორჩა და გათავდა: დაანებე თავი, რაღას ერჩი, რომ შემოუჩდები? მაგრამ კომუნისტებს ჩემი კი არა, მაკდონალდისაც არაფერი ესმით. ჯერ მონახეს სადღაც ხვთის მიერ შეჩვენებული და ეკლესიის მიერ გარიცხული კაცი, ს. მეგრელიშვილი და უცაბედათ დაგვაცემეს თავზე: „გინდა თუ არა გინდა, გაგწმინდოს ამანო" კაცო. სირცხო გვასწავლის ჩვენ ბათომელებს წმენდას? არც ერთ დაწესებულების სალარო არ დაგვირჩენია გაუწმენდელი და ეხლა მაგი გაწმენდს რასმეს? მარა ვინ დაგიჯერებს? მოდგა ამ კაცმა და, რაც სიმწრით ტახტზე აყვანილი ხალხი გვყავდა, სუყველა ჩამოგვიფერთხა ძირს. — „ძმიავ, შენ ლოთობა თუ იცით", „მუშებს თუ უყვიროდიო", „კონტრაბანდისტობას თუ ეწეოდიო", „ცოლს თუ სცემდიო". ღმერთო, კურთხეულ არს ფეხები შენი. არა, ვინ კითხავს მას სხვის საქმეში ჩარევას? ლოთობა, ჩემო ბიძია, ისტორიული მნიშვნელობისაა. რავა დეიჯერო რომ, პატრიარქი ნოე დათვრებოდა, ეს რომ ცუდი ხელობა ყოფილიყოს. მუშების ყვირილი სულ არაფერია: ალბად, გულის მოსვლის დროს იქნებოდა. ცოლის ცემა და მემანქანე ქალთან არშიყობა ხომ ერთმანეთზეა დამოკიდებული: თუ მემანქანეს ეარშიყები, თავისთავად იგულისხმება, რომ ცოლს უნდა სცემო. ეს ბუნების კანონია. აბა, ორივეს ხომ არ დაუწყებ არშიყობას? ასეთი ყოვლად მიუღებელ ბრალდებით იცით რამდენი ხალხი დაფერთხა? მაგრამ იცოცხლეთ, მასაც აუტეხეთ გულის ბანძგალი. ისეთი წერილი მივწერეთ, რომ...

ამ მუშგლეხინს და პოლიტ-სამმართველოს რაღა უნდა, რომ არ ვიცი. მოდგენ და ისე უდროვოდროს დაეცნენ კაცს თავზე, რომ ყველა ყალბი დოკუმენტებიც კი არ ქონოდა მზად. „—ხუთი ათასი გაგიფლანგავს", სამი ათასი ყალბი საბუთები დაგიმზადებია", „შვიდი ათასი ავანსი ვილიაო", და სხვა მრავალი. მერმე ამისთვის ღირს ოტვეტსტვენი კაცის შეწუხება? ყალბი საბუთები თუ გააკეთა,

# პროვინციალური



ბორჯომის ავტო-გარაჟის გამგე, გიგაური, ხედავთ, რამდენად არის ბედაური?!.

ესეც ხომ საქმეა? ხომ უმუშავენია? ავანსი ხომ სულ არაფერია. შვიდი ათასი, რაა შვიდი ათასი? იმსახურებდა და გადაიხდიდა. თვეში რომ ხუთი მანეთი ებადა, იმსახურებდა რაღაც ორას-სამას წელიწადს და, რავა დევიჯერო, არ გადიხდიდა ამ თანხას? მაგრამ, თქვენა გგონიათ, მიაქციეს ყურადღება ამ მოტივებს? თქვენც არ მომიკვდეთ. მოხვიეს ხელი ამ ჩაჩიჩქიანებულ ბიჭებს და ქი არ წეიყვანეს გამსახლისაკენ. ამაზე მეტი უსამართლოლობა იქნება, ხალხნო? ამ სიცხეში ინებე ეხლა გამსახლში ჯდომა. ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მწვანე კონცხზე ქეიფს სჯობია გამსახლში ყოფნა? ჩვენ მუშგლეხინს ეს ჯერაც ვერ შეუგნია და თავისუფლების მოყვარულ ხალხს გამსახლში ერეკება. ეს რომ უკანონობაა, ცხადია, მაგრამ ვისთან იჩივლებ? ილოცხლე, ბევრმა მოსცხოს მათ, რომ ვინმეს მისცემდნენ საშუალებას, მაგრამ ციხეში ვინ რას იტყვის!

ასე ამირია ამ ხალხმა დღეს ბათომი. მივიდნენ საავთიაქო სამმართველოში, აბოჭეს ხალხი. მივიდნენ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში, აბოჭეს. მივიდნენ... მაგრამ ჯერ არ მისულან და, ალბად, აბოჭავენ კიდევ. მოდი ახლა და უყურე გულგრილად ამ საქმეს... კინაღამ აფთიაქი დაწვეს გულმოსულმა ხალხმა 14 აგვისტოს. მე რა ვუთხრა ცეცხლის მქრობ რაზმს ის გადაარჩინა და მარტო რამოდენიმე ასი მანეთის წამალი გაფუჭდა, თორემ ეცლიათ ერთი, რა მოხდებოდა? მოსულიყვნენ შემდეგ კიდევ... ძალიან დამაფიქრა ამ ამბავმა და გადავწყვიტე გამომეგონებია რაეთი საშუალება, რომ ეს უსამართლოთ დასჯილი ხალხი მეხსნა. გამოგონება ჩემი საქმეა, შენ შესრულება თქვი თორემ, გამოვიგონე, მარა რა გამოვიგონე. რომ ქვეყანაზე სოციალიზმი განხორციელდეს, რომ უკმაყოფილო არც ერთი ოტვესტვენი გვამი არ დარჩეს, ამიტომ საჭიროა:

1. გაუქმებულ იქნას სარევიზიო კომისიები და, სადაც ასეთი არსებობენ, არ იქნას დაშვებული რევიზიაზე (როგორც, მაგალითად, ბათომის საბჭ. მოს. კავშირმა ქნა).
2. გაუქმდეს მუშგლეხინი.
3. აეკრძალოს პოლიტსამმართველოს ხალხის დაჭერა ფულების გარშემო შექმნილ გაუგებრობაზე.
4. გაწვეულ იქნას საჩქაროდ აქედან სერგო მეგრელიშვილი.
5. საყვედური გამოეცხადოს ყველა მწმენდავ კომისიებს.

აი, ის პირობები, რომელიც მე მიმაჩნია მიზანშეწონილად იქაურობისათვის. ჩემის აზრით, ამ ჩემს წინადადებას სიამოვნებით მიიღებენ ყველა ის პატივცემული მოქალაქენი, რომლებიც გრძნობენ და განიცდიან შევიწროვებას. თუ ეს მუხლები არ იქნება შესრულებული, იმ შემთხვევაში, პასუხს აღარ ვაგებ.

პ. ოგოლი.

# შეშლილის წერილი

ჩერვონეცი... სალარო... რევიზია..; ინსპექცია... ორდერი... შორს, შორს!.. არ მომეკარო!... ვინა ხარ შენ?... ჩემი ცოლი?!;; ტყუილია!... შენ კოვერკოტი ხარ.. შევიოტი... ინდიგო... შენ რომ ჩემი ცოლი ყოფილიყავ, მაშინ მე კომუნისტი ვიქნებოდი... პასუხისმგებელი მუშაკი... არა, შენ კამოდი ხარ, შკაპი, ვეჩერი... თეატრი... ბალი... ავტო... მასკარადი... ხა, ხა, ხა, ხა... საწყალი ჩემი თავი!..: მჩვარი... ძონძი..; არა, არასოდეს!.. ტყუილა... მე ფარჩა ვარ... აბრეშუმი... მე რომ ძონძი ვყოფილიყავ, მაშინ კოვერკოტი საიდან გაჩნდებოდა!.. ხა, ხა, ხა, ხა!... სად გინახავთ, რომ მჩვარმა და ძონძმა კოვერკოტი გააჩინოს!... შკაპი... კამოდი..; ვეჩერი;;; ლოტო;;; კარტი... ქეიფი... ცეკვა... ლხინი... ორთაჭალა... ქალები.... დუდუკი... კი, რატომაც არა, შესაძლებელია ყველაფერი... ამას უნდა კარგი აკუშერკა... საწყალი ჩემი ზინა... ნიპრიწ, იმისთანა აკუშერკა!... ხა, ხა, ხა, ხა!... რა სულელია ეს ხალხი!... აკუშერკას რომ დაეძებენ!... არა, არაა საჭირო... მე გავაჩენ ყველაფერს... საიდუმლო აგენტი?!... არა, არ მიყვარს მე აგენტი... კი, რატომაც არა. ის ჩემი მეგობარია... ჩვენ სულ ერთად დავდივართ... სადაც მე... პუპლუზ... ისიც იქ არის!... კარგია აგენტი... მიყვარს მე იგი... იმას გამოვართვი მე ჩემი ზინას კოვერკოტის საპალტოვე... ააა!... ნუ მოხვალთ!... სად მოდიხართ... მეშინიან... მიშველეთ... მიშველეთ!... აა, არა, თვალებს ნუ მიბრიალებ, მეშინიან!... არაფრისაც არ მეშინიან... მეცა მყავს ნათლიმამები!... აი, ის ყმაწვილი, მაუზერი რომ ჰკიდია... ის ჩემი ზინას დეიდის შვილის ცოლს ძმის შვილია... კარგი ბიჭია... მეც კარგი ბიჭი ვარ... ვინა სთქვა, რომ მე გლახა ადამიანი ვარ?... მიუქარავთ და დაუშავებიათ!... არაფერიც არ იქნება... ოო, რამხელა ძთა მოგორავს, შავი ღრუბელი მოიზლაზნება!... აა, ნუ სჭექ!... ქუხილის მეშინიან!... წვიმა მოვა, ნიაღვარი და ჩემი ზინა დამისველდება... საწყალი ზინა, შეიბრალეთ, ცოდვაა, კარგი ადამიანია... ააა... არ [illegible]კაროთ!... მე წმინდა ვარ... უცოდველი... სული წმინდა.... მე რა მაქვს გასაწმენდი!.... ოო, საწყალი ზინა, შენცა გწმენდავენ!... შენ ხომ მუდამ სუფთა იყავი, სურნელოვანი... ნუ, ნუ, ხალხნო, გევედრებით, ნუ გამიწმენდავთ ჩემს ზინას... აფსუსია... ჩამოსცვივა ლორიგანის პუდრი... პამადა... შორს, შორს, ჩემგან!... ვის უბედავთ თქვენ გაწმენდას, ვის?!... იცით, მე ვინა ვარ!!... უძლეველი მეფე ნათლიმამობის!... ჩემი სახელი გავარდნილია ყოველ კუთხეში... მიყვარს ნათლიმამები, ძმა - ბიჭები... აა, ნუ მიბრიალებთ თვალებს, მეშინიან!... შორს, შორს, არ მომეკაროთ!... ნუ მახრჩობთ, შემიბრალეთ!.. შე... მი... ბრა... ლეთ...

გოგია.

# დეპეშა

**სენაკი:** ამ ბოლო დროს ძაღლები ისევ გახშირდენ ბაზარში. მურზა გეგენავას რაზმი ენერგიულად მუშაობს ძაღლების წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გადის. ცენტრიდანაც გამოწვეულია დამხმარე ძალები. ვნახოთ, რა იქნება.

# ახალგაზრდა მხატვრები

ნახ. [illegible] ზესტაფონი



— კალო, რად გინდა ეს ლამფა? განა, ელექტრონი არა გყოფნის?!..

— ელექტრონი, ძმაო ლამეში, მგონი, ათჯერ ჩაქრება და მეც ათჯერ მომიხდება ამ ლამპის ანთება. ჯობს, ისევ ასე იყოს ანთებული!..

ნახ. რუ



— როგორ ფართოდ მოგირთხამთ ფეხი მაგ სკამზე? ცოტა მიიწით, რომ მეც მოვთავსდე თქვენ გვერდით...

— ჩვეული არა ვარ: დაწესებულებაში იმ სიფართე სავარძელი მიდგას მარტო მე, რომ შიგ ორი სამი კაციც სულ ადვილად მოთავსდება, მაგრამ ვის გ ვუკ რებ?!.

ნახ. ფიფიას. თბილისი.




— კონდუქტორო! გააჩერე... გააჩერე....

— არა უშავს, გაგრილდით, მოქალაქენო!...

ნახ. რხაძის. ლანჩხუთი.



— რა გაღრძალებს თავგატეხილივით?

— ჩვენს გამგეს ფულის გაფლანგვა დაუმტკიცეს და პარტწმენდაში მოხვდა!..

ნახ. აბზიანიძის. პატ. ჯიხაიში



— გოგო, გაიგე ახალი ამბავი? კატო და ქეთო წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებას აპირებენ...

— დაიცა, ჯერ მიიღონ მონაწილეობა და მერე მე ვიცი, თუ როგორ მოვსდო ქვეყანას იმათი ამბები!..

# ვინ რას შეტრფის



წალვერში მიმავალი: — რა ბედნიერია, რომ ასეთი მსუქანია!..

კისლავოდსკში მიმავალი: — რა ბედნიერია, რომ აგეთი გამხდარია!.

## ყოველ მხრივ და ყველაფერზედ

ორი წელიწადი იქნება, რაც ძეგვში ტარტაროზის მონადირეთა ექსპედიციას გადაურჩი.

ჩამოვიარე მცხეთაში. ქარხანა გაუხსნიათ. საყვირმა ჯერ გული გამიხეთქა, შემდეგ შევეჩვიე. საღამოს ფანჯარაზე ავცოცდი. ბუზი რაღაც ზედმეტად გასამრჯელოს უწერდა სპეცებს. დავაპირე ქარხნის გამგე ბერეზოვსკისთვის მეთქვა, მაგრამ გადვიფიქრე და სადგურში ჩამოვიარე.

რა ნახა ჩემმა თვალებმა? „მამაო ივანე“ ვესოვჩიკათ დამდგარა და — „ვიგრუჟაი ტრი მესტაო“ — გაიძახის.

საბარგო მატარებლის ერთ სიმინდით დატვირთულ ვაგონს მივადექ. ცოტას გავკნასავ მეთქი, მაგრამ გამახსენდა „პელაგრა“ და შორს გადავხტი.

ისე ზევით, ობსერვატორიაში გადმოვიარე. აქაურებს ამინდის გამოკვლევის ახალი მეთოდი გამოუგონიათ. გაიღვიძებენ თურმე, როდესაც წვიმა მოვა.

აზნეფტის ტრუბაში შევძვერ, მინდოდა მტკვარზე გადასვლა, ბევრი ვიარე და სად. გარდაბანში ამოვყავი თავი.

გამოვხტი თუ არა, დავინახე რომ შალიკოს მეძებარი დატაკებია ექიმ ქალს და ღრღნის. ძლივას მოაშორეს საწყალ დედაკაცს. სადგურის უფროსმა ილარიონმა განაცხადა, რომ ძაღლებს ჩვენ სტრატეგიული მოსაზრებით ვინახავთო. მაგ ექიმია, და ნაკბენს მაინც მალე მოირჩენსო.

შემოუჯექ მარშრუტნი მატარებელს და სურამში ამოვყავი თავი.

ქალი და კაცი ერთ პალატკაში დაუწვენიათ და მერე არ იკითხავთ, რამდენი? — 40 ავადმყოფის მაგიერ მიუღიათ 87.

გავემართე პირდაპირ ბორჯომისკენ. შუშის ქარხნის გამგე ეგანოვი მინდოდა მენახა. შევაღე კაბინეთის კარები. წითელ ლენტ - შებმულმა ძაღლმა, შემოიღრინა. ეს ბიუროკრატია მეთქი და საკასრე ქარხნისკენ მოვსცოცხე.

აქ უარესი ამბავი დავინახე: ქარხნის ყველა მუშები შემოხვევია ერთ მუშას და „წყალი დავაიო“ — გაიძახიან. ის კიდევ პატარ - პატარას ალევინებს, რომ ყველას ეყოს. თურმე ეს ყოველდღიური მაგალითი ყოფილა.

ვაი წარმოება, ვაი შეჯიბრება დავაი სატყეო ტრესტო! გავიფიქრე და გადავმართე ისე ლიხის მთაზე.

მოლითის სადგურის უფროს მუშკორის დევნისთვის ერთი ქათამი გაუქაფე და პირდაპირ სამტრედიის დეპოს უფროს ვესტუმრე.

შევძვერ მის გაბიუროკრატებულ ქაღალდებით სავსე ყუთში და ყველა სასამართლოში გადაცემული საქმეების ასლები გავანადგურე.

ვეწვიე ძაფ-სალებ ქარხნის მუშებს, მაგრამ იქ ჩხუბი იყო და მეც გამოვიქეცი: შეჯიბრების გარდამავალ ჯილდოზე წალაპარაკებულან თურმე; მეც შევეჯიბრე სწრაფ მატარებელს და მოვასწარ ტფილისში.

სინდიოფალა.

## პრესა და წმენდა

ვერა ხედავთ, რეებს ჩადის
ეს წითელი პრესა?
დიდს პატარას აუტეხა,
ცხელება და კვნესა!

შავი ძაძით შეგვიმოსა,
ვინც რომ შური სთესა,
არ დასტოვა უკრიტიკოთ,
ვინც გაივსო ქესა.

პორთფელები გაიფდა,
აღარ გადის დღესა,
ვაჭრებს უკან უბრუნებენ,
აღარც აიღესა.

ამოუვარდა კერია
ყველა გამფლანგველსა,
სუყველა პრესის ბრალია,
რაც მას ხვდება წელსა.

ვერა ხედავთ, რეებს ჩადის
ეს წითელი პრესა?
ბევრ ბობოლას აუტეხა
გულის ძგერა, კვნესა!..

ვ. რ.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## მოჩხუბართ გაშველებას დარჩიამ საქმეში ჩარევა არჩია

ვინ არ იცის, რომ დღევანდელ სოციალისტურ აღმშენებლობის ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ყოველგვარ აქტივობას. სიტყვები: „პროფაქტივი" „კულტაქტივი" თუ სხვა რაღაც არაჩვეულებრივი ელვარებით ბრწყინავენ სხვა სიტყვათა შორის.

აქტივობის შესახებ ჯერ კიდევ სულ-მნათ შორთა რუსთაველს უთქვამს თავის დროზე: „ძალოვანი ძალოვნობდეს, ხელოვანი ხელოვნობდეს"-ო.

ჰო და თუ ამ შვიდი - რვა საუკუნის წინ კი ესმოდა ადამიანს აქტივობის დიადი მნიშვნელობა, მაშ, რაღა გასაკვირია, რომ დღეს მოწონებაში იყვეს და მისკენ ილტვოდეს, მას იჩემებდეს თითქმის ყველა. მართალია, ყველასთვის ძნელი მისაღწევა ას პროცენტიანი აქტივობა, მაგრამ სიბრიყვე იქნება, რომ კაცმა შემთხვევა გაუშვას ხელიდან და რამეში მაინც არ გამოიჩინოს ესა თუ ის პროცენტი აქტივობისა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? გავიაროთ თუ გავდივართ „პარტჩისტკას"; აგერ ცხვირის წინ გვაქვს მომდგარი საბაპარატის „ჩისტკა". ყველგან ერთ პირველ კითხვათაგანია: „რაში იხატება, ამხანაგო (ან მოქალაქევ), თქვენი აქტივობა?! აი, ასეთი მნიშვნელოვან კითხვაზე თუ არ გინდათ დადგეთ ქეროზას ვირივით, რომ ყურების გაპარტყუნებისმ ეტი არაფერი შეგეძლოთ, უნდა გამოიჩინოთ შესაფერი უნარი და „აქტივობაც". ალბად, ზედმიწევნით ესმოდა ეს ამბავი ბათომის მილიციის თანამშრომელს დარჩიას, რომელმაც შენიშნა რა დედაკაცების ჩხუბი ბათომის მუშკოოპის ერთ-ერთ სავაჭროში, გადაივიწყა თავისი მოვალეობა წესრიგის მცველისა და პირდაპირ შიგ ჩხუბში შერგო თავი, როგორც აქტიურმა მონაწილემ.

ეხილა ერთი ჩან-კაიშა დარჩიას „სიფიცხენი ბრძოლისანი", თუ იგი ამის შემდეგ გაბედავდა თავის ტუტუცურ მიქარვებს საბჭოთა კავშირის მომართ!..

მაგრამ აქ საინტერესოა არა დარჩიას ასპროცენტიანი აქტივობა, არამედ უფრო ის მიკერძოება, რომელიც ამ გმირმა გამოიჩინა თვით ომში. მან აშკარად დაუჭირა მხარი თავის თანამემამულეს სომხის ქალის წინაამდეგ და ამ უკანასკნელის საზიან-საზარალოდ.

თავისთავად ცხადია, მოსე წინასწარმეტყველის ეთიკით, რომელმაც ეგვიპტელ ებრაელის ჩხუბში აშკარად დაუჭირა მხარი თავის ებრაელს და დააზიანა ეგვიპტელი, დარჩია სავსებით მართალია. მაგრამ დღეს, საბჭოთა წყობილების ხანაში, ინტერნაციონალისტური კულტის მეფობის ხანაში, თავის თავად ცხადია, მოსე წინასწარმეტყველის ადლით არავინ გაზომავს დარჩიას საქციელს, და მომავალ საბაპწმენდის დროს აჩვენებენ მას, თუ როგორ არ უნდა გამოჩენა ორას პროპროცენტიან მილიციეიაქტივობას.

## ახალ დაბის სადგურში ილიკო სამსახურში

ამისთანა დე-სე-პე, აიღე და დაზეპე.

ა ნ უ.

ეს ჩვენი კორესპონდენტის ტარკორის ბრალია, თორემ ჩვენ არ შევაწუხებდით ილიკოს წითელ ქუდს.

მკითხველი უკვე მიგვიხდა, რომ ლაპარაკია ახალდაბის ევრედწოდებულ „დე-სე-პე-"ზე.

როგორც ხედავთ, სადგურში იგი წარჩინებული პირია. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობია—არც ნიკოლოზის დროს ყოფილა ილიკო ყიფიანი ნაკლებათ პატივდებული და წარჩინებული ტარკორს თუ დავუჯერებთ. „ნიკოლოზის დროს ჩინ-მენდლებით მხარ და მკერდ-დამშვენებული დაჰქროდა და მუშა ხალხის ზურგზე ნავარდი გაჰქონდა"-ო.

შეიძლება ეს ასეც იყო. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის. არამედ მთავარია დღევანდელი მისი ქცევა. შეიძლება ეს „ქცევა" ერთად ერთი იყოს მის ცხოვრებაში, მაგრამ იგი მაინც არის აღნიშვნის ღირსი.

ეს გახლავთ ილიკოს ფანჯრიდან გადმოხტომა და დაჰნამავე კოლაზე დაჯახება.

ცნობილია, რომ რკინის გზის სადგური საერთოდ მარცხიანია დაჯახების მხრივ. ყოველს დაჯახებას ორი მხარე აქვს და წინასწარ ძნელი გამოსარკვევია, თუ რომელი მხარე უნდა დაზიანდეს. ეს ქმნის ბუნდოვანობას. ყოველ ბუნდოვანობას კი მხოლოთ სინათლე და სიმართლე ჰფანტავს. სინათლე კი ისეთი რამეა, რომ მისი შეკავება შეუძლებელია: მის წინ რომ კარი ჩაჰკეტოთ, ის ფანჯრიდან შემოიჭრება, ხოლო თუ კარისა და ფანჯრის დაკეტვას მოასწრებთ, ერდოდან ჩამოაშუქებს. ერთი სიტყვით, მას ვერ აჩერებს ვერაფერი.

აკი კოლამაც ამიტომ მიმართა ფანჯრიდან გადმოხტომას კოლას დასასჯელათ, რომ ის თვითონ იყო ამ ინცინდენტში სინათლეც და სიმართლეც.

მხოლოდ იცით, რა სახელი ჰქვიან ილიკოს სინათლე-სიმართლეს? არ იცით? მაშ, მე გეტყვით:

— უბრალო შარი! აი, ქე რომმოსდებენ უდანაშაულო კაცს ხოლმე.

## ქალიაშვილი არჩილი, ხელში რევოლვერ—გაჩრილი...

აქაც ჩვენმა კორესპონდენტმა „რისტმა" გვაცდინა, თორემ ჩვენ არც ქალიაშვილს ვიცნობთ. გაგვიგონია მხოლოთ, რომ საზოგადოთ ყველა ადამიანი ქალიაშვილია. აქ აღნიშნული ქალიაშვილი კი საზოგადოთ ყველა ადამიანისაგან განსხვავდება თავისი არჩილობით. ხოლო ქალიაშვილის არჩილობა კი, თავის მხრით და ჩვენის აზრით, უნდა წარმოსდგებოდეს იმისაგან, რომ იგი ოდესმე არჩეული ყოფილა რაიკომის მდივნათ. ასეთ დიდ პირზე ვილაც **„რისტის"** სიტყვა, აბა, რა დასაჯერი იყო. მაგრამ ჩვენ მაინც გავბედეთ და დავეყრდნეთ რისტს, ვინაიდან ამ რისტს რომ რა დავყრდნობოდით და დავრჩენილიყავით არჩილის იმედით, სულ ერთია: მგონი, ისევ „რისტს" დაყრდნობილი აღმოვჩნდებოდით მაინც, თუ რა თქმა უნდა, მართალია ჩვენი „რისტის" ცნობა იმის შესახებ, რომ არჩილი, სარგებლობს რა თავისი მდგომარეობით, ლ. კ. კ. წევრებსართმევს რევოლვერებს, ხოლო ამ ჩამორთმეულ ნივთებს შემდეგ სცვლის სხვადასხვა თავისთვის საჭირო და გამოსადეგ ნივთებზეო.

რაიკომისმ დივანს კი უნდა ესმოდეს, რომ დღევანდელ დამძიმებულ ატმოსფეროს ხანაში ლ. კ. კ. წევრთა რევოლვერების უბრალო ნივთებში გადასაცვლელ ნივთად ქცევა დაუშვებელი რამ არის, თუნდაც ეს პროცესი საბოლოო ანგარიშში რაიკომის მდივნის „გასაძლიერებლადაც" მიმდინარეობდეს.

# სამტრედიის სასადილოში
## (პროვინციალური)

ნახ. გ. ხუტაძის. სამტრედია



ხომ ხედავ, როგორ ვნებით გიდარაჯებს მურია?
ფხიზლად იყავ: არ მოგტაცოს პურია!..

## ქორეთის გმირები

(საჩხერე, ს. ქორეთი)

თავმჯდომარე ტყემალაძე
თავზე აზის გლეხებს,
თემში დიდი კაცი არის,
ვინ მოსტეხავს ფეხებს.
ჰემამულეს მიწას უთმობს,
კულაკისკენ ილტვის:
„თქვენი მიწა თქვენვე გქონდეს,
აბა, ვინ რას იტყვის“?!
გაჭირვებულ ქალს არ აძლევს
ეს ყმაწვილი ცნობას,
რომ სიმინდი შეიძინოს,
ასე ჰკარგავს გრძნობას.
ქალი უსიტყვოთ ბრუნდება.
გულზე ცეცხლი ენთვის,
ტყემალაძე მიაძახებს:
მართლაც სად სცალია:
ყური უგდოს, რაც მის თემში
ღატაკი ქალია?!
სხვა წ[illegible] და[illegible]
წელს ამ ვაჟბატონზე,
არ სწორდება და ღიღინებს
სულ სხვა და სხვა ტონზე.
ამას არ უნდა შვრებოდეს
კომპარტიის წევრი,
სამწუხაროდ, ასეთები
არის კიდევ ბევრი.
აქ სიტყვა ვსთქვათ ლომიძეზე,
მას ეკუთვნის ქება,
რომ აკაკი აგიწეროთ,
მე მომეცით ნება.
კომკავშირის წევრობის დროს.
მან ოცდა სამ წელში,
შვილი მონათლა შარვაძის,
აიყვანა ხელში.
ოცდა ექვსში კი თავისიც
მან მონათლა ბავში.
ბავშს არ სურდა ეტყობოდა
მაგრამ ჩასცხეს თავში!
ამავე წელს სასამართლომ,
ცრუ მოწმობის გამო,
ხუთი წელი პირობითი
მიუსაჯა ძამო!,
კაკო დღემდის არ გასწორდა,
დღესაც ინტრიგანობს,
ძველ ცოდვებზე ახალს მატებს,,
არ სწუხს, არცა ნანობს...
კომპარტიას სახელს უტეხს,
მასას ეჯავრება,
მისი პარტიიდან. მოხსნა
ყველას ეჩქარება!..
ლომიძეს და ტყემალაძეს
სხვაცა აქვს ცოდვები
აწ შენ იცი, ტარტაროზო,
საუ გაუსწორდები!

„ტაბშალღენ“

## გამოცანით

**ამაღლება (გურია)**

ვერც წარსულით იამაყებს,
(აწმყოთი ხომ ცნობილია!)
თავი სოციალისტათ მოაქვს.
გლეხი კაცის „ძმობილია“.

—:—

ძმა-ბიჭების დახმარებით
ბანკის დუქანს შეეფარა;
თუმცა მცირე ხელფასი აქვს,
ბლომათ კი აქვს მაინც ფარა.

—:—

„აღვირ-ახსნილს“ ეძახიან,
აწ ამაყობს ნეტავ ვისით?
ღამით ვინმეს ძილს დაუფრთხობს,
გლეხკომში ზის სუფრათ დღისით.

—:—

არ გეგონოთ უპარტიო,
სტაჟიანიც არის კაცი,
უყვარს ჩხუბი, მუშტი-კრივი,
დაძგერება, ვითა ვაცი.

—:—

ხან ჭიჭიკოს მიუხტება,—
ოჯახს აუფორიაქებს,
ხან მეორეს ცოლს დაესხმის,
და თავის თავს დიდათ აქებს.

—:—

თავი მაინც დინჯათ მოაქვს,
უყვარს მძიმეთ ლაპარაკი;
არც არავის აგდებს ჩირათ,
გაუმართლა იმას რაკი.

—:—

ნეტავ სანამ ითარეშებს
ჩვენი დროის ტარიელი?
აწ წმენდას თუ გაეპარა,
დასჭირდება სოფელს მცველი.

„უჩინ-მაჩინი“

# ცნობათა მიღება

ქუთაისი, მუშას. თქვენს წერილის ბარიტის წისქვილის ადგილკომის შესახებ კონკრეტულობა აკლია. თორემ მოვათავსებდით. მარტო ეს ადგილი:

**„ბარიტის წისქვილის მუშებს**
**ადგილკომი ყავს პორფილე,**
**თავში იმდენი უყრია,**
**ცხენებს ეყოფა ორ კვირეს“-ო.**

საერთო კონკრეტულობის უქონლობას ვერ უშველის ჯერ ერთი აქაც არის მთელი რიგი შეკითხვები: სახელდობრ: თავში რა უყრია — არ ამბობთ; ან ცხენები, რომელსაც ეს ნაყარ - ნუყარი მთელ ორ კვირეს ეყოფა, რიცხვით რამდენია.

ყოველივე ეს დიდ გარკვეულობას, ხოლო ამ უკანასკნელი მიზნით, კონკრეტულობას მოითხოვს.

თქვენ კი ოთხი სტრიქონის მანძილზეც კი ორჯერ რომა სცოდავთ, მთელი ლექსის სიგრძეზე რამდენი ცოდვა გექნებოდათ, თვითონ განსაჯეთ.

აქ. მირიანის ძიას. წავიკითხეთ თქვენი „ხულიგანის სიმღერა“. თუ ჩვენი თავის პატივისცემა გაქვთ, დაანებეთ თავი ამ „თავო ჩემო“-ს, თორემ, წარმოიდგინეთ, ავტორს ველარ ვარჩევთ თვითონ მომღერალისაგან ისე გადახლართულია აქ ყველაფერი.

**ნატანებში, ბიჭი კვლავაძეს.** ძალიან გვთხოვთ ჩამოსვლას, მაგრამ თქვენი წერილიდან სრულიად არა სჩანს, რომ ეს ასე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდეს. უსუფთაობაზე იწერებით და ისიც უმთავრესად ბენდელიანის დუქნის შესახებ. თუ ამ დუქანში ობობას ქსელი აქვს გაბმული კუთხიდან კუთხეში, რატომ გეეჭვებათ, რომ ეს მისი ტელეფონია და არა ბენდელიანის. დამერწმუნეთ, ობობა უფრო გამოიყენებს თავის „ტელეფონის ქსელს“, ვიდრე ბენდელიანი — ნამდვილ ტელეფონს, რომ ამ უკანასკნელით სარგებლობის მოთხოვნილება იყვესმასში, დამერწმუნებით, მედუქნე თავ-ბედს დაიწყევლის. ახლა კი ორივე ობობა თავს ბედნიერად გრძნობენ ერთსა და იმავე დუქანში.

გარდა ამისა, რატომ გგონიათ, რომ სანიტარული მოსაზრებით ობობას ქსელი მავნებელი და მიუღებელია? პირიქით, თუ დუქანში უსუფთაობა ისე უხვად არის, როგორც თქვენ იწერებით, წარმოუდგენელია, რომ იქვე აუარებელი ბუზებისათვისაც არ მოგეკრას თქვენ თვალი. იქნება მართლაც არ მოგიკრავთ თვალი და ეს მოვლენაც ისევე გამოგეპარათ, როგორც ალბათ ბევრი სხვა უფრო მსხვილი, ვიდრე ბენდელიანის დუქანია. სამაგიეროთ, ამ თქვენს დანაკლისს ობები ასრულებენ მანდ. ეს მაინც ჩაეთვლება იმათ ერთგვარ დამსახურებათ ქვეყნის სისუფთავის საქმეში.

**ნიგოითში, „მბ“-ს.** ბოლომდი ჩავიკითხეთ თქვენი „პოემა“ ნიგოითის ფოსტის შესახებ. ნიშანში ამოგიღიათ ფოსტს მოხელე ბესო. ჩვენი ფოსტის შესახებ საერთოდ ჩვენ ბევრი უარყოფითი რამე-რუმე ვიცით. თქვენი „პოემა“ ამ მხრივ ჩვენს ზოგად ცოდნას ერთი კუდმოკვეცილი კონკრეტული მაგალითითაც ვერ ამდიდრებს, გარდა იმისა, რომ გაზეთის ფასი შეგიტანიათ ფოსტაში, ხოლო გაზეთს დაჰგვიანებია. ეს დაგვიანება, ვინ იცის, ვისი მიზეზით მოხდა. ამ მხრივ არც ზოგი გაზეთის კანტორაა მოკლებული შეცდომებს. თქვენს „პოემას“ თუ კარგად დავუკვირდებით, საგულისხმო ადგილსაც ვნახავთ მაგალითად:

**„ფოსტა მიდის; ჩვენი ბესო**
**მირბის, ქვა მას ფეხში ესო.**
**„ფოსტის პოეზდის“ დაწევას**
**დახელოვნდა ჩვენი ბესო“-ო.**

ცხადია, ეს მაგალითი ჩვენ გვეუბნება იმას, რომ თქვენი ფოსტალიონი ბევრ სხვა ფოსტის მოხელეს სჯობნებია. ქება და დიდება მას წაქეზება, რათა სხვა მხარეებიც მალე გაასწოროს.

**მუხრანში, გავარდას.** არც იმდენი გავარდნილა თქვენი სახუმაროდან, მეტი ხმა რომ გამოეღო. გავიგეთ, რომ ასეთი ყოფილა მუხრანში. თავი შეაკავეთ მუხრანში და ვაგ...ლდეით.

**შორაპანში, მიშა კლუგს.** თქვენი „გაწმენდილის გოდება“ საერთოდ სწორია, თუმცა არც იმდენად „სწორი“, ჟურნალში დასაბეჭდათ რომ ვარგებულიყო, ხოლო არც იმდენად უსწორ-მასწორი, სარედაქციო გოდორში, რომ ვერ მოთავსებულიყო.

**აქ. ალ. ღლონტს.** კარგია თქვენი „საგამოცდო“. ნამეტნავად ეს ადგილი:

**„გამოცდა იწყება, რაც ვიცი, „გამცე“...**

უნივერსიტეტში შესვლას თუ ეპირებით, ეს ლექსი გადაეცით გამომცდელ კომისიას. მეტი თქვენ არაფერი გინდათ.

**აქ თუ სადმე, ნაბოლარას.** თქვენი „უკანასკნელი გამოთხოვება“, რომელიც მანდატს ეხება, კარგია, ნამეტნავად — ეს ადგილი:

**„პარტიამ გამწირა,**
**ფული რომ ვყლუპე:**
**მომისპო ავტო და**
**ჩქარში კი — კუპე!“..**

მხოლოდ უშენიშვნოთ არც ეს ადგილი ვარგა მაგალითად: ფულის ყლუპვა არ შეიძლება ისე, თუ ის ჯერ ლვინოთ არ იქცა. შემდეგ კი ყლუპეთ, რამდენიც გენებოთ, რაც შეეხება სხვა ადგილებს, შენიშვნები კიდევ უფრო მეტი ექნებოდა და ამიტომ ისევ მათი სარედაქციო გოდორში შემონახვა ვამჯობინეთ.

თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ასე აჯობებს.

**ქუთაისში, ბახჩოს.** მშვენიერია თქვენი „პოეტოქრონიკა“. მოვათავსებდით, როგორც იუმორისტულ კრიტიკა-რეცენზიის ნიმუშს, რომ ავტორსა და მის ნაწარმოებსაც ასახელებდეთ, თორემ ისე გაუგებარი რჩება, შერჩევით მაინც ვათავსებთ ერთ ტაეპს:

**„ურაგანი, გრაგნილი,**
**ოქტომბერი და ჩახმახ...**
**პროლეტ-პოეტს არ შვენის**
**ლექსის ასე მოჩმახვა!“.**

მართალია, მხოლოდ ვისზედ გაქვთ საუბარი, დაგვისახელეთ. ყველა ხომ პროლეტ-პოეტი არ არის.

**ს. კიცხში, გრიგალს.** თქვენს წკიპურტებზე ჩვენც გიპასუხებთ ერთგვარი წკიპურტებით. ალმასკომის თავმჯდომარის შესახებ თქვენ სწერთ:

**„თვით ალმასკომს არა უშავს,**
**არის ისე, შუახორცად“-ო.**

ეს „შუახორცად“ ყოფნა ამ ზაფხულის სიცხეში, ჩვენის აზრით, სავსებით საკმაოა თემის ალმასკომისათვის.

ექიმი ქალის სანაძის შესახებ თქვენ სწერთ:

**„მისი წკრიალა, წმინდა ხმა**
**ბევრჯერ შენც გაგიგონია“-ო.**

წკრიალა, წმინდა ხმა თუ აქვს აქიმს, ცხადია, იგი მდედრობითი სქესის არსება იქნება და მეტს არას აშავებს, მარტო ეს მასზედ ჰალალ-ასანთია!

„აფთიაქს წამალი შემოაკლდა“-ო. ცხადია, ბევრი გაუცია და, მაშასადამე, თუ „შემოაკლდა“ მხოლოთ და მეტი არაფერი, ესეც ჰალალი რამეა აფთიაქზედ!

თეატრის შესახებ კი თქვენა სწერთ:

**„თეატრსაც რომ შეხედავდე,**
**იფიქრებდი მისთვის რასმე,**
**მე მგონია, ცუდს არ იზამ —**
**გამგეობას მოსცხებ სახრეს-“ო.**

არა, თეატრზე ზრუნვის გაწევის თვალსაზრისით ჩვენ მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით ალმასკომის თავმჯდომარისაგან და ვაძლევთ რჩევას, რომ სახრე გაანაწილოს თანაბრად თქვენსა და თეატრს შორის, რაც თქვენი დაუსაბუთებელი რჩევისათვის ჩვენ მიგვაჩნია სრულიად დამსახურებულ სასყიდლად.

**ქუთაისში, დ. გორაკიშვილს.** გვეკითხები: როგორ გავხდე მე ტარკორიო. როცა გახდებით, მაშინ.

# „ტარტაროზი“ წითელ მანევრებზე



— თვალს მოსწონს და გულს ახარებს ეს სანიმუშო ბრძოლა! მხოლოდ აფსუს, რომ ამდენი ენერგია იხარჯებოდეს და იგი პირდაპირ შიგ გულში არ ხვდებოდეს ნამდვილ მტრებს!..

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.